





ჩიორა თაქთაქიშვილი | რევაზ ხოფერია | მანია კოპალეიშვილი

## გამოსატვის თავისუფლება

ამერიკის შეერთებული შტატები,  
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა  
და საქართველო  
კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი



თბილისი  
2024



კვლევა მომზადებულია თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მიერ.

კვლევის ავტორები:

**ჩიორა თავთაქიშვილი**

საჯარო სამართლის მაგისტრი, LL.M.

**რევაზ ხოფერია**

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი, LL.M.

**მაია კოპალეიშვილი**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი (2009-2019)

კვლევის ასისტენტები:

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტები:

**ნინო შელია**

**ნატა წნორიაშვილი**

**თეკლა აბულაძე**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები:

**მეგი გორგაძე**

**მარიამ ნაგერვაძე**

**ლაშა შაინიძე**

ISBN 978-9941-8-6409-4

© თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების გამომცემლობა, 2024



**USAID**  
აშშ-ს საგარეო უწყვეტი დახმების სააგენტო

EAST · WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

USAID საპროფესიო უზენაესობის პროგრამა  
USAID RULE OF LAW PROGRAM

კვლევა მომზადდა თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდნენ ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებებს.

# სარჩევი

შესავალი.....	9
გამოხატვის თავისუფლება	
ამერიკის შეერთებულ შტატებში .....	11
I. ზოგადი მიმოხილვა .....	11
II. ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველი შესწორება.....	13
1. პირველი შესწორებით დაცული სფერო.....	13
2. უფლების წარმოშობის ისტორია, უფლების დაცვის მიზნები .....	19
3. პირველი შესწორების მოქმედება სახელმწიფო ორგანოების მიმართ .....	25
4. პირველი შესწორების მოქმედება კერძო პირების მიმართ.....	29
III. გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის შეფასების მეთოდოლოგიის ელემენტები.....	40
1. უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის შემოწმების სტანდარტები.....	41
2. წინასწარი შეზღუდვები.....	51
3. საჯარო ფორუმის ანალიზი .....	52
4. ბუნდოვანი და უკიდურესად ფართო შეზღუდვები .....	57
IV. გამოხატვის დაუცველი კატეგორიები.....	61
1. მყისიერი უკანონო ქმედების ნაქეზება.....	62
2. აგრესიული გამონათქვამები .....	70
3. ცილისწამება.....	79
4. უხამსობა .....	82
5. ბავშვთა პორნოგრაფიის აკრძალვა.....	85
V. ნაკლებად დაცული გამოხატვის კატეგორიები.....	87
1. ქმედება, როგორც გამოხატვა .....	87
2. კომერციული გამოხატვა.....	91

3. სექსუალური გამოხატვა .....	94
4. სახელმწიფო მოხელეების გამოხატვის თავისუფლება .....	98
VI. სიძულვილის ენა და რასისტული გამოხატვა .....	101
VII. გამოხატვის თავისუფლება ინტერნეტში.....	106

**გამოხატვის თავისუფლება**

**ბერმანის ფედერაციულ რესპუბლიკაში..... 119**

I. ზოგადი მიმოხილვა .....	119
II. აზრის გამოხატვის თავისუფლება .....	120
1. აზრის გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობა.....	120
2. დაცული სფერო .....	121
3. დაცულ სფეროში ჩარევა.....	125
4. სასამართლო პრაქტიკა.....	126
III. ინფორმაციის თავისუფლება.....	131
1. ინფორმაციის თავისუფლების მნიშვნელობა .....	131
2. დაცული სფერო .....	132
3. დაცულ სფეროში ჩარევა.....	133
4. სასამართლო პრაქტიკა.....	134
IV. პრესის თავისუფლება.....	136
1. პრესის თავისუფლების მნიშვნელობა .....	136
2. დაცული სფერო .....	137
3. დაცულ სფეროში ჩარევა.....	138
4. სასამართლო პრაქტიკა.....	140
V. მაუწყებლობის თავისუფლება.....	142
1. მაუწყებლობის თავისუფლების მნიშვნელობა .....	142
2. დაცული სფერო .....	143
3. დაცულ სფეროში ჩარევა.....	144
4. სასამართლო პრაქტიკა.....	144
VI. ფილმის თავისუფლება .....	145
1. ფილმის თავისუფლების მნიშვნელობა .....	145
2. დაცული სფერო .....	146
4. დაცულ სფეროში ჩარევა.....	146
5. სასამართლო პრაქტიკა.....	146

VII. დაცულ სფეროში ჩარევის გამართლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები.....	147
1. კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის გამართლების ზოგადი პრინციპები.....	147
2. გერმანიის კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი უფლების შეზღუდვის გამართლების სამართლებრივი საფუძვლები.....	149
2.1 „ზოგადი კანონით“ დადგენილი ფარგლები.....	149
2.2 ახალგაზრდობის დაცვა.....	150
2.3 ღირსების დაცვა.....	151
3. ცენზურის აკრძალვა.....	152
4. კონკურირებადი კონსტიტუციური უფლებით დადგენილი ფარგლები.....	153
გამოხატვის თავისუფლება საქართველოში.....	155
I. ზოგადი მიმოხილვა.....	155
II. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის გამოწვევა კონსტიტუციის 21-ე მუხლისგან.....	157
III. კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცული სფერო.....	158
IV. აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება.....	160
1. აზრი და ფაქტი.....	162
2. აზრის თავისუფლების გამოვლინება ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებად.....	163
3. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო.....	163
4. მონოდება, როგორც აზრის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა, რეალური (ცხადი და მყისიერი) საფრთხის ტესტი.....	164
V. ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლება.....	165
VI. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია.....	166
1. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება და გავრცელებული ინფორმაციის შინაარსობრივი მხარე.....	169
2. ინტერნეტმედია და მედიის სხვადასხვა საშუალებები.....	173

3. გადაცემათა/პროგრამათა გავრცელების შეზღუდვის შესახებ.....	174
4. იცავს თუ არა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება მათ მესაკუთრეთა ქონებრივ ინტერესებს .....	175
VII. ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება.....	176
VIII. გამოხატვის თავისუფლება და პატივისა და ღირსების დაცვა.....	178
IX. გამოხატვის თავისუფლების უფლების შეზღუდვის „მსუსხავი ეფექტი“ უფლებით სარგებლობისას.....	180
X. უფლების შეზღუდვის ლეგიტიმაციის ტესტი.....	182
XI. უფლების შეზღუდვის ფორმალური გარანტია – „დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად“ .....	183
1. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის უფლებამოსილების დელეგირება .....	184
2. როდის არის დელეგირება დაუშვებელი .....	185
3. რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს კანონი .....	187
XII. უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნები.....	189
XIII. გამოხატვის თავისუფლების უფლების შეზღუდვის შემომწმება – თანაზომიერების ტესტი.....	192
1. შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი.....	193
2. გამოსადეგობა და აუცილებლობა.....	194
3. პროპორციულობა ვინრო გაგებით .....	195
XIV. მოსამართლის გამოხატვის თავისუფლება.....	196
XV. მოსამართლის მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები და სასამართლოს ავტორიტეტისა და დამოუკიდებლობის დაცვის ინტერესი.....	197
1. ტერმინი „მოსამართლის შეურაცხყოფა“.....	200
2. მოსამართლის მიმართ გამოხატვის თავისუფლების შესახებ გადანყვეტილებაზე მოსამართლის განსხვავებული აზრი .....	203
დასკვნა.....	207
გამოყენებული ლიტერატურა .....	211



## შესავალი

გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების არსებობისა და მისი სრულფასოვანი განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა. აზრისა და ინფორმაციის შეუფერხებელი გავრცელებით ხდება შესაძლებელი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო და ინფორმირებული მსჯელობა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა. სწორედ ასეთ შემთხვევაშია უზრუნველყოფილი შეხედულებათა მრავალფეროვნება.<sup>1</sup> გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტური და ფუნქციური ელემენტია. ეს კონსტიტუციური უფლება ქმნის აუცილებელ საფუძველს საზოგადოების განვითარებისა და ადამიანის უფლებების უზრუნველყოფისათვის.<sup>2</sup> თუმცა, გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და იგი შესაძლებელია დაექვემდებაროს შეზღუდვას კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად. უფლებაშემზღუდველი ნორმების დადგენისას, დაცული უნდა იქნეს გონივრული ბალანსი მისაღწევ მიზანსა და შეზღუდულ უფლებას შორის. დემოკრატიული სახელმწიფო პატივისცემით უნდა მოეკიდოს ადამიანის გამოხატვის თავისუფლებას, მისი შეზღუდვა კი უნდა იყოს დასაბუთებული, საჭირო და აუცილებელი თავად დემოკრატიული საზოგადოების არსებობისა და ადამიანთა თანაცხოვრებისათვის.<sup>3</sup>

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების უკეთ გააზრებისა და პრაქტიკაში სათანადოდ დანერგვის მიზნით, მნიშვნელოვანია ისეთი მდიდარი სამართლებრივი ისტორიისა და გამოც-

---

1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება. ვებგვერდი: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=507>

2 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება. ვებგვერდი: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=401>

3 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის №2/2/516,542 გადაწყვეტილება. ვებგვერდი: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1210>

დილების სახელმწიფოთა სამართლებრივი მონესრიგებებისა და პრაქტიკის განხილვა, როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატები და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

ნაშრომის პირველი ნაწილი ეთმობა ამერიკის შეერთებული შტატების ნორმატიული რეგულირებების და სასამართლო პრაქტიკის განხილვას, კერძოდ, გაანალიზებულია კონსტიტუციის პირველი შესწორება, რომლითაც გარანტირებულია გამობატვის თავისუფლება, გამობატვის თავისუფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის შეფასების მეთოდოლოგიის ელემენტები, გამობატვის დაუცველი კატეგორიები, ნაკლებად დაცული გამობატვის კატეგორიები, სიძულვილის ენა და რასისტული გამობატვა, აგრეთვე, გამობატვის თავისუფლება ინტერნეტში. ნაშრომის ამ ნაწილის ავტორია ჩიორა თავთაქიშვილი.

ნაშრომის მეორე ნაწილი მოიცავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონით (კონსტიტუციით) გათვალისწინებული მონესრიგების და სასამართლო პრაქტიკის განხილვას, კერძოდ, გაანალიზებულია აზრის გამობატვის თავისუფლება, ინფორმაციის თავისუფლება, პრესის თავისუფლება, მაუნყებლობის თავისუფლება, ფილმის თავისუფლება, კონსტიტუციური უფლებით დაცული სფერო და დაცულ სფეროში ჩარევის შემთხვევები, აგრეთვე დაცულ სფეროში ჩარევის გამართლების საფუძვლები და შესაბამისი სასამართლო პრაქტიკა. ნაშრომის ამ ნაწილის ავტორია რევაზ ხოფერია.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მონესრიგებისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შემდეგ, ნაშრომის მე-3 ნაწილში მოცემულია მსჯელობა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ უფლებებსა და სასამართლო პრაქტიკაზე. კერძოდ, განხილულია აზრისა და მისი გამობატვის თავისუფლება, ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება, ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება, პატივისა და ღირსების დაცვა, უფლების შეზღუდვის ლეგიტიმაციის ტესტი, აგრეთვე, მოსამართლის გამობატვის თავისუფლება და მის მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები. ნაშრომის ამ ნაწილის ავტორია მაია კოპალეიშვილი.

# გამოხატვის თავისუფლება ამერიკის შეერთებულ შტატებში

## I. ზოგადი მიმოხილვა

სიტყვისა და პრესის თავისუფლება ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველი შესწორებით დაცული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა. წინამდებარე ნაშრომის მიზანია შეაჯამოს ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს პრეცედენტული მნიშვნელობის სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც, ერთი მხრივ წარმოაჩენს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოხატვის თავისუფლების შინაარსს და მისი დაცვის კონსტიტუციურ-სამართლებრივ ჩარჩოს, ხოლო მეორე მხრივ, ნათელს მოჰყვენს, თუ როგორ მიუსადაგებს უზენაესი სასამართლო თავის მყარად ჩამოყალიბებულ სამართლებრივ სტანდარტებს ინდივიდუალურ შემთხვევებს ისტორიულ-სოციალური კონტექსტის გათვალისწინებით.

რამდენადაც ნაშრომის მიზანი გამოხატვის თავისუფლების ამერიკული კონსტიტუციური კონტროლის თავისებურებების შესწავლაა, პირველი შესწორების სხვა კომპონენტები, როგორცაა სახელმწიფო რელიგიის აკრძალვა, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება, გაერთიანების თავისუფლება, პეტიციის უფლება, ამ კვლევის მიზნებს სცდება და შესაბამისად, არ არის განხილული.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოხატვის თავისუფლების საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი აკადემიური ლიტერატურული ბაზა არსებობს ქართულ ენაზე,<sup>4</sup> სადაც შეჯამებულია გამოხატვის უფლების კონსტიტუციური დაცვის ძირითადი მიზნები, პრინციპები, მეთოდოლოგია, ცალკეული პრობლემური სამართლებრივი საკითხები და მიმოხილულია გამოხატვის თავისუფლების სფეროში ამერიკის უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი

---

4 მაია ოქრუაშვილი, ირაკლი კოტეტიშვილი, გამოხატვის თავისუფლება. გამოხატვის თავისუფლება აშშ-სა და ევროპაში. თავისუფლების ინსტიტუტი, თბილისი (2005).

გადანყვეტილებები. ამასთან, ბოლო პერიოდში საქართველოში გამოქვეყნდა რამდენიმე ნაშრომი ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოხატვის თავისუფლების ცალკეულ ვინრო თემატიკაზეც, როგორცაა მაგალითად, სასამართლოს ავტორიტეტის დაცვა და გამოხატვის თავისუფლება.<sup>5</sup> ამ გამოცემებისგან განსხვავებით, წინამდებარე ნაშრომის მიზანია ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკა შედარებით სამართლებრივ ჭრილში წარმოაჩინოს. შესაბამისად, ის შეზღუდული თემატური არეალია შერჩეული, რაც შინაარსისა და კონტექსტის გათვალისწინებით საქართველოში არსებულ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას ეხმიანება, ამერიკული კონსტიტუციური რეგულირების თავისებურებას წარმოაჩენს, ან გამოხატვის თავისუფლების დაცვის კუთხით თანამედროვე საქართველოსთვის რელევანტურ გამონკვევებს ასახავს. ნაშრომის უპირატესობაა ის, რომ მასში აშშ-ის უზენაესი სასამართლოს ფუძემდებლურ პრეცედენტებთან ერთად მიმოხილულია უახლესი პრაქტიკაც, მათ შორის სასამართლოს დამოკიდებულება ინტერნეტში გამოხატვის თავისუფლების დაცვის სპეციფიკასთან დაკავშირებით.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ნაშრომი დაფუძნებულია ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილებებისა და მათთან დაკავშირებით სამართლის მკვლევრების ნაშრომების ანალიზზე. ამერიკის უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილებების შესარჩევად, მათი პრეცედენტული მნიშვნელობის განსასაზღვრად ნაშრომი ეყრდნობა პროფესორ ირვინ ჩემერინსკისეულ გამოხატვის თავისუფლების ანალიზის მეთოდოლოგიას და სახელმძღვანელოდ გამოყენებულია მისი ფუნდამენტური ნაშრომის – „კონსტიტუციური სამართალი. პრინციპები და პოლიტიკა“ – უახლესი, 2019 წლის რედაქცია (მეექვსე გამოცემა), 2020 წლის დამატებით.<sup>6</sup>

ნაშრომი მიმოხილავს გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივ ჩარჩოს, პირველი შესწორების მოქმედების სფეროებს, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის შეფასების სტანდარტებს, გამოხატვის დაუცველ და ნაკლებად დაცულ კატეგორიებს, ასევე ყურადღება გამახვილებულია რამდენიმე თემატურ საკითხზე: სიძულვილის ენა და რასისტული გამოხატვა, სახელმწიფო მოხელეების გამოხატვის თავისუფლება და გამოხატვის თავისუფლება ინტერნეტში.

5 გიორგი ბერაია, „სასამართლოს ავტორიტეტის დაცვის სახელით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის პრობლემა: ეროვნული სასამართლოების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ამერიკის უზენაესი სასამართლოს და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის თეორია და პრაქტიკა“, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, XI, 55 (2017); თამარ ავალიანი, „გამოხატვის თავისუფლება vs. სასამართლოს ავტორიტეტი აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორების მიხედვით და მისი გავლენა საქართველოს კანონმდებლობაზე“, სოციალური მეცნიერებათა ვექტორები, №2, 2021.

6 Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies* (6th ed. 2019); Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies* (6th ed. 2019), 2020 Supplement.

## II. ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველი შესწორება

### 1. პირველი შესწორებით დაცული სფერო

გამოხატვის თავისუფლება, ისევე როგორც ფუნდამენტური უფლებები, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველი ათი შესწორების ნაწილია.

„შესწორება I.

კონგრესის მიერ არ უნდა იქნას მიღებული არცერთი კანონი, რომელიც დააკანონებს რომელიმე რელიგიას, ან ხელს შეუშლის მის თავისუფალ აღმსარებლობას, რომელიც აღკვეთს სიტყვისა ან პრესის თავისუფლებას; ან წაართმევს ხალხს მშვიდობიანი შეკრების უფლებას და უფლებას პეტიციით მიმართოს მთავრობას, რათა მან დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნები“.<sup>7</sup>

ამდენად, კონსტიტუციის პირველი შესწორება რამდენიმე უფლებას აერთიანებს, კერძოდ, ესენია: სახელმწიფო რელიგიის დაფუძნების აკრძალვა (რაც ასევე გულისხმობს რელიგიური კუთვნილების მიხედვით დისკრიმინაციის აკრძალვას), რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება, პრესის თავისუფლება, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება და პეტიციის უფლება.

თავად ტერმინი „სიტყვის თავისუფლება“, კონსტიტუციის ტექსტში „პრესის თავისუფლებისგან“ განცალკევებულია და ერთი შეხედვით, მისი ლინგვისტური განმარტება თითქოს მხოლოდ ისეთი ფორმით გამოხატვას გულისხმობს, როდესაც მოსაზრებებისა თუ ინფორმაციის გავრცელება და მიღება ვერბალური, ანუ, ზეპირსიტყვიერი კომუნიკაციის მეშვეობით ხდება. თუმცა, როგორც ქვემოთ განხილული მაგალითებიდან ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო „სიტყვის თავისუფლებას“ გაცილებით უფრო ფართო მნიშვნელობით განმარტავს და ის გამოხატვის გაცილებით უფრო ფართო არეალს ფარავს.

კერძოდ, სიტყვის თავისუფლების დებულებით დაცულია როგორც ვერბალური (უშუალოდ „ზეპირსიტყვიერი“), ისე ნებისმიერი სხვა ფორმით გამოხატვა. მაგალითად, დაცულია სიმბოლური გამოხატვა, ანუ ქმედება, რომელიც შინაარსობრივ ან/და ემოციურ გზავნილს შეიცავს.<sup>8</sup> გამოხატვა დაცულია კომუნიკაციის

7 ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია. თარგმნ.: არჩილ კობალაძე, სანდრო ბარამიძე, რედ.: მინდია უგრეხელიძე, თბილისი, 18 (1993).

8 United States v. O'Brien, 391 U.S. 367 (1968), Tinker v. Des Moines Independent Community School District, 393 U.S. 503 (1969), Texas v. Johnson, 491 U.S. 397 (1989).

ნებისმიერი საშუალებით, ზეპირად, წერილობით, ტექსტის, გრაფიკული, აუდიო ან ვიდეო გამოსახულების სახით, როგორც მატერიალური, ისე ვირტუალური ფორმით (ციფრული მასალა).<sup>9</sup> ამ თვალსაზრისით, ტერმინი „სიტყვის თავისუფლება“ ტერმინ „გამოხატვის თავისუფლების“ იდენტური მნიშვნელობით უნდა იქნეს გაგებული. შესაბამისად, მოცემულ ნაშრომში ტერმინები სიტყვის თავისუფლება და გამოხატვის თავისუფლება სინონიმური მნიშვნელობით არის გამოყენებული. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების ციტირებისას, რა თქმა უნდა, ძირითადად ორიგინალური ტერმინი, „სიტყვის თავისუფლება“ უფრო ხშირად შეგვხვდება, თუმცა მისი ფართო შინაარსით, და არა ვიწრო, ლინგვისტური გაგებით. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სიტყვის თავისუფლებით დაცული უფლებებია: აზრის გამოხატვის თავისუფლება, ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლება, ანონიმური გამოხატვის თავისუფლება,<sup>10</sup> კომერციული გამოხატვის თავისუფლება<sup>11</sup> და აკრძალულია გამოხატვის იძულება.<sup>12</sup>

პირველი შესწორების სიტყვის თავისუფლების დებულება დამატებით ორ კონკრეტულ უფლებასაც იცავს. პირველია გაერთიანების თავისუფლება, რომელიც პირველი შესწორების ტექსტში ცალკე უფლების სახით არ არის მოხსენიებული. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს სიტყვებით, „სხვა ადამიანებთან გაერთიანება საერთო მრწამსისა და იდეების გასავრცელებლად, სიტყვის თავისუფლების განუყოფელი ნაწილია“.<sup>13</sup> შესაბამისად, გაერთიანების თავისუფლებას სასამართლო პირველი შესწორების „სიტყვის თავისუფლების დებულებით“ დაცულ უფლებად აღიარებს. მეორე ასეთი უფლება პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკური კამპანიების დაფინანსების უფლებაა, რაც უზენაესმა სასამართლომ სიტყვის თავისუფლების განუყოფელ ნაწილად მიიჩნია.<sup>14</sup> სასამართლოს შეფასებით, პოლიტიკური გამოხატვა, რომელიც გამოხატვის ყველაზე მეტად დაცული კატეგორიაა და პოლიტიკური კამპანიების დაფინანსების უფლება საერთო მიზანს ემსახურება – მოქალაქეებმა ზეგავლენა მოახდინონ პოლიტიკურ პროცესებზე და მათთვის სასურველი შედეგები გამოიწვიონ საჯარო დისკუსიისა და განსხვავებული პოზიციების შეჯერების გზით. შესაბამისად,

9 Brown, et al. v. Entertainment Merchants Assn. et al., 564 U.S. 786, 790 (2011).

10 McIntyre v. Ohio Elections Comm'n, 514 U.S. 334 (1995).

11 Bigelow v. Virginia, 421 U.S. 809 (1975).

12 West Virginia State Board of Education v. Barnette, 319 U.S. 624 (1943).

13 NAACP v. Alabama ex rel. Patterson, 357 U.S. 449, 460 (1958).

14 Buckley v. Valeo (1976), Citizens United v. Federal Election Commission (2010), McCutcheon v. FEC (2014).

კანონმდებელს მხოლოდ პირველი შესწორებით დაშვებულ ფარგლებში შეუძლია დაარეგულიროს პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკური კამპანიების დაფინანსების რეჟიმი. ამ ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, გაერთიანების თავისუფლებისა და პოლიტიკური პარტიების დაფინანსების უფლების სპეციფიკა ცალკე არ იქნება განხილული.

გასათვალისწინებელია, რომ „სიტყვის თავისუფლება“ და „შეკრების თავისუფლება“ თავისი შინაარსით მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებშიც ერთი და იგივე მეთოდოლოგიით ხდება ამ უფლებებში ჩარევის შემთხვევების შეფასება. მაგალითად, საჯარო თუ კერძო ადგილებში შეკრების მონაწილეთა გამოხატვის თავისუფლების დაცვის სტანდარტების დადგენისას სასამართლო „სიტყვის თავისუფლების“ მეთოდოლოგიას იყენებს და შეკრების თავისუფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის შეფასების სპეციფიკური მეთოდოლოგია არ არსებობს. მაგალითად, საქმეებს, სადაც დავა შეეხებოდა საჯარო შეკრების ორგანიზატორის ან მონაწილის მიერ წარმოთქმულ სიტყვას,<sup>15</sup> ქმედებას,<sup>16</sup> თუ შეკრებისა და მანიფესტაციის ჩასატარებლად დაწესებული წინასწარი ნებართვის რეჟიმის კონსტიტუციურობას,<sup>17</sup> სასამართლო სიტყვის თავისუფლების ზოგადი მეთოდოლოგიის გამოყენებით განიხილავს. ამასთან, სიტყვის თავისუფლების საკითხზე არსებული პრაქტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია ისეთი სპეციფიკური საკითხები, რომლებიც განსაკუთრებით რელევანტურია შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებისთვის, მაგალითად, რომელ საჯარო ადგილებშია დაცული გამოხატვა და რომელ საჯარო სივრცეში რომელი სტანდარტით უნდა შეფასდეს შეზღუდვების კონსტიტუციურობა. ამდენად, ამ ნაშრომში სიტყვის თავისუფლებაზე მსჯელობისას მოყვანილ საქმეებში შესაძლოა გარკვეული გადაფარვა არსებობდეს შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებასთან, თუმცა ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს სპეციფიკურად შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის შესწავლა.

კონსტიტუციის პირველი შესწორება ცალ-ცალკე მიუთითებს სიტყვისა და პრესის თავისუფლებაზე. საინტერესოა, რა განსხვავებაა სიტყვის თავისუფლებასა და პრესის თავისუფლებას შორის და არსებობს თუ არა მათ შორის შინაარსობრივი გადაფარვა. ერთი შეხედვით, სიტყვის თავისუფლება მისი ფართო გაგებით, რა თქმა უნდა, პრესის, უფრო სწორად მასობრივი

15 *Brandenburg v. Ohio*, 395 U.S. 444, 447 (1969).

16 *United States v. O'Brien*, 391 U.S. 367 (1968).

17 *Cox v. New Hampshire*, 312 U.S. 569 (1941).



კომუნიკაციის საშუალებების – რადიო, ტელესამაუწყებლო კომპანიების – გამონატვის თავისუფლებასაც მოიაზრებს. ეს ასეცაა, უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკით დაცულია გამონატვის თავისუფლება მასობრივი კომუნიკაციების საშუალებებით, მიუხედავად მათი სახეობისა. სიტყვის თავისუფლება იცავს გამონატვას პრესით,<sup>18</sup> რადიომაუწყებლობით,<sup>19</sup> ტელემაუწყებლობით<sup>20</sup> საკაბელო მაუწყებლობით,<sup>21</sup> ინტერნეტით,<sup>22</sup> სოციალური ქსელებით,<sup>23</sup> თუ ვიდეო თამაშებით<sup>24</sup> და სხვა. მეორე მხრივ, პრესის თავისუფლება იცავს გამონატვას სპეციალური სუბიექტის, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების მიერ. პრესის თავისუფლებით დაცულია ბეჭდვითი პრესის, რადიო, ტელესამაუწყებლო, საკაბელო არხების თუ სხვა მედიასაშუალებების გამონატვა, რომლებიც ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით მაუწყებლობენ.

სასამართლოს შეფასებით, „რაც არ უნდა რთული იყოს კონსტიტუციის მისადაგება მუდმივად განვითარებად ტექნოლოგიურ მიღწევებთან, სიტყვის თავისუფლების ფუძემდებლური პრინციპები არ იცვლება იმის მიხედვით, თუ რომელი ახალი ან განსხვავებული კომუნიკაციის საშუალებით ხდება გამონატვა“.<sup>25</sup> შესაბამისად, ამერიკის უზენაესი სასამართლო პირველი შესწორების მეთოდოლოგიის ელემენტებს ერთნაირად იყენებს, როგორც პრესის (მედიის), ისე სხვა პირის მიმართ გამონატვის თავისუფლების შემზღუდავი ნორმებისა თუ სამართლებრივი რეჟიმების შესაფასებლად.<sup>26</sup> მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის უფლების სუბიექტი, ინდივიდი, თუ პრესა, ერთი და იგივე მიდგომა აქვს სასამართლოს წინასწარი შეზღუდვების მიმართ. მაგალითად, კარდაკარ საინფორმაციო ბუკლეტების დარიგების სანებართვო რეჟიმისა<sup>27</sup> და საგაზეთო პუბლიკაციის სანებართვო რეჟიმის შესაფასებლად<sup>28</sup> სასამართლომ წინასწარი შეზღუდვების ერთი და იგივე დოქტრინით იხელმძღვანელა და ერთი და იგივე ტესტი გამოიყენა, მიუხე-

18 Miami Herald Pub. Co. v. Tornillo, 418 U.S. 241 (1974).

19 Red Lion Broadcasting Co., Inc. v. FCC, 395 U.S. 367 (1969); FCC v. Pacifica Foundation, 438 U.S. 726 (1978).

20 Herbert v. Lando, 441 U.S. 153 (1979); FCC v. Fox Television Stations, Inc., 556 U.S. 502 (2009).

21 Denver Area Ed. Telecommunications Consortium, Inc. v. FCC, 518 U.S. 727 (1996).

22 Reno v. ACLU, 521 U.S. 844 (1997).

23 Packingham v. North Carolina, 137 U.S. 1730 (2017).

24 Brown, et al. v. Entertainment Merchants Assn. et al., 564 U.S. 786 (2011).

25 Joseph Burstyn, Inc. v. Wilson, 343 U.S. 495, 503 (1952), ციტირებულია: Brown, et al. v. Entertainment Merchants Assn. et al., 564 U.S. 786, 790 (2011).

26 Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 1276 (6th ed. 2019).

27 Watchtower Bible & Tract Society of N.Y., Inc. v. Village of Stratton, 536 U.S. 150 (2002).

28 Miami Herald Pub. Co. v. Tornillo, 418 U.S. 241 (1974).



დავად იმისა, რომ ერთ საქმეში დავა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას შეეხებოდა, ხოლო მეორეში, პრესის თავისუფლების შეზღუდვას. ასევე, იმის მიუხედავად, გამოხატვა ტრადიციული პრესის მეშვეობით ხდება თუ უფრო თანამედროვე კომუნიკაციების საშუალებებით, როგორცაა ვიდეო თამაშები, ინტერნეტი, სოციალური ქსელები, სასამართლო პირველი შესწორების ზოგად მეთოდოლოგიას იყენებს.

ეს მიდგომა თანმიმდევრულია უზენაესი სასამართლოს ზოგად პრაქტიკასთან, სადაც ის სიტყვის თავისუფლების მეთოდოლოგიას გამოიყენებს პირველი შესწორებით დაცული სხვა უფლებების მიმართაც, მაგალითად, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების თაობაზე თუ გაერთიანების თავისუფლებაზე დავების განხილვისას და არ ქმნის რამე სპეციალურ სტანდარტებს, რომლებიც ექსკლუზიურად მხოლოდ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების შეზღუდვისას გამოიყენება და გასულია პირველი შესწორების ანალიზის მეთოდოლოგიიდან.

მიჩნეულია, რომ პირველ შესწორებაში სიტყვის თავისუფლებისა და პრესის თავისუფლების ცალ-ცალკე მოხსენიებით შესწორების ავტორებმა ხაზი გაუსვეს თავისუფალი პრესის მნიშვნელობას ამერიკის სახელმწიფოს მშენებლობისთვის და ამით ინგლისში და ამერიკის ცალკეულ შტატში არსებული პრესის ცენზურისა და მკაცრი სახელმწიფო რეგულირების რეჟიმებისგან ამერიკის შეერთებული შტატების განსხვავებას გაუსვეს ხაზი.<sup>29</sup>

ამასთან, უზენაესმა სასამართლომ უარი თქვა პირველ შესწორებაზე მითითებით პრესისთვის გამონაკლისები დაედგინა ზოგადი საკანონმდებლო მოთხოვნებიდან, როგორცაა, მაგალითად, შრომის კანონმდებლობა, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, ან წყაროების ანონიმურობის დაცვა მიმდინარე სისხლის სამართალწარმოების პროცესში.<sup>30</sup>

ერთადერთი სპეციფიკური უფლება, რაც უზენაესმა სასამართლომ უშუალოდ პრესის თავისუფლების შინაარსში მოიაზრა, ეს არის მედიის დაცვა სახელმწიფოს მხრიდან (ფედერალური თუ შტატის) დიფერენცირებული გადასახადის დაწესებისგან, ანუ ისეთი საგადასახადო რეჟიმებისგან, რომლებიც მხოლოდ პრესაზე ვრცელდება.<sup>31</sup> დიფერენცირებული გადასახადის დაწესება დაუშვებელია მიუხედავად იმისა, ეს რეჟიმი პრესისთვის უფრო მკაცრია, თუ უფრო ლოიალური.<sup>32</sup> ეს სასამართლო იმით დაასაბუთა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, განსხვავებულ საგადასახადო რეჟიმს შეიძლება

29 Erwin Chemerinsky, 1002-1004.

30 იქვე, 1280-81.

31 Grosjean v. American Press Co., 297 U.S. 233 (1936).

32 Minneapolis Star v. Minnesota Comm'r, 460 U.S. 575 (1983).

გავლენა ჰქონდეს პრესის სარედაქციო პოლიტიკაზე უკეთესი საგადასახადო რეჟიმის მოლოდინით.

კიდევ ერთი სპეციფიკური საკითხია ტელე-რადიო სიხშირული მაუნყე-ბლობის სპეციფიკა, რომელიც თემატური თვალსაზრისით, მხოლოდ პრესის თავისუფლების დაცვის კონტექსტში გვხვდება. უზენაესმა სასამართლომ გაითვალისწინა ტელე-რადიო მაუნყებლების სპეციფიკა იმ კუთხით, რომ ისინი ამონურვად სახელმწიფო რესურსის – ტელე-რადიო სიხშირეების გამოყენებით მაუნყებლობენ და, შესაბამისად, გამართლებულად მიიჩნია გარკვეული შინაარსობრივი რეგულირება სახელმწიფოს მხრიდან, მაგალითად, პატივისა და ღირსების შემლახავი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში დაზარალებულის პასუხის განთავსების ვალდებულება და წინასაარჩევნო პერიოდში სხვა პოლიტიკური პარტიებისთვის საეთერო დროის დათმობის ვალდებულება, თუკი რადიო-ტელე-მაუნყებელი ერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლის წინასაარჩევნო კამპანიას აშუქებდა საკუთარ ეთერში,<sup>33</sup> მაშინ, როდესაც იგივე ვალდებულების დაწესება საგაზეთო პუბლიკაციებისთვის, რომლებიც სახელმწიფო რესურსს არ იყენებდნენ, კონსტიტუციის დარღვევად მიიჩნია.<sup>34</sup> იგივე მოტივით, სიხშირულ რესურსზე, როგორც ამონურვად სახელმწიფო რესურსზე მითითებით და ტელემაუნყებლობის ბუნებიდან გამომდინარე, სასამართლომ ნაკლებად მკაცრი სტანდარტით იხელმძღვანელა და დასაშვებად მიიჩნია ტელემაუნყებლობის სახელმწიფო რეგულირება, რაც ვულგარული, არაეთიკური შინაარსის მასალისა და ლექსიკის გამოყენებას ზღუდავდა იმაზე მეტად, ვიდრე ეს „უხამსობის სტანდარტით“ არის დადგენილი და რაც კომუნიკაციის სხვა საშუალებებს უფრო მკაცრი სტანდარტით იცავს სახელმწიფო რეგულირებისგან.<sup>35</sup>

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ უარი თქვა სიტყვის თავისუფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი დაცვის სპეციალური სტანდარტების განვითარებაზე, რომელიც მხოლოდ პრესაზე გავრცელდებოდა, ცალკეული საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისა და სიტყვის თავისუფლების კონსტიტუციურობის შემონმების ზოგადი სტანდარტების გამოყენებისას სასამართლო მხედველობაში იღებს, მედიის, როგორც

33 Red Lion Broadcasting Co., Inc. v. FCC, 395 U.S. 367 (1969).

34 Miami Herald Pub. Co. v. Tornillo, 418 U.S. 241 (1974) (საქმეში არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი შტატის კანონმდებლობის მოთხოვნა, რომელიც გაზეთს ავალდებულებდა, იმ პირის საპასუხო წერილი გამოექვეყნებინა, რომლის პატივი და ღირსება გაზეთში გამოქვეყნებული სტატიით შეილახა).

35 FCC v. Pacifica Foundation, 438 U.S. 726 (1978).

დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირების აუცილებელი ელემენტის, მნიშვნელობას და თავის დასაბუთებაში სპეციფიკურად მიუთითებს შესაბამის გარემოებებზე.<sup>36</sup>

## 2. უფლების წარმოშობის ისტორია, უფლების დაცვის მიზნები.

ინგლისური მაგნა კარტა – თავისუფლების დიდი ქარტია<sup>37</sup> – და უფლებათა ბილი<sup>38</sup> ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველი შესწორების ისტორიულ წინამორბედად მიიჩნევა. მიუხედავად იმისა, რომ მაგნა კარტაში მხოლოდ პარლამენტის წევრების სიტყვისა და დებატებში მონაწილეობის თავისუფლება იყო მოხსენიებული,<sup>39</sup> შიშისა და ცენზურის გარეშე კრიტიკული მოსაზრებების გამოხატვისა და პოლიტიკურად მნიშვნელოვან საკითხებზე კამათის უფლების აღიარება ამ აქტის მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო.

ინგლისურ სამართალთან ამ ისტორიული კავშირის მიუხედავად, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველი შესწორება ერთგვარი რეაქცია იყო პრესის შეზღუდვის იმ მკაცრ პრაქტიკაზე, რაც ინგლისში არსებობდა.<sup>40</sup>

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების პერიოდში ინგლისური საერთო სამართალი საერთოდ არ ცნობდა სიტყვისა და პრესის თავისუფლებას, უფრო – პირიქით. ბრიტანეთის ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხების აკრძალვის მიზნით შემოღებული კანონები პირდაპირ კრძალავდა ისეთი შინაარსის მოსაზრებებისა და ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც მონარქის ძალაუფლებას ეჭვქვეშ დააყენებდა.<sup>41</sup> მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული „ცილისმნამებლური“ განცხადებები ამბოხების მცდელობად განიხილებოდა (*seditious label*), თუნდაც ის სრულ სიმართლეზე ყოფილიყო დაფუძნებული, და

36 New York Times Co. v. Sullivan, 376 U.S. 254 (1964); New York Times Co. v. United States, 403 U.S. 713 (1971).

37 The Great Charter of the Liberties of England (Magna Carta), 15 June, 1215 (1297).

38 The Bill of Rights. 1689. Parliamentary Archives, HL/PO/PU/1/1688/1W&Ms2n2.

39 Harold Dexter Hazeltine, "The Influence of Magna Carta on American Constitutional Development", 17 Colum. L. Rev. , 1, 1-33 (Jan., 1917).

40 იხ.: Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 1002 (6th ed. 2019). იხ. ასევე: Thomas I. Emerson, "Colonial intentions and current realities of the First Amendment", 125 U. Pa. L. Rev. 4, 737-760 (1977).

41 Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 1002-03 (6th ed. 2019).

სისხლის სამართლის წესით ისჯებოდა.<sup>42</sup> ამერიკის ისტორიის მკვლევრების შეფასებით, თავად ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია ბამონხატვის თავისუფლების რეალიზების ყველაზე მნიშვნელოვან მაგალითს წარმოადგენს, რომელშიც ავტორებმა ღიად დასდეს ბრალი ინგლისის მეფე ჯორჯ მესამეს მრავალ დანაშაულში და ის ტირანად მოიხსენიეს, რაც შესაძლოა მათთვის თავისუფლების აღკვეთის საფუძველი გამხდარიყო ინგლისური სამართლის მიხედვით.<sup>43</sup>

რამდენადაც, ინგლისურ საერთო სამართალში არ არსებობდა მოქალაქეების სიტყვისა და პრესის თავისუფლების სამართლებრივი გარანტიები, ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო პირველი შესწორების ინტერპრეტაციისას ძირითადად ამერიკის შეერთებული შტატების დამფუძნებელი მამების სულისკვეთებას და სიტყვის თავისუფლების ტელეოლოგიურ პერსპექტივას ეყრდნობა და არა, მაგალითად, ინგლისურ საერთო სამართალში ტრადიციულად დამკვიდრებულ პრეცედენტებს, სხვა უფლებებისგან განსხვავებით, როგორცაა ჰაბეას კორპუსით დაცული უფლებები თუ სხვა ინდივიდუალური ფუნდამენტური უფლებები.

ამასთან, პირველი შესწორების შემუშავებისა და განხილვის საკანონმდებლო ისტორია მწირია.

ამერიკის კონსტიტუციის პირველი ათი შესწორება ჯეიმს მედისონის ავტორობით შეიქმნა.<sup>44</sup> შესწორებების პროექტი 1789 წლის 8 ივნისს გადაეცა წარმომადგენელთა პალატას განსახილველად და 1791 წლის 9 სექტემბერს იქნა რატიფიცირებული შტატების მიერ. კონსტიტუციის ეს შესწორებები უფლებათა ბილის სახელითაა ცნობილი.

მედისონისეული უფლებათა ბილის თავდაპირველი რედაქციით, მესამე შესწორება შეეხებოდა რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას, ხოლო მეოთხე შესწორება სიტყვისა და პრესის თავისუფლებას, შეკრების თავისუფლებას და პეტიციის უფლებას.<sup>45</sup> მოგვიანებით, წარმომადგენელთა პალატასა და სენატში განხილვის შედეგად ეს დებულებები გაერთიანდა,

42 იქვე.

43 Douglas C. Dow. "Declaration of Independence". The First Amendment Encyclopedia. <https://www.mtsu.edu/first-amendment/article/863/declaration-of-independence#:~:text=The%20Declaration's%20indictments%20against%20King,of%20petition%2C%20which%20is%20contained>

44 "Amdt1.7.1. Historical Background on Free Speech Clause". Constitution Annotated. Analysis and Interpretation of the U.S. Constitution. Congress of the United States. [https://constitution.congress.gov/browse/essay/amdt1-7-1/ALDE\\_00013537/#ALDF\\_00025506](https://constitution.congress.gov/browse/essay/amdt1-7-1/ALDE_00013537/#ALDF_00025506)

45 *Amendments to the New Constitution proposed by the Hon. Mr. Maddison*. Gazette of the United-States. [volume] (New-York [N.Y.]), 13 June 1789. *Chronicling America: Historic American Newspapers*. Lib. of Congress, გვერდი 71, გამოსახულება 3. <https://chroniclingamerica.loc.gov/lccn/sn83030483/1789-06-13/ed-1/seq-3/>

შესწორებები გადაჯგუფდა და საბოლოოდ რატიფიცირებულ ტექსტში სიტყვის თავისუფლების თაობაზე ჩანაწერი კონსტიტუციის პირველი შესწორების ფორმით აისახა.<sup>46</sup>

არც წარმომადგენელთა პალატაში და არც სენატში გამართულა სიღრმისეული მსჯელობა იმაზე, თუ რა კონკრეტულ შინაარსს მოიცავდა „სიტყვისა და პრესის თავისუფლება“.<sup>47</sup> ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. განხილვების დროს ჯეიმს მედისონი თვლიდა, რომ მიზანშეწონილი არ იყო აბსტრაქტული დებულებების განერა და მათი შინაარსის განხილვა. მისი სიტყვებით, „თუკი დავკმაყოფილებით კონსტიტუციაში მხოლოდ მარტივი, აღიარებული პრინციპების ჩამოთვლით, რატიფიკაციის პროცესი ნაკლები სირთულეებით წარიმართება“.<sup>48</sup> სწორედ ასეთი აღიარებული პრინციპის სახით აისახა „რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება“, სახელმწიფო რელიგიის აკრძალვა, „სიტყვისა და პრესის თავისუფლება“, „შეკრების თავისუფლება“ და „მთავრობისადმი პეტიციით მიმართვის უფლება“ პირველი შესწორების ტექსტში.

აქედან გამომდინარე, კანონმდებელთა მიზნებისა და ამ შესწორების შინაარსის თაობაზე არსებული ინფორმაცია არასაკმარისია პირველი შესწორების სრულყოფილი ინტერპრეტაციისთვის.

შესაბამისად, პირველი შესწორებით დაცული გამოხატვის თავისუფლების შინაარსის და მისი მიზნების დასადგენად განმსაზღვრელია არა საკანონმდებლო ისტორია ან ინგლისური საერთო სამართლის პრეცედენტები, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა და მისი პრეცედენტული გადაწყვეტილებები. თავის მხრივ, უზენაესი სასამართლო ცალკეული საქმის განხილვისას პირველი შესწორების ინტერპრეტაციისას პირველ რიგში მის ტელეოლოგიურ დანიშნულებას იძიებს და გამოხატვის თავისუფლების შინაარსს მის მიზნებთან მიმართებაში განსაზღვრავს. გარდა სასამართლოს უმრავლესობის მიერ დადგენილი პრეცედენტებისა, ცალკეული მოსამართლეების მოსაზრებებიც მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს პირველი შესწორების შინაარსის სიღრმისეული გააზრებისთვის.

46 “Amdt1.7.1. Historical Background on Free Speech Clause”. Constitution Annotated. Analysis and Interpretation of the U.S. Constitution. Congress of the United States. [https://constitution.congress.gov/browse/essay/amdt1-7-1/ALDE\\_00013537/#ALDF\\_00025506](https://constitution.congress.gov/browse/essay/amdt1-7-1/ALDE_00013537/#ALDF_00025506)

47 იქვე, იხ. ასევე: 1 Annals of Cong. 731–49, 738 (Aug. 15, 1789).

48 1 Annals of Cong. 731–49, 738 (Aug. 15, 1789), ციტირებულია: Amdt1.7.1. Historical Background on Free Speech Clause”. Constitution Annotated. Analysis and Interpretation of the U.S. Constitution. Congress of the United States. [https://constitution.congress.gov/browse/essay/amdt1-7-1/ALDE\\_00013537/#ALDF\\_00025506](https://constitution.congress.gov/browse/essay/amdt1-7-1/ALDE_00013537/#ALDF_00025506)

პირველი შესწორების მთავარი დანიშნულება ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციით გამოცხადებული ქვეყნის დემოკრატიული მმართველობის ფორმის უზრუნველყოფაა. თუკი, დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიხედვით, მთავრობებმა თავიანთი ძალაუფლება ხალხის თანხმობით უნდა განახორციელონ, ამ თანხმობის მოსაპოვებლად აუცილებელია, საზოგადოება ინფორმირებული იყოს და თავისუფლად შეეძლოს საკუთარი აზრის გამოთქმა, სხვისი მოსაზრებების გაცნობა, რათა ქვეყნის მართვის საკითხებთან დაკავშირებით ინვიდუალური და საჯარო აზრის ფორმირება გახდეს შესაძლებელი.<sup>49</sup>

ამერიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, ლუის ბრანდაისის თანმხვედრი აზრი საქმეზე „უითნი კალიფორნიის წინააღმდეგ“ (1927)<sup>50</sup> ქრესტომათიულ შეჯამებად მიიჩნევა გამოხატვის თავისუფლების მიზნების აღსაწერად. უზენაესი სასამართლო პირველ შესწორებასთან დაკავშირებულ პრობლემურ სამართლებრივ საკითხებს სწორედ ამ ტელეოლოგიურ პრიზმაში განიხილავს. მოსამართლე ლუის ბრანდაისმა მოცემულ საქმეზე არ გაიზიარა სასამართლოს შემადგენლობის უმრავლესობის მსჯელობა, რომელთაც არ დაადგინეს პირველი შესწორების დარღვევა და კონსტიტუციის შესაბამისად მიიჩნიეს „დანაშაულებრივი სინდიკალიზმის აქტით“ (Syndicalism Act) გათვალისწინებული დანაშაულის გამო კალიფორნიის სოციალისტური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის წევრის, ჩარლოტ ანიტა უითნის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.

მოსამართლე ბრანდაისის სიტყვებით: „მათ, ვინც ჩვენი თავისუფლება მოიპოვა, სწამდათ, რომ სახელმწიფოს საბოლოო დანიშნულებაა, რომ ადამიანებმა თავიანთი შესაძლებლობების თავისუფალი განვითარება შეძლონ და ქვეყნის მართვის საქმეში, თვითნებობის ნაცვლად, მსჯელობაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილების მიღების პროცესს მიენიჭოს უპირატესობა. მათთვის თავისუფლება იყო როგორც მიზანი, ასევე საშუალება. მათ სჯეროდათ, რომ თავისუფლებაა ბედნიერების გასაღები, ისევე, როგორც გამბედაობაა თავისუფლების გასაღები. მათ მიაჩნდათ, რომ თავისუფლება, იფიქრო, როგორც გსურს და თქვა ის, რასაც ფიქრობ, აუცილებელი წინაპირობებია პოლიტიკური ჭეშმარიტების აღმოსაჩენად და გასაერცვლებლად. სიტყვისა და შეკრების თავისუფლების გარეშე მსჯელობა უსარგებლო იქნებოდა. მათი წყალობით კი, მსჯელობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესი საკმარისი გარანტიაა ბოროტმოქმედი რეჟიმის წინააღმდეგ; რომ

49 Thomas I. Emerson, *Toward a General Theory of the First Amendment*, 72 *Yale L.J.* 877, 883 (1963).

50 *Whitney v. California*, 274 U.S. 357 (1927).



უდიდესი საფრთხე თავისუფლებისთვის უმოქმედო ადამიანებია, რომ საჯარო დისკუსია პოლიტიკური მოვალეობაა და რომ ეს უნდა იყოს ამერიკული მმართველობის ფუნდამენტური პრინციპი. დამფუძნებელმა მამებმა გააცნობიერეს ადამიანური ინსტიტუციისთვის დამახასიათებელი რისკები, თუმცა ისიც გააზრებული ჰქონდათ, რომ ნესრიგის მიღწევა მხოლოდ სასჯელის შიშის მეშვეობით შეუძლებელია; რომ სახიფათოა აზრის, იმედისა და წარმოსახვისთვის შეზღუდვების დანესება; რომ შიში შობს რეპრესიებს; რეპრესიები კი საფრთხეს უქმნის სტაბილურ მმართველობას; რომ უსაფრთხოებისკენ გზა გადის თავისუფალი დისკუსიის შესაძლებლობაზე, სადაც პრობლემებსა და მათი გადაწყვეტის გზებზე მსჯელობა შესაძლებელია; რომ ბოროტი მმართველობის სანინალმდეგო ეფექტური წამალი კარგი მმართველობაა“.<sup>51</sup>

ამ მონაკვეთიდან ჩანს, რომ მოსამართლე ბრანდაისისთვის სიტყვის თავისუფლება ინსტრუმენტული უფლებაა, რომლის საბოლოო მიზანი, დესპოტური მმართველობისგან საზოგადოების დაცვა და საზოგადოების გრძელვადიანი უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. ბრანდაისის შეფასებით, დასჯის შიშის გარეშე მთავრობის კრიტიკის უფლების, მის აკვარგანობაზე მსჯელობის, ალტერნატიული მოსაზრებების გამოთქმისა და შინაარსიანი კამათის გარეშე საზოგადოება განწირული და უძლურია მმართველების მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინაშე, რისი რისკიც მუდმივად არსებობს, თუნდაც დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებულ საზოგადოებაში. შესაბამისად, მოსამართლე ბრანდაისმა არ გაიზიარა სასამართლოს უმრავლესობის მსჯელობა, რომელთაც უითნის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა არ მიიჩნიეს კონსტიტუციის პირველი შესწორების დარღვევად.

ამერიკის კონსტიტუციონალიზმის აღიარებული მკვლევარი, პროფესორი ირვინ ჩემერინსკი პირველი შესწორების ფუნქციის თაობაზე არსებული აკადემიური პერსპექტივებიდან ოთხ ძირითად თეორიულ მიდგომას გამოყოფს.<sup>52</sup> პირველ რიგში, გამოხატვის თავისუფლების უპირველესი დანიშნულება დემოკრატიული პროცესის ხელშეწყობაა. უზენაესი სასამართლო სიტყვის თავისუფლების ცენტრალურ ფუნქციად სწორედ პოლიტიკური სიტყვის თავისუფლების დაცვას აღიარებს – ადამიანის თავისუფლებას, გააკრიტიკოს მთავრობა და საჯარო თანამდებობის პირები. მეორე, გამოხატვის თავისუფლება დაცული უნდა იყოს, რადგან ეს აუცილებელია

51 Whitney v. California, 274 U.S. 357, 375 (1927) (მოსამართლე ბრანდაისის თანხმებული აზრი).

52 Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 1006-1008 (6th ed. 2019).

ჭეშმარიტების ძიებისა და სწორ გადაწყვეტილებამდე მისასვლელად, რაც მხოლოდ განსხვავებული იდეების ჭიდილის შედეგადაა შესაძლებელი და მხოლოდ იდეების თავისუფალი მიმოცვლის, „იდეათა თავისუფალი ბაზრის“ პირობებშია შესაძლებელი. მესამე, გამოხატვის თავისუფლება ადამიანის ბუნების განუყოფელი ნაწილია და დაცული უნდა იყოს, როგორც ადამიანის არსებობის აუცილებელი წინაპირობა. მოსამართლე თორგუდ მარშალის სიტყვებით, „პირველი შესწორება ემსახურება არა მხოლოდ საზოგადოების საჭიროებებს, არამედ ადამიანის სულიერ მოთხოვნილებებს, როგორცაა თვითგამოხატვის საჭიროება“.<sup>53</sup> სამართლის მკვლევრის, პროფესორ ედვინ ბეიკერის სიტყვებით, საკუთარი პოზიციის დაფიქსირებით ადამიანი არა მხოლოდ მოითხოვს ხელისუფლებისგან მისთვის საჭირო ქმედებას, არამედ ის საკუთარი საჯარო პროტესტით საკუთარ პიროვნებასაც აყალიბებს, ემიჯნება რა ხელისუფლების ქმედებას ან საზოგადოებაში გაბატონებულ აზრს, მაგალითად, როდესაც ის ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო მანიფესტაციაში იღებს მონაწილეობას.<sup>54</sup> მეოთხე, გამოხატვის თავისუფლება შემწყნარებლობის განუყოფელი ნაწილია, რაც თავისთავად უმთავრესი ადამიანური ღირებულებაა. საზოგადოება, რომელსაც შეუძლია მიიღოს არაპოპულარული ან, თუნდაც, უგემოვნოდ გამოთქმულ მოსაზრებები, ამით ქმნის უფრო მშვიდობიანი, ტოლერანტული საზოგადოების მოდელს.

ამდენად, პირველი შესწორებით დაცული გამოხატვის თავისუფლების შინაარსის და მისი მიზნების დასადგენად განმსაზღვრელია არა საკანონმდებლო ისტორია ან ინგლისური საერთო სამართალი, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, სადაც კონკრეტული საქმის გარემოებებისა და სიტყვისა და პრესის თავისუფლების დანიშნულების გათვალისწინებით, სასამართლომ განსაზღვრა პირველი შესწორების შინაარსი და ამ უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის შეფასების მეთოდოლოგია.

შემდეგ თავებში განხილული იქნება აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პირველი შესწორების მოქმედების ფარგლები და სიტყვისა და პრესის თავისუფლებაში ჩარევის შეფასების მეთოდოლოგია.

53 Procunier v. Martinez, 416 U.S. 396, 427 (1974), მოსამართლე მარშალის თანმხვედრი აზრი, ციტირებულია: Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 1009 (6th ed. 2019).

54 C. Edwin Baker, *Human Liberty and Freedom of Speech* (1989), ციტირებულია: Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 1009 (6th ed. 2019).



### 3. პირველი შესწორების მოქმედება სახელმწიფო ორგანოების მიმართ

პირველი შესწორების მოქმედების სფეროს საკითხი არაერთხელ გახდა განხილვის საგანი ამერიკის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში.

პირველი შესწორების ტექსტი შეეხება უშუალოდ კონგრესს (ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალურ საკანონმდებლო ორგანოს) და კრძალავს ისეთი ფედერალური კანონის მიღებას კონგრესის მიერ, რომელიც სიტყვისა და პრესის თავისუფლებას შეზღუდავს.

უზენაესი სასამართლო „კონგრესისა“ და „კანონის“ ცნებებს ფართო მნიშვნელობით განმარტავს და შესაბამისად, პირველი შესწორების მოქმედებას ავრცელებს ფედერალური, შტატის და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებზე.

საქმეზე, „ჰერბერტი ლანდოუს წინააღმდეგ“ (1979), უზენაესმა სასამართლომ დააზუსტა, რომ „პირველი შესწორება ვრცელდება როგორც ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებზე, ასევე ადგილობრივ, შტატის ან ფედერალურ დონეზე არსებულ სააგენტოებზეც“, და ფარავს როგორც მათ საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ საქმიანობას.<sup>55</sup>

კონსტიტუციით დაცული უფლებათა და თავისუფლებათა მოქმედების სფეროს განსაზღვისას, უზენაესი სასამართლო აღმასრულებელი შტოს ნაწილად მოისაზრებს სასამართლო ხელისუფლებასაც.<sup>56</sup> საქმეზე „ნიუ იორკ თაიმსი“ სალივანის წინააღმდეგ“ (1964), უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლოები სამოსამართლო ხელისუფლების განხორციელებისას, როდესაც ისინი მოქმედ ფედერალურ, შტატის კანონმდებლობას თუ საერთო სამართლის პრეცედენტებს გამოიყენებენ, პირველი შესწორებით არიან შეზღუდულნი.<sup>57</sup>

ისტორიულ კონტექსტში, სერიოზულ სამართლებრივ დილემას წარმოადგენდა საკითხი, ვრცელდებოდა თუ არა პირველი შესწორება შტატებზე, თუ ის მხოლოდ ფედერალურ ხელისუფლებას მიემართებოდა.

კონგრესის თავდაპირველი მკაფიო პოზიცია იყო, რომ უფლებათა ბილით პირველ რიგში ფედერალური ხელისუფლება უნდა შეზღუდულიყო და არა შტატები. შესაბამისად, კონგრესმა არ გაიზიარა ჯეიმს მედისონის

55 Herbert v. Lando, 441 U.S. 153, 168 n.16 (1979).

56 Shelley v. Kraemer, 334 U.S. 1 (1948). იხ. ასევე: Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 573-574 (6th ed. 2019).

57 New York Times Co. v. Sullivan, 376 U.S. 254, 265 (1964).

მიერ შეთავაზებული პირველი შესწორების ვერსია. მედისონის მიერ კონგრესისადმი წარდგენილი უფლებათა ბილის მეხუთე შესწორების მიხედვით [რომელიც შემდგომ პირველი შესწორების სახით მიიღო კონგრესმა], შტატებსაც თანაბრად უნდა დაეცვათ ადამიანის უფლება სინდისისა და პრესის თავისუფლებაზე.<sup>58</sup> მედისონის პროექტში მეხუთე შესწორების ტექსტი შემდეგი რედაქციით იყო ჩამოყალიბებული: „არცერთმა შტატმა არ უნდა დაარღვიოს სინდისის, პრესის თავისუფლების [...] უფლება“.<sup>59</sup> თუმცა, ეს მიდგომა წარმომადგენელთა პალატასა და სენატში განხილვებისას უარყვეს. შესაბამისად, პირველი შესწორების საბოლოო ტექსტი უშუალოდ მიუთითებს „ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესზე“, როგორც ამ შესწორებით დაცული სიტყვისა და პრესის თავისუფლებისა და შეკრების თავისუფლებით შეზღუდულ სუბიექტზე. შესაბამისად, პირველ ეტაპზე, გამოხატვის თავისუფლების კონკრეტული შინაარსი და მისი მოქმედების ფარგლების დადგენა მთლიანად შტატების კონსტიტუციებით ნუსრიგდებოდა და ნებისმიერი დავა ამ საკითხზე უნდა გადაწყვეტილიყო შტატის კონსტიტუციის, შტატის კანონებისა და საერთო სამართლის პრეცედენტების გამოყენებით.

1799 წელს კონსტიტუციის მე-14 შესწორების მიღებამ არსებითად შეცვალა ეს მიდგომა. კერძოდ მე-14 შესწორების ჯეროვანი პროცედურის დებულების (კლაუზულის) (due process clause) მეშვეობით, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ვალდებულება შტატებსაც დაეკისრათ: „[...] არცერთ შტატს აქვს უფლება წაართვას ვინმეს სიცოცხლე, თავისუფლება ან საკუთრება ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის გარეშე [...]“.<sup>60</sup>

ამდენად, ჯეროვანი პროცედურის დებულების არსებითი კომპონენტი (substantive due process clause) შტატებსაც უკრძალავს კონსტიტუციით დაცული თავისუფლებების თვითნებურ შეზღუდვას. თუმცა, კონკრეტულად რომელ თავისუფლებაზე მიუთითებს მე-14 შესწორება? კონსტიტუციის შესწორებებით დაცული ყველა უფლება და თავისუფლება მოიაზრება ამ სიტყვაში, თუ მათი გარკვეული ნაწილი? ეს ის საკითხებია, რაზეც კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე მოუწია მსჯელობა უზენაეს სასამართლოს. სასამართლომ აირჩია შერჩევითი მიდგომა, რაც

58 *Amendments to the New Constitution proposed by the Hon. Mr. Maddison*. Gazette of the United-States. [volume] (New-York [N.Y.]), 13 June 1789. *Chronicling America: Historic American Newspapers*. Lib. of Congress, გვერდი 71, გამოსახულება 3. <https://chroniclingamerica.loc.gov/lccn/sn83030483/1789-06-13/ed-1/seq-3/>

59 იქვე.

60 ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია. მთარგმნელები: არჩილ კობალაძე, სანდრო ბარამიძე, რედ.: მინდია უგრეხელიძე, თბილისი, 22 (1993).

იმას ნიშნავს, რომ სასამართლომ მე-14 შესწორებაში ავტომატურად კი არ მოაქცია კონსტიტუციით დაცული ყველა უფლება თუ თავისუფლება, არამედ, „ინკორპორაციის დოქტრინის“ გამოყენებით, შტატებთან მიმართებით თითოეულ კონსტიტუციურ უფლებასთან დაკავშირებული დავის ფარგლებში, შერჩევითად დაადგინა, თუ რომელი ცალკეული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას ავალდებულებდა შტატს კონსტიტუციის მე-14 მუხლის არსებითი ჯეროვანი პროცედურის დებულება.<sup>61</sup>

მე-14 შესწორებაში ინკორპორირებული უფლებების სტატუსი				
	სრულად ვრცელდება	ნაწილობრივ ვრცელდება	არ ვრცელდება	შენიშვნა
I	✓			
II	✓			
III			✓	
IV	✓			
V		✓		ინკორპორირებულია, გარდა უფლებისა, მხოლოდ დიდი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადანაცვლებით მოხდეს პირის მიმართ სისხლის-სამართლებრივი ბრალდების წარდგენა.
VI		✓		ინკორპორირებულია, გარდა უფლებისა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დაკომპლექტდეს დანაშაულის ადგილას მცხოვრები მოქალაქეებით.
VII			✓	
VIII	✓			
IX			✓	
X			✓	

61 Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 549 (6th ed. 2019).

დღეისათვის, უზენაესი სასამართლოს პრეცედენტებზე დაყრდნობით, შესწორებების დიდი ნაწილი სრულად ვრცელდება შტატებზე (პირველი, მეორე, მეოთხე, მერვე შესწორებები), ანუ ეს უფლებები „ინკორპორირებულია მე-14 შესწორებაში“, უფლებების მცირე ნაწილის მხოლოდ გარკვეული დებულებებია ინკორპორირებული მე-14 შესწორებაში და შტატებზეც ვრცელდება (მეხუთე და მეექვსე შესწორებები), ხოლო რამდენიმე შესწორება საერთოდ არ ვრცელდება შტატებზე (მესამე, მეშვიდე, მეცხრე და მეათე შესწორებები).<sup>62</sup>

საქმეზე „გიტლოუ ნიუ იორკის წინააღმდეგ“ (1925), უზენაესმა სასამართლომ პირველად გამოიყენა მე-14 შესწორება პირველი შესწორების დასაცავად შტატებთან მიმართებით და დაადგინა, რომ „სიტყვისა და პრესის თავისუფლება იმ ინდივიდუალურ უფლებებსა და თავისუფლებებს შორისაა, რომელიც მეთოთხმეტე შესწორების ჯეროვანი პროცესის დებულებით არის დაცული შტატების მიერ ხელყოფისაგან“,<sup>63</sup> თუმცა ამ საქმეში სასამართლომ ნიუ იორკის შტატის მიერ პირველი შესწორების დარღვევა არ დაადგინა.

„ფისკე კანზასის წინააღმდეგ“ (1927)<sup>64</sup> პირველი საქმე იყო, სადაც უზენაესმა სასამართლომ, ინკორპორაციის დოქტრინის გამოყენებით, კანზასის შტატის მიერ კონსტიტუციის მეთოთხმეტე შესწორების ჯეროვანი პროცესის დებულების დარღვევა დაადგინა პირველ შესწორებასთან კომბინაციაში. ამ საქმეში, კანზასის შტატის კანონმდებლობით, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრა ფისკეს, რომელიც „მსოფლიო ინდუსტრიულ ორგანიზაციაში“ ახალი წევრების მოსაზიდად, წიგნებსა და საინფორმაციო ბუკლეტებს ავრცელებდა. შტატის შეფასებით, „მსოფლიო ინდუსტრიული ორგანიზაცია“ დანაშაულებრივ გაერთიანებას წარმოადგენდა, კანზასის შტატის მიერ მიღებული „დანაშაულებრივი სინდიკალიზმის აქტის“ (Criminal Syndicalism Act) შესაბამისად. უზენაესის სასამართლოს შეფასებით, შტატმა მე-14 შესწორება დაარღვია პირველ შესწორებასთან კომბინაციაში, რადგან „მსოფლიო ინდუსტრიულ ორგანიზაციას“ სათანადო მტკიცებულების გამოკვლევის გარეშე მიანიჭა კრიმინალური ორგანიზაციის სტატუსი და ამით ფისკეს კონსტიტუციით დაცული სიტყვის თავისუფლების რეალიზაციის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დააკისრა.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ პირველი შესწორების ტექსტი უშუალოდ კონგრესს მოიხსენიებს და მხოლოდ ფედერალური კანონზე მიუთითებს,

62 იქვე, 549-550.

63 *Gitlow v. New York*, 268 U.S. 652, 666 (1925).

64 *Fiske v. Kansas*, 274 U.S. 380 (1927).

ამერიკის უზენაესი სასამართლოს ინტერპრეტაციით, პირველი შესწორება ვრცელდება როგორც ფედერალურ ისე შტატების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე. პირველი შესწორება ვრცელდება როგორც საკანონმდებლო ისე აღმასრულებელი და სასამართლო შტოების საქმიანობაზე, მათ შორის დამოუკიდებელ აღმასრულებელ სააგენტოებზეც, რომლებიც ფედერალური, შტატის თუ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ არის შექმნილი. ფედერალური, შტატის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები შეზღუდული არიან პირველი შესწორებით როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი უფლებამოსილებების გავრცელებისას.

#### 4. პირველი შესწორების მოქმედება კერძო პირების მიმართ

ვრცელდება თუ არა პირველი შესწორებით დაცული უფლებები კერძო პირებზე, ფრიად კომპლექსური საკითხია და ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციით დაცული სხვა უფლებებისა და თავისუფლებების მსგავსად, აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული „სახელმწიფო ქმედების“ (State Action) დოქტრინის კონტექსტში განიხილება.

ისტორიულად, კონსტიტუციის ავტორები კონსტიტუციით დაცული უფლებებითა და თავისუფლებებით, პირველ რიგში, ამერიკის ფედერალური ხელისუფლების ან/და შტატების შეზღუდვას ისახავდნენ მიზნად, რადგან მიჩნეული იყო, რომ ადამიანის უფლებები კერძო სამართლებრივ სფეროში საკმარისად იყო დაცული საერთო სამართლით, ხოლო კონსტიტუცია საჭირო იყო, რათა ფედერალური ხელისუფლების და, ცალკეულ შემთხვევებში, შტატების თვითნებობა აღეკვეთათ.<sup>65</sup> ეს შესწორებების ტექსტშიც ცხადად ჩანს. პირველი შესწორების ტექსტი ჩამოყალიბებულია, როგორც აკრძალვა კონგრესის მიმართ, რომ არ მიიღოს ისეთი კანონი, რომელიც შელახავს ადამიანის სიტყვისა და პრესის, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებებს, მთავრობისადმი პეტიციით მიმართვის უფლებას.

უზენაესმა სასამართლომ საქმეში „დენვერის ზონის საგანმანათლებლო ტელეკომუნიკაციების კონსორციუმი კომუნიკაციების ფედერალური კომისიის წინააღმდეგ“ (1996), განმარტა, რომ „პირველი შესწორების სიტყვის თავისუფლების დებულება სიტყვის თავისუფლებაში ჩარევას უკრძალავს

65 Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 558 (6th ed. 2019).

მთავრობას, და ის არ შეეხება კერძო ჩარევას“. <sup>66</sup> შესაბამისად, შემთხვევები, როდესაც პირველი შესწორებით დაცული უფლებაში ჩარევა კერძო-სამართლებრივ ურთიერთობების ფარგლებში ხდება ძირითადად გასულია კონსტიტუციურ-სამართლებრივი ჩარჩოდან, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.

უზენაესი სასამართლოს მდიდარი პრაქტიკა ცალკეულ შემთხვევაში, არათანმიმდევრულია, თუმცა მაინც იძლევა შესაძლებლობას გამოიკვეთოს გამონაკლისი შემთხვევები. ამ ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, ყურადღებას არ გავამახვილებთ ცალკეულ არათანმიმდევრულ გადაწყვეტილებებზე.

პირველ რიგში, კერძო პირის საქმიანობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება სახელმწიფო ქმედებად, თუ კერძო სამართლის სუბიექტი მთავრობის ნაწილია. ეს ის შემთხვევაა, როდესაც იურიდიული პირი დაფუძნებულია სახელმწიფოს მიერ, მისი საქმიანობის წესი კანონით რეგულირდება და მისი მართვა ხდება სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დაკომპლექტებული მართვის ორგანოების მეშვეობით. ამ შემთხვევაში კერძო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფოს/მთავრობის ნაწილად განიხილება, მიუხედავად იმისა, რომ ის კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით არსებობს.

საქმეზე „ლებრონი სამგზავრო რკინიგზის ეროვნული კორპორაციის წინააღმდეგ“ (1995), სასამართლომ მიიჩნია, რომ კერძო სამართლის სუბიექტი, სამგზავრო რკინიგზის ეროვნული კორპორაცია (National Railroad Passenger Corporation) მოქმედებდა, როგორც სახელმწიფო და არა კერძო სამართლის სუბიექტი. <sup>67</sup> სასამართლომ შემდეგი გარემოებები მიიღო მხედველობაში: სამგზავრო რკინიგზის ეროვნული კორპორაცია ფედერალური კანონის შესაბამისად იყო დაფუძნებული, კორპორაციის მმართველი ორგანოს, სამეთვალყურეო საბჭოს ცხრა წევრიდან რვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიერ იყო დანიშნული, ამასთან, ეროვნული რკინიგზის კორპორაციის საქმიანობის დიდი ნაწილი ფედერალური ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა. შესაბამისად, მისი ქმედებები განხილული უნდა ყოფილიყო, როგორც სახელმწიფოს და არა, როგორც კერძო პირის ქმედება. აქედან გამომდინარე, მას არ ჰქონდა უფლება, რომ ლებრონისთვის პოლიტიკური შინაარსის ბანერის განთავსება აეკრძალა, რომელიც ლუდის მწარმოებელ ერთ-ერთ სანარმოს – Coors Brewing Company-ს – აკრიტიკებდა ულტრა-მემარჯვენე ჯგუფების პოლიტიკური საქმიანობის მხარდაჭერის გამო.

„ლებრონის“ საქმისგან განსხვავებით, სასამართლომ სახელმწიფო ქმედებად არ შეაფასა „ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიური კომიტეტის“

66 Denver Area Ed. Telecommunications Consortium, Inc. v. FCC, 518 U.S. 727, 737 (1996).

67 Lebron v. National Railroad Passenger Corporation, 513 U.S. 374 (1995).

საქმიანობა, მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტი კონგრესის აქტივით იყო დაფუძნებული, ორგანიზაციის საქმიანობა ფედერალური კანონით იყო დარეგულირებული და ნაწილობრივ დაფინანსებასაც ფედერალური ბიუჯეტიდან იღებდა.<sup>68</sup> სასამართლომ გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ კომიტეტი სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად იმართებოდა და მას არ მართავდა ფედერალური ხელისუფლების მიერ დანიშნული პირებისგან დაკომპლექტებული ორგანო. შესაბამისად, სასამართლომ არ დაადგინა გამოხატვის თავისუფლების დარღვევა, როდესაც ფედერალურმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ერთ-ერთ ჯგუფს აუკრძალა საკუთარი სპორტული შეჯიბრებისთვის „გეი ოლიმპიადა“ გამოეყენებინა ოფიციალურ სახელწოდებად.

ამდენად, იმისთვის, რომ კერძო იურიდიული პირის საქმიანობა სახელმწიფო ქმედებად იქნეს განხილული და, შესაბამისად, მასზე გავრცელდეს კონსტიტუციის პირველი შესწორების მოქმედება, გადამწყვეტია, თუ რა დოზით ერევა სახელმწიფო კერძო სუბიექტის მართვაში და საკმარისი არ არის მხოლოდ ის ფაქტი, რომ კერძო იურიდიული პირი საკანონმდებლო აქტივითაა დაფუძნებული და შესაბამისი კანონით დადგენილი რეგულაციის ფარგლებში მოქმედებს.

რაც შეეხება ფიზიკური პირების საქმიანობას, გამონაკლის შემთხვევაში მათი საქმიანობაც შეიძლება იქნეს მიჩნეული „სახელმწიფო ქმედებად“. კერძოდ, მაშინ, როდესაც ფიზიკური პირი მოქმედებს არა, როგორც კერძო პირი, არამედ როდესაც ის აღჭურვილია საჯარო უფლებამოსილებებით და მოქმედებს ამ უფლებამოსილების ფარგლებში, მაგალითად, სასჯელალსრულებითი დაწესებულების ექიმი, პროკურორი.

უზენაესი სასამართლოს მიდგომით, კერძო იურიდიული პირის ქმედება, რომელიც არ არის მთავრობის ნაწილი, ორ გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო ქმედებად: პირველი, როდესაც „კერძო სუბიექტი შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც სახელმწიფო აქტორი, როდესაც სუბიექტი „ტრადიციულად ექსკლუზიურად სახელმწიფოსთვის განკუთვნილ უფლებამოსილებებს“ განახორციელებს;<sup>69</sup> და მეორე, როდესაც კერძო პირის ქმედება „გადაჯაჭვულია“ სახელმწიფოს საქმიანობასთან, ანუ იმ შემთხვევაში, თუ კერძო პირის არაკონსტიტუციური ქმედება „ნებადართულია, წახალისებულია სახელმწიფოს მიერ ან მისი ხელშეწყობით ხორციელდება“.<sup>70</sup>

68 San Francisco Arts & Athletics, Inc, 539, 550 (1987).

69 Jackson v. Metropolitan Edison Co., 419 U.S. 345, 352 (1974).

70 Erwin Chemerinsky, Constitutional Law: Principles and Policies, 563 (6th ed. 2019).



უზენაესი სასამართლოს ინტერპრეტაციით, ამერიკის უზენაესი სასამართლო მიუთითებს, რომ „იშვიათია“ საქმიანობა, რომელიც ექსკლუზიურად სახელმწიფოსთვის არის განკუთვნილი<sup>71</sup> და მხოლოდ ამ იშვიათ შემთხვევებში შეიძლება კერძო სუბიექტების საქმიანობა სახელმწიფოს ქმედებად იქნეს განხილული.

ამ კუთხით ყველაზე თვალსაჩინო, თუმცა განსაკუთრებული საგამონაკლისო მაგალითია, ქალაქის მართვის ფუნქცია. საქმეში „მარში ალაბამას წინააღმდეგ“ (1946), უზენაესმა სასამართლომ კერძო კომპანიის მართვაში არსებული ქალაქის საქმიანობა სახელმწიფო ქმედებად განიხილა. ამ საქმეში, კერძო კომპანიამ მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე გაშენებული ქალაქის ქუჩების სავალ ნაწილზე საინფორმაციო ფლაერების დარიგება აუკრძალა იეპოვას მოწმეების წარმომადგენლებს, წინასწარი ნებართვის გარეშე,<sup>72</sup> ალაბამის კანონმდებლობით, სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენდა სხვის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ყოფნა მას შემდეგ, რაც მესაკუთრე უცხო პირს ტერიტორიის დატოვებას მოსთხოვდა.

ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ქალაქის მართვა ტრადიციულად საჯარო საქმიანობაა და კერძო კომპანიის მართვაში არსებულ ტერიტორიაზე გაშენებული ქალაქში ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების თავისუფლება ისევე უნდა იყოს დაცული, როგორც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საჯარო სივრცეებში.

სასამართლოს სიტყვებით: „კერძო საკუთრებაში არსებული ხიდების, რგინიგზის, საავტომობილო გზების, გამშვები პუნქტების მესაკუთრეებს არ შეუძლიათ ეს საკუთრება ისე თავისუფლად განკარგონ, როგორც ფერმერი საკუთარ ფერმას განკარგავდა. რამდენადაც ეს ინფრასტრუქტურა აშენებულია და, ძირითადად, გამოიყენება საზოგადოების სასარგებლოდ, და რამდენადაც, მათი მართვა არსებითად საჯარო ფუნქციაა, ის შტატის მიერ დადგენილ წესებს უნდა დაემორჩილოს“.<sup>73</sup> სასამართლომ ეს მიდგომა იმით დაასაბუთა, რომ მოქალაქეებს გამოხატვის თავისუფლება თანაბრად სჭირდებათ საჯარო სივრცეში, მიუხედავად იმისა, ეს სივრცე მუნიციპალური საკუთრებაა, თუ კერძო. სასამართლოს განმარტებით, „მიუხედავად იმისა, კერძო კორპორაციის საკუთრებაშია ქალაქი, თუ მუნიციპალიტეტის, საზოგადოებას, ორივე შემთხვევაში, აქვს იდენტური ინტერესი, რომ მათი თემი იმდაგვარად ფუნქციონირებდეს, რომ თავისუფალი კომუნიკაციის

71 Flagg Bros., Inc. v. Brooks, 436 U.S. 149, 158 (1978).

72 Marsh v. Alabama, 326 U.S. 501, (1946).

73 Marsh v. Alabama, 326 U.S. 501, n. 3 (1946).



არსები არსებობდეს“.74 სასამართლოს შეფასებით, „კომპანიის საკუთრებაში არსებულ ქალაქებში მცხოვრები ადამიანები თავიანთი სახელმწიფოსა და ქვეყნის თავისუფალი მოქალაქეები ზუსტად ისევე არიან, როგორც მუნიციპალიტეტების მცხოვრებლები, და არ არსებობს რამე დამატებითი არგუმენტი, რის გამოც მათ იმაზე უფრო მეტად უნდა შეეზღუდოთ პირველი და მეთოთხმეტე შესწორებებით გარანტირებული თავისუფლებები, ვიდრე ნებისმიერი სხვა ქალაქის მცხოვრებლებს“.75

შესაბამისად, ამ საქმეში კერძო კომპანიის უფლება არ ჰქონდა იეჰოვას მონმეებისთვის მის საკუთრებაში არსებულ ქალაქის ტროტუარებზე ფლაერების დარიგება აეკრძალა შტატის იმ კანონმდებლობაზე მითითებით, რომელიც კერძო მესაკუთრის უფლებას იცავდა არასასურველი სტუმრებისგან. ასევე, შტატს უფლება არ ჰქონდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრებინა მოქალაქეებისთვის თავიანთი პირველი შესწორებით დაცული სიტყვის თავისუფლებისა და რელიგიის თავისუფლების განხორციელების გამო მხოლოდ იმიტომ, რომ გზის სავალი ნაწილი კონკრეტულ ქალაქში კერძო კომპანიის საკუთრება იყო. კერძო კომპანიას ამ შემთხვევაში ისევე ევალეობდა პირველი და მეთოთხმეტე შესწორების დაცვა, როგორც შტატს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს.

საინტერესოა, უზენაესი სასამართლოს დამოკიდებულება კერძო სავაჭრო ცენტრებთან მიმართებით. კერძოდ, რა ხდება მაშინ, როდესაც მოქალაქეებს საკუთარი პროტესტის გამოხატვა სურთ კერძო სავაჭრო ცენტრის ტერიტორიაზე?

1968-დან 1976 წლამდე პერიოდში უზენაესი სასამართლოს სხვადასხვა შემადგენლობებმა წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილებები მიიღეს ამ საკითხზე. მოქმედი პრეცედენტის თანახმად, კერძო სავაჭრო ცენტრები გასულია პირველი შესწორების მოქმედების სფეროდან. შესაბამისად, კერძო სავაჭრო ცენტრები არ არიან ვალდებული მოქალაქეებს პირველი შესწორებით დაცული გამოხატვის თავისუფლება უზრუნველყონ, ანუ საპროტესტო გამოსვლების ან საინფორმაციო კამპანიის წარმოების უფლება დართონ სავაჭრო ცენტრის ტერიტორიაზე, მესაკუთრის თანხმობის გარეშე.

საქმეზე „კვების სექტორში დასაქმებულები „ლოგან ველი პლაზას წინააღმდეგ“ (1968),76 სასამართლომ მიიჩნია, რომ კერძო სავაჭრო ობიექტის ტერიტორია „მარშალის“ საქმეში არსებული კერძო ქალაქის ანალოგიური

74 იქვე, 507.

75 იქვე 508.

76 Food Employees v. Logan Valley Plaza, Inc., 391 U.S. 308 (1968).

იყო და ამიტომ, სავაჭრო ცენტრები ვალდებული იყვნენ მოქალაქეთა პირველი შესწორებით დაცული გამოხატვის თავისუფლება დაეცვათ. სავაჭრო ცენტრ „ლოგან ველი პლაზა“ (Logan Valley Plaza) ტერიტორიაზე არაერთი სავაჭრო ობიექტი იყო განთავსებული. ერთ-ერთი იყო მალაზია „ვეისი“ (Weis), რომლის საქმიანობის გასაპროტესტებლად მოქალაქეებმა აქცია და პიკეტირება მოაწყვეს სავაჭრო ცენტრის ტერიტორიაზე, ამ მალაზიის მიმდებარედ. საპროტესტო აქციის მონაწილეები „ვეისის“ ქსელში დასაქმებულების შრომითი უფლებების დარღვევას აპროტესტებდნენ. პიკეტის მონაწილეებს ხელში ეჭირათ ბანერები წარწერით: „ვეისში არ არსებობს პროფკავშირული ორგანიზაცია, ვეისის თანამშრომლები ვერ იღებენ პროფკავშირული შეთანხმებით განსაზღვრული ოდენობის ხელფასს და ვერ სარგებლობენ სხვა შრომითი უფლებებით“. აქცია, ძირითადად, მშვიდობიანად მიმდინარეობდა, მხოლოდ რამდენიმე იზოლირებულ შემთხვევაში შეფერხდა მალაზიის ფუნქციონირება მცირე ხნით.

„ვეისმა“ და „ლოგან ველი პლაზამ“, როგორც კერძო ტერიტორიის მესაკუთრეებმა, შტატის კანონმდებლობის საფუძველზე, სასამართლოს განჩინებით საპროტესტო აქციის აღკვეთა მოითხოვეს კერძო საკუთრების დაცვის მოტივით. სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებით პროტესტის მონაწილეებს აუკრძალათ პიკეტირების გაგრძელება ამ მალაზიის შესასვლელებთან, სავაჭრო ცენტრის ავტოსადგომზე და სავაჭრო ცენტრის ტერიტორიის შიგნით ავტოსადგომამდე მისასვლელ გზებზე, თუმცა შესაძლებლობა მიეცათ პროტესტი განეგრძოთ სავაჭრო ცენტრის ტერიტორიის მიღმა, სავაჭრო ცენტრამდე მისასვლელ საჯარო საკუთრებაში არსებულ სამანქანო გზებზე და მათ მიმდებარე სავალ ნაწილზე.

უზენაესმა სასამართლომ მეთოთხმეტე შესწორების დარღვევა დაადგინა პირველ შესწორებასთან ერთად, იმ მოტივით, რომ სავაჭრო ცენტრი, მიუხედავად იმისა, რომ კერძო საკუთრებაზე იყო გაშენებული, ამ ქალაქისთვის კომერციული უბნის ფუნქციას ასრულებდა, სავაჭრო ცენტრისთვის გამოყოფილი ტერიტორია დაკავშირებული იყო ქალაქის ინფრასტრუქტურასთან და ის ქალაქის განუყოფელი ნაწილი იყო. ამასთან, სავაჭრო ცენტრის ტერიტორია არ იყო ექსკლუზიურად მომხმარებლებისთვის განკუთვნილი, იქ შესვლა და თავისუფალი გადაადგილება ნებისმიერ მსურველს შეეძლო. შესაბამისად, სავაჭრო ცენტრის მესაკუთრე ისევე იყო ვალდებული მოქალაქეების სიტყვისა და შეკრების თავისუფლება დაეცვა, როგორც შტატი, რადგან შტატს არ ჰქონდა უფლება ტრადიციული გაგებით საჯარო ფუნქციის მქონე სივრცის მართვის უფლება კერძო კომპანიისთვის დაეთმო პირველი და მეოთხე შესწორებით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების დაცვის

ვალდებულების გარეშე. შესაბამისად, კერძო კომპანიას უფლება არ ჰქონდა პიკეტის მონაწილეების პირველი შესწორებით დაცული გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებები შეეზღუდა კერძო საკუთრების დაცვის მოტივით, თუნდაც ეს დასაშვები ყოფილიყო ადგილობრივი კანონმდებლობით.

უზენაესმა სასამართლომ მოგვიანებით განხილულ საქმეებში ეს მიდგომა უარყო და მოქმედი პრეცედენტის თანახმად, კერძო სავაჭრო ცენტრების მიერ დაწესებული რეგულაციები ან აკრძალვები, რომლებიც ცენტრის ტერიტორიაზე გამოხატვის თავისუფლებას ზღუდავს, არცერთ შემთხვევაში არ ითვლება სახელმწიფო ქმედებად, რადგან ამ სავაჭრო ობიექტების ოპერირება ტრადიციულად სახელმწიფოს ექსკლუზიური პრეროგატივა არაა და, შესაბამისად, კერძო სუბიექტის გადანყვეტილებები კონსტიტუციური კონტროლის სფეროდან გასულია.

საქმეზე „ლოიდი ტანერის წინააღმდეგ“ (1974) სასამართლომ დაადგინა, რომ სავაჭრო ცენტრი არ არღვევს კონსტიტუციას, როდესაც ის მოქალაქეებს მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ფლაერების დარიგებას ან შეკრება-მანიფესტაციის მოწყობას უკრძალავს, თუკი გამოხატვის შინაარსი არ უკავშირდება უშუალოდ სავაჭრო ცენტრის ფუნქციონირებას.<sup>77</sup> მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხებოდა ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო ფლაერების დარიგებას კერძო სავაჭრო ცენტრის ტერიტორიაზე. სასამართლომ მხოლოდ ისეთი შინაარსის გამოხატვის თავისუფლების დაცვის ვალდებულება გაავრცელა სავაჭრო ცენტრებზე, რომელიც სავაჭრო ცენტრის საქმიანობას შეეხებოდა, მაგრამ არ მიიჩნია, რომ სავაჭრო ცენტრი ვალდებულია სხვა შინაარსის პოლიტიკური გამოხატვის თავისუფლება უზრუნველყოს საკუთარ ტერიტორიაზე.

მოგვიანებით, საქმეზე „ჰაჯენსი შრომითი ურთიერთობების ეროვნული საბჭოს წინააღმდეგ“ (1976), სასამართლომ უარყო „ლოგან ველი პლახასა“ და „ლოიდში“ გამოყენებული ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც კერძო სავაჭრო ცენტრის ტერიტორია, „მარშალის“ საქმის მსგავსად, კერძო ქალაქის ანალოგიად იყო მიჩნეული. უზენაესი სასამართლოს შეფასებით, „ლოიდის“ საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობა შეცდა, როდესაც კერძო სავაჭრო ცენტრის ფუნქციონირება სახელმწიფო ქმედებად მიიჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის მოსახლეობის ნაწილისთვის, მაგალითად, იქ განთავსებული მაღაზიების მომხმარებლებისთვის სავაჭრო ცენტრი შეკრების ადგილს წარმოადგენდა. უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ სავაჭრო ცენტრი არ იყო ალჭურვილი ქალაქის მახასიათებელი

77 Lloyd Corp v. Tanner, 407 U.S. 551 (1974).

სხვა ნიშნებით, რაც სახეზე იყო „მარშალის“ საქმეში და გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ, ისტორიულად, ასეთი სავაჭრო ობიექტების ოპერირება, ქალაქებისგან განსხვავებით, ექსკლუზიურად სახელმწიფოს პრეროგატივა არ ყოფილა. სასამართლომ დაადგინა, რომ მცდარია მიდგომა, თითქოს დაცული და დაუცველი გამოხატვის ერთმანეთისგან გამიჯვნა გამოხატვის შინაარსის მიხედვით უნდა მოხდეს, რაც სასამართლომ „ლოიდის“ საქმეში გააკეთა, როდესაც მხოლოდ ისეთი შინაარსის გამოხატვა მიიჩნია დაცულად, რომელიც სავაჭრო ცენტრის საქმიანობის მიმართ პროტესტს გამოხატავს,<sup>78</sup> რადგან, პირველი შესწორების მთავარი არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ გამოხატვა, გარდა განსაკუთრებული გამონაკლისებისა, არ უნდა შეიზღუდოს მისი შინაარსის მიხედვით.

რაც შეეხება პირველი შესწორების მოქმედებას კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე მაშინ, როდესაც მათი ქმედება „გადაჯაჭვულია“ სახელმწიფო ქმედებასთან, სასამართლოსთვის გადამწყვეტია, კერძო სუბიექტის კონკრეტული სადავო ქმედება არის თუ არა გამონეველი სახელმწიფოს მიერ დაკისრებული ვალდებულებით, ინსტრუქციით ან საკანონმდებლო მოთხოვნით.

საქმეში „რენდელი-ბეიკერი კონის წინააღმდეგ“ (1982),<sup>79</sup> კრიტიკული წერილის გამოქვეყნების გამო მასწავლებლის დათხოვნა კერძო სკოლის მიერ, რომელიც დაფინანსების 90% პროცენტს შტატის ბიუჯეტიდან იღებდა, სასამართლომ არ ჩათვალა სახელმწიფო ქმედებად. სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფო დაფინანსების მიღება თავისთავად არ გადააქცევს კერძო სუბიექტს მთავრობის ნაწილად. იმის დასადგენად, ვრცელდება თუ არა პირველი შესწორება კერძო სკოლის მასწავლებლებზე, უნდა გაირკვეს, სკოლის საქმიანობა ტრადიციულად ექსკლუზიური სახელმწიფო საქმიანობა არის თუ არა, ან სკოლის მიერ მასწავლებლის დასჯა საჯაროდ გამოთქმული მოსაზრების გამო გადაჯაჭვული იყო თუ არა შტატთან. ტრადიციულად, საგანმანათლებლო საქმიანობა არ იყო ექსკლუზიურად სახელმწიფოს პრეროგატივა, რადგან კერძო სკოლები ისტორიულად თანაარსებობდნენ საჯარო სკოლებთან ერთად, ამასთან, კერძო სკოლები, საჯარო სკოლებისგან განსხვავებით, შტატისგან დამოუკიდებლად იმართებოდა. რაც შეეხება „გადაჯაჭვულობის“ საკითხს, მართალია, კერძო სკოლაზე ვრცელდებოდა შტატის მიერ დადგენილი კანონმდებლობა, თუმცა ეს რეგულაციები არ შეეხებოდა პერსონალის მართვას და საკადრო საკითხების გადწვევას.

78 *Hudgens v. National Labor Relations Board*, 424 U.S. 507, 520 (1976).

79 *Rendell-Baker v. Kohn*, 457 U.S. 830 (1982).

შესაბამისად, სკოლა მოქმედებდა, როგორც კერძო სუბიექტი, მიუხედავად იმისა, რომ მისი დაფინანსება ძირითადად შტატის ბიუჯეტიდან ხდებოდა. სასამართლომ აღნიშნა: „მოსარჩელების სამსახურიდან გათავისუფლების გადაწყვეტილების მიღებას არ ავალდებულებდა სკოლას შტატის რეგულაცია, ისევე როგორც ამ გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენა არ მოუხდენია შტატის კანონმდებლობას“ და, მოცემულ შემთხვევაში, სახეზე არ იყო „სახელმწიფოსა და სკოლას შორის „სიმბიოზური დამოკიდებულება“.<sup>80</sup> ამდენად, ის, რომ ფედერალურ ან შტატის დაფინანსებას იღებს კერძო სუბიექტი, თავისთავად არ ნიშნავს, რომ ეს სუბიექტი მთავრობის ნაწილია. ამ დროს უნდა გაირკვეს, ორგანიზაცია ექსკლუზიურად სახელმწიფოსთვის მიკუთვნებულ უფლებამოსილებას ახორციელებს თუ არა, ან მისი ქმედება გადაჯაჭვული არის თუ არა სახელმწიფოს ქმედებასთან.

ანალოგიურად, კერძო სამაუნწყებლო კომპანიების საქმიანობა, მათ შორის საზოგადოებრივი/არაკომერციული მაუნწყებლების საქმიანობა, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ სახელმწიფო რეგულაციების მოთხოვნებს ექვემდებარება, უზენაესი სასამართლოს მიერ არ განიხილება სახელმწიფო ქმედებად და მათი მხრიდან სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაზე არ ვრცელდება პირველი შესწორების მოქმედება. საქმეში „კოლუმბიის სამაუნწყებლო სისტემა დემოკრატიების ეროვნული კომიტეტის წინააღმდეგ“ (1973), კერძო მაუნწყებელმა უარი უთხრა ერთ-ერთ ჯგუფს პოლიტიკური შინაარსის სარეკლამო კლიპების განთავსებაზე, რომელიც ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო კამპანიის ნაწილი იყო იმ მოტივით, რომ რეკლამის შინაარსი მაუნწყებლის სარედაქციო პოლიტიკასთან წინააღმდეგობაში მოდიოდა.<sup>81</sup> უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ კერძო მაუნწყებლების საქმიანობა, მიუხედავად იმისა, რომ ის კანონით არის რეგულირებული, არ შეიძლება განხილული იქნეს, როგორც „სახელმწიფო ქმედება“, რადგან სატელევიზიო მაუნწყებლობა ექსკლუზიურად სახელმწიფო ფუნქცია არასოდეს ყოფილა, ხოლო სახელმწიფო რეგულირების შინაარსიდან არ იკვეთება, რომ ტელემაუნწყებლის სარედაქციო საქმიანობა „გადაჯაჭვულია“ სახელმწიფოსთან. მიუხედავად იმისა, რომ კერძო მაუნწყებლობა ვალდებულია საქმიანობა სახელმწიფოს მიერ დარეგულირებული კანონმდებლობის ფარგლებში წარმართოს და „ფედერალური სავაჭრო კომისიის აქტი“ კერძო მაუნწყებლებს ავალდებულებთ, რომ საკუთარ ეთერში პოლიტიკური საკითხების გაშუქებისას სამართლიანად წარმოაჩინონ განსხვავებული თვალსაზრისები, რეგულირების ეს ფორმა

80 იქვე, 831.

81 Columbia Broadcasting System v. Democratic Nat.al Committee, 412 U.S. 94 (1973).

კერძო მაუნეებლებს არ აქცევთ მთავრობად, ისინი თავისუფლები არიან, თავად განსაზღვრულ საკუთარი სარედაქციო პოლიტიკა და შესაბამისად, ტელემაუნეებლების სარედაქციო გადანყვეტილებები, მათ შორის, რა შინაარსის რეკლამა განათავსონ ეთერში, არ წარმოადგენს „სახელმწიფო ქმედებას“. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ პირველი შესწორების მოქმედება არ ვრცელდება კერძო მაუნეებლების სარედაქციო გადანყვეტილებებზე.

„სახელმწიფო ქმედების დოქტრინის“ გამოყენებას შეეხო უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ უახლეს საქმეში – „მანჰეტენის სათემო ხელმისაწვდომობის კორპორაცია ჰალექის წინააღმდეგ“ (2019), რომელიც საკაბელო სამაუნეებლო კომპანიებს შეეხებოდა.<sup>82</sup> აქაც, სასამართლომ აღნიშნა, კერძო საკაბელო სამაუნეებლო კომპანიის საქმიანობა არ წარმოადგენს „სახელმწიფო ქმედებას“, მიუხედავად იმისა, რომ საკაბელო ტელევიზია საკაბელო მომსახურების პაკეტში განთავსებულია სახელმწიფოს მიერ დაკისრებული ვალდებულების ფარგლებში.

მოცემულ საქმეში, ნიუ იორკის ქალაქის თვითმმართველობის მიერ მიღებული დადგენილების შესაბამისად, „მანჰეტენის სათემო ხელმისაწვდომობის კორპორაცია“ (Manhattan Community Access Corp), როგორც საკაბელო ტელევიზიის სერვისის მიმწოდებელი ერთ-ერთი კერძო კომპანია, სალიცენზიო პირობების ფარგლებში, ვალდებული იყო ერთი საზოგადოებრივი (არაკომერციული) სამაუნეებლო არხი მაინც შეეთავაზებინა მანჰეტენის მცხოვრებლებისთვის თავისი საკაბელო ტელევიზიის პაკეტში. შესაბამისად, მისი პაკეტით გათვალისწინებულ არაკომერციულ ტელემაუნეებლობას მართავდა – „მანჰეტენის უბნის ქსელი“ (Manhattan Neighbourhood Network – MNN), შემდგომში MNN. ჰალექი და სხვები არაკომერციული ტელეპროგრამების პროდიუსერები იყვნენ, რომელთა პროგრამებსაც MNN ათავსებდა „მანჰეტენის სათემო ხელმისაწვდომობის კორპორაციის“ (Manhattan Community Access Corp) კუთვნილ საკაბელო ტელევიზიის ქსელში. ჰალექმა და სხვებმა მოამზადეს და ეთერში გაუშვეს გადაცემა, სადაც MNN-ის მართვის სტილი იყო გაკრიტიკებული, კონკრეტულად ის, თუ როგორ ხდებოდა MNN-ის სარედაქციო გადანყვეტილებებით აღმოსავლეთ ჰარლემის მოსახლეობის ინტერესების იგნორირება. MNN-მა მეორედ აღარ მისცა ჰალექს იგივე გადაცემის ეთერში გაშვების უფლება და, საბოლოოდ, საერთოდ განწყვიტა მის მიერ შექმნილი ტელეპროდუქციის ეთერში გაშვება. ჰალექი დავობდა, რომ MNN-მა მისი გამოხატვის თავისუფლება შეზღუდა, რადგან ის გადაცემის კრიტიკული შინაარსის გამო გაათავისუფლა სამსახურიდან. შესაბამისად,

82 Manhattan Community Access Corp. v. Halleck, 139 U.S. 1921 (2019).



სასამართლოს უნდა ემსჯელა, რამდენად წარმოადგენდა საზოგადოებრივი (არაკომერციული) არხის ოპერირება და მართვა სახელმწიფო ქმედებას იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქის თვითმმართველობის დადგენილება პირდაპირ ავალდებულებდა საკაბელო ტელევიზიის ქსელის ოპერატორს – „მანჰეტენის სათემო ხელმისაწვდომობის კორპორაციას“ (Manhattan Community Access Corp.), მინიმუმ ერთი საზოგადოებრივი (არაკომერციული) ტელეარხი მაინც გაეთვალისწინებინა თავის საკაბელო პაკეტში.

უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ არაკომერციული ტელემაუწყებლის საქმიანობა არ წარმოადგენს სახელმწიფოს ექსკლუზიურ პრეროგატივას და, ტრადიციულად, ტელესამაუწყებლო საქმიანობა კერძო საქმიანობაა. ის ფაქტი, რომ საკაბელო ტელე-სამაუწყებლო სერვისის მიმწოდებელი კომპანია ქალაქის დადგენილების თანახმად, ვალდებული იყო, საკუთარ საკაბელო პაკეტში მინიმუმ ერთი არაკომერციული, საზოგადოებრივი მნიშვნელობის არხი მაინც გაეთვალისწინებინა, არ იყო საკმარისი, რათა MNN-ის საქმიანობა სახელმწიფოსთან „გადაჯაჭვულად“ მიჩნეულიყო, რადგან ქალაქის დადგენილების ეს მოთხოვნა არ შეეხებოდა ტელე-სამაუწყებლო კომპანიისა და მისი თანამშრომლების ურთიერთობების რეგულირებას, ან ტელეარხის სარედაქციო პოლიტიკას. შესაბამისად, არ იკვეთებოდა ქალაქის დადგენილების მიზეზ-შედეგობრივი კავშირი MNN-ის მიერ მიღებულ თანამშრომელთა გათავისუფლების გადაწყვეტილებასთან. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ჰალეკის გამოხატვის თავისუფლება კერძო საზოგადოებრივი სამაუწყებლო არხის ეთერში არ იყო დაცული პირველი შესწორებით. სასამართლოს ეს მსჯელობა თანხვედრაშია მის ადრე მიღებულ გადაწყვეტილებასთან „კოლუმბიის სამაუწყებლო სისტემა დემოკრატიის ეროვნული კომიტეტის წინააღმდეგ“ (1973).

შეჯამების სახით, მხოლოდ იმ იშვიათ გამონაკლის შემთხვევებში შეაფასებს უზენაესი სასამართლო კერძო სუბიექტის ქმედებას სახელმწიფოს ქმედებად და, შესაბამისად, პირველი შესწორების მოქმედებას გაავრცელებს კერძო სუბიექტზე, თუ: 1) კერძო სუბიექტი შეიძლება მიჩნეული იქნეს მთავრობის ნაწილად; 2) კერძო სუბიექტის საქმიანობა თავისი შინაარსით ექსკლუზიურად სახელმწიფო პრეროგატივას განეკუთვნება; 3) კერძო სუბიექტის კონსტიტუციასთან შეუსაბამო ქმედება „ნებადართული, ნახალისებული ან გამოწვეულია“ სახელმწიფოს (ფედერალური, შტატის, მუნიციპალიტეტის) იდენტიფიცირებადი ქმედებით, ანუ კანონმდებლობით ჰქონდა შესაბამისი უფლებამოსილება მინიჭებული, კანონის თანახმად იყო ვალდებული, კონკრეტული ქმედება განეხორციელებინა ან, ეს ქმედება, სახელმწიფოს კონკრეტული ქმედებით იყო ნახალისებული.

სხვა შემთხვევებში, კერძო სუბიექტების მიერ საკუთარი მომხმარებლების თუ თანამშრომლებისთვის ცენზურის დანესება და გამოხატვის თავისუფლების შემზღუდავი რეგულაციების შემოღება არ წარმოადგენს პირველი შესწორებით დაცულ უფლებაში ჩარევას და მოქალაქეები ვერ შეძლებენ კერძო კომპანიას კონსტიტუციის პირველი შესწორების დაცვა სასამართლო წესით მოსთხოვონ. მაგალითად, პირველი შესწორება არ კრძალავს კერძო სკოლის მიერ მოსწავლეებისა და მასწავლებლების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას, კერძო კომპანიების მიერ თანამშრომლებისთვის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას, სოციალური ქსელების ან სხვა ინტერაქციული ვებგვერდების მიერ საკუთარი მომხმარებლების კონტენტის დაბლოკვას, კერძო თეატრის, კინოს ან გამომცემლის მიერ გარკვეული სახელოვნებო ან ლიტერატურული პროდუქციის გაშვების ან გამოქვეყნების შეზღუდვას. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ასეთი ტიპის გადაწყვეტილებები გასაჩივრდეს კონსტიტუციის პირველ შესწორებასთან შეუსაბამობის გამო, თუკი „სახელმწიფო ქმედებასთან გადაჯაჭვულობა“ დადასტურდება.

### **III. გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის შეფასების მეთოდოლოგიის ელემენტები**

კონსტიტუციის პირველი შესწორებით დაცული სიტყვისა და პრესის თავისუფლების კონსტიტუციური კონტროლი აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული უფლებათა შეზღუდვის შეფასების ზოგადი მეთოდოლოგიით ხორციელდება. მეთოდოლოგიის მიხედვით, სასამართლო, გასაჩივრებული ქმედების ან საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების სამართლებრივი აქტის კონსტიტუციურობის შესაფასებლად, სხვადასხვა, თანაბრადმნიშვნელოვან საკითხს განიხილავს.

პირველი შესწორების მეთოდოლოგიის ფარგლებში გასაანალიზებელია: არის თუ არა სახეზე უფლებაში ჩარევა? ნორმატიული აქტი, რომლითაც კონსტიტუციით დაცულ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა ხდება, უკიდურესად ფართოდ ფორმულირებული და/ან ბუნდოვანი ხომ არ არის? რა ტიპის გამოხატვა იზღუდება, კონსტიტუციით მეტად დაცული, თუ დაუცველი ან ნაკლებად დაცული? შეზღუდვა შინაარსობრივი ხასიათისაა, თუ შინაარსობრივად ნეიტრალური? ჩარევა წინასწარი შეზღუდვის ფორმით ხდება უფლებაში ჩარევა თუ პოსტ-ფაქტუმ? სად ხდება შეზღუდვა, საჯარო ადგილას თუ კერძო სივრცეში? და ბოლოს, გასაჩივრებული ქმედება ან



სამართლებრივი აქტი ჯდება თუ არა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის კონსტიტუციურად დასაშვებ ფარგლებში? ამ უკანასკნელი საკითხის გადასაწყვეტად სასამართლო, პირველ რიგში, არკვევს უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის შემონმების რომელი სტანდარტი უნდა გამოიყენოს კონკრეტულ შემთხვევაში: მკაცრი, საშუალო, თუ გონივრულობის შეფასების სტანდარტი? ამის გასარკვევად საჭიროა შეფასდეს, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა გამოხატვის შინაარსს შეეხება თუ შინაარსობრივად ნეიტრალურია? ასევე, გამოხატვის შეზღუდვა საჯარო სივრცეში ხდება, ანუ, „საჯარო ფორუმზე“ თუ „არასაჯარო ფორუმზე“? საქმე ეხება მეტად დაცულ გამოხატვის კატეგორიას (პოლიტიკური შინაარსის გამოხატვა), თუ ნაკლებად დაცულ კატეგორიას? ხოლო ბოლოს აფასებს, კონკრეტულ საქმის ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, დაკმაყოფილებულია თუ არა პირველი შესწორებით დაცულ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის შემონმების შესაბამისი სტანდარტით დადგენილი მოთხოვნები.<sup>83</sup>

მნიშვნელოვანია ის, რომ სასამართლოს არ ჩამოუყალიბებია აუცილებელი განსახილველი საკითხების სრულყოფილი ჩამონათვალი ან ამ საკითხების განხილვის რიგითობა.<sup>84</sup> ერთ საქმეში შესაძლოა სახეზე იყოს როგორც ყველა მიმართულებით ანალიზი, ისე, მხოლოდ რამდენიმე საკითხის ანალიზი. ასევე, გასათვალისწინებელია, მოსარჩელის მიერ სამართლებრივი დავის საგნის ფარგლები.

## 1. უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის შემონმების სტანდარტები

უზენაესი სასამართლო კონსტიტუციით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის შემონმების ზოგად სტანდარტებს გამოიყენებს პირველ შესწორებასთან მიმართებითაც. ესენია: მკაცრი, საშუალო და გონივრულობის შეფასების სტანდარტები.

კონსტიტუციურობის შეფასების საფეხურებრივი მიდგომა უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ ისტორიულ გადაწყვეტილებაში ჩამოაყალიბა საქმეზე „შეერთებული შტატები „ქეროლინ პროდაქტს ქომპანის“

83 ვრცლად, იხ.: Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 1011-1076 (6th ed. 2019).

84 Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 1012 (6th ed. 2019).

(Carolene Products Co.) წინააღმდეგ“ (1938).<sup>85</sup> გადაწყვეტილების მე-4 შენიშვნაში სასამართლომ განმარტა: „ძირითადად კანონის კონსტიტუციურობის პრეზუმფცია მოქმედებს, თუმცა უფრო მკაცრი სასამართლო შემონმება საჭირო, როდესაც კანონი ინდივიდუალურ უფლებებს ზღუდავს, არასასურველი კანონმდებლობის გაუქმების მიზნით წარმართულ პოლიტიკურ პროცესს აფერხებს ან განსხვავებული და გარიყული უმცირესობის წინააღმდეგ დისკრიმინაციას აწესებს“. ამდენად, იმის მიხედვით, თუ რამდენად სერიოზულია კონსტიტუციით დაცული უფლების მნიშვნელობა და მისი შეზღუდვის შედეგები, შეზღუდვის კონსტიტუციურობის შესაფასებლად სასამართლო უფრო მკაცრი შეფასების სტანდარტს გამოიყენებს. ზემოხსენებულ საქმეში უზენაესმა სასამართლომ განსაკუთრებით პრობლემატურად მიიჩნია პოლიტიკური გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა საკანონმდებლო შეზღუდვების დაწესების გზით და დაადგინა, რომ ყველაზე მკაცრი შეფასების სტანდარტის დაკმაყოფილებაა საჭირო, რათა კანონი, რომელიც ამ ტიპის შეზღუდვას ითვალისწინებს, კონსტიტუციასთან შესაბამისად იქნეს მიჩნეული.

მკაცრი შეფასების ტესტი ყველაზე ხშირად გამოიყენება პირველი შესწორების თაობაზე წარმართულ დავებში, თუმცა გამოხატვის თავისუფლების ისეთი შეზღუდვები, რომლებიც პოლიტიკურ საკითხებზე საჯარო დისკუსიის შეზღუდვის ნაკლებ რისკს შეიცავს, საშუალო ან გონივრულობის ტესტით ფასდება.

მკაცრი შეფასების ტესტი ძირითადად გამოიყენება შინაარსობრივი შეზღუდვების და წინასწარი შეზღუდვების კონსტიტუციურობის შესაფასებლად, ასევე საჯარო სივრცეში – საჯარო ფორუმზე – გამოხატვის შეზღუდვების კონსტიტუციურობის დასადგენად.

სიტყვის თავისუფლების შინაარსობრივი შეზღუდვა სასამართლოსთვის ყველაზე პრობლემურ ფორმას წარმოადგენს და აპრიორი მიიჩნევის, რომ ასეთი შეზღუდვა არაკონსტიტუციურია. შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებული შეზღუდვის აუცილებლობა დაასაბუთოს მკაცრი შეფასების სტანდარტით.

85 United States v. Carolene Products Co., 304 U.S. 144 (1938).

კანონის კონსტიტუციურობის შეფასების სტანდარტების შედარებითი ცხრილი			
შეფასების სტანდარტი	მკაცრი	საშუალო	გონივრულობის
მიზანი	მწვავე სახელმწიფო ინტერესი	მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინტერესი	ნებისმიერი ლეგიტიმური ინტერესი
შეზღუდვის მიმართება მიზანთან	აუცილებელია დასახული მიზნის მისაღწევად და პირდაპირ ემსახურება ამ მიზანს.	არსებითად დაკავშირებულია (აუცილებელია) მიზნის მიღწევასთან, ანუ პირდაპირ ემსახურება ამ მიზანს.	გონივრულად დაკავშირებულია დასახული მიზნის მიღწევასთან.
შეზღუდვის ფარგლები	შეზღუდვა ვინროდაა მორგებული მიზანს, ანუ იმაზე მეტად არ ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას, რაც ამ მიზნის მისაღწევადაა აუცილებელი.	შეზღუდვა ვინროდაა მორგებული მიზანს, თუმცა არა იდეალურად (ანუ შესაძლოა იმაზე მეტად ზღუდავდეს თავისუფლებას, რაც ამ მიზნის მისაღწევადაა აუცილებელი), თუმცა ტოვებს ალტერნატიულ გზებს უფლების რეალიზაციისთვის.	X
მტკიცების ტვირთი	სახელმწიფო	სახელმწიფო	მოსარჩელე, რომელიც არაკონსტიტუციურობაზე დავობს.

იმისთვის, რათა საკანონმდებლო შეზღუდვამ მკაცრი სტანდარტი დააკმაყოფილოს, სახელმწიფომ უნდა დაასაბუთოს, რომ „შეზღუდვის დანესება აუცილებელია მწვავე სახელმწიფო ინტერესის დასაცავად“ (compelling government interest). აუცილებლობა პრაქტიკაში გულისხმობს, რომ „შეზღუდვა ვინროდ უნდა იყოს მორგებული“ (narrowly tailored) დასახულ მიზანზე. „მწვავე სახელმწიფო ინტერესს“ სასამართლო განმარტავს, როგორც ინტერესს, რომელიც არა მხოლოდ მნიშვნელოვანი, სასურველი ან მიზანშეწონილია, არამედ რომლის დაკმაყოფილებაც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და აუცილებლობას წარმოადგენს.<sup>86</sup> მკაცრი შეფასების ტესტის გამოყენებისას, სახელმწიფო ვალდებული დაასაბუთოს შეზღუდვის შემოღების აუცილებლობა.

იმისთვის, რათა გაირკვეს, შეფასების რომელი სტანდარტი უნდა გამოიყენოს სასამართლომ, ის პირველ რიგში მსჯელობს, შეზღუდვა შინაარსობრივია, თუ შინაარსობრივად ნეიტრალური.

როგორც წესი, მთავრობას ეკრძალება გამოხატვის შეზღუდვა გაჟღერებული გზავნილის შინაარსის მიუღებლობის გამო, რადგან ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება პირველი შესწორების მიზანს, არ დაუშვას მთავრობის მიერ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე თავისუფალი დისკუსიის ცენზურა. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შინაარსობრივი შეზღუდვა კონსტიტუციასთან შესაბამისად ჩაითვალოს, თუკი შეზღუდვა (ქმედება, კანონი ან სხვა საკანონმდებლო აქტი, რომლითაც ეს შეზღუდვა დადგინდა) მკაცრი შეფასების სტანდარტს დააკმაყოფილებს. გამონაკლისს წარმოადგენს გამოხატვის დაუცველი შინაარსობრივი კატეგორიები, როგორიცაა: მცისიერი უკანონო ქმედების ნაქეზება, აგრესიული გამონათქვამები, ცილისწამება, უხამსობა, ბავშვთა პორნოგრაფია და ნაკლებად დაცული კატეგორიები, მაგალითად, სექსუალური შინაარსის გამოხატვა, კომერციული შინაარსის გამოხატვა, რასაც მოგვიანებით განვიხილავთ. სახელმწიფოს ფართო დისკრეცია გააჩნია, დარეგულიროს დაუცველი და ნაკლებად დაცული გამოხატვის კატეგორიები. მიუხედავად იმისა, რომ ეს რეგულაციები გამოხატვას მათი თემატური შინაარსიდან გამომდინარე ზღუდავს, უზენაესი სასამართლო მათ კონსტიტუციურობას მკაცრი ტესტით არ აფასებს.

საქმეში „თერნერის სამაუწყებლო სისტემა კომუნიკაციების ფედერალური კომისიის წინააღმდეგ“ (1994), სასამართლომ განმარტა, რომ როგორც წესი, შეზღუდვები, რომლებიც გამოხატვას ზღუდავს მისი შინაარსიდან გამომდინარე, მკაცრ შემოწმებას უნდა დაექვემდებაროს, ხოლო შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულაციების კონსტიტუციურობა შეფასების საშუა-

86 Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 588 (6th ed. 2019).

ლო სტანდარტით უნდა შემონმდეს.<sup>87</sup> სასამართლოს განმარტებით, „ჩვენი პრეცედენტებით დადგენილია, რომ ყველაზე მკაცრი შეფასების სტანდარტით უნდა შემონმდეს ისეთი კანონმდებლობა, რომელიც გამოხატავს მისი შინაარსის გამო კრძალავს, უარეს მდგომარეობაში აყენებს ან განსხვავებულ შეზღუდვებს უწესებს. [...] ასეთივე მკაცრი სტანდარტით უნდა შეფასდეს კანონები, რომლებიც პირს აიძულებს კონკრეტული შინაარსის მოსაზრება გამოთქვას ან გაავრცელოს. [...] მათგან განსხვავებით, შეზღუდვები, რომელიც გამოხატვის შინაარსთან არ არის დაკავშირებული, საშუალო შეფასების სტანდარტით უნდა შემონმდეს [...], რადგან უმრავლეს შემთხვევაში, ასეთი შეზღუდვების შედეგად ნაკლებია რისკი, რომ ზოგიერთი იდეა ან მოსაზრება საზოგადოებრივი დისკუსიიდან გაქრეს“.<sup>88</sup>

შინაარსობრივი შეზღუდვაა სახეზე, თუკი მთავრობა გამოხატავს ზღუდავს მისი თემატიკის (თემატური შეზღუდვა – *subject matter restrictions*) ან გამოთქმული პოზიციის, თვალსაზრისის გამო (თვალსაზრისის მიხედვით შეზღუდვა – *viewpoint restrictions*).<sup>89</sup> თემატური შეზღუდვა (*subject matter restriction*) გულისხმობს რეგულაციებს, რომლებიც მხოლოდ კონკრეტულ თემაზე გამოხატავს კრძალავს, თუმცა სხვა თემებთან დაკავშირებით დასაშვებია მოსაზრებების გამოხატვა. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს სამედიცინო სფეროსთან დაკავშირებული, რელიგიურ, პოლიტიკურ, სახელოვნებო ან სამეცნიერო თემებზე გამოხატვის შეზღუდვა შერჩევით. რაც შეეხება თვალსაზრის მიხედვით შეზღუდვას (*viewpoint restrictions*), ეს ისეთი შეზღუდვაა, რომელიც კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ ერთგვარი, მაგალითად, მთავრობის ან საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მიუღებელი პოზიციის, თვალსაზრისის შემცველ პუბლიკაციებს ზღუდავს, თუმცა არ კრძალავს იმავე საკითხზე სხვა, მაგალითად, მთავრობის ან საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მოსაწონი თვალსაზრისის, პოზიციის გამომხატველი მასალის გამოქვეყნებას. ასეთ თემატურ და თვალსაზრისის მიხედვით შეზღუდვებს სასამართლო მკაცრი შეფასების ტესტით აფასებს და უმრავლეს შემთხვევაში პირველი შესწორების დარღვევას ადგენს.

მაგალითად, უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ კოლუმბიის ოლქის მიერ დადგენილი შეზღუდვა, რომელიც უცხო სახელმწიფოს მიმართ კრიტიკის შემცველი ნებისმიერი ბანერისა თუ ნიშნის განთავსებას კრძალავდა

87 *Turner Broadcasting System, Inc. v. FCC*, 512 U.S. 622 (1994). იხ. ასევე: Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 1013 (6th ed. 2019).

88 *Turner Broadcasting System, Inc. v. FCC*, 512 U.S. 622, 642 (1994).

89 *Perry Educ. Assn. v. Perry Local Educators' Assn.*, 460 U.S. 37, 45 (1983). ციტირებულია, Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 1014 (6th ed. 2019).

ამ სახელმწიფოს საელჩოს შენობიდან 500 ფუტის რადიუსში, თვალსაზრის მიხედვით შეზღუდვას წარმოადგენდა.<sup>90</sup> სასამართლოს განმარტებით, ეს თვალსაზრის მიხედვით შეზღუდვის მაგალითი იყო, რადგან რეგულაცია მხოლოდ უცხო სახელმწიფოს მიმართ კრიტიკის შემცველი ბანერების გამოფენას კრძალავდა, თუმცა პოზიტიური შინაარსის ბანერების განთავსება დაშვებული იყო. მკაცრი შეფასების სტანდარტის გამოყენებით, სასამართლომ დაადგინა, რომ კოლუმბიის ოლქმა ვერ დაარწუნა სასამართლო, რომ შეზღუდვის დანესება აუცილებელი იყო მწვავე სახელმწიფო ინტერესის მისაღწევად, რადგან შეზღუდვა ვინროდ არ იყო მორგებული დასახულ მიზანს.

შინაარსობრივი, კერძოდ, თვალსაზრისით მიხედვით შეზღუდვის ფორმად განიხილება ასევე სახელმწიფოს მხიდან პირის იძულება, კონკრეტული პოზიცია გამოხატოს მისი ნების სანინაალმდეგოდ (compelled speech). მაგალითად, თვალსაზრისის მიხედვით შეზღუდვის მაგალითია დასავლეთ ვირჯინიის შტატის განათლების საბჭოს დადგენილება, რომელიც სკოლის მოსწავლეებს ავალდებულებდა, ფეხზე წამოდგომით მისალმებოდნენ ეროვნულ დროშას და ერთგულების ფიცი წარმოეთქვათ.<sup>91</sup>

სასამართლო შესაბამისი სტანდარტის გამოყენების გადანყვეტილებას იღებს არა მხოლოდ შეზღუდვის დისპოზიციური შინაარსიდან გამომდინარე, არამედ ყურადღებას აქცევს შეზღუდვის მიზანს. არის შემთხვევები, როდესაც შეზღუდვები შინაარსობრივად ნეიტრალური ფორმითაა ფორმულირებული, თუმცა თუ დადასტურდება, რომ მათი შემოღება კონკრეტული თემატური შინაარსის ან თვალსაზრისის გამოხატვის შეზღუდვას ისახავდა მიზნად, სასამართლო მკაცრ ტესტს გამოიყენებს.<sup>92</sup> და პირიქით, თუკი გამოხატვის აკრძალვა შინაარსობრივი შეზღუდვის სახით არის ფორმულირებული, თუმცა მოპასუხე დაამტკიცებს, რომ რეგულაციის შემოღება შინაარსობრივად ნეიტრალური მოტივაციით არის განპირობებული და მისი მიზანი არა საჯარო დისკუსიის შეზღუდვა, არამედ გამოხატვის თანმხლებ მეორეულ შედეგებზე რეაგირებაა, ასეთი კანონი შინაარსობრივად ნეიტრალურ რეგულაციად განიხილება და სასამართლო საშუალო ტესტით შეაფასებს.<sup>93</sup>

მკაცრი ტესტი გამოიყენება ასევე გამოხატვის დაუცველი კატეგორიების შიგნით შინაარსობრივად დიფერენცირებული შეზღუდვების შემთხვევაში, მაგალითად, თუკი „აგრესიული გამონათქვამების“, როგორც დაუცველი

90 Boos v. Barry, 485 U.S. 312 (1988).

91 West Virginia State Board of Education v. Barnette, 319 U.S. 624 (1943).

92 Ward v. Rock Against Racism, 491 U.S. 781, 791 (1989).; Reed v. Town of Gilbert, 576 U.S. 155, 164 (2015).

93 City of Renton v. Playtime Theatres, Inc. 475 U.S. 41, 47-48 (1986).

კატეგორიის შიგნით დიფერენციაცია ხდება და იზღუდება მხოლოდ რასიზმის შემცველი აგრესიული გამონათქვამები და არ იზღუდება, მაგალითად, სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის შემცველი გამონათქვამები, შეზღუდვის კონსტიტუციურობის შემონიშნება მკაცრი ტესტით მოხდება.<sup>94</sup>

საშუალო სტანდარტი (*intermediate scrutiny*) გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის შემონიშნების ნაკლებად მკაცრი ტესტია. საშუალო სტანდარტის მიხედვით, კანონი კონსტიტუციურია, თუ ის „არსებითადაა დაკავშირებული მნიშვნელოვან სახელმწიფო მიზანთან“.<sup>95</sup> ანუ, სახელმწიფო ინტერესი, რომელსაც შეზღუდვა ემსახურება, არის არა მწვავე, არამედ მნიშვნელოვანი, ხოლო შერჩეული საშუალება, ანუ კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვა, რეგულაციის რეჟიმი აუცილებელი არ არის, რომ მიზნის მისაღწევად ყველაზე ნაკლებად მზღუდავი საშუალება იყოს, თუმცა ის არსებითად საჭირო უნდა იყოს დასახული მიზნის მისაღწევად.

უზენაესი სასამართლო საშუალო სტანდარტით აფასებს გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივად ნეიტრალურ შეზღუდვებს, ანუ გამოხატვის დროის, ადგილისა და ფორმის მიმართ დანესებულ შეზღუდვებს.

სასამართლოს განმარტებით, „შეზღუდვა ვინროდ უნდა იყოს მორგებული დასახულ მიზანზე“ ნიშნავს იმას, რომ „იმაზე მეტად არ უნდა შეიზღუდოს გამოხატვის თავისუფლება, რაც აუცილებელია ლეგიტიმური სახელმწიფო ინტერესის დასაკმაყოფილებლად“.<sup>96</sup> ამასთან, მკაცრი სტანდარტისგან განსხვავებით, „არ არის აუცილებელი, შინაარსობრივად ნეიტრალური შეზღუდვა ყველაზე ნაკლებად მზღუდავი საშუალება იყოს დასახული მიზნის მისაღწევად, თუმცა დაუშვებელია იმდენად ფართო შეზღუდვის დანესება, რომლის არსებითი ნაწილი არ ემსახურება დასახული მიზნის მიღწევას“.<sup>97</sup>

მაგალითად, საქმეზე „ჰეფრონი კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოების წინააღმდეგ“ (1981), სასამართლომ განმარტა, რომ დროის, ადგილისა და ფორმის გონივრული შეზღუდვები კონსტიტუციასთან შესაბამისად ჩაითვლება, თუ „მათი დადგენა გამოხატვის შინაარსზე მითითების გარეშე ხდება, მნიშვნელოვან სახელმწიფო ინტერესს ემსახურება და ინფორმაციის გავრცელების ფართო ალტერნატიულ შესაძლებლობას ტოვებს

94 R.A.V. v. City of St. Paul. 505 U.S. 377 (1992).

95 Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 587 (6th ed. 2019).

96 McCullen v. Coakley, 134 U.S. 2518, 2535 (2014), Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 1233-34 (6th ed. 2019).

97 იქვე.



ხელმისაწვდომად“.<sup>98</sup> ანუ, სხვა ადგილას, სხვა დროს და სხვა ფორმით დასაშვები უნდა იყოს გამოხატვა და ეს ალტერნატივა ადეკვატური უნდა იყოს გამოხატვის მიზნის მისაღწევად.

სასამართლომ საშუალო სტანდარტის რამდენიმე სპეციფიკური ფორმა შეიმუშავა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის კონკრეტული შემთხვევების შესაფასებლად. მაგალითად, საშუალო სტანდარტის სპეციფიკური ნაირსახეობა გამოიყენა სასამართლომ საქმეში „ამერიკის შეერთებული შტატები ო’ბრაინის წინააღმდეგ“ (1968) იმ შეზღუდვების შესაფასებლად, რომლებიც გამოხატვის თანმხლებ ან მის შემადგენელ არავერბალურ გამოხატვას შეეხება, ანუ ისეთ ქმედებას ზღუდავს, რომელსაც გამოხატვის ფუნქცია აქვს. „ო’ბრაინის სტანდარტი“ საშუალო სტანდარტის სპეციფიკური სახეა, რაც დღემდე მოქმედი პრეცედენტია ქმედების, როგორც გამოხატვისთვის დაწესებული შეზღუდვების კონსტიტუციურობის შესაფასებლად.<sup>99</sup>

საშუალო სტანდარტის კიდევ ერთი სპეციალური სახეობა გამოიყენა სასამართლომ იმ სახელმწიფო რეგულაციების კონსტიტუციურობის დასადგენად, რომლებიც კომერციულ გამოხატვას ზღუდავს, მაგალითად, რეგულაციებისა, რომლებიც კომერციული პროდუქტის რეკლამირების წესებს ადგენს და გარკვეული შინაარსის სარეკლამო განცხადებებს ზღუდავს.<sup>100</sup>

საშუალო სტანდარტი გამოიყენა სასამართლომ სახელმწიფო სიხშირებით მოსარგებლე მაუნყებლებისთვის „მასთ ქერის“ ვალდებულების დაწესების კონსტიტუციურობის შესაფასებლად.<sup>101</sup>

საშუალო სტანდარტის გამოყენების შემთხვევაშიც, მტკიცების ტვირთი სახელმწიფოს ეკისრება. ანუ, სახელმწიფოა ვალდებული დაასაბუთოს, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა „მნიშვნელოვან სახელმწიფო ინტერესს“ ემსახურება და რომ შეზღუდვა „ვინროდ არის მორგებული მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინტერესის დასაცავად დასახულ მიზანზე“.

გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის შემონმების ყველაზე დაბალი სტანდარტია „გონივრულობის სტანდარტი“, რომლის მიხედვითაც, იმისთვის რომ კანონით დაწესებული უფლებრივი შეზღუდვა კონსტიტუციურად ჩაითვალოს, საჭიროა, „შეზღუდვა გონივრულ კავშირში იყოს რომელიმე ლეგიტიმურ სახელმწიფო ინტერესთან“. ანუ, აუცილებელია,

98 *Heffron v. International Society for Krishna Consciousness, Inc.*, 452 U.S. 640, 648 (1981). იხ. ასევე: *Clark v. Community for Creative Non-Violence*, 468 U.S. 288 (1984).

99 *United States v. O’Brien*, 391 U.S. 367 (1968).

100 *Central Hudson Gas v. Public Service Commission*, 447 U.S. 557 (1980).

101 *Turner Broadcasting System, Inc. v. FCC*, 512 U.S. 622 (1994).

რომ: ა) სახელმწიფოს ქმედება ემსახურებოდა რაიმე ლეგიტიმურ მიზანს; ბ) დაწესებული შეზღუდვა ამ მიზანთან რაციონალურად იყოს დაკავშირებული, ანუ შეზღუდვის სახე მიზნის მიღწევის გონივრული, რაციონალური საშუალება იყოს. იმისთვის, რომ გონივრულობის სტანდარტით კანონი არაკონსტიტუციურად გამოცხადდეს, აუცილებელია მოსარჩელემ დაასაბუთოს, რომ კანონი არ ემსახურება რამე გონივრულ სახელმწიფო მიზანს, ან რომ კანონმდებლის მიერ შერჩეული საშუალება, რეგულაცია, საკანონმდებლო შეზღუდვა, ამ მიზნის მისაღწევად გონივრული გზა არ არის, ანუ შეუძლებელია გონივრული, რაციონალური კავშირის დადგენა დაწესებულ შეზღუდვასა და დასახულ მიზანს შორის. ამ ტესტის გამოყენებით მხოლოდ ძალიან იშვიათ შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს კონსტიტუციის დარღვევა, რადგანაც უზენაესი სასამართლო მთავრობის ფართო დისკრეციას აღიარებს და მოსარჩელეს აკისრებს მტკიცების ტვირთს.

სასამართლო გონივრულობის ტესტით აფასებს არასაჯარო ფორუმზე გამოხატვისთვის დაწესებულ შეზღუდვებს. მაგალითად, საქმეზე „ჰეიზელვუდის სასაკოლო ოლქი ქულმაიერის წინააღმდეგ“ (1988) სასამართლომ სკოლის მიერ სასაკოლო საგაზეთო პუბლიკაციის აკრძალვა მისი შინაარსის გამო გონივრულობის სტანდარტით განიხილა, რადგან სკოლის გაზეთი არასაჯარო ფორუმად მიიჩნია, სადაც სკოლას ფართო დისკრეცია ჰქონდა განესაზღვრა, რა შინაარსის და ფორმის მასალები გამოექვეყნებინა.<sup>102</sup> ხოლო საქმეზე „პერის განათლების ასოციაცია პერის ადგილობრივ პედაგოგთა ასოციაციის წინააღმდეგ“ (1983) მიიჩნია, რომ სკოლის შიდა ელექტრონული მედიების სისტემაზე ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვა მასწავლებელთა ერთი პროფესიული კავშირისთვის, მაშინ, როდესაც სხვა პროფესიული კავშირის წარმომადგენელი ამ სისტემას იყენებდა, გონივრულობის ტესტით უნდა შეფასებულიყო, რადგან სკოლის შიდა ელექტრონული მედიის სისტემა არასაჯარო ფორუმი იყო.<sup>103</sup>

102 Hazelwood School District v. Kuhlmeier, 484 U.S. 260 (1988).

103 Perry Education Association v. Perry Local Educators' Association, 460 U.S. 37 (1983).

კანონის კონსტიტუციურობის შეფასების სტანდარტების გამოყენების საორიენტაციო (არაამომწურავი) ცხრილი				
შეფასების სტანდარტი	შეზღუდვის მიხედვით	გამონათვის ადგილის მიხედვით	გამონათვის ფორმის მიხედვით	გამონათვის კატეგორიების მიხედვით
მკაცრი	შინაარსობრივი შეზღუდვა, მათ შორის გამონათვის დაუცველი კატეგორიის შიგნით შინაარსობრივი შეზღუდვა. წინასწარი შეზღუდვა.	საჯარო ფორუმი (ტრადიციული და მთავრობის მიერ განსაზღვრული საჯარო ადგილი). შეზღუდული საჯარო ფორუმი და არასაჯარო ფორუმი – თვალსაზრისის მიხედვით შეზღუდვა.	გამონათვა ქმედების გარეშე	პოლიტიკური გამონათვა.
საშუალო	შინაარსობრივად ნეიტრალური შეზღუდვა (დროის, ადგილის და ფორმის რეგულირება), სინშირული (და არა საკაბელო, ან ციფრული) მაუწყებლობებისთვის „მასთ ქერის“ ვალდებულების დაკისრება.		სიმბოლური გამონათვა, ანუ ქმედება, რომელიც თანახლავს გამონათვას ან გამონათვის განუყოფელი ნაწილია	კომერციული გამონათვა. არაუხამსი სექსუალური გამონათვა.
გონიერეულობის		შეზღუდული საჯარო ფორუმი – გამონათვის თემატიკისა და სუბიექტების მიმართ დაწესებული შეზღუდვა. არასაჯარო ფორუმი.		

## 2. წინასწარი შეზღუდვები

უზენაესი სასამართლო გამონათვის თავისუფლების წინასწარ შეზღუდვებს განსაკუთრებით პრობლემატურად მიიჩნევს და მათ პრეზუმფციულად არაკონსტიტუციურად განიხილავს. წინასწარი შეზღუდვა იმდენად არის პრობლემატური, რამდენადაც გამონათვის აკრძალვა ხდება მანამდე, სანამ გამონათვა განხორციელდება და, შესაბამისად, მათი კონსტიტუციურობის შემოწმება მკაცრი შეფასების ტესტით ხდება. უზენაესი სასამართლოს განმარტებით: „ნებისმიერი წინასწარი შეზღუდვის რეჟიმის მიმართ კონსტიტუციასთან შეუსაბამობის მყარი პრეზუმფცია არსებობს“<sup>104</sup> და, შესაბამისად, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, უკიდურესად მყარი დასაბუთების არსებობის პირობებში დააკმაყოფილებს ასეთი შეზღუდვა მკაცრ ტესტს.

ამდენად, სასამართლო პირველ შესწორებასთან დაკავშირებული დავის განხილვისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, არის თუ არა სახეზე წინასწარი შეზღუდვა.

წინასწარი შეზღუდვის ფორმებია, მაგალითად, ადმინისტრაციული ან სასამართლო აქტები (ბრძანება, განკარგულება, განჩინება), რომლებიც გამონათვის უფლებას კრძალავს წინმსწრები ფორმით. წინასწარი შეზღუდვის კიდევ ერთი თვალსაჩინო სახეობაა კანონმდებლობით გათვალისწინებული სანებართვო ან სალიცენზიო რეჟიმები გამონათვის თავისუფლების რეალიზაციისთვის, მათ შორის: შეკრებისა და მანიფესტაციის გამართვისთვის წინასწარი ნებართვის რეჟიმი, ჟურნალ-გაზეთების და რადიო-ტელემაუნიკულობის სალიცენზიო ან ავტორიზაციის რეჟიმები.

მაგალითად, საქმეზე „ნიარი მინესოტის წინააღმდეგ“ (1931), სასამართლომ დაადგინა, რომ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაშია დასაშვები სასამართლოს განჩინებით გამონათვის აკრძალვა,<sup>105</sup> როგორცაა, მაგალითად განჩინებები, რომლითაც იკრძალება საომარ ვითარებაში ჯარის მობილიზაციისთვის ხელისშეშლა, უზამსი მასალის, ან ისეთი მასალის გამოქვეყნება, რომელიც ეროვნულ უსაფრთხოებას რეალურ ზიანს აყენებს. ამასთან, „შეზღუდვა ვინროდ უნდა იყოს მორგებული იმ სპეციფიკურ მიზანს, რის დაცვასაც ემსახურება წინასწარი შეზღუდვის დანესება“.<sup>106</sup> მტკიცების ტვირთი სრულად სახელმწიფოს ეკისრება, რომელმაც უნდა დაასაბუთოს მწვავე სახელმწიფო ინტერესის არსებობა და რომ დანესებული შეზღუდვა იმაზე მეტად

104 New York Times v. United States, 403 U.S. 713, 714 (1971).

105 Near v. Minnesota, 283 U.S. 697 (1931).

106 Madsen v. Women's Health Center, 512 U.S. 753, 765 (1994).

არ ზღუდავს გამოხატვას, რაც აუცილებელია ამ ინტერესის შესაბამისად დასახული კონკრეტული მიზნის მისაღწევად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრივ საქმე „ნიუ იორკ თაიმსი“ ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ“ (1971), სადაც ფედერალურმა სასამართლომ მთავრობის მიმართვის საფუძველზე, განჩინებით აუკრძალა „ნიუ იოკ თაიმსს“ ჟურნალისტური სტატიების ციკლის გაგრძელება, სადაც თავდაცვის დეპარტამენტის გასაიდუმლოებული დოკუმენტის, 47-გვერდიანი ანგარიშის – „ვიეტნამის ომის ისტორია“ – ნაწყვეტები ქვეყნდებოდა. მთავრობა აცხადებდა, რომ პუბლიკაციის გამოქვეყნება საფრთხეს შეუქმნიდა ეროვნულ უსაფრთხოებას, თუმცა უზენაესი სასამართლოს შეფასებით, მთავრობამ საკმარისი დამაჯერებლობით ვერ დაასაბუთა მწვავე სახელმწიფო ინტერესის არსებობა და წინასწარი შეზღუდვის ზომის გამოყენების აუცილებლობა.

გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციის სანებართვო-სალიცენზიო რეჟიმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესაფასებლად სასამართლომ უფრო სპეციფიკური სტანდარტი შეიმუშავა, რომელიც სამი ნაწილისგან შედგება: 1) სახელმწიფომ უნდა დაასაბუთოს მნიშვნელოვანი მიზეზის არსებობა სანებართვო-ლიცენზირების რეჟიმის შემოღებისთვის; 2) სანებართვო-ლიცენზირების პირობები ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს თითქმის არ უნდა უტოვებდეს დისკრეციის შესაძლებლობას; 3) ლიცენზირების სამართლებრივი რეჟიმი პროცესუალურ გარანტიებს უნდა ითვალისწინებდეს, კერძოდ, გადაწყვეტილების მიღება მოკლე ვადაში უნდა ხდებოდეს, უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებას წინ უნდა უსწრებდეს სრულფასოვანი და სამართლიანი ზეპირი განხილვა; უნდა არსებობდეს ლიცენზირების ორგანოს უარის გადაწყვეტილების სასამართლოში საბოლოო გასაჩივრების სწრაფი მექანიზმი.<sup>107</sup>

### 3. საჯარო ფორუმის ანალიზი

უზენაესი სასამართლო პირველი შესწორებასთან დაკავშირებული შეზღუდვების კონსტიტუციურობის ანალიზის ერთ-ერთ ელემენტად იყენებს საჯარო ფორუმის ცნებას, ანუ იმის მიხედვით, თუ სად, რა ტიპის საჯარო

107 Cox v. New Hampshire, 312 U.S. 569 (1941); Teitel Film Corp. v. Cusack, 390 U.S. 139 (1968); Carroll v. President and Commrs. of Princess Anne County, 393 U.S. 175 (1968); National Socialist Party of Am. v. Village of Skokie, 432 U.S. 43 (1977); ვრცლად იხ.: Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 1048-1052.

სივრცეში ხდება გამოხატვა, სასამართლო განსხვავებულ კრიტერიუმებს აწესებს ამ შეზღუდვების კონსტიტუციურობის შესაფასებლად. ეს დაყოფა უპირველესად შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების კონტექსტშია მნიშვნელოვანი, თუმცა მას სიტყვის თავისუფლების დაცვის ფართო კონტექსტშიც გამოიყენებს სასამართლო. სასამართლო განსხვავებულ შეფასების სტანდარტებს იყენებს, იმის მიხედვით, თუ რომელი კატეგორიის საჯარო სივრცეში ხდება გამოხატვა.

სასამართლო ოთხი სახის გამოხატვის ადგილს, სივრცეს, ანუ ფორუმს გამოყოფს: ტრადიციული საჯარო ფორუმი, მთავრობის მიერ განსაზღვრული საჯარო ფორუმი (**designated public forum**),<sup>108</sup> შეზღუდული საჯარო ფორუმი, არასაჯარო ფორუმი.<sup>109</sup>

სასამართლოს შეფასებით, საჯარო ფორუმი სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ის ადგილები, სადაც მთავრობა ვალდებულია მაქსიმალურად უზრუნველყოს მოქალაქეთა გამოხატვის თავისუფლება, ხოლო შეზღუდულ საჯარო ფორუმზე შესაძლებელია გარკვეული შინაარსობრივი შეზღუდვების დანერგვა.<sup>110</sup>

უზენაესი სასამართლო განსხვავებს ტრადიციულ საჯარო ფორუმს და მთავრობის მიერ განსაზღვრულ საჯარო ფორუმს იმის მიხედვით, საჯარო ადგილი ისტორიულად იყო განკუთვნილი საჯარო დებატისთვის, თუ მას მოგვიანებით, მთავრობის გადაწყვეტილებით მიენიჭა ასეთი ფუნქცია. ტრადიციული საჯარო ფორუმის თვალსაჩინო მაგალითებია საჯარო მოედნები, ქუჩები, პარკები.<sup>111</sup> მთავრობის მიერ განსაზღვრული საჯარო ფორუმი კი არის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ადგილები, რომლებიც, მართალია, ტრადიციულად არ გამოიყენება აზრის გამოსახატად, თუმცა მთავრობის გადაწყვეტილებით, ეს ადგილები გამოყოფილი იქნა მოქალაქეებისთვის გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციის მიზნით.<sup>112</sup> ტრადიციულ და მთავრობის მიერ განსაზღვრულ საჯარო ფორუმზე ერთი და იგივე სამართლებრივი რეჟიმი ვრცელდება. კერძოდ, მთავრობას მხოლოდ უკიდურესად იშვიათ შემთხვევაში შეუძლია დაანესოს შინაარსობრივი შეზღუდვები საჯარ-

108 ზოგიერთი ქართველი ავტორი ამ კატეგორიას „კვაზი საჯარო ფორუმს უწოდებს“, თუმცა ეს ტერმინი ბუნდოვანებას შეიცავს, რამდენადაც მკითხველს უჩენს განცდას, რომ ის სრულად საჯარო ფორუმი არაა, არამედ მასთან მიმსგავსებულია, არადა სასამართლოს მიერ დადგენილი მიდგომით, მთავრობის მიერ განსაზღვრული საჯარო ფორუმი ტრადიციული საჯარო ფორუმის იდენტურ წესებს ემორჩილება.

109 Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 1231-33 (6th ed. 2019).

110 *Perry Education Association v. Perry Local Educators' Association*, 460 U.S. 37, 44-46 (1983).

111 იქვე.

112 იქვე.

რო ფორუმზე გამონატვის თავისუფლებისთვის და ამისთვის აუცილებელია მკაცრი შეფასების ტესტის დაკმაყოფილება, ხოლო დროის, ადგილისა და ფორმის მიხედვით შეზღუდვის დანესება დასაშვებია საშუალო შეფასების ტესტის დაკმაყოფილების პირობით.

შეზღუდული საჯარო ფორუმის კლასიკური მაგალითია საჯარო სკოლის დარბაზი, სასჯელალსრულებითი დანესებულების ან სამხედრო ბაზების სივრცეები, რომელიც თავისი შინაარსით არ არის საჯარო დებატისთვის განკუთვნილი სივრცე, თუმცა მთავრობა მას იყენებს შეზღუდული შინაარსის გამონატვის უზრუნველყოფის მიზნით ამ სივრცის ფუნქციის გათვალისწინებით.<sup>113</sup> შეზღუდულ საჯარო ფორუმზე გამართლებულია შინაარსობრივი თემების ან გამომსვლელ პირთა წრის მიხედვით შეზღუდვების დანესება გონივრულობის ტესტის ფარგლებში ამ სივრცის თავდაპირველი ფუნქციების გათვალისწინებით, თუმცა დაუშვებელია თვალსაზრისის მიხედვით შეზღუდვის დანესება მკაცრი ტესტის დაკმაყოფილების გარეშე.<sup>114</sup>

არასაჯარო ფორუმი არის ადგილი, რომელიც, მისი ფუნქციიდან გამომდინარე, არ არის განკუთვნილი საჯარო დებატისთვის და სადაც დასაშვებია გამონატვის უფლების სრული შეზღუდვა გონივრულობის ტესტის ფარგლებში. სასამართლომ ასეთად მიიჩნია მაგალითად, აეროპორტები, საარჩევნო უბნები, ფოსტის მიმდებარე ტერიტორია, საჯარო სკოლის შიდა ელექტრონული ფოსტის ქსელი.<sup>115</sup> აქაც, თვალსაზრისის მიხედვით შეზღუდვის დანესება შესაძლებელია მხოლოდ მკაცრი ტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჯამებს უზენაესი სასამართლოს პრეცედენტებით დადგენილ ფორუმების კლასიფიკაციას, და შესაბამისი შეფასების სტანდარტების გამოყენების წესებს.<sup>116</sup>

113 Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 1245-46 (6th ed. 2019).

114 იქვე.

115 ვრცლად იხ. Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 1249-52 (6th ed. 2019).

116 იხ. ვრცლად: იქვე, 1233-1256.



გამონახტვის ადეილის სახეები				
ფორუმის (გამონახტვის ადეილის) სახეობა	განმარტება	მაგალითები	სამართლებრივი მოთხოვნები	შეფასების სტანდარტი
ტრადიციული საჯარი ფორუმი	ტრადიციულად გამოიყენებოდა პოლიტიკური შინაარსის გამონახტვისთვის.	ქუჩები, საზოგადოებრივი პარკები, ქუჩის სავალი ნაწილი	არ შეიძლება შინაარსობრივი (მათ შორის, თვალსაზრისის მიხედვით) შეზღუდვების დაწესება, გარდა გამონახტვისა. დასაშვებია შინაარსობრივად ნეიტრალური, დროის, ადეილის, ფორუმის შეზღუდვის დაწესება.	მკაცრი ტესტი შინაარსობრივი შეზღუდვისთვის. საშუალო ტესტი შინაარსობრივად ნეიტრალური შეზღუდვისთვის, აუცილებელი არ არის, რომ შეზღუდვა დასახული მიზნის მისაღწევად გამონახტვის ყველაზე ნაკლებად შემზღუდვე ალტერნატივა იყოს.
მთავრობის მიერ განსაზღვრული საჯარი ფორუმი	ტრადიციული საჯარი ფორუმის გარდა სხვა, მთავრობის მიერ, დროებით ან უვადოდ საჯარი გამონახტვისთვის გამოყოფილი სივრცე.	მუნიციპალური დარბაზების, სახელმწიფო უნივერსიტეტების, ბიბლიოთეკების დარბაზების და სხვა სივრცეების დათმობა საჯარი გამონახტვისთვის.		
შეზღუდული საჯარი ფორუმი	არატრადიციული საჯარი ფორუმი, რომელიც გამოყოფილია საჯარი გამონახტვისთვის მხოლოდ შეზღუდული კატეგორიის გამონახტვისთვის.	საჯარი სკოლის დარბაზები, სასჯელალსრულებითი დაწესებულების სივრცეები, სადაც გარკვეულ თემებთან დაკავშირებით, ან გარკვეული კატეგორიის სუბიექტებისთვის დაშვებულია საჯარი გამონახტვა, თუმცა აკრძალულია სხვა თემებთან დაკავშირებით ან სხვა კატეგორიის სუბიექტების გამონახტვა.	მთავრობას ფართო დისკრეცია აქვს შეზღუდოს გამონახტვა გარკვეული თემების და გამომსვლელების კატეგორიებისთვის. მაგრამ დაუშვებელია თვალსაზრისის მიხედვით შეზღუდვა, გარდა გამონახტვისა.	გონიერულობის ტესტი თემატურ (თემების, პირთა კატეგორიების) შეზღუდვაზე.  მკაცრი ტესტი თვალსაზრისის მიხედვით შეზღუდვაზე.
არასაჯარი ფორუმი	აეროპორტი, საარჩევნო უბანი, ფოსტის შესასვლელები, საჯარი სკოლის შიდა კომუნიკაციის ქსელები (შიდა ელ. ფოსტა).		დასაშვებია გონიერული შინაარსობრივი შეზღუდვების დაწესება. დაუშვებელია თვალსაზრისის მიხედვით შეზღუდვა.	გონიერულობის ტესტი თემატურ შინაარსობრივ შეზღუდვაზე. მკაცრი ტესტი თვალსაზრისის მიხედვით შეზღუდვაზე.

პრობლემური საკითხი: კერძო კომპანიების საკუთრებაში არსებული სოციალური ქსელები, რომლებიც ტრადიციული საჯარო ფორუმის თანამედროვე ანალოგადაც შეიძლება ჩაითვალოს, იქ განთავსებული მოსაზრებებისა და ინფორმაციის უპრეცედენტოდ დიდი მოცულობისა და პოლიტიკურ და სხვა თემებზე საჯარო დისკუსიის შესაძლებლობის გამო, წარმოადგენს თუ არა საჯარო ფორუმს? ამ კითხვაზე უზენაესი სასამართლოს უმრავლესობას დაბეჯითებითი პასუხი ჯერ არ გაუცია, თუმცა გადანყვეტილებაში „პაკინგემი ჩრდილოეთ კაროლინის წინააღმდეგ“ (2019) სასამართლომ მნიშვნელოვანი მოსაზრება გააჟღერა, როდესაც ინტერნეტ სივრცე „თანამედროვე საჯარო მოედანს“ შეადარა, სადაც ადამიანები საზოგადოებრივ საკითხებზე მსჯელობენ, აზრებს უცვლიან ერთმანეთს და სასარგებლო ინფორმაციას იღებენ.<sup>117</sup> სასამართლოს ეს შეფასება რამდენიმე მოსამართლემ საგანგაშოდ მიიჩნია. მოსამართლემ სამუელ ალიტომ თავის თანმხვედრ აზრში „პაკინგემის“ საქმეზე ნუხილით აღნიშნა, რომ სასამართლოს უმრავლესობის მიერ ამ ტერმინის გამოყენებამ შეიძლება გაურკვეველობა გამოიწვიოს, მით უმეტეს, როდესაც სასამართლოს სიღრმისეულად არ უმსჯელია პირველი შესწორების მეთოდოლოგიის ინტერპრეტაციის ნიუანსებზე ინტერნეტთან მიმართებით. ანალოგიურად, საქმეზე „ბაიდენი კოლუმბიის უნივერსიტეტის ნაითის სახელობის პირველი შესწორების ინსტიტუტის წინააღმდეგ“ (2021), მოსამართლე კლარენს თომასმა თავის თანმხვედრ აზრში შეცდომად მიიჩნია მეორე ოლქის სააპელაციო სასამართლოს მიერ სოციალური ქსელების ტრადიციულ საჯარო ფორუმთან გაიგივება.<sup>118</sup> მისი შეფასებით, მოსაზრება, თითქოს სოციალური ქსელები საჯარო ფორუმს წარმოადგენს, მცდარია, რადგან ეს ინტერპრეტაცია უგულებელყოფს კერძო ტექნოლოგიური კომპანიების მესაკუთრეების ხელში არსებული ძალაუფლების მნიშვნელობას და იმ ფაქტს, რომ სოციალურ ქსელებს კერძო სუბიექტები მართავენ სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად, ხოლო საჯარო ფორუმის ანალიზი იმ რეალობაში შეიქმნა, როდესაც საჯარო სივრცეები სახელმწიფოს საკუთრება იყო და მათი მართვაც ექსკლუზიურად მთავრობის ფუნქცია იყო.<sup>119</sup>

სავარაუდოდ, უზენაეს სასამართლოს კვლავ მოუწევს, მკაფიო პოზიციის გამოკვეთა ამ საკითხზე.

117 *Packingham v. North Carolina*, 137 U.S. 1730 (2017).

118 *Biden v. Knight First Amendment Institute at Columbia Univ.* 141 S.Ct. 1220 (2021), მოსამართლე კლარენს თომასის თანმხვედრი აზრი.

119 იქვე.

#### 4. ბუნდოვანი და უკიდურესად ფართო შეზღუდვები

„ბუნდოვანი და უკიდურესად ფართო კანონის“ დოქტრინას (vagueness and overbreadth doctrine) გამოიყენებს უზენაესი სასამართლო იმ ფედერალური, შტატისა თუ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიღებული კანონებისა და ნორმატიული სამართლებრივი აქტების შესაფასებლად, რომლითაც პირველი შესწორებით დაცულ უფლებებში ჩარევა ხდება.

ეს დოქტრინა იმდენად არის მნიშვნელოვანი, რომ თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ პრობლემა კანონის უკიდურესად ფართო მოქმედების სფერო ან ბუნდოვანებაა, ის მაშინვე კონსტიტუციის დარღვევას დაადგენს ისე, რომ აღარ დაინტერესდება პირველი შესწორების ანალიზის მეთოდოლოგიის სხვა ელემენტებით. ამ დოქტრინის მიხედვით, უზენაესი სასამართლო კონსტიტუციის დარღვევას დაადგენს იმ შემთხვევაშიც, თუ შეზღუდვა გამოხატვის დაუცველ კატეგორიას შეეხება, როგორცაა, მაგალითად უკანონო ქმედების ნაქეზება, ცილისწამება და სხვა.<sup>120</sup>

სასამართლო „უკიდურესად ფართოდ“ მიიჩნევს ისეთ ნორმატიული აქტს ან მის ნორმას, რომელიც „გამოხატვის იმაზე უფრო ფართო არეალს კრძალავს, რაც კონსტიტუციით დასაშვებია“,<sup>121</sup> ხოლო „ბუნდოვნად“ თვლის ისეთ სამართლებრივ რეჟიმს ან ნორმას, რომელიც „ჩვეულებრივი ინტელექტის ადამიანისთვის გაუგებარს ხდის კანონის შინაარსს“,<sup>122</sup> ანუ ბუნდოვანია, გამოხატვის რომელი შინაარსი ან ფორმა აკრძალული და რომელი დასაშვებია.

სასამართლო ხშირად ერთობლიობაში განიხილავს ამ ორ საკითხს. სასამართლომ შეიძლება კონსტიტუციის დარღვევა დაადგინოს, თუ მიიჩნევს, რომ კანონი იმდენად ფართოდ არის ფორმულირებული, რომ ყველა სახის გამოხატვას კრძალავს, მიუხედავად იმისა, რომ მისი შინაარსი ბუნდოვანი სულაც არის. მეორე შემთხვევაში, კანონი მაშინაც შეიძლება ჩაითვალოს კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ, თუ ის მხოლოდ გამოხატვის ერთ კონკრეტულ, ვინრო სახეობას ზღუდავს, მაგრამ ისე ბუნდოვნად არის ფორმულირებული, რომ გონიერ ადამიანს არ შეუძლია ცხადად გამიჯნოს, რა არის აკრძალული და რა დასაშვებია.

120 Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 1031 (6th ed. 2019).

121 *Schad v. Borough of Mount Ephraim*, 452 U.S. 61 (1981); *City of Houston v. Hill*, 482 U.S. 451 (1987).

122 *Connally v. General Constr. Co.*, 269 U.S. 385, 391 (1926), ციტირებულია: Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 1025 (6th ed. 2019).

მაგალითად, საქმეში „ჰიუსტონი ჰილის წინააღმდეგ“ (1987),<sup>123</sup> ქალაქ ჰიუსტონის დადგენილებების<sup>124</sup> ერთ-ერთი ნორმა იყო გასაჩივრებული, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულად აცხადებდა „გამოძიების პროცესში პოლიციელზე თავდასხმას, შეტევას ან რაიმე ფორმით წინააღმდეგობას, შევიწროებას, ან მისი საქმიანობისთვის ხელის შეშლას“.

საქმის მიხედვით, ქალაქ ჰიუსტონის მცხოვრები რეიმონდ უეინი ჰილი დააკავეს, რომელიც პარალელურად მუშაობდა და ადამიანის უფლებათა დაცვის ადგილობრივი ლიგის ხელმძღვანელი იყო. ის ჰიუსტონის გეი საზოგადოების საბჭოს წევრიც იყო და აქტიურად თანამშრომლობდა ადგილობრივ რადიოსთან და რამდენიმე მედია საშუალების ჟურნალისტადაც მუშაობდა. ჰილი ქალაქ ჰიუსტონის გეი უბანში დააკავეს, როდესაც ის პოლიციელს უყვიროდა, როდესაც პოლიციელს მისი მეგობარი, ჩარლზ ჰილი შეჩერებული ყავდა და დაკავებას უპირებდა. კერძოდ, რეიმონდ უეინი ჰილის სიტყვები იყო: „მიდი და ვინმე შენი ტოლი შეარჩიე!“ პოლიციელმა უეინს ჰკითხა: „თქვენ ახლა ხელს მიშლით, როგორც ჰიუსტონის პოლიციელს, ჩემი ოფიციალური მოვალეობის შესრულებაში?“ უეინმა გაუმეორა: „დიახ, რატომ არ აკავებ ვინმე შენს ტოლს“?

რეიმონდ უეინი ჰილი სასამართლო განხილვისას აღიარა, რომ მისი მიზანი პოლიციელის ყურადღების გადატანა იყო, რადგან არაერთი მტკიცებულება არსებობდა, რომ ქალაქის დადგენილების ამ ნორმის შესაბამისად, პოლიცია ხშირად შერჩევითად აკავებდა ადამიანებს, განსაკუთრებით კი ჟურნალისტებს. თავად რეიმონდ უეინი ჰილი ამავე ნორმაზე მითითებით მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში ოთხჯერ დააკავეს, თუმცა მისი ბრალეულობა არცერთ შემთხვევაში არ დადასტურდა.

ჰილი დავობდა, რომ პრაქტიკაში ამ ნორმას იმდენად ფართო მნიშვნელობით იყენებდნენ, მის საფუძველზე ადამიანებს აკავებდნენ არა პოლიციელზე ფიზიკური თავდასხმის აღსაკვეთად, არამედ პოლიციელთან ნებისმიერ სახის სიტყვიერი შეკამათების გამო.

უზენაესმა სასამართლომ კონსტიტუციის პირველი შესწორების დარღვევა დაადგინა. სასამართლოს განმარტებით, „სადავო ნორმის ის ნაწილი, რომელიც პოლიციელის საქმიანობის გაპროტესტებას, პოლიციელის შევიწროებას და ამით მისი საქმიანობის ხელის შეშლას გულისხმობდა“, არ

123 City of Houston v. Hill, 482 U.S. 451 (1987).

124 ქალაქის დადგენილება (city ordinance) ქალაქის საკანონმდებლო ორგანოს, მუნიციპალური საბჭოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტია. ქალაქის დადგენილებით შესაძლოა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობები დაადგინეს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გამო. ქალაქის დადგენილებას ადგილობრივი პოლიცია აღასრულებს.

შესაბამებოდა სასამართლოს მიერ დადგენილ „მყისიერი და რეალური საფრთხის ტესტს“, რომლის მიხედვითაც, გამონათვისის შემთხვევაში, შესაძლოა, მართლზომიერად ჩაითვალოს ისეთი გამონათვისის აკრძალვა და სასჯელის დაწესება, რაც მყისიერად იწვევს უკანონო მოქმედებას ან ისეთი „აგრესიული გამონათქვამების“ (fighting words) აკრძალვას და ფიზიკური დაპირისპირების გამონწვევისკენაა მიმართული.

რაც შეეხება ჰილის გამონათვისის ტონს – ყვირილს, და მისი გამონათქვამების შინაარსს, სასამართლომ საკუთარი გადაწყვეტილება დაიმონმა საქმეზე „ტერმინიელო ჩიკაგოს წინააღმდეგ, სადაც აღნიშნა: „სიტყვიერი გამონათქვა ხშირად პროვოკაციული და პრობლემატურია [...], თუმცა, მიუხედავად ამისა, ის დაცულია ცენზურის ან სასჯელისგან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სავარაუდოა, რომ ის განსაკუთრებით სერიოზული ბოროტების აშკარა და იმჟამინდელ საფრთხეს ქმნის, რაც სცდება საზოგადოებისთვის დისკომფორტის შექმნას, შეწუხებას, ან არეულობას“.<sup>125</sup>

სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია, რომ „ქალაქის დადგენილების ნორმა არ იყო ვინროდ ფორმულირებული და ის არა მხოლოდ წესრიგის დამრღვევ ქცევასა და „აგრესიულ გამონათქვამებს“ კრძალავდა, არამედ, პოლიციელს იმდენად შეუზღუდავ დისკრეციას ანიჭებდა, რომ შეეძლოთ ადამიანები ისეთი გამონათქვამებისა და ქცევის გამო დაეპატიმრებინათ, რაც უბრალოდ შემანუხებელი ან შეურაცხმყოფელია.

სასამართლომ აღნიშნა: „ქალაქის დადგენილების სადავო ნორმით დადგენილია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა და ამ ნორმის მოქმედება, ჩვეულებრივ, კონსტიტუციით დაცული ზეპირსიტყვიერი გამონათვისის ფართო სპექტრზე ვრცელდება. ნორმა პოლიციას ანიჭებს არაკონსტიტუციურ აღმასრულებელ პრივილეგიას. როგორც საქმის მტკიცებულებებიდან ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალური კოდექსის მოთხოვნები დღის განმავლობაში მრავალჯერ ირღვევა, პოლიცია მხოლოდ იმ ადამიანებს აკავებს, რომლებსაც უკონტროლო დისკრეციის ფარგლებში გამოარჩევს. სასამართლო არადამაჯერებლად მიიჩნევს აპელანტის არგუმენტს, რომ ქალაქის დადგენილების გასაჩივრებული ნორმა არ არის უკიდურესად ფართოდ ფორმულირებული, რადგან ის მხოლოდ „არსებითად დანაშაულებრივი ქცევისთვის“ აწესებს სასჯელს და არ ეხება მოსაზრებების გამონათქვას. დადგენილების ის ნაწილი, რომელიც უკანონოდ მიიჩნევს პოლიციის ოფიცერზე თავდასხმას და ფიზიკურ შეტევას, ისედაც პირდაპირ არის აკრძალული შტატის სისხლის სამართლის კოდექსით, მაგრამ სადავო ნორმის აღსრულებადი შინაარსი

125 Terminiello v. Chicago, 337 U.S. 1, 4 (1949).

ასევე კრძალავს პოლიციელის საქმიანობისთვის სიტყვიერად ხელის შეშლას. შესაბამისად, სადავო ნორმა შეეხება სიტყვიერ გამოხატვას და არა მხოლოდ არსებითად დანაშაულებრივ ქმედებას. შესაძლებელია აიკრძალოს ისეთი გამოხატვა, რომელიც „აგრესიულ გამონათქვამებს“ წარმოადგენს, ანუ რომლის გამოყენებამაც შესაძლოა „მყისიერად გამოიწვიოს ფიზიკური დაზიანება“ ან „მყისიერად გამოიწვიოს მშვიდობის დარღვევა“, თუმცა დადგენილება მხოლოდ ასეთ გამოხატვას კი არ კრძალავს, არამედ სადავო ნორმა ფართოდ გამოიყენება ისეთი ზეპირსიტყვიერი გამონათქვამების მიმართ, რომელიც „რაიმე ფორმით ხელს უშლის პოლიციელს“. შესაბამისად, დაწესებული აკრძალვა დაუშვებლად ზღუდავს ინდივიდების კონსტიტუციით დაცულ თავისუფლებას, სიტყვიერად გააპროტესტონ და ეჭვქვეშ დააყენონ პოლიციელის ქმედების კანონიერება“.<sup>126</sup>

გასათვალისწინებელია, რომ უკიდურესად ფართო და ბუნდოვანი კანონის დოქტრინა, გარდა შინაარსისა, პროცედურული თვალსაზრისითაც უაღრესად მნიშვნელოვანია. როდესაც დავის საგანს წარმოადგენს კანონის უკიდურესად ფართო ფორმულირება, მოსარჩელეს უფლება აქვს იდავოს პირთა ფართო წრის სახელით, რომელთაც საჩივრით არ მიუმართავთ უზენაესი სასამართლოსთვის. მაშინაც კი, თუ კონკრეტული მოსარჩელის მიმართ კანონი ვიწრო ინტერპრეტაციით იყო გამოყენებული და კონსტიტუციას შეესაბამებოდა, თუ მოსარჩელე დაამტკიცებს, რომ არსებობს მრავალი სხვა შემთხვევა, როდესაც კანონის აღსრულება უფრო ფართო ინტერპრეტაციითაც არის შესაძლებელი, რაც კონსტიტუციის დარღვევას წარმოადგენს, მას უფლება აქვს სადავო ნორმის გაუქმება მოითხოვოს მესამე პირების სახელით.<sup>127</sup> დარღვევის დადასტურების შემთხვევაში კანონი ბათილად გამოცხადდება და მის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებიც ძალას დაკარგავს მოსარჩელის მიმართ.

გასათვალისწინებელია გამონაკლისი, როდესაც ფართოდ ფორმულირებული და/ან ბუნდოვანი კანონის მიუხედავად, სასამართლომ შეიძლება კონსტიტუციის დარღვევა არ დაადგინოს. კერძოდ, „უკიდურესად ფართოდ ან ბუნდოვნად ფორმულირებული აკრძალვები“ არ ჩაითვლება არაკონსტიტუციურად, მიუხედავად იმისა, რომ კანონის ტესტი იყო ასეთი, როდესაც შესაბამისი სასამართლოების პრაქტიკით ნორმის ფართო შინაარსი დავიწროვდა და, შესაბამისად, კანონის გამოყენება, სასამართლოს ინტერპრეტაციის

126 City of Houston v. Hill, 482 U.S. 451, 252 (1987).

127 Schad v. Borough of Mount Ephraim, 452 U.S. 61 (1981), City of Houston v. Hill, 482 U.S. 451, 252 (1987), ციტირებულია: Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 1027-29 (6th ed. 2019).



გათვალისწინებით, ვინრო შინაარსით ხდება.<sup>128</sup> ეს აიხსნება იმით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო სისტემა პრეცედენტულ სამართალს ეფუძნება, რომლის მიხედვით, სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული კანონის შინაარსის ინტერპრეტაცია კანონის ძალისა და შესასრულებლად სავალდებულოა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ კანონის ნორმის რედაქცია უფრო ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობასაც გულისხმობს.

#### IV. გამონათვის დაუცველი კატეგორიები

პირველი შესწორება გამონათვის თავისუფლების დაცვის ფართო გარანტიებს ანებს, განსაკუთრებით პოლიტიკური შინაარსის გამონათვისთვის. თუმცა უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრეცედენტების მიხედვით, პირველი შესწორების მეთოდოლოგიის ერთ-ერთი თავისებურებაა გამონათვის კატეგორიებად დაყოფა და გამონათვის ისეთი სახეების ამომწურავი განსაზღვრა, რომლებიც კონსტიტუციით არ არის დაცული. კერძოდ, უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული მიდგომით, პირველი შესწორებით დაუცველი გამონათვის კატეგორიებია: 1) მყისიერი უკანონო ქმედების ნაქეზება, 2) აგრესიული გამონათქვამები, 3) ცილისწამება, 4) უხამსობა, 5) ბავშვთა პორნოგრაფია.

ის, რომ გარკვეული გამონათვა დაუცველ კატეგორიას მიეკუთვნება, სამართლებრივი თვალსაზრისით ნიშნავს, პირველ რიგში იმას, რომ სახელმწიფოს უფლება აქვს აკრძალოს ან შეზღუდოს ასეთი გამონათვა საკუთარი შეხედულებისამებრ ისე, რომ პირველი შესწორების დარღვევის საკითხი საერთოდ არ დაისვას. მეორე მხრივ, მხოლოდ ეს შინაარსობრივი კატეგორიებია მიჩნეული სასამართლოს მიერ პირველი შესწორებით დაუცველად. ანუ, გამონათვის თავისუფლების ყველა სხვა შინაარსობრივი, თემატური თუ თვალსაზრისის მიხედვით შეზღუდვების დაწესება მხოლოდ მკაცრი სტანდარტის დაკმაყოფილების შემთხვევაში ჩაითვლება კონსტიტუციურად.

როდესაც გარკვეული კატეგორიის გამონათვა გასულია პირველი შესწორების დაცვის სფეროდან, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, მკაფიოდ განისაზღვროს, სად გადის ზღვარი დაუცველ კატეგორიასა და დაცულ გამონათვას შორის, რადგან ცხადი გამიჯვნის გარეშე გამონათვის დაცულ

128 *Chaplinsky v. New Hampshire* 315. U.S. 568, 572-73 (1942).



სახეებსაც შეიძლება საფრთხე შეექმნას. მაგალითად, მყისიერი უკანონო ქმედების ნაქეზებად შეიძლება იქნეს მიჩნეული ლეგიტიმური, პოლიტიკური შინაარსის გამოხატვა, ან აგრესიულ გამონათქვამად შეიძლება შეფასდეს ემოციური გამოხატვა, რომელიც მთავრობის უკანონო ქმედებებით გამონვეული აღშფოთებით არის გამონვეული. ასევე, ცილისწამების მოტივით, შესაძლოა აიკრძალოს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება პოლიტიკური თანამდებობის პირების კორუფციის ან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თაობაზე. შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს მიერ განხილული საქმეების დიდი ნაწილი, რომელიც პირველი შესწორებით დაცული გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვებს შეეხება, ისეთი საქმეებია, სადაც სასამართლომ მკაფიოდ განმარტა დაუცველი გამოხატვის კატეგორიები და ისინი პირველი შესწორებით დაცული გამოხატვისგან გამიჯნა.

მიუხედავად იმისა, რომ გამოხატვა დაუცველ კატეგორიას მიეკუთვნება, მაინც შესაძლებელია შეზღუდვის კონსტიტუციურობაზე დავა პირველ შესწორებასთან მიმართებით, თუ მხარე დაობს, რომ შეზღუდვა უკიდურესად ფართო ან ბუნდოვანი კანონის საფუძველზეა დანესებული. თუკი სასამართლო დარწმუნდება, რომ შეზღუდვა უკიდურესად ფართო ან ბუნდოვანია, სასამართლო პირველი შესწორების დარღვევას დაადგენს.

## 1. მყისიერი უკანონო ქმედების ნაქეზება

გამოხატვა, რომელიც უკანონო ქმედების, ძალადობის, ფიზიკური დაპირისპირების მაპროვოცირებელი შეიძლება გახდეს, არ არის დაცული პირველი შესწორებით და უზენაესი სასამართლო დასაშვებად მიიჩნევის ამგვარი გამოხატვისთვის მკაცრი სასჯელის დანესებას. აქაც, სასამართლო ვინრო მნიშვნელობით განმარტავს „უკანონო ქმედების ნაქეზებას“ და მკაფიოდ მიჯნავს კონსტიტუციის პირველი შესწორებით დაცულ, თუნდაც კანონსაწინააღმდეგო ქმედებებისკენ მონოდებებსა და იმგვარ ვერბალურ კომუნიკაციას, რომელიც ძალადობისკენ ან სხვა უკანონო ქმედების გამონვევისკენ არის მიმართული.

მოსამართლე ლუის ბრანდაისის მოსაზრება, რომლითაც ის უზენაესი სასამართლოს შემადგენლობის უმრავლესობის მსჯელობას არ დაეთანხმა 1927 წელს, დღესაც აქტუალურია. მისი სიტყვებით, „კანონის დარღვევისკენ მონოდება, რაც არ უნდა მიუღებელი იყოს მორალური თვალსაზრისით, არ არის საკმარისი საფუძველი გამოხატვის თავისუფლების ჩამოსართმევად,

როდესაც მონოდება არ აღწევს ნაქეზების დონეს და არაფერი მიუთითებს, რომ მონოდებას მყისიერი ქმედება მოჰყვება“.<sup>129</sup>

უზენაესი სასამართლოს მიერ დამტკიცებული პრეცედენტული მნიშვნელობის განმარტება, რომლითაც ძველი, გამონათვისის თავისუფლების უფრო მეტად შემზღუდავი მიდგომა გააუქმა სასამართლომ, „ბრანდენბურგის ტესტის“ სახელით არის ცნობილი. საქმეზე „ბრანდენბურგი ოჰაიოს წინააღმდეგ“ (1969), უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მხოლოდ მაშინ არის უკანონო ქმედების ნაქეზების შეზღუდვა კონსტიტუციურად დასაშვები, თუ „გამონათვისა გამიზნულია მყისიერი უკანონო ქმედების გამოსაწვევად და არსებობს ალბათობა, რომ მონოდება ასეთ უკანონო ქმედებას გამოიწვევს“.<sup>130</sup>

შესაბამისად, „ბრანდენბურგის სტანდარტი“ გულისხმობს, რომ სამი პირობა უნდა იყოს სახეზე, რათა უკანონო ქმედებისკენ მონოდება კონსტიტუციურად დაუცველ გამონათვისის კატეგორიად იქნეს მიჩნეული, კერძოდ: 1) სახეზე უნდა იყოს უკანონო ქმედების მყისიერი (იმუთიერი) საფრთხე, 2) უნდა არსებობდეს ალბათობა, რომ გამონათვისა უკანონო ქმედებას გამოიწვევს, 3) უნდა არსებობდეს მყისიერი უკანონო ქმედების გამოწვევის განზრახვა.<sup>131</sup>

საქმეში „ბრანდენბურგი ოჰაიოს წინააღმდეგ“ (1969), კუ კლუქს კლანის ლიდერი, ბრანდენბურგი გაასამართლეს და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დააკისრეს ოჰაიოს შტატის დანაშაულებრივი სინდიკალიზმის აქტით (Criminal Syndicalism Act),<sup>132</sup> კერძოდ, ის ცნობილ იქნა დამნაშავედ „დანაშაულის, საბოტაჟის, ძალადობის ან ტერორიზმის უკანონო მეთოდების, როგორც ინდუსტრიული ან პოლიტიკური ცვლილების მიღწევის საშუალების აუცილებლობის ან მართებულობის ადვოკატირების გამო“ და „ნებისმიერ საზოგადოებასთან, ჯგუფთან თუ ადამიანების კრებულთან ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელიც ასწავლის ან ადვოკატირებს დანაშაულებრივი სინ-

129 *Whitney v. California*, 274 U.S. 357, 376 (1927), მოსამართლე ლუის ბრანდაისის თანმხვედრი აზრი, ციტირებულია: Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 1078 (6th ed. 2019).

130 *Brandenburg v. Ohio*. 395. U.S. 444, 447 (1969), Per Curiam.

131 Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 1089 (6th ed. 2019).

132 ამერიკის შეერთებულ შტატებში 1920-30-იან წლებში მრავალმა შტატმა მიიღო კანონმდებლობა, რომელიც მემარცხენე პროფკავშირული სამოქალაქო მოძრაობის აღკვეთას ისახავდა მიზნად იმ მოტივით, რომ სინდიკალიზმის მოძრაობა – შრომითი უფლებების დაცვის მოძრაობის პროფკავშირული ქვე-მიმდინარეობა – პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცვლილებების მისაღწევად ძალადობრივი, დანაშაულებრივი მეთოდების გამოყენებას ქადაგებდა. ეს კანონები 1950-60-იან წლებშიც აქტიურად გამოიყენებოდა, ძირითადად, მემარცხენე სამოქალაქო მოძრაობის საპროტესტო საქმიანობის შესაზღუდად.

დიკალიზმის დოქტრინებს“. <sup>133</sup> ბრანდენბურგი 1000 დოლარით დააჯარიმეს და 10 წლამდე პატიმრობა მიუსაჯეს. ბრანდენბურგის დანაშაული დასტურდებოდა ადგილობრივი ტელევიზიით გადაცემულ ულტრა-მემარჯვენე და რასისტული ორგანიზაციის, კუ კლუქს კლანის ღონისძიების ჩანაწერით, სადაც ბრანდენბურგი, როგორც კლანის ლიდერი, კლანის 12 წევრთან ერთად, ჩანდა უკაცრიელ ადგილას, ფერმაზე, ალმოკიდებული ხის ჯვრის ფონზე და მაცურებელს მიმართავდა სიტყვით.

ბრანდენბურგის მიერ გაკეთებული განცხადებები და ცალკეული ფრაზები შავკანიანებისა და ებრაელების წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ ნუხილის ნიადაგზე ბრანდენბურგმა თეთრი რასის შევიწროვების გამო შურისძიებით მოტივირებული ადამიანების მრავალრიცხოვანი მსვლელობა დააანონსა ორ შტატში. ბრანდენბურგი ვიდეოში აცხადებდა: „ეს ორგანიზატორების შეკრებაა. კლანს ოჰაიოს შტატში ყველაზე მეტი წევრი ჰყავს. ჩვენ რევანშისტული ორგანიზაცია არ ვართ, თუმცა თუ ჩვენი პრეზიდენტი, კონგრესი და უზენაესი სასამართლო გააგრძელებს თეთრი რასის შევიწროებას, მაშინ ჩვენ შეიძლება რევანშისტული ზომებიც მივიღოთ“. [...] „ოთხ ივლისს მოვანწყობთ შეკრებას კონგრესთან, სადაც მოვა ოთხასი ათასი ადამიანი. შემდეგ კი ორად გავიყოფით: ერთი ნაწილი წავა ფლორიდაში, ქ. სენტ ოგასტინში, მეორე ნაწილი კი წავა მისისიპიში. მაღლობა“.<sup>134</sup> კადრში ჩანდა, რომ შეკრების მონაწილეები შეიარაღებული იყვნენ და თან ჰქონდათ ატრიბუტიკა, რომელიც ძალადობის ასოციაციას იწვევდა: „პისტოლეტი, გადაჭრილი თოფი, ლულიანი თოფი, საბრძოლო აღჭურვილობა, [...] და კლანის წევრების სამოსი“.<sup>135</sup>

უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ გამოხატვა, რომელიც უკანონო ქმედებებისკენ მოწოდებას შეიცავს, კანონმდებელმა მხოლოდ მაშინ შეიძლება შეზღუდოს და დასჯადად გამოაცხადოს, „თუ ის მიმართულია გარდაუვალი უკანონო ქმედების გამოწვევისკენ და, თუ მოსალოდნელია, რომ მოწოდება ამ ქმედებას გამოიწვევს“.<sup>136</sup> საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას სასამართლომ გაითვალისწინა, რომ მოწოდებები გაჟღერდა უკაცრიელ ფერმაზე, სადაც მხოლოდ შეკრების მონაწილეები იმყოფებოდნენ და იქ წარმოთქმული მოწოდებები, მართალია, მთელ რიგ უხერხულობებს შეიცავდა, თუმცა მყისიერი უკანონო ქმედების აღბათობა არ არსებობდა.

სასამართლოს დამოკიდებულება უკანონო ქმედების ნაქეზების მიმართ ისტორიულად არათანმიმდევრულია. განსხვავებულ ისტორიულ-სოციალურ

133 *Brandenburg v. Ohio*. 395. U.S. 444 (1969), *Per Curiam*.

134 იქვე, 446.

135 იქვე, 445.

136 იქვე, 447.

კონტექსტში უზენაესი სასამართლოს სხვადასხვა შემადგენლობა მეტ-ნაკლებად ფართო ან ვიწრო ინტერპრეტაციას აძლევდა იმას, თუ როგორი მონოდეტების აკრძალვა და დასჯაა დასაშვები ისე, რომ კონსტიტუციის პირველი შესწორებით დაცული გამოხატვის თავისუფლება არ დაირღვეს.

ბრანდენბურგის ტესტის დადგენამდე უზენაესი სასამართლო ჯერ „აშკარა და იმჟამინდელი საფრთხის“ (clear and present danger) სტანდარტით, შემდეგ კი უფრო მარტივი „გონივრულობის ტესტით“ ან „რისკების შეფასების ფორმულით“ აფასებდა უკანონო ქმედებებისკენ მონოდეტების კონსტიტუციურობას. ბრანდენბურგის ტესტი თავისი შინაარსით აშკარა და იმჟამინდელი საფრთხის უფრო მკაცრი ვარიანტია, რომლის აუცილებელი კომპონენტია უკანონო ქმედების განხორციელების ალბათობა, როგორც შედეგი და მოქმედი პირის განზრახვა, რომ მონოდეტამ შედეგად უკანონო ქმედება გამოიწვიოს.

უზენაესი სასამართლოს მიდგომების ცვალებადობა მჭიდროდ არის დაკავშირებული შესაბამის ისტორიულ-პოლიტიკურ კონტექსტთან. მაგალითად, „აშკარა და იმჟამინდელი საფრთხის“ ტესტი სასამართლომ პირველად 1919 წელს ჩამოაყალიბა საქმეზე „შენკი ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ“ პირველი მსოფლიო ომის ფონზე. 1917 წელს, კონგრესმა მიიღო „ჯაშუშური საქმიანობის აქტი“, რომლითაც აკრძალა „საომარი მდგომარეობის დროს ყალბი ინფორმაციის შექმნა ან გავრცელება ან ცრუ განცხადებების გავრცელება, რომლის მიზანია ერის სამხედრო წარმატებისთვის ხელის შეშლა ან მისი მტრების წარმატების ნახალისება“. ამავე კანონით, დასჯადი იყო ამერიკის შეერთებული შტატების მიერ სამხედრო განწვევისა და ჯარისკაცთა რეკრუტირების პროცესისთვის განზრახ ხელის შეშლა, 1918 წელს კი „ამბოხების აქტი“ მიიღო კონგრესმა, რომელმაც კიდევ უფრო მეტად შეზღუდა გამოხატვის თავისუფლება.

განსახილველი საქმე შეეხებოდა შენკს და კიდევ რამდენიმე ადამიანს, რომელთაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრათ პირველ მსოფლიო ომში სამხედრო სამსახურში განწვევის პროცესისთვის ხელის შეშლის გამო. შენკმა, როგორც სოციალისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა, სოციალური პარტიის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, 125 დოლარის ღირებულების, დაახლოებით, 15 ათასი ბუკლეტი დააბეჭდვინა, რომელთა ნაწილს სამხედრო მობილიზაციის საბჭოს შესასვლელებში არიგებდნენ, ნაწილს კი სახლში უგზავნიდნენ ფოსტით იმ მამაკაცებს, რომლებიც ჯარში გასანწევად იყვნენ მობილიზებულნი. ბუკლეტში ეწერა: „არ დაემორჩილო ზენოლას!“ „მოითხოვე შენი უფლებები!“ არცერთი საინფორმაციო ბუკლეტი არ შეიცავდა პირდაპირ მონოდეტას

რომელიმე კანონის დარღვევისკენ, თუმცა კამპანიის სამიზნე სავალდებულო სამხედრო მობილიზაციის შესახებ კანონის გაუქმება იყო. შენკი და მისი თანამოაზრეები მიიჩნევდნენ, რომ მოქალაქეების სამხედრო სამსახურში იძულებით განწვევა ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მე-14 შესწორებით აკრძალულ მონობას უტოლდებოდა.

სასამართლომ მიუთითა, რომ ჩვეულებრივ გარემოებებში, ყველაფერი, რაც ბუკლეტში ეწერა პირველი შესწორებით იქნებოდა დაცული, თუმცა მოცემული საქმის გადასაწყვეტად უპირველესად უნდა გარკვეულიყო, „ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებული სიტყვები გამოიყენება თუ არა ისეთ გარემოებებში და ისეთი ხასიათის არის თუ არა, რომ „აშკარა და იმჟამინდელი საფრთხე“ შექმნას, რომელიც ისეთ განსაკუთრებულ ბოროტებას გამოიწვევს, რისი აკრძალვაც კონგრესის უფლებამოსილებაა“.<sup>137</sup> ამ საკითხის შეფარდებისას სასამართლომ ჩათვალა, რომ შენკისა და მისი თანამოაზრეებისთვის სისხლის-სამართლებრივი სასჯელის შეფარდება ბუკლეტების გავრცელების გამო არ წარმოადგენდა პირველი შესწორების დარღვევას და ხაზი გაუსვა საომარი მდგომარეობის არსებობას, რომელიც განსაკუთრებულ კონტექსტს ქმნიდა. ამ კონტექსტის გათვალისწინებით, სამხედრო მობილიზაციის პროცესისთვის ხელისშეშლა ლეგიტიმურად შეეძლო კონგრესს აკრძალა. ამდენად, „აშკარა და იმჟამინდელი საფრთხის ტესტი“ გულისხმობს იმას, რომ უკანონო ქმედებისკენ მოწოდება ან ნაქეზების კანონით აკრძალვა და სანქცირება მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს კონსტიტუციურად, თუ აკრძალული ქმედება აშკარა და იმნუთიერ საფრთხეს ქმნის, თუმცა სასამართლომ თავად არ განმარტა, კონკრეტულად რა გარემოებების არსებობაა საჭირო, რომ „აშკარა და იმჟამინდელი საფრთხე“ დაინახოს. სასამართლომ სრულად გაიზიარა ფედერალური ხელისუფლების შეფასება, რომელიც მიიჩნევდა, რომ შენკის კამპანია ხელს უშლიდა საომარი მოქმედებების პერიოდში სამხედრო სამსახურში მოქალაქეების მობილიზაციას, რადგან ის უშუალოდ იმ ადამიანებზე იყო გამიზნული, რომელთა მობილიზაციაც უკვე მოხდა ან რომლებიც სამხედრო განწვევის პუნქტთან იყვნენ უკვე მისული რეგისტრაციის გასავლელად. შესაბამისად, სასამართლომ პირველი შესწორების დარღვევა არ დაადგინა. უზენაესი სასამართლოს თანამედროვე, „ბრანდენბურგის სტანდარტი“ უფრო მკაცრია და მისი გამოყენების შემთხვევაში, შენკის ქმედება, სავარაუდოა, რომ კონსტიტუციით დაცულ გამოხატვად მიეჩნია სასამართლოს.

137 Schenck v. United States, 249 U.S. 47, 52 (1919).

არაერთი მსგავსი საქმის განხილვა მოუწია უზენაეს სასამართლოს შემდეგ წლებში, თუმცა, თითქმის ყველა შემთხვევაში, გაიზიარა სასამართლომ კანონმდებლის ლეგიტიმური ინტერესები, ფართო შეფასების შესაძლებლობა დაუტოვა კონგრესს და მთავრობის მიერ წარმოდგენილი დასაბუთება საკმარისად ჩათვალა, რომ აკრძალული ქმედებები, აშკარა და იმჟამინდელი საფრთხის ტესტის გამოყენებით, დაუცველ გამოხატვის კატეგორიად მიეჩნია.<sup>138</sup>

უზენაესმა სასამართლომ კიდევ უფრო მეტი დისკრეციის შესაძლებლობა მისცა კონგრესს მოგვიანებით, როდესაც 1920-30-იან წლებში სასამართლომ გაცილების უფრო მარტივი, „გონივრულობის ტესტის“ გამოყენება არჩია. რუსეთში კომუნისტური რეჟიმის გამარჯვებისა და მსოფლიოს სხვა წერტილებში ძალადობრივი რევოლუციების კონტექსტში შტატებმა ერთმანეთის მიყოლებით მიიღეს თითქმის ანალოგიური შინაარსის კანონები (Criminal Syndicalism Acts), რომლებიც დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრობასა და დანაშაულებრივი სინდიკალიზმის დოქტრინების გავრცელებას კრძალავდა და მკაცრ სისხლისსამართლებრივ სანქციებს აწესებდა ისეთი იდეოლოგიის ადვოკატურებისთვის, რომელიც სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების მისაღწევად ძალადობრივი მეთოდების გამოყენებას დასაშვებად ან აუცილებლად მიიჩნევდა. ასეთი ტიპის კანონების კონსტიტუციურობის დასადგენად, საკმარისი იყო გონივრულობის ტესტის დაკმაყოფილება, ანუ სახელმწიფო (შტატის საკანონმდებლო ორგანო) ვალდებული იყო რამე გონივრული მიზეზი დაესახელებინა პოლიტიკური მოწოდებების კრიმინალიზაციისთვის და აკრძალვა ამ მიზნის მიღწევასთან გონივრულობის ფარგლებში ყოფილიყო დაკავშირებული. იმის განსასაზღვრად, თუ რა ქმედება უქმნიდა საფრთხეს სახელმწიფოს მონყობას ან საზოგადოებრივ წესრიგს ან მშვიდობას, სასამართლო კონგრესისა და მთავრობის შეფასებას ეყრდნობოდა ისე, რომ კონგრესისთვის აღარ იყო სავალდებულო „აშკარა და იმჟამინდელი საფრთხის“ კრიტერიუმის დაკმაყოფილება.

საქმეში „გიტლოუ ნიუ იორკის წინააღმდეგ“ (1925), ნიუ იორკის შტატის კანონით აკრძალული იყო „საქმიანობა, რომელიც მიმართულია ორგანიზებული მთავრობის დასამხობად ან შესაცვლელად ძალისმიერი მეთოდით, ძალადობით და კანონსწინააღმდეგო გზებით“.<sup>139</sup> გიტლოუს ამ კანონის საფუძველზე დაეკისრა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა გაზეთში ესეს გამოქვეყნების გამო სათაურით „მემარცხენე ფრთის მანიფესტი“ ისე,

138 იხ.: Debs v. United States, 249 U.S. 211 (1919), Frohwerk v. United States, 249 U.S. 204 (1919) და Abrams v. United States, 250 U.S. 616 (1919).

139 Gitlow v. New York, 268 U.S. 652 (1925).



რომ მას ხელისუფლების ძალადობრივი დამხობის მიზნით რამე კონკრეტული მოქმედებების გეგმა არ დაუანონსებია.

საქმეში „უითნი კალიფორნიის წინააღმდეგ“ (1927), კალიფორნიის შტატის კანონით იყო აკრძალული კრიმინალური გაერთიანების საქმიანობა, ხოლო ჩარლოტ ანიტა უითნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრა კომუნისტური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის დაფუძნების საორგანიზაციო საქმიანობაში მონაწილეობის გამო, იმის გათვალისწინებით, რომ კომუნისტური პარტიის იდეოლოგია ძალადობრივი გზით კლასობრივ რევოლუციას ქადაგებდა.<sup>140</sup>

უზენაესმა სასამართლომ ორივე შემთხვევაში კონსტიტუციასთან შესაბამისად მიიჩნია მოსარჩელებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ნიუ იორკისა და კალიფორნიის შტატის დანაშაულებრივი სინდიკალიზმის კანონმდებლობის საფუძველზე და არ დაადგინა პირველი შესწორების დარღვევა გონივრულობის სტანდარტის საფუძველზე. „შენკის“ საქმისგან განსხვავებით, სასამართლომ აღარ იმსჯელა, თუ რამდენად აშკარა და ამჟამინდელ საფრთხეს ქმნიდა დანაშაულად შერაცხილი კონკრეტული ქმედებები შტატისთვის ან საზოგადოებისთვის.

საქმეზე „დენისი შეერთებული შტატების წინააღმდეგ“ (1951) სასამართლომ უარყო „გითლოუს“ და „უითნის“ საქმეებში გამოყენებული „გონივრულობის სტანდარტი“ და ისევ „შენკის“ საქმეზე დადგინილი „აშკარა და იმჟამინდელი საფრთხის ტესტს“ დაუბრუნდა, თუმცა ასევე გამოიყენა ახალი, „რისკების ფორმულის“ სტანდარტი, რომლის მიხედვით, „ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოებმა უნდა შეაფასონ, მოსალოდნელი ბოროტების სიძიმე, მისი ალბათობის მიუხედავად, ამართლებს თუ არა გამომხატვის თავისუფლებაში იმ მასშტაბის ჩარევას, რაც აუცილებელია საფრთხის თავიდან ასაცილებლად“.<sup>141</sup> თავისი შინაარსით ეს ერთგვარი „დაბალანსების“ სტანდარტია, რაც ნიშნავს, რომ, იმ შემთხვევაში, თუ ერთ მხარესაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ბოროტების საფრთხე, სახელმწიფო უფლებამოსილია გამომხატვის უფრო ფართო კატეგორიები შეზღუდოს მაშინაც კი, თუ ამ საფრთხის ალბათობა მინიმალურია. „დენისის“ საქმეში, დენისი და მისი თანამოაზრეები გაასამართლეს დანაშაულებრივი სინდიკალიზმის აქტით ისე, რომ მათი დანაშაული მხოლოდ კომუნისტური იდეოლოგიის თაობაზე წიგნებისა და მოძღვრებების გავრცელებაში მდგომარეობდა, რასაც ისინი ჯგუფურ შეკრებებზე განიხილავდნენ. საქმის პროკურორს არ

140 *Whitney v. California*, 274 U.S. 357 (1927).

141 *Dennis v. United States*, 341 U.S. 494, 570 (1951).



გააჩნდა მტკიცებულებები, რომ კონკრეტული მემარცხენე ჯგუფი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ძალადობრივი დამხობის კონკრეტულ გეგმას განიხილავდა, არამედ მხოლოდ იმას ამტკიცებდა, რომ კომუნისტური პარტიის ფილოსოფია ზოგადად მხარს უჭერდა მთავრობის ძალადობრივ დამხობას, რის დასტურადაც კომუნისტური მოძღვრების შესახებ სტატიები, ბროშურები და წიგნები წარადგინა. სასამართლომ გაიზიარა პროკურორის პოზიცია და მიიჩნია, რომ პირველი შესწორების დარღვევას არ ჰქონდა ადგილი, რადგან, მართალია კონკრეტული დანაშაულებრივი გეგმა არ არსებობდა, თუმცა ჯგუფის წევრების მიზანი იყო შეერთებული შტატების მთავრობა დაემხოთ მაშინ, როდესაც მათ ამის შესაძლებლობა მიეცემოდათ. სასამართლომ ე. წ. „რისკების ფორმულის ტესტის“ გამოიყენებით, მიიჩნია, რომ ხელისუფლების ძალადობრივი დამხობა იმდენად დიდი ბოროტებაა, რომ გამართლებულია ადამიანების დასჯა მხოლოდ იდეოლოგიური მოძღვრების გავრცელების გამო, თუნდაც არ იყოს სახეზე კონკრეტული უკანონო ქმედების ჩადენის ალბათობა. შემდგომ საქმეში, „იეიტის შეერთებული შტატების წინააღმდეგ“,<sup>142</sup> სასამართლომ რისკების ფორმულის ტესტი დააზუსტა და მიიჩნია, რომ უნდა გაიმიჯნოს კანონსაწინააღმდეგო აბსტრაქტული დოქტრინების და იდეების სწავლება, რაც დაცულია პირველი შესწორებით, და მეორე მხრივ, კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენისკენ ნაქეზება ან ასეთი ქმედებების ადვოკატირება. სასამართლომ განმარტა, რომ დენისის შემთხვევაში მნიშვნელოვანი სიდიდის ჯგუფი იყო ჩამოყალიბებული, რომელიც თანმიმდევრულობით გამოირჩეოდა და მათი სწავლება მოქმედებაზე იყო ორიენტირებული, რის გამოც სასამართლომ არ დაადგინა პირველი შესწორების დარღვევა, ხოლო „იეიტის“ შემთხვევაში სახეზე იყო მხოლოდ აბსტრაქტული იდეების სწავლება და განხილვა, რისი კრიმინალიზებაც, მიუხედავად ამ იდეების საშიში ხასიათისა, შეუთავსებელი იყო პირველი შესწორების მიზნებთან.

1950-60-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ, აშკარა და იმჟამინდელი საფრთხის სტანდარტის გამოყენებით, არაერთხელ დაიცვა გამოხატვის თავისუფლება სახელმწიფოს მხრიდან ხელყოფისგან, ვიეტნამის ომის კონტექსტში. მაგალითად, სასამართლომ კონსტიტუციის პირველი შესწორების დარღვევად მიიჩნია ჯორჯიის შტატის საკანონმდებლო ორგანოში არჩეული პირისთვის, ჯულიან ბონდისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა შეერთებული შტატების ვიეტნამის ომში მონაწილეობისა და ამერიკელების სავალდებულო სამხედრო მობილიზა-

142 Yates v. United States, 354 U.S. 298 (1957).

ციის წინააღმდეგ გამოთქმული მწვავე კრიტიკის გამო.<sup>143</sup> ამ შემთხვევაში, „შენკისგან“ განსხვავებით, სადაც ამერიკის ჩართულობა პირველ მსოფლიო ომში განმსაზღვრელი ფაქტორი იყო გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის გასამართლებლად, უზენაესმა სასამართლომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ მიანიჭა იმ ფაქტს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და მისი სამხედრო შენაერთები კვლავ საომარ მოქმედებებში იყო ჩართული, ამჯერად ვიეტნამში.

1969 წელს კი საქმეზე „ბრანდენბურგი ოჰაიოს წინააღმდეგ“ სასამართლომ ახალი, გამოხატვის თავისუფლებაზე მეტად ორიენტირებული სტანდარტი დაადგინა, რაც დღეს მოქმედი პრეცედენტია, რომლის მიხედვითაც, მხოლოდ მაშინ შეიძლება უკანონო ქმედების ჩადენისკენ მოწოდებები დასჯადად გამოცხადდეს, თუ არსებობს კანონსწინააღმდეგო მყისიერი ქმედების ჩადენის ალბათობა და ავტორის განზრახვა, რომ მოწოდებამ უკანონო ქმედება გამოიწვიოს.

უზენაესი სასამართლოს მიდგომის ევოლუციის მიმოხილვა ისტორიულ კონტექსტში ცხადყოფს, რომ სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტისა და უზენაესი სასამართლოს შემადგენლობის ცვალებადობის გათვალისწინებით, სხვადასხვა ვითარებაში სასამართლო მეტად ან ნაკლებად იცავდა გამოხატვის თავისუფლებას და კონტექსტისა და მოსამართლეთა უმრავლესობის შეხედულებისამებრ ცვლიდა შეფასების სტანდარტებსაც.

## 2. აგრესიული გამონათქვამები

„აგრესიული გამონათქვამები“ (fighting words)<sup>144</sup> ვერბალური გამოხატვის ძალიან ვიწრო კატეგორიას მოიცავს და სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკით, პირველი შესწორებით არ არის დაცული. ესენია: ისეთი შეურაცხმყოფელი გამოთქმები, „რომელთა მხოლოდ გაჟღერებამ შეიძლება ფიზიკური ზიანი გამოიწვიოს“ ან „მყისიერად დაარღვიოს მშვიდობა“,<sup>145</sup> ასეთი შეიძლება იყო ადამიანის შეურაცხყოფა ისეთი უშვერი სალანძღავი ტერმინებით, რომელსაც ადრესატის ფიზიკური, ძალადობრივი რეაქციის პროვოცირება შეუძლია და სხვა რამე ღირებული საკომუნიკაციო შინაარ-

143 Bond v. Floyd, 385 U.S. 116 (1966).

144 ამ ტერმინის უფრო შინაარსობრივი თარგმანი იქნებოდა „ფიზიკური დაპირისპირების გამომწვევი გამონათქვამები“, თუმცა, ინგლისური ორიგინალის მსგავსად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული უფრო ლაკონური ტერმინის, „აგრესიული გამონათქვამების“ გამოყენება.

145 Chaplinsky v. New Hampshire 315. U.S 568 n. 4 (1942).

სი არ გააჩნია, ამიტომ ასეთი „აგრესიული გამონათქვამების“ სოციალურ მნიშვნელობას ყოველთვის გადანონის საზოგადოებრივი წესრიგისა და მორალის ინტერესი.<sup>146</sup>

საქმეზე „ჩაპლინსკი ნიუ ჰემფშირის წინააღმდეგ“ (1942) უზენაესმა სასამართლომ დაადგინა ე.წ. „აგრესიული გამონათქვამების“ (fighting words) დოქტრინა.<sup>147</sup> ნიუ ჰემფშირის კანონით აკრძალული იყო და ისჯებოდა პირის მიერ „ქუჩაში ან სხვა საჯარო ადგილას კანონიერად მყოფი პირის მისამართით შეურაცხმყოფელი, დამცინავი ან აბეზარი გამონათქვამების გამოყენება, „შეურაცხმყოფელი ან დამცინავი სახელის დაძახება, ხმაური ან შეძახილი მისი თანდასწრებით ან მის გასაგონად, მისი დაცინვის, შეურაცხყოფის ან გადაკიდების მიზნით, ან მისი კანონიერი ბიზნესის ან საქმიანობის განხორციელებაში ხელის შესაშლელად“.

ვოლთერ ჩაპლინსკი ქალაქ როჩესტერში, მერიის შესასვლელის მიმდებარედ, ერთ-ერთი ქუჩის სავალ ნაწილზე იეჭოვას მოძღვრების შესახებ ლიტერატურას არიგებდა და ხმამაღლა აკრიტიკებდა სხვა რელიგიების წარმომადგენლებს, რამაც გამვლელების პროტესტი გამოიწვია და მათ ქალაქის მარშალს მიმართეს აღეკვეთათ ჩაპლინსკის საქმიანობა. ჩაპლინსკიმ მასთან მისულ ქალაქის მარშალს პირიქით, ამ მოქალაქეების გაჩერება მოსთხოვა. მარშალმა ჩაპლინსკი გააფრთხილა, რომ მისი ქმედება საზოგადოებაში არეულობას იწვევდა. ადგილზე სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა მოგვიანებით, როდესაც ერთ-ერთმა პოლიციელმა ჩაპლინსკის პოლიციის განყოფილებაში გაყოლა მოსთხოვა. ამ დროს ჩაპლინსკისთან მივიდა ქალაქის მარშალიც, რომელსაც ინფორმაცია ჰქონდა მიღებული, რომ ადგილზე ვითარება დაიძაბა. ჩაპლინსკიმ ქალაქის მარშალს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „შენ ხარ ღვთისგან დაწყველილი ფაშისტი!“ და „დაწყველილი რეკეტირი!“, „მთელი ქალაქის მთავრობა დაწყველილი ფაშისტები და ფაშისტების აგენტები არიან!“<sup>148</sup> ამ სიტყვების გამო ჩაპლინსკი ნიუ ჰემფშირის კანონის დარღვევის გამო დააკავეს.

ჩაპლინსკიმ დაკავება გაასაჩივრა და, პირიქით, ითხოვდა, რომ ქალაქის მარშალს დაჰკისრებოდა პასუხისმგებლობა, რომელმაც არ შეასრულა მისი მოვალეობა, არ დაიცვა მისი გამოხატვისა და რწმენის თავისუფლება და არ აღკვეთა გამვლელების პროტესტი. უზენაესი სასამართლოს წინაშე ჩაპლინსკი დავობდა, რომ ნიუ ჰემფშირის კანონის ნორმა არაკონსტიტუციური იყო,

146 იქვე, შენიშვნა 5.

147 Chaplinsky v. New Hampshire 315. U.S 568 (1942).

148 იქვე, 570.

რადგან ზღუდავდა პირველი შესწორებით დაცულ გამოხატვისა და რწმენის თავისუფლებას და ითხოვდა, ნიუ ჰემფშირის კანონის შესაბამისი ნორმა არაკონსტიტუციურად ყოფილიყო ცნობილი, როგორც უკიდურესად ფართოდ ფორმულირებული.

უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა ჩაპლინსკის პოზიცია, თითქოს მის მიერ წარმოთქმული სიტყვები სიტყვის თავისუფლებით იყო დაცული და განაცხადა, რომ პირველი შესწორება არ იცავს „აგრესიულ გამონათქვამებს“, ანუ სიტყვებს, რომელთა „წარმოთქმა უკვე ინვესს ფიზიკური ზიანის მიყენებას ან მყისიერად შეუძლია მშვიდობის დარღვევა გამოიწვიოს“. სასამართლოს სიტყვებით, „პირველი შესწორების ტექსტისა და მისი გამოყენების სფეროს ყველაზე ფართო ინტერპრეტაციითაც კი, კარგად არის ცნობილი, რომ სიტყვის თავისუფლება ყოველთვის და ყველა შემთხვევაში არ არის აბსოლუტური. არსებობს გარკვეული ამომწურავად განსაზღვრული და ვინწროდ შემოსაზღვრული გამოხატვის კატეგორიები, რომელთა აღკვეთას და დასჯას არასდროს გამოუწვევია კონსტიტუციურ-სამართლებრივი დილემა. ასეთი გამოხატვა მოიცავს სექსუალურად ექსპლიციტურ და უხამს, ცილისმწამებლურ და შეურაცხმყოფელ გამოხატვას, ანუ „აგრესიულ გამონათქვამებს“, რომელთა მხოლოდ წარმოთქმასაც კი შეუძლია ფიზიკური ზიანის მიყენება ან მიმართულია მშვიდობის მყისიერი დარღვევის გამოწვევისკენ. კარგადაა ცნობილი, რომ ასეთი გამონათქვამები არ წარმოადგენს იდეების გამოხატვის არსებით ნაწილს და იმდენად მცირე სოციალური ღირებულებისაა ჭეშმარიტების საძიებლად, რომ ნებისმიერ სარგებელს, რომელიც მათგან შეიძლება მომდინარეობდეს, აშკარად გადაწონის საჯარო წესრიგისა და ზნეობრიობის სოციალური ინტერესი“.<sup>149</sup>

სასამართლომ დაასკვნა, რომ სადავო ნორმა უკიდურესად ფართო არ იყო, რადგან ის ყველა შეურაცხმყოფელ გამონათქვამს კი არ კრძალავდა, არამედ მხოლოდ ისეთ გამონათქვამებს ზღუდავდა, რომელთაც, შესაძლოა, ძალადობა ან მშვიდობის დარღვევა გამოეწვია.<sup>150</sup> ამ დასკვნის გასაკეთებლად უზენაესმა სასამართლომ ნიუ ჰემფშირის შტატის უმაღლესი სასამართლოს მიერ ინტერპრეტირებული ნორმის შინაარსი განიხილა და დაასკვნა, რომ შტატის სასამართლოს გადაწყვეტილებიდან აშკარა იყო, რომ „შეურაცხმყოფელი“ განსაზღვრული იყო მისი ვინწრო მნიშვნელობით. ნიუ ჰემფშირის სასამართლოს განმარტებით, „ტერმინი „შეურაცხმყოფელი“ არ უნდა იქნეს განსაზღვრული იმის მიხედვით, თუ რას მიიჩნევს ადრესატი ასეთად. არამედ,

149 იქვე.

150 იქვე, 571-572.

უნდა შემოწმდეს, ჩვეულებრივი გონებრივი განვითარების ადამიანისთვის, ეს სიტყვები გამოიწვევს თუ არა საშუალო ადრესატის მხრიდან ფიზიკურ დაპირისპირებას. [...] სადავო ნორმა, ამ ინტერპრეტაციით, მხოლოდ იმ სიტყვებს კრძალავს, რომელთა მეორე ადამიანის პირისპირ წარმოთქმაც, ადრესატის მხრიდან, უცილობლად მშვიდობის დარღვევას გამოიწვევს“.<sup>151</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ჩაპლინსკის საქმეზე სასამართლომ სიტყვის თავისუფლების დარღვევა არ დაადგინა და არც კანონის სადავო ნორმა მიიჩნია უკიდურესად ფართოდ ფორმულირებულად, ამ საქმეზე ჩამოყალიბებული „აგრესიული გამონათქვამების“ სტანდარტის გამოყენებით სასამართლომ თითქმის ყველა შემდგომ საქმეში მთელი რიგი ამკარად შეურაცხყოფელი ეპითეტების გამოყენება კონსტიტუციით დაცულ გამოსატყვევად მიიჩნია.

საქმეში „სთრიტი ნიუ იორკის წინააღმდეგ“ (1969) სასამართლომ განმარტა, რომ ძალიან იშვიათია ისეთი „აგრესიული გამონათქვამები, რომელიც „სავარაუდოა, რომ საშუალო სტატისტიკურ ადამიანს პასუხის გაცემას აიძულებს და, ამით, მშვიდობის დარღვევას გამოიწვევს“.<sup>152</sup>

შესაბამისად, სასამართლომ შტატის თუ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიღებული მთელი რიგი აკრძალვები, როგორცაა, მაგალითად, პოლიციელისადმი წინააღმდეგობა, დაუმორჩილებლობა, პოლიციის წარმომადგენლის შეურაცხყოფის გამო სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დანებსა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით უხამსი შინაარსის გამონათქვამების აკრძალვა, კონსტიტუციის პირველი შესწორების დარღვევად მიიჩნია.

ჩაპლინსკის საქმისგან განსხვავებით, „აგრესიული გამოთქმების“ ამკრძალავი შტატის კანონმდებლობის სადავო ნორმები თითქმის ყველა შემდგომ განხილულ საქმეში უკიდურესად ფართოდ ფორმულირებულად მიიჩნია სასამართლომ, რადგან ქვემდგომ სასამართლოებს, ნიუ ჰემფშირის უმაღლესი სასამართლოსგან განსხვავებით, სადავო ნორმების უფრო ვიწრო, კონსტიტუციასთან შესაბამისი ინტერპრეტაცია არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული საკუთარი სასამართლო პრაქტიკით.

მაგალითად, კონსტიტუციის დარღვევა დაადგინა უზენაესმა სასამართლომ საქმეში „ლიუისი ქალაქი ნიუ ორლეანის წინააღმდეგ“ (1974). ამ საქმეში სადავო ინციდენტი პოლიციელის მხრიდან ქალისა და მისი მეუღლის მანქანის შეჩერებას მოჰყვა.<sup>153</sup> როდესაც პოლიციის ოფიცერმა ქმარს მართვის მოწმობის

151 იქვე, 573.

152 Street v. New York, 394 U.S. 576, 592 (1969).

153 Lewis v. City of New Orleans, 415 U.S. 130, 135 (1974).

წარდგენა მოსთხოვა, ქალმა პოლიციელს უყვირა და ბრალი დასდო, რომ პოლიციას მისი შვილი ჰყავდა გატაცებული და აქამდე არ იცოდა, სად იყო ის. მან პოლიციელს მიმართა: „თქვენ, წყეულო, დედა....-ო პოლიციავ!“ „ამაზე პასუხს მოგკითხავენ და ჯარუზოსთან (ადგილობრივი პოლიციის უფროსი) გაგასაჩივრებ!“ მიუხედავად ფიზიკური წინააღმდეგობისა, ქალი დააკავეს და ბრალი წაუყენეს ორი დანაშაულისთვის: პოლიციის საქმიანობისთვის ხელის შეშლა და პოლიციელის მისამართით შეურაცხმყოფელი სიტყვების გამოყენება. მან მხოლოდ მეორე ბრალდება გაასაჩივრა. ნიუ ორლეანის ქალაქის დადგენილებით, საზოგადოებრივი წესრიგისა და მშვიდობის დარღვევად იყო მიჩნეული და სისხლის სამართლის წესით ისჯებოდა „პირის მიერ ქალაქის პოლიციის წარმომადგენლის მიმართ უკონტროლო ლანძღვა-გინება, უცენზურო ან შეურაცხმყოფელი გამონათქვამების გამოყენება მისი უფლებამოსილებების განხორციელების მომენტში“.

უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ნიუ ორლეანის ქალაქის დადგენილებიდან სულ მცირე სიტყვები „შეურაცხმყოფელი გამონათქვამები“ არ შეიძლება ჩაითვალოს გამონათქვამებად, რომლებიც „მხოლოდ მათი გაყურებით იწვევს ფიზიკურ დაზიანებას ან მონოდებულობას, რომ მშვიდობის მყისიერი დარღვევა გამოიწვიოს. ლექსიკონისეული განმარტებით, „შეურაცხმყოფელი“ ასახავს ისეთ ტერმინებს, რომელიც გადმოსცემს გულსწყრომას და მიმართულია ადამიანის შესარცხვენად. შესაბამისად, არ შემოიფარგლება მხოლოდ ისეთი ტერმინებით, რომელიც „მხოლოდ მათი გაყურებით იწვევს ფიზიკურ დაზიანებას ან მონოდებულობას, გამოიწვიოს მშვიდობის მყისიერი დარღვევა“. ამასთან, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ ლუიზიანის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში ვერ ამოიკითხა ტერმინ „შეურაცხმყოფლის“ ან აკრძალული ნორმით განსაზღვრული სხვა ტერმინების იმგვარი ვინაობა ინტერპრეტაცია, რომელიც უზენაესი სასამართლოს მიერ ჩაპლინისკის და გუდვინის საქმეებში იყო დადგენილი.

ამდენად, სასამართლოსთვის აღარ ჰქონდა სამართლებრივი მნიშვნელობა იმის გამორკვევას, ლიუისის მიერ გამოყენებული კონკრეტული ტერმინები ნიუ ორლეანის დადგენილებით აკრძალულ ქმედებას წარმოადგენდა თუ არა. ამის მიუხედავად, სადავო ნორმა იძლეოდა პირველი შესწორებით დაცული გამოხატვის დასჯის შესაძლებლობას და, შესაბამისად, ის ძალადაკარგულად გამოაცხადა. მოსამართლე ფაუერმა თანმხვედრ აზრში კიდევ უფრო დააკონკრეტა: „მოცემულ შემთხვევაში, არ არის სავარაუდო, რომ სიტყვები, რომელიც ამ შემთხვევაში იყო გამოყენებული შუახნის ქალსა და პოლიციის ოფიცერს შორის ფიზიკურ დაპირისპირებას გამოიწვევდა. ამ სიტყვებმა შესაძლოა ქალის ბრაზი და იმედგაცრუება გადმოსცეს ისე,



რომ პოლიციელისგან ფიზიკური დაპირისპირება არ გამოინვიოს. დროგორც უკვე აღვნიშნე, სათანადო წვრთნაგავლილი პოლიციის ოფიცრისგან არსებობს გონივრული მოლოდინი, რომ, საშუალო სტატისტიკური მოქალაქისგან განსხვავებით, თავშეკავების მაღალ ხარისხს გამოიჩინოს და, შესაბამისად, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ შეურაცხყოფელ გამონათქვამებს ფიზიკური ანგარიშგებით უპასუხებს. ქალაქის დადგენილების სადავო ნორმა, როგორც ის ინტერპრეტირებული იქნა ლუიზიანის უზენაესი სასამართლოს მიერ, პოლიციას თეორიულად შეუზღუდავ უფლებამოსილებას ანიჭებს დააკავოს და ბრალი წაუყენოს მოქალაქეს. ბევრი დაკავება „ერთი-ერთზე სიტუაციაში ხდება“, რომლის ერთადერთი მოწმეები პოლიციის ოფიცერი და დაკავებული არიან“. [...] „სადავო ნორმა მხოლოდ მაშინ გამოიყენება, როდესაც პოლიციას რამე სხვა უფრო მყარი საფუძველი არ გააჩნია საეჭვო პირის დასაკავებლად. ამკარაა, რომ არსებობს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა, მით უმეტეს, როდესაც სახეზეა ამ დადგენილების ასეთი ფართო ინტერპრეტაცია“.<sup>154</sup>

საქმეში „გუდინგი ვილსონის წინააღმდეგ“ (1972), სასამართლომ დაადგინა, რომ ჯორჯიის შტატის კანონი, რომელიც დასჯად სამართალდარღვევად აცხადებდა „პროვოცირების გარეშე, შეურაცხყოფელი და დამამცირებელი ტერმინებით ვინმეს მოხსენიებას ან ვისიმე მისამართით ამ ტერმინების გამოყენებას მათი ადრესატის თანდასწრებით, რაც მიმართულია, რომ მშვიდობის დარღვევა გამოინვიოს“, უკიდურესად ფართოდ იყო ფორმულირებული და მის საფუძველზე ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციის მონაწილის დაკავება კონსტიტუციის პირველი შესწორების დარღვევას წარმოადგენდა.<sup>155</sup> გუდინგი ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციის მიმდინარეობისას იქ მყოფ პოლიციელს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „თეთრო ნაბიჭვარო, მოგკლავ!“ და „ნაბიჭვარო, დაგახრჩობ!“ რის გამოც ის დააკავეს.

უზენაესმა სასამართლომ, იმის დასადგენად, ჰქონდა თუ არა ადგილი პირველი შესწორების დარღვევას, ჯორჯიის შტატის კანონით, „ფიზიკური დაპირისპირებისკენ მიმართული სიტყვების“ დოქტრინის გათვალისწინებით, დეტალურად გამოიკვლია ჯორჯიის შტატის სასამართლოების გადაწყვეტილებები სადავო ნორმის ზუსტი შინაარსის დასადგენად. უზენაესი სასამართლოს დასკვნით, შესწავლილი გადაწყვეტილებებიდან იკვეთებოდა, რომ სადავო ნორმის შინაარსი იმგვარად ჰქონდა განმარტებული ჯორჯიის სასამართლოებს ოთხ სხვა საქმეზე, რომ სასამართლოს მიერ ინტერპრეტი-

154 Lewis v. City of New Orleans, 415 U.S. 130, 135 (1974).

155 Gooding v. Wilson, 405 U.S. 518 (1972).



რეზული ნორმა იმაზე მეტად ზღუდავდა სიტყვის თავისუფლებას, ვიდრე ეს ჩაპლინსკის საქმეში დასაშვებად მიიჩნია უზენაესმა სასამართლომ. ანუ გარდა იმ „სიტყვებისა, რომლებიც პირდაპირ მიმართულია, რომ ძალადობრივი ქმედებები გამოიწვიოს იმ პირის მხრიდან, ვის მიმართაც, ინდივიდუალურად იქნა გამონათქვამი გამოყენებული“, ჯორჯიის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებით, ისეთი გამონათქვამებიც შეიძლებოდა დასჯადი გამხდარიყო, რაც არ იყო მიმართული მყისიერი ფიზიკური დაპირისპირების გამოსანევეად. მაგალითად, ჯორჯიის სააპელაციო სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია სადავო ნორმის საფუძველზე უცენზურო სიტყვების საჯარო ადგილას გამოყენება დაესაჯა ისე, რომ სახეზე არ იყო ადრესატის მხრიდან ფიზიკური დაპირისპირების დანეციების საფრთხე.

ასევე, სასამართლომ მიუთითა, რომ, შესაძლოა, კონკრეტული პირის მიმართ კანონის გამოყენება არ აღძრავდეს ფართოდ ფორმულირებული კანონის ან ბუნდოვანი კანონის კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრობლემას, მაგრამ თუ ეს კანონი სხვა პირებთან მიმართებით იძლევა ფართო ანდა განსხვავებული შინაარსით ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, პირი უფლებამოსილია კანონის კონსტიტუციურობის საკითხის განხილვა სხვა პირთა მიმართ გამოყენებული შინაარსის ნაწილში მოითხოვოს. თუ სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ თუნდაც ერთ რომელიმე შემთხვევაში კანონი უკიდურესად ფართოდ ან ბუნდოვნად იყო ფორმულირებული, მას უფლება აქვს მოითხოვოს, მის შემთხვევაზეც არ გავრცელდეს ასეთი კანონის მოქმედება, სანამ კანონის შინაარსი შესაბამისი სასამართლოს მიერ ვინაშე შინაარსით არ იქნება ფორმულირებული. ასეთ შემთხვევაში, კანონი, როგორც ასეთი, ბათილად ცხადდება. ეს გამართლებულია, რამდენადაც კანონის არსებობის გაგრძელება არსებული ფორმით, მისი შინაარსის სათანადო დავინროების გარეშე, კონსტიტუციით დაცული უფლებების დარღვევის მიზეზი შეიძლება გახდეს.<sup>156</sup>

სასამართლოს შეფასებით, „ეს მიდგომა აუცილებელია, რადგან ადამიანებმა, ვისი გამოხატვის უფლებაც კონსტიტუციით არის დაცული, შეიძლება თავი შეიკავონ თავიანთი უფლებების გამოყენებისგან სისხლისსამართლებრივი სასჯელის შიშით მაშინ, როდესაც კანონისმიერი შეზღუდვა დაცული გამოხატვის მიმართაც შეიძლება იქნეს გამოყენებული“.<sup>157</sup>

156 Coates v. City of Cincinnati, 402 U.S. 611, 619-20 (1971), ციტირებულია: Gooding v. Wilson, 405 U.S. 518, 520 (1972).

157 Gooding v. Wilson, 405 U.S. 518, 521 (1972).

საქმეზე „კოენი კალიფორნიის წინააღმდეგ“ (1971), სასამართლოს მოუწია ემსჯელა, პირველი შესწორების დაცვის მიღმა იყო თუ არა სასამართლოს შენობაში ქურთუკით გამოცხადება წარწერით: „Fuck the Draft“.<sup>158</sup> კალიფორნიის შტატი ამტკიცებდა, რომ პოლ რობერტ კოენმა წესრიგი დაარღვია, რადგან სასამართლოს შენობაში ის „შეურაცხმყოფელი, უხეში და ვულგარული“ ენით გამოხატავდა თავის პროტესტს, რისთვისაც მას შესაბამისი სისხლისსამართლებრივი სანქცია დაეკისრა.

უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა კალიფორნიის შტატის პოზიცია და დაადგინა, რომ მთავრობას არ შეუძლია აკრძალოს ან დასაჯოს სიტყვა მხოლოდ იმიტომ, რომ ის შეურაცხმყოფელი ან საკამათოა. სასამართლომ არ მიიჩნია, რომ მოცემულ სადავო ფრაზა „უხამსობა“ იყო, რადგან „როთის ტესტის“ შესაბამისად, უხამსობა აუცილებლად გულისხმობს „ეროტიკულ“ კომპონენტს, ამ შემთხვევაში კი, აშკარა იყო, რომ სექსუალური კონოტაციის ფრაზა არ გამოიყენებოდა ეროტიკული შინაარსით. ასევე, სადავო გამონათქვამი არ შეიძლებოდა შეფასებულიყო, როგორც „აგრესიული გამონათქვამი“, რადგან ის არ იყო მიმართული კონკრეტული ადრესატისკენ და იმისკენ, რომ ადრესატის მხრიდან ფიზიკური დაპირისპირება, ძალადობა გამოენვიან.

სასამართლომ მიიჩნია, რომ კოენის წარწერა მართლაც უსიამოვნო იყო, თუმცა ხაზი გაუსვა იმას, რომ მთავრობის წარმომადგენლებისთვის რთულია, ერთმანეთისგან გამიჯნონ, რა შეიძლება იყოს დასაშვები კრიტიკა და რა ვულგარულობა, რადგან ის, რაც ერთ შემთხვევაში ვულგარულია, შესაძლოა სხვა კონტექსტში გამოხატვის თავისებური, ექსპრესიული ფორმა იყოს. „ამიტომაც კონსტიტუცია გემოვნებისა და სტილის საკითხებს ინდივიდუალური მსჯელობის საგნად ტოვებს“.<sup>159</sup>

სასამართლოს განმარტებით, „შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ზოგიერთი ენობრივი გამოხატვა ორმაგ კომუნიკაციურ ფუნქციას ემსახურება: ის არა მხოლოდ იდეებს გადმოსცემს, [...] არამედ სხვაგვარად გამოუთქმელ ემოციებსაც. შეუძლებელია მტკიცება, რომ კონსტიტუცია, [...] სრულად ან გარკვეულწილად უგულებელყოფს გამოხატვის ამ ემოციურ ფუნქციას, რომელიც, პრაქტიკაში, ხშირად შესაძლოა ძირითადი შინაარსობრივი გზავნილის არსებითი ელემენტი იყოს.“<sup>160</sup> სასამართლომ მოსამართლე ფრანკფურტერის სიტყვები დაიმონმა, რომლის მიხედვით: „ამერიკის მოქალაქეების ერთ-ერთი პრეროგატივაა ადამიანების საჯარო კრიტიკა, რომელიც არა მხოლოდ

158 Cohen v. California, 403 U.S. 15 (1971).

159 იქვე, 25.

160 იქვე, 25-26.

ინფორმირებულ და პასუხისმგებლობიან კრიტიკას მოიაზრებს, არამედ „ზომიერების გარეშე საუბრის და სისულელეების თქმის თავისუფლებასაც გულისხმობს“.<sup>161</sup>

„აგრესიული გამონათქვამების“ დოქტრინა გამოიყენა სასამართლომ საქმეში „ჰიუსტონი ჰილის წინააღმდეგ“ (1987), რომელიც პოლიციის მიერ ადამიანის უფლებათა აქტივისტებისა და ჟურნალისტების თვითნებური დაკავების პრაქტიკას შეეხებოდა და ზემოთ იქნა განხილული უკიდურესად ფართოდ ფორმულირებული კანონის დოქტრინის კონტექსტში.

იმის გათვალისწინებით, რომ ამ საქმეში სადავო გამოხატვა პოლიციელის ქმედებას შეეხებოდა, სასამართლომ კიდევ ერთხელ გაიხსენა პოლიციელის თემის ვალდებულება და მოსამართლე ლიუის ფაუელის თანმხვედრი აზრი მოიშველია საქმეზე „ლიუისი ქალაქ ნიუ ორლეანის წინააღმდეგ“ (1974), სადაც მოსამართლე ლიუის ფაუელი მიიჩნევდა, რომ პოლიციელისადმი სიტყვიერი მიმართვის შეფასებისას, სასამართლომ სიტყვის თავისუფლების საგამონაკლისო შემთხვევები, რომლებიც „აგრესიული გამონათქვამების“ დოქტრინაში ექცევა და არ არის დაცული, უფრო ვიწრო შინაარსით უნდა გამოიყენოს. მისი სიტყვებით, „პოლიციელისგან, რომელსაც სათანადო წვრთნა აქვს გავლილი, გონიერი მოლოდინი არსებობს, რომ თავშეკავების უფრო მაღალი ხარისხი ექნება, ვიდრე რიგით მოქალაქეს და, შესაბამისად, ნაკლებად სავარაუდო უნდა იყოს, რომ ის კონფრონტაციულ პასუხს გასცემს ძალადობისკენ მიმართულ გამონათქვამებს“.<sup>162</sup> შესაბამისად, სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა ჰიუსტონის დადგენილების გასაჩივრებული მუხლის ის ნაწილი, რომლითაც დასჯად ქმედებად იყო მიჩნეული „რაიმე ფორმით პოლიციელთან შეწინააღმდეგება ან მისი საქმიანობისთვის ხელის შეშლა“.

საინტერესოა საქმე „ტეხასი ჯონსონის წინააღმდეგ“ (1989), რომელიც პროტესტის ნიშნად ეროვნული დროშის დანვას შეეხებოდა და უზენაესმა სასამართლომ „აგრესიული გამონათქვამების“ ჭრილშიც განიხილა. ამ საქმეზე უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ გამოხატვა არ შეესაბამებოდა „აგრესიული გამონათქვამების“ დადგენილ სტანდარტს და, შესაბამისად, შეზღუდვა კონსტიტუციის პირველ შესწორებას ეწინააღმდეგებოდა, რადგან „ფაქტის (დროშის საჯაროდ დანვის) შემსწრე ვერცერთი გონიერი მასშტაბი ვერ მიიჩნევდა, რომ ფედერალური მთავრობის პოლიტიკით უკმაყოფილების ზოგადი გამოხატვა მის მიმართ პერსონალურად იყო მიმართული ან ხელჩართულ ბრძოლაში გამოწვევა იყო“.<sup>163</sup>

161 იქვე, 26.

162 Lewis v. City of New Orleans, 415 U.S. 130, 135 (1974).

163 Texas v. Johnson, 491 U.S. 397, 409 (1989). ციტირებულია: Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 1095 (6th ed. 2019).

### 3. ცილისწამება

პირველი შესწორებით დაუცველი კიდევ ერთი კატეგორიაა პატივისა და ღირსების შემლახველი, ცილისწამებლური განცხადებები. ტრადიციულად, ამერიკის შეერთებული შტატების სამართლით, პატივისა და ღირსების შემლახვა საერთო სამართალში დამკვიდრებული პრეცედენტებით წესრიგდება. ამასთან, შტატებს და მათ სასამართლოებს ისტორიულად ფართო დისკრეცია ჰქონდათ, თავად განესაზღვრათ ცილისწამების შინაარსი და სახეები.

ისევე, როგორც გამოხატვის სხვა დაუცველი კატეგორიების შემთხვევაში, აქაც, უზენაეს სასამართლოს მოუწია თავად გაეგლო ზღვარი დაუცველ ცილისწამებასა და ლეგიტიმურ გამოხატვას შორის, რაც პრესის ზედმეტად მკაცრი სამოქალაქო-სამართლებრივი სანქციებისგან დასაცავად გახდა აუცილებელი.

ამ თვალსაზრისით პრეცედენტული მნიშვნელობის გადანყვეტილებაა „ნიუ იორკ თაიმსი“ სალივანის წინააღმდეგ“ (1964),<sup>164</sup> რომლითაც სასამართლომ პატივისა და ღირსების დაცვის ახალი სამართლებრივი რეჟიმი შექმნა და შტატების უკონტროლო დისკრეცია გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ შეზღუდა პირველი შესწორების გამოყენებით.

ამ საქმეში ალაბამას შტატის ქალაქ მონტგომერის არჩეულმა კომისარმა სალივანმა, რომელიც ადგილობრივი პოლიციის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა პატივისა და ღირსების შელახვის გამო სარჩელი შეიტანა გაზეთ „ნიუ იორკ თაიმსის“ წინააღმდეგ. საქმე ეხებოდა „ნიუ იორკ თაიმსში“ განთავსებულ ფასიან პუბლიკაციას, რომელშიც აღწერილი იყო მონტგომერის პოლიციის უკანონო ქმედებები მარტინ ლუთერ კინგის დაცვის კომიტეტისა და ადგილობრივი ახალგაზრდა აქტივისტების მიმართ, მათ შორის ახალგაზრდების დარბევა, მარტინ ლუთერ კინგის უკანონო დაკავებები. საგაზეთო წერილში მონტგომერის პოლიცია დადანაშაულებული იყო განზრახ ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში. წერილს 64 სამხრეთში ცნობილი მოღვაწე აწერდა ხელს, რომელთა უმრავლესობა შავკანიანი სასულიერო პირები იყვნენ. ალაბამას სასამართლომ დაადგინა, რომ „ნიუ იორკ თაიმსმა“ სალივანის პატივი და ღირსება შელახა და გაზეთს 500 000 დოლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურება დააკისრა სალივანის სასარგებლოდ.

უზენაესმა სასამართლომ კონსტიტუციის პირველი შესწორების დარღვევა დაადგინა და განმარტა, რომ პატივისა და ღირსების შემლახვი განცხადებები ყველა შემთხვევაში არ არის გასული პირველი შესწორების მოქმედების სფე-

164 New York Times Co. v. Sullivan, 376 U.S. 254 (1964).

როდან. სასამართლომ ერთმანეთისგან გამიჯნა ფაქტები და მოსაზრებები და მიიჩნია, რომ როდესაც საკითხი ეხება სახელმწიფო მოხელეების საქმიანობის თაობაზე ფაქტების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, საჯარო მოხელე, იმისთვის, რათა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მოიპოვოს, ვალდებულია აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებებით დაამტკიცოს გაკეთებული განცხადებების მცდარობა და განცხადების ავტორის ბოროტი განზრახვა. ბოროტი განზრახვა სახეზეა, თუ პირმა, რომელმაც პატივისა და ღირსების შემლახავი ინფორმაცია გაავრცელა, იცოდა, რომ ინფორმაცია სიცრუე იყო ან გულგრილობა გამოიჩინა და არ დაინტერესდა, განცხადებები ცრუ იყო თუ არა.

მოსამართლე ბრენანის ავტორობით დაწერილ გადაწყვეტილებაში უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, „ეს საქმე იმ პრინციპისადმი სიღრმისეული ეროვნული ერთგულების ფონზე უნდა განვიხილოთ, რომლის მიხედვითაც, საჯარო საკითხებზე დებატები დაუბრკოლებელი, მყარი და მაქსიმალურად ღია უნდა იყოს და, შესაძლოა, ის მართლაც სასტიკი, მწარე და ზოგჯერ მკვეთრ თავდასხმებს შეიცავდეს მთავრობისა და სახელმწიფოს წარმომადგენლების მიმართ“.<sup>165</sup>

სასამართლომ დაასკვნა, რომ, მართალია, პატივისა და ღირსების დაცვა მწვავე სახელმწიფო ინტერესია, გამოქვეყნებული ინფორმაციის სისწორის თაობაზე მტკიცების ტვირთის განცხადების ავტორისთვის დაკისრებას მსუსხავი ეფექტი ექნება გამოხატვის თავისუფლებისთვის, განსაკუთრებით, ისეთი დიდი ჯარიმების ფონზე, რომელიც ამ საქმეში გამოიყენა ალაბამას სასამართლომ და რაც 1000-ჯერ აღემატებოდა ცილისწამებისთვის კანონით დადგენილი ჯარიმის მაქსიმალურ ოდენობას.

შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ „პირველი შესწორება საჯარო მოხელეს უკრძალავს ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს პატივისა და ღირსების შემლახავი ცრუ განცხადებებისთვის, რომელიც მის სამსახურებრივ უფლებამოსილებას ეხება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დაამტკიცებს, რომ ეს განცხადება ბოროტი განზრახვით იყო მოტივირებული, ესე იგი, განცხადების ავტორმა იცოდა, რომ განცხადება სიმართლეს არ შეესაბამებოდა ან გულგრილობა გამოიჩინა და არ გადაამოწმა ინფორმაციის სისწორე“.<sup>166</sup>

ამ ტესტის მიხედვით, პირველი შესწორებით არ არის დაცული ისეთი ცრუ და პატივისა და ღირსების შემლახავი ფაქტების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, რომელიც საჯარო თანამდებობის პირის სამსახურებრივ

165 იქვე, 270.

166 იქვე, 279-280.

უფლებამოსილებას შეეხება, მედიას ან მესამე პირს, რომელიც ასეთ ცრუ ფაქტს ავრცელებს, სამოქალაქო ვალდებულებითი სამართლის ფარგლებში ზიანის ანაზღაურება დაეკისრება მხოლოდ მაშინ, თუ ის მოქმედებდა ბოროტი განზრახვით, ანუ იცოდა, რომ ცრუ ინფორმაციას ავრცელებდა, ან გულგრილობით არ გადაამოწმა ინფორმაციის სისწორე. მტკიცების ტვირთი, რომ გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამებოდა სიმართლეს და რომ მისი გამავრცელებელი ბოროტი განზრახვით მოქმედებდა, საჯარო მოხელეს ეკისრება და ამისთვის, ის ვალდებულია „აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებები“ წარადგინოს. მტკიცების ეს სტანდარტი აღემატება სამოქალაქო სამართალწარმოებაში დამკვიდრებული მტკიცებულებათა დამაჯერებლობის კლასიკურ სტანდარტს (**preponderance of evidence**), რომლის მიხედვით, საკმარისია 50%-ზე მეტი დამაჯერებლობით დამტკიცდეს ფაქტის არსებობა. სასამართლომ განმარტა, რომ მტკიცების სტანდარტის მოპასუხე მხარეზე დაკისრებას მსუსხხავი ეფექტი ექნებოდა პრესის, მედიის თავისუფლებაზე და მალალი ფინანსური სანქციის შიშით პირველი შესწორებისთვის აუცილებელი „თავისუფალი საარსებო სივრცე“ (**breathing space**) მოისპობოდა.<sup>167</sup>

შემდგომ საქმეებში სასამართლომ იგივე სტანდარტი გაავრცელა არაპოლიტიკურ საჯარო ფიგურებზეც, ანუ ისეთ კერძო პირებზე, რომელთაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ საზოგადოებაში, თუ გავრცელებული ცნობები საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებს შეეხება (**issues of public interest**).<sup>168</sup> ამასთან, სასამართლომ დაადგინა, რომ ბოროტი განზრახვის მტკიცების ტვირთი თანაბრად ეკისრება საჯარო მოხელეებსა და საჯარო ფიგურებს იმ საკითხებთან დაკავშირებულ ცილისმწამებლურ განცხადებების თაობაზე დავებში, რომლებიც საჯარო მნიშვნელობისაა.<sup>169</sup>

რაც შეეხება კერძო, არასაჯარო პირების პატივისა და ღირსების შელახვას, აქ სასამართლო მეტ დისკრეციას უტოვებს შტატებს, საკუთარი კანონმდებლობით დაარეგულირონ ზიანის ანაზღაურების საფუძვლები, თუმცა, უზენაესმა სასამართლომ აქაც გამიჯნა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებული და კერძო სფეროს მიკუთვნებულ თემასთან დაკავშირებული ცილისმწამებლური განცხადებები. უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტების თანახმად, „შტატებს შესაძლებლობა აქვთ კერძო პირის მიმართ საჯარო ინტერესის საკითხთან დაკავშირებული პატივისა და ღირსების შემლახავი განცხადების გამო მიყენებული ზიანის

167 იქვე, 271-72.

168 *Rosenbloom v. Metromedia, Inc.*, 403 U.S. 29 (1971).

169 იქვე.



ანაზღაურება (recovery damages) დააკისრონ მოპასუხეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსარჩელე გულგრილობის ფაქტს დაადასტურებს, ხოლო იმისთვის, რომ მოპასუხეს სავარაუდო ზიანის ანაზღაურება (presumed damages) ან მოსარჩელისთვის ფულადი ჯარიმის გადახდა დაეკისროს (punitive damages), მოსარჩელე ვალდებულია მოპასუხის „ბოროტი განზრახვის“ არსებობა დაამტკიცოს.<sup>170</sup>

უზენაესი სასამართლოს ეს გადაწყვეტილებები მიუთითებს, რომ ცილისწამების კონსტიტუციით დაუცველ გამოხატვის კატეგორიად კვალიფიცირებისთვის, მოსარჩელემ უკიდურესად მკაცრი მტკიცების სტანდარტით უნდა დაამტკიცოს გავრცელებული განცხადებების მცდარობა და ცილისმწამებლური განცხადების ავტორის ბოროტი განზრახვა.

#### 4. უხამსობა

უხამსობა პირველი შესწორებით დაუცველ გამოხატვის კატეგორიას მიეკუთვნება.<sup>171</sup> ტრადიციულად, სასამართლოს განმარტებით „უხამსობის“ კატეგორიაში შედის სექსუალურად ექსპლიციტური, ბილნი ან გარყვნილი გამოხატვა, რომელიც სექსუალური ინტერესის დაკმაყოფილებას ემსახურება. „უხამსობის“ პრობლემა შესაძლოა დადგეს, ერთი მხრივ, პორნოგრაფიული მასალის, ხოლო, მეორე მხრივ, ხელოვნების ნაწარმოებების, ნახატების, ფოტო მასალის, ჟურნალების, ფილმებისა თუ ვიდეო მასალის საჯაროდ გავრცელების კონტექსტში. პირველი შესწორებით დაცულ გამოხატვაში ჩარევა შეიძლება მოხდეს შტატების ან მუნიციპალიტეტების მიერ უხამსი პროდუქციის გავრცელების საკანონმდებლო შეზღუდვების შედეგად, ან სახელმწიფო დანესებულებების (საჯარო უნივერსიტეტები, ბიბლიოთეკები, მუნიციპალური საგამოფენო სივრცეები) მიერ ცალკეული ექსპონატის, როგორც უხამსობის, აკრძალვის შედეგად.

თუ რა შინაარსით გამოიყენებს უზენაესი სასამართლო „უხამსობის“ ცნებას, გადამწყვეტია იმის დასადგენად, რა სახის გამოხატვის შეზღუდვა და აკრძალვა დასაშვებია კონსტიტუციის შესაბამისად და სადამდეა დაცული გამომწვევი, შოკისმომგვრელი და არაპოპულარული თვალსაზრისის გამოხატვა.

170 Gertz v. Welch 418 U.S. 323 (1974); Dun & Bradstreet, Inc. v. Greenmoss Builders, Inc., 472 U.S. 749 (1985), ციტირებულია: Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 1147 (6th ed. 2019).

171 Roth v. United States, 354 U.S. 476 (1954).



უზენაესი სასამართლოს მიდგომები, ამ მხრივ, ისტორიულ-სოციალური კონტექსტის გათვალისწინებით ვითარდებოდა, თუმცა, ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, „უხამსობის“ მხოლოდ მოქმედ სტანდარტს განვიხილავთ და არ ჩავუღრმავდებით პრეცედენტული სამართლის ევოლუციას.

საქმეზე „როთი შეერთებული შტატების წინააღმდეგ“ (1954), უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ სექსუალური აქტი და „უხამსობა“ იდენტური ტერმინები არ არის და სექსუალურ აქტთან დაკავშირებული ყველა მასალა ავტომატურად არ არის უხამსობა. უზენაესი სასამართლო „უხამსობად“ განიხილავს „მასალას, რომელიც დაკავშირებულია სექსთან და მიმართულია სექსუალური ინტერესის დასაკმაყოფილებლად“.<sup>172</sup> „სექსთან დაკავშირებული მასალა მხოლოდ მაშინ მიიჩნევა „უხამსობად“, თუ ნაწარმოები, ერთიანობაში, სექსუალური ინტერესის დაკმაყოფილებას ემსახურება, ანუ ნაწარმოების დომინანტური ამოცანაა, „ავხორცი ფიქრები აღძრას მაყურებელში“.<sup>173</sup>

საქმეში „მილერი კალიფორნიის წინააღმდეგ“ (1973) უზენაესმა სასამართლომ „უხამსობის“ ამომწურავი დეფინიცია შეიმუშავა. ამ საქმეში, მილერმა, რომელიც ზრდასრულებისთვის განკუთვნილ სექსუალური შინაარსის ჟურნალებს გამოსცემდა, წინასწარი გამოწერის გარეშე, ფოსტით დააგზავნა ადგილობრივ მოსახლეობასთან თავისი ჟურნალის სარეკლამო ბუკლეტები, რომლებიც ჟურნალიდან ამონარიდებს შეიცავდა სექსუალური შინაარსის ვიზუალური მასალის სახით. ერთ-ერთი რესტორნის მფლობელმა თავის საფოსტო ყუთში ხუთი ასეთი ბუკლეტი აღმოაჩინა, როდესაც საფოსტო ყუთი არასრულწლოვან შვილთან ერთად გახსნა. მან პოლიციას საჩივრით მიმართა. კალიფორნიის შტატის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, მილერს ბრალი წაუყენეს და სასჯელიც შეუფარდეს უხამსი მასალის გავრცელებისთვის. მილერი მიიჩნევდა, რომ სექსუალური შინაარსის ჟურნალის რეკლამირების გამო მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მის სიტყვის თავისუფლებას არღვევდა.

უზენაესმა სასამართლომ საკუთარი გადაწყვეტილება დაიმონმა საქმეზე „როთი შეერთებული შტატების წინააღმდეგ“ (1954), სადაც განმარტა, რომ „სიტყვისა და პრესისთვის მინიჭებული დაცვის [კონსტიტუციური] გარანტიები იმგვარადაა ჩამოყალიბებული, რომ ხალხისთვის სასურველი პოლიტიკური და სოციალური ცვლილებების მოსატანად იდეების შეუფერხებელი გაცვლა უზრუნველყოს“.<sup>174</sup> შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ „პირველი

172 იქვე, 487.

173 იქვე.

174 Roth v. United States, 354 U.S. 484, ციტირებულია: Miller v. California, 413 U.S. 15, 34-35 (1973).

შესწორება იცავს ნაწარმოებებს, რომლებიც მთლიანობაში სერიოზული ლიტერატურული, შემოქმედებითი, პოლიტიკური ან სამეცნიერო ღირებულებისაა, იმის მიუხედავად, მთავრობის ან ხალხის უმრავლესობისთვის მისაღებია თუ არა ამ ნაწარმოებში წარმოდგენილი იდეები. თუმცა სხვა საქმეა უშუალოდ სექსუალური ქმედების საჯარო ჩვენება, რომელიც რამე სხვა მიზანს არ ემსახურება და შესაბამისი კომერციული ინტერესისთვის ხორციელდება“.<sup>175</sup>

სასამართლომ შენიშნა, რომ „დაუშვებელია იმაზე უფრო თავისუფლად იქნეს წარმოდგენილი სექსუალური აქტი და სიშიშველე ფილმებსა და საჯაროდ გამოფენილ ნახატებში, ვიდრე ნამდვილი სექსუალური აქტის ან სიშიშველის ჩვენება ან გამოფენა დასაშვები ასეთ საჯარო ადგილებში“.<sup>176</sup> სასამართლომ განმარტა, რომ „შტატებს ლეგიტიმური ინტერესი გააჩნიათ უხამსი მასალის გავრცელება ან ჩვენება აკრძალონ, როდესაც გავრცელების მეთოდი მნიშვნელოვან საფრთხეს შეიცავს, იმ მომხმარებლების გრძნობები შელახოს, რომელთაც საერთოდ არ სურთ ამ მასალის ხილვა, ან არსებობს საფრთხე, რომ ამ მასალამ არასრულწლოვან აუდიტორიამდე მიაღწიოს“.<sup>177</sup> შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ შტატებს ლეგიტიმური ინტერესი აქვთ, შეზღუდვები შემოიღონ და უხამსი მასალის საჯაროდ შეთავაზება აკრძალონ იმ ადამიანების დასაცავად, ვისაც ამ მასალის მიღების სურვილი არ გამოუხატავთ.

საქმეში „მილერი კალიფორნიის წინააღმდეგ“ (1973) სასამართლომ სამნაწილიანი ტესტი ჩამოაყალიბა, თუ როდის არის შესაძლებელი უხამსობის საკანონმდებლო შეზღუდვა, რაც დღეს მოქმედ სტანდარტს წარმოადგენს. იმისთვის, რომ კონკრეტული მასალა „უხამსად“ ჩაითვალოს და, შესაბამისად, პირველი შესწორებით დაუცველ კატეგორიად იქნეს მიჩნეული, საკმარისი არ არის ხელოვნების ნაწარმოების ნაწყვეტების ანალიზი და საჭიროა ნაწარმოები, სადავო მასალა, მთლიანობაში იქნეს განხილული და შეფასებული. მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება უხამსი მასალის აკრძალვა კონსტიტუციასთან შესაბამისად, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი სამი კრიტერიუმი: ა) „საშუალო ადამიანისთვის, რომელიც თანამედროვე საზოგადოებრივი სტანდარტებით ხელმძღვანელობს, ნაწარმოები, მთლიანობაში, სექსისადმი ინტერესის დაკმაყოფილებას ემსახურება; ბ) შტატის კანონით აკრძალული კონკრეტული სექსუალური ქმედება ნაწარმოებში „აშკარად გამომწვევი ფორმითაა“ განსახიერებული ან ნაჩვენები; გ) ნაწარმოები, მთლიანობაში, მოკლებულია სერიოზულ ლიტერატურულ, შემოქმედებით, პოლიტიკურ

175 Miller v. California, 413 U.S. 15 (1973).

176 იქვე, 26.

177 იქვე, 18-19.

და/ან სამეცნიერო ღირებულებას“. <sup>178</sup> თუკი შტატის უხამსობის ამკრძალავი კანონმდებლობის ტესტი ან შესაბამისი სასამართლოს მიერ დადგენილი შინაარსი ამგვარად არის შემოფარგლული, მაშინ ის პირველი შესწორების მიხედვით კონსტიტუციურ კონტროლს წარმატებით გაივლის და ასეთი შინაარსის მასალის საჯაროდ გავრცელების აკრძალვა კონსტიტუციის პირველი შესწორების დარღვევად არ იქნება მიჩნეული.

ამასთან, სასამართლომ შენიშნა, რომ განსახილველ საქმეში წარმოდგენილი მასალა „პორნოგრაფიის“ ტერმინს უფრო შეესაბამებოდა, ვიდრე „უხამსობის“ ინგლისურ ენაში დამკვიდრებულ, ლექსიკონისეულ განმარტებას. <sup>179</sup> ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად, სასამართლომ გადაწყვეტილებაში ჩამოთვალა უხამსობის ის მაგალითები, რომლის შეზღუდვა დასაშვებია შტატის კანონმდებლობით, კერძოდ, „ა) უშუალო სქესობრივი აქტის, იქნება ეს ნორმალური, თუ პერვერსიული, ნამდვილი თუ სიმულირებული, აშკარად გამომწვევი ფორმით განსახიერება ან ჩვენება; ბ) მასტურბაციის, ექსკრეციული ფუნქციების აშკარად გამომწვევი განსახიერება ან ჩვენება, და სქესობრივი ორგანოების უხამსი ჩვენება“. <sup>180</sup>

სასამართლოს განმარტებით, ფაქტების შეფასებისას, კერძოდ, იმის დასადგენად, ნაწარმოები „სექსისადმი ინტერესის დასაკმაყოფილებლად არის თუ არა მიმართული“ და ნაწარმოებში განსახიერებულ, გამოსახულ უხამს ქმედებას „აშკარად გამომწვევი ფორმა“ აქვს თუ არა, ადგილობრივმა ნაფიცმა მსაჯულებმა მათი ადგილობრივი თემის სტანდარტით უნდა შეაფასონ და არა, საერთო ეროვნულით, რადგან ის, რაც შესაძლოა საზოგადოებრივი სტანდარტით დასაშვები იყოს ერთ შტატში, მეორეში, შესაძლოა, აშკარად მიუღებელი იყოს. <sup>181</sup>

## 5. ბავშვთა პორნოგრაფიის აკრძალვა

უხამსობის კიდევ უფრო მეტად დაუცველი ფორმაა ბავშვთა პორნოგრაფია, რომლის აკრძალვა, სასამართლოს შეფასებით, მწვავე სახელმწიფო ინტერესს წარმოადგენს. სტანდარტული „უხამსობის“, როგორც დაუცველი გამოხატვის კატეგორიისადმი მიდგომისგან განსხვავებით, საქმეზე „ნიუ იორკი ფერბერის წინააღმდეგ“ (1982), სასამართლომ კიდევ უფრო მეტი

178 იქვე, 24.

179 იქვე, შენიშვნა 2.

180 იქვე, 25.

181 Miller v. California, 413 U.S. 15, 30-34 (1973).

თავისუფლება მინიჭა შტატის კანონმდებელს ბავშვთა პორნოგრაფიის ასაკრძალად. „ფერბერის“ საქმე შეეხებოდა მანჰეტენზე მდებარე ზრდასრულთათვის განკუთვნილ სექსუალური შინაარსის პროდუქციით მოვაჭრე ნიგნების მაღაზიას, რომლის მფლობელმა ფერბერმა ნიუ იორკის პოლიციის ფარულ აგენტს ბავშვის პორნოგრაფიის ამსახველი ვიდეო კასეტა მიჰყიდა.

ნიუ იორკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, ფერბერს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრა. სასამართლომ განმარტა, რომ უხამსობა პირველი შესწორებით დაუცველი კატეგორიაა, თუმცა ბავშვთა დაცვა სექსუალური ექსპლუატაციისგან და, შესაბამისად, ბავშვის მონაწილეობით შექმნილი პორნოგრაფიული მასალის აკრძალვა, პირველ რიგში, აუცილებელია ბავშვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. რადგან უპირატესი ამოცანა ფიზიკური ექსპლუატაციისა და ფსიქოლოგიური ტრავმისგან ბავშვის დაცვაა, რომელიც ბავშვს შეიძლება წლების განმავლობაში გაჰყვეს, მით უმეტეს, თუკი ვიდეო და გრაფიკული პროდუქცია შავ ბაზარზე ვრცელდება, პორნოგრაფიის შემცველი მასალის აკრძალვისა და კრიმინალიზების კონსტიტუციურობის შესაფასებლად გამოუსადეგარია „მილერის“ უხამსობის ტესტი. კერძოდ, ბავშვის დაცვის მიზნისთვის „მნიშვნელობა არ აქვს, „ბავშვთან დაკავშირებული სექსუალური შინაარსის ვიზუალური მასალა სერიოზული ლიტერატურული, შემოქმედებითი, თუ პოლიტიკური ღირებულებისაა“; არც ის არის მნიშვნელოვანი, „საშუალო სტატისტიკური ადამიანი, თანამედროვე საზოგადოებრივი სტანდარტების გამოყენებით, ჩათვლის თუ არა, რომ ნაწარმოები მთლიანობაში სექსუალური ინტერესის დაკმაყოფილებას ემსახურება“, აკრძალვის დასაწესებლად არც ისაა აუცილებელი, რომ „ამკარად გამომწვევი ფორმით“ ხდებოდეს სექსუალური ქმედების წარმოჩენა ან ჩვენება.<sup>182</sup> შესაბამისად, ბავშვთა პორნოგრაფია მაშინაც შეიძლება აიკრძალოს შტატის კანონმდებლობით, როდესაც „მილერის სტანდარტით“ გათვალისწინებული ეს კრიტერიუმები დაკმაყოფილებული არ არის. ამასთან, ზიანის ბუნებიდან და ბავშვის ინტერესის დაცვიდან გამომდინარე, რომლის თავიდან აცილებაც სურს კანონმდებელს, „შტატის მიერ განსაზღვრული დანაშაულის დეფინიცია შემოფარგლული უნდა იყოს მასალით, რომელშიც ვიზუალურად არის ნაჩვენები გარკვეულ ასაკზე უმცროსი ბავშვის სექსუალური ქმედება“, ხოლო შტატის კანონმდებლობით ან შესაბამისი სასამართლოს განმარტებით, „აკრძალული ბავშვთა პორნოგრაფიის შინაარსი კონკრეტულად უნდა იყოს აღწერილი და შემოფარგლული“.<sup>183</sup>

182 New York v. Ferber S, 458 U.S. 747, 762 (1982).

183 იქვე, 764.

## V. ნაკლებად დაცული გამოხატვის კატეგორიები

უზენაესმა სასამართლომ, გარდა კონსტიტუციის პირველი შესწორებით დაუცველი გამოხატვის კატეგორიებისა, კიდევ გამოყო ნაკლებად დაცული გამოხატვის კატეგორიები იმ ნიშნით, რომ ასეთი ტიპის გამოხატვა ნაკლები სოციალური ღირებულების მატარებელია ან იმ ნიშნით, რომ გამოხატვის ფორმის გათვალისწინებით, წმინდა სიტყვიერ გამოხატვასთან შედარებით, ამ ტიპის გამოხატვის მეტი რეგულირებაა დასაშვები. გამოხატვის ნაკლებად დაცული კატეგორიებია: 1) ქმედება, როგორც გამოხატვა; 2) სექსუალური გამოხატვა; 3) კომერციული გამოხატვა.

### 1. ქმედება, როგორც გამოხატვა

ამერიკის უზენაესი შტატების სასამართლო ცალკე განიხილავს არასიტყვიერ გამოხატვას, ანუ, ისეთ სიმბოლიზებულ ქმედებებს, რომელიც შინაარსობრივ ან ემოციურ გზავნილს გამოხატავს და გამოიყენება სიტყვიერ გამოხატვასთან ერთად ან დამოუკიდებლად. სიტყვიერი გამოხატვისგან განსხვავებით, სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს კონსტიტუციური კონტროლის უფრო დაბალი, საშუალო სტანდარტით შემონმდეს კომუნიკაციის არავერბალური კომპონენტის – ქმედების, როგორც გამოხატვის – შეზღუდვა.

საქმეზე „შეერთებული შტატები ო'ბრაინის წინააღმდეგ“ (1968), უზენაესმა სასამართლომ საშუალო შეფასების სტანდარტის სპეციფიკური შინაარსი განსაზღვრა არავერბალური, სიმბოლური გამოხატვისთვის, რომელიც ქმედების ფორმით ხორციელდება. ამ საქმეში, ო'ბრაინმა სამხრეთ ბოსტონში, სასამართლოს შენობასთან, ხალხის თანდასწრებით, საჯაროდ დანვა თავისი სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი მონმობა.<sup>184</sup> კონგრესის 1965 წლის „საყოველთაო სამხედრო წვრთნისა და სამხედრო სამსახურის აქტის“ თანახმად, აკრძალული იყო სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი მონმობის ნებისმიერი ფორმით განადგურება ან დაზიანება.

დოკუმენტის დანვისთანავე, ო'ბრაინი ფედერალური საგამოძიებო ბიუროს აგენტებმა დააკავეს. ო'ბრაინმა განაცხადა, რომ მან განზრახ დაარღვია კანონი, რადგან აღნიშნული ქმედებით ვიეტნამის ომში ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობას აპროტესტებდა.<sup>185</sup> სამხედრო აღრიცხვის ბარათის

184 United States v. O'Brien. 391. U.S. 367, 374 (1968).

185 იქვე, 369-372 (1968).

დანვა კი მის მრწამსსა და პროტესტს ყველაზე ზუსტად გამოხატავდა, რის უფლებასაც კონსტიტუციის პირველი შესწორება აძლევდა.

სასამართლომ გამოიკვლია, რომ კანონის თანახმად, სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი მოწმობა ყველა 18 წელს მიღწეულ მამაკაცზე გაიცემოდა. მოწმობის ფორმატი კანონით იყო განსაზღვრული და პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებს შეიცავდა, ასევე მოწმობაზე დატანილი იყო მნიშვნელოვანი ინფორმაცია სამხედრო აღრიცხვაზე მყოფის პირის ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის შესახებ.<sup>186</sup> კანონის თანახმად, აკრძალული იყო აღნიშნული დოკუმენტის სხვისთვის გადაცემა, მასზე დატანილი საიდენტიფიკაციო მონაცემების ნაშლა, მოწმობის რაიმე ფორმით შეცვლა, ფოტოს გადაღება ან სხვაგვარი კოპირება მისი გაყალბების მიზნით, ასევე აკრძალული იყო ამ დოკუმენტის რაიმე ფორმით დაზიანება, განადგურება.

ო'ბრაიანი დავობდა, რომ კანონით დადგენილი აკრძალვები არაკონსტიტუციური იყო და ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის პირველ შესწორებას, რომელიც მისი გამოხატვის თავისუფლებას იცავდა იმ შემთხვევაშიც, როცა გამოხატვას სიმბოლური ხასიათი ჰქონდა.<sup>187</sup> ო'ბრაიანი აცხადებდა, რომ გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში ექცევა ნებისმიერი ქმედება, რომელიც ადამიანის შინაგან მრწამსსა და იდეებს გამოხატავს. ამ შემთხვევაში, მისი შინაგანი სწრაფვა ომის წინააღმდეგ, ყველაზე თვალნათლივ ამ სიმბოლური ქმედებით, სამხედრო აღრიცხვის დამადასტურებელი მოწმობის განადგურებით გამოხატა.<sup>188</sup>

სასამართლომ არ გაიზიარა ო'ბრაიანის არგუმენტაცია და პირველი შესწორების დარღვევა არ დაადგინა. სასამართლომ ერთმანეთისგან გამიჯნა გამოხატვის ვერბალური ელემენტი (speech) და სხვა არავერბალური გამოხატვის ელემენტი (nonspeech) და მიიჩნია, რომ სახელმწიფოს მეტი თავისუფლება აქვს დაარეგულიროს გამოხატვის არავერბალური, ქმედითი ელემენტი.<sup>189</sup> გამოხატვის არავერბალური, ქმედითი ელემენტის კონსტიტუციურობის შესაფასებლად სასამართლომ ოთხნაწილიანი ტესტი ჩამოაყალიბა, რომელიც თავისი შინაარსით საშუალო შეფასების სტანდარტს ჰგავს. ო'ბრაიანის ტესტის თანახმად, მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვები გამოხატვის არავერბალურ, ქმედებაში გამოხატულ კომპონენტზე გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პი-

186 United States v. O'Brien. 391. U.S. 367, 372-373 (1968).

187 იქვე, 376.

188 იქვე.

189 იქვე.



რობები: 1) შეზღუდვის შემოღება ხელისუფლების ორგანოს კონსტიტუციურ უფლებამოსილებას ნარმოადგენს; 2) შეზღუდვა ხელს უწყობს მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინტერესის განხორციელებას; 3) სახელმწიფო ინტერესი არ არის დაკავშირებული გამონათვის შინაარსის შეზღუდვასთან; 4) გამონათვის თავისუფლებისთვის დაწესებული შეზღუდვა არ ხდება იმაზე მეტად, ვიდრე აუცილებელია შესაბამისი სახელმწიფო ინტერესის მისაღწევად.

სასამართლომ საქმის გარემოებები ამ კრიტერიუმების მიხედვით შეაფასა და დაასკვნა, რომ 1965 წლის აქტით დაწესებული აკრძალვები სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი მონმობის დასაცავად არ არღვევდა კონსტიტუციის პირველი შესწორებას.<sup>190</sup> სასამართლომ გაითვალისწინა, რომ სამხედრო აღრიცხვის დამადასტურებელი მონმობა მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავდა რეგისტრირებული პირის შესახებ, ის ადასტურებდა პირის მიერ კანონით დადგენილი ვალდებულების შესრულებას, ასევე შეიცავდა მფლობელისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას მისი ვალდებულებების თაობაზე, მონმობის დაზიანება, იქ დაცული მონაცემების (სახელი, გვარის, ასაკის, ფოტოსურათის) დაზიანება-გადაკეთების აკრძალვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაყალბების თავიდან აცილებას ემსახურებოდა. შესაბამისად, უზენაესი სასამართლო დაეთანხმა კონგრესის დასაბუთებას, რომ მონმობის განადგურებისა და დაზიანების აკრძალვა სხვა, გამონათვის თავისუფლების შეზღუდვისგან განსხვავებულ მნიშვნელოვან სახელმწიფო ინტერესს ემსახურებოდა და არც იმაზე მეტად ზღუდავდა ო'ბრაინის გამონათვის თავისუფლებას, რაც დასახული მიზნის მისაღწევად იყო აუცილებელი.

„ო'ბრაინის ტესტს“ სასამართლო ხშირად გამოიყენებს ექსპრესიული, გამონათვის ფუნქციის მქონე ქმედებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის დასადგენად. მაგალითად, ეს ტესტის გამოიყენა სასამართლომ საქმეში „ტეხასი ჯონსონის წინააღმდეგ“ (1989), ეროვნული დროშის დანვის აკრძალვის კონსტიტუციურობის შესაფასებლად. ამ საქმეში, გრეგორი ლი ჯონსონი, რომელმაც საპროტესტო აქციის მიმდინარეობისას ამერიკის დროშა დანვა, დააკავეს და ბრალი წაუყენეს ტეხასის კანონის დარღვევაში, რომელიც ამერიკის დროშის შეურაცხყოფას სისხლის სამართლის დანაშაულად აცხადებდა.<sup>191</sup> ჯონსონმა შტატის ქმედება გაასაჩივრა და ამტკიცებდა, რომ დაირღვა მისი პირველი შესწორების უფლება სიტყვის თავისუფლების შესახებ.

უზენაესმა სასამართლომ კონსტიტუციის დარღვევა დაადგინა და მიიჩნია, რომ „ჯონსონის მიერ დროშის დანვა იყო „საკმარისად გამსჭვალული კომუ-

190 United States v. O'Brien. 391. U.S. 367, 377 (1968).

191 Texas v. Johnson, 491 U.S. 397 (1989).



ნიკაციის ელემენტებით”, რასაც პირველი შესწორება იცავს<sup>192</sup>. სასამართლომ განმარტა, რომ ჯონსონის ქმედება ექსპრესიული შინაარსის ქმედება იყო, რომლის მიზანი პროტესტის სიმბოლური გამოხატვაა და, შესაბამისად, დაცულია პირველი შესწორებით. დროშის დანვა მოხდა საპროტესტო აქციის კულმინაციის მომენტში, რომელიც რესპუბლიკური პარტიის ეროვნული ყრილობის პარალელურად იმართებოდა და ამ ქმედებას აშკარად პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა. ჯონსონი მიუთითებდა, რომ ამერიკის დროშა დანვა რონალდ რეიგანის განმეორებით პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელებასთან დაკავშირებით, რადგან, იმ მომენტში, ეს იყო ყველაზე ძლიერი სიმბოლური გამოხატვა მისი მწვავე პროტესტის დასაფიქსირებლად.<sup>193</sup>

სასამართლოს შეფასებით, ტეხასის შტატს შეეძლო ჯონსონის ქმედება შეზღუდვა, თუ მისი მოტივი არა გამოხატვის შინაარსის, მისი გზავნილის შეზღუდვა, არამედ, სხვა, მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინტერესის დაკმაყოფილება იქნებოდა. სასამართლომ შტატის მიერ შეზღუდვის დანესება „ო’ბრაინის ტესტის“ გამოყენებით შეაფასა, რისთვისაც აუცილებელი იყო, დაედგინა, „არსებობდა თუ არა მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინტერესი და შეზღუდვის შემოღება აუცილებელი იყო თუ არა ქმედების თანმდევი შედეგების თავიდან ასაცილებლად“.<sup>194</sup> ტეხასის კანონმდებლობით, დროშის შეურაცხყოფა დანაშაულია, იმის მიუხედავად, ეს ქმედება საზოგადოებრივი წესრიგისა და მშვიდობის დარღვევას იწვევდა თუ არა და საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდანაც არ დასტურდებოდა, რომ ტეხასის შტატი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოტივით მოქმედებდა.<sup>195</sup> ჯონსონის ქმედება არც „აგრესიულ გამონათქვამად“ (fighting words) შეიძლება დაკვალიფიცირებულიყო, რადგან ის არ იყო მიმართული კონკრეტული პიროვნების წინააღმდეგ მისგან საპასუხო ფიზიკური ძალადობის გამოსაწვევად.

ო’ბრაინერის შემთხვევისგან განსხვავებით, ტეხასის შტატის წარმომადგენელმა ვერ დაასაბუთა სხვა, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისგან განსხვავებული სახელმწიფო ინტერესის არსებობა, რომლის მისაღწევადაც აუცილებელი იქნებოდა კონკრეტული ექსპრესიული ქმედების, დროშის დანვის შეზღუდვა.

იმის გათვალისწინებით, რომ ტეხასს ისედაც ჰქონდა კანონმდებლობა, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის აწესებდა პასუხის-

192 Texas v. Johnson, 491 U.S. 397, 406 (1989).

193 იქვე.

194 United States v. O’Brien, 391 U.S. 367 (1968), ციტირებულია: Texas v. Johnson, 491 U.S. 397, 406-410 (1989).

195 Texas v. Johnson, 491 U.S. 397, 398 (1989).

მგებლობას, უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ნორმა, რომელიც ეროვნული დროშის დაცვას ემსახურებოდა გამოხატვის თავისუფლებას ზღუდავდა მისი შინაარსის და არა ამ ქმედების თანმდევი შედეგების გამო, და, შესაბამისად, „ო'ბრაინის ტესტს“ ვერ აკმაყოფილებდა.<sup>196</sup>

ამავე საქმეში უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „პირველი შესწორების უმთავრესი მიზანია, მთავრობას არ მისცეს უფლება, აკრძალოს იდეის გამოხატვა მხოლოდ იმიტომ, რომ საზოგადოება თავად იდეას შეურაცხმყოფლად ან უსიამოვნოდ მიიჩნევს“.<sup>197</sup> შესაბამისად, „მთავრობას არ შეუძლია აკრძალოს გამოხატვა მხოლოდ იმიტომ, რომ მის გზავნილს არ ეთანხმება“.<sup>198</sup>

## 2. კომერციული გამოხატვა

გამონათვისის ერთ-ერთი სპეციფიკური კატეგორიაა კომერციული გამოხატვა. 1975 წლამდე, მთელ რიგ შემთხვევებში, ამერიკის უზენაესმა სასამართლომ უარი თქვა გამოხატვის ამ კატეგორიის პირველი შესწორებით დაცვაზე, რადგან მიიჩნევდა, რომ კომერციული ინტერესებით მოტივირებული გამოხატვა არ ემსახურება პირველი შესწორებით დაცული პოლიტიკური გამოხატვის დაცვას და ის თვისობრივად გასულია კონსტიტუციური დაცვის სფეროდან. მოგვიანებით, ინდუსტრიული განვითარებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბიზნესის მზარდი როლის გათვალისწინებით, სასამართლომ კომერციული გამოხატვაც პირველი შესწორებით დაცულ გამოხატვად მიიჩნია, თუმცა ის „ნაკლებად დაცულ“ კატეგორიად შეაფასა და კომერციულ გამოხატვაში ჩარევის შეფასების სპეციფიკური სტანდარტი შეიმუშავა.

საქმეზე „ბიგლოუ ვირჯინიის წინააღმდეგ“ (1975) უზენაესმა სასამართლომ პირველად დაადგინა, რომ კომერციული გამოხატვაც დაცულია პირველი შესწორებით.<sup>199</sup> ამ საქმეში სასამართლომ კონსტიტუციის პირველი შესწორების დარღვევა დაადგინა ვირჯინიის შტატის მიერ, რომელიც სისხლის სამართლის კანონმდებლობით სჯიდა აბორტის წახალისებას, მათ შორის გაზეთში აბორტის რეკლამირების ფორმით. სადავო შემთხვევა შეეხებოდა ვირჯინიის კანონმდებლობას, რომლის საფუძველზეც, სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მისცეს ადგილობრივი ყოველკვირეული გაზეთის რედა-

196 იქვე, 406-410.

197 იქვე, 414.

198 იქვე, 416.

199 Bigelow v. Virginia 421 U.S. 809 (1975).

ქტორი, რომელმაც აბორტის რეკლამა განათავსა გაზეთში. სასამართლომ აღნიშნა, რომ „მიუხედავად იმისა, რომ კომერციული გამოხატვის მთავარი დანიშნული კონკრეტული კომერციული პროდუქტის რეკლამირებაა და მას კომერციული ინტერესი აქვს, ეს არ გამოირიცხავს, რომ ასეთი გამოხატვა კონსტიტუციის პირველი შესწორებითაა დაცული“.<sup>200</sup> შესაბამისად, პირველად დაადგინა სასამართლომ, რომ კომერციული რეკლამა კონსტიტუციის პირველი შესწორებითაა დაცული სახელმწიფოს რეგულირებისგან.

უზენაესმა სასამართლომ კომერციული გამოხატვის შინაარსი უფრო დეტალურად განსაზღვრა საქმეზე „ბოლჯერი იანგსის ფარმაცევტული პროდუქტების კორპორაციის (Youngs Drug Products Corp.) წინააღმდეგ“.<sup>201</sup> სასამართლომ კომერციული გამოხატვის სამი მახასიათებელი გამოყო, რომელთა ერთობლიობაში არსებობაა საჭირო, რომ კონკრეტული გამოხატვა კომერციულად იქნეს მიჩნეული. კერძოდ, კომერციული გამოხატვა რაიმე სახის რეკლამის ფორმით ხდება, გამოხატვა კონკრეტულ კომერციულ ნაწარმს, პროდუქტს, შეეხება, და პირს, რომელიც კომერციული გამოხატვით სარგებლობს, ეკონომიკური მოტივაცია ამოძრავებს.<sup>202</sup>

უზენაესი სასამართლო კომერციული გამოხატვის დაცვის აუცილებლობას იმით ასაბუთებს, რომ თავისუფალ მენარმეობაზე დაფუძნებულ ეკონომიკურ მოდელში, ფინანსური რესურსების გადანაწილება ადამიანების მიერ ყოველდღიურად მიღებული მრავალი კერძო ეკონომიკური გადაწყვეტილებების საფუძველზე ხდება და საჯარო ინტერესს წარმოადგენს, რომ ამ გადაწყვეტილებებს ადამიანები ინფორმირებულად იღებდნენ.<sup>203</sup> სასამართლოს შეფასებით, მამინაც კი, თუკი მივიჩნევთ, რომ პირველი შესწორების დანიშნულებაა, დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანებმა მსჯელობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება შეძლონ, ეკონომიკური ტიპის გადაწყვეტილებების მისაღებად ინფორმაციის თავისუფალი გავრცელებისა და მიღების უფლებაც ამ მიზანს ემსახურება.<sup>204</sup>

კომერციულ გამოხატვაში ჩარევას სასამართლო უფრო მარტივი, საშუალო შეფასების სტანდარტის სპეციფიკური ფორმით ამოწმებს, რომელიც

200 იქვე, 818, ციტირებულია: Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 1186 (6th ed. 2019).

201 *Bolger v. Youngs Drug Products Corp.*, 463 U.S. 60 (1983).

202 იქვე, 67. ციტირებულია: Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 1190 (6th ed. 2019).

203 *Virginia State Board of Pharmacy v. Virginia Citizens Consumer Council, Inc.* 425 U.S. 748, 765 (1976), ციტირებულია: Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 1187 (6th ed. 2019).

204 იქვე.

სასამართლომ შეიმუშავა საქმეში „ცენტრალური ჰადსონის გაზისა და ელექტროენერჯის კორპორაცია“ (*Central Hudson Gas and Electricity Corp.*) საზოგადოებრივი სერვისების კომისიის წინააღმდეგ“ (1980).<sup>205</sup>

„ცენტრალური ჰადსონის გაზის“ საქმე შეეხებოდა ნიუ იორკის შტატის საზოგადოებრივი სერვისების კომისიის გადაწყვეტილებას, რომლითაც კომისიამ ნიუ იორკის შტატის მიერ დაწესებული ნორმა აღასრულა და „ცენტრალური ჰადსონის გაზისა და ელექტროენერჯის კორპორაცია“ აუკრძალა ისეთი რეკლამის გამოყენება, რაც ელექტროენერჯის მოხმარების წახალისებას ემსახურებოდა. კომისიამ ეს გადაწყვეტილება საკუთარი პოლიტიკის დოკუმენტზე მითითებით დაასაბუთა, რომლის მიხედვითაც მწირი ენერგორესურსების რეზერვის გათვალისწინებით, ენერგო მოხმარების წახალისება რეკლამირების გზით, ენერგორესურსების მოხმარებაზე მოთხოვნის შემცირებას ისახავდა მიზნად. ეს მიდგომა კორპორაციას არ დააზარალებდა და უარეს ვითარებაში არ ჩააყენებდა სხვა კონკურენტებთან შედარებით, რადგან ის მოცემულ ბაზარზე მონოპოლისტი იყო და სხვა ენერგო კომპანიებთან არ უწევდა კონკურენცია.

სასამართლომ განასხვავა კომერციული გამოხატვა სხვა ტიპის გამოხატვისგან და მიიჩნია, რომ სალი აზრი მოითხოვს, რომ ერთი და იგივე სტანდარტით არ უნდა მივუდგეთ გამოხატვის რეგულირებას ზოგადად და იმ კომერციულ სფეროში, რომელიც სახელმწიფოს მიერ არის რეგულირებული. შესაბამისად, სასამართლომ კომერციული გამოხატვის შესაფასებლად არ გამოიყენა მკაცრი სტანდარტი, რომელიც სხვა შინაარსობრივი შეზღუდვის შემთხვევებში გამოიყენება და შეზღუდვის კონსტიტუციურობის შეფასების საშუალო სტანდარტის ახალი ნაირსახეობა, ოთხნაწილიანი ტესტი ჩამოაყალიბა სპეციალურად კომერციული გამოხატვის შეზღუდვის შესაფასებლად.

კომერციული გამოხატვის შეფასების ტესტი შემდეგნაირად განმარტა სასამართლომ: „პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს გამოხატვა არის თუ არა დაცული პირველი შესწორებით. კომერციული გამოხატვის ნაწილში, იმისთვის, რომ გამოხატვა დაცულად იქნეს მიჩნეული, ის კანონიერ საქმიანობას უნდა შეეხებოდეს და არ იყოს შეცდომაში შემყვანი. შემდეგ კი უნდა განისაზღვროს, არსებობს თუ არა არსებითი სახელმწიფო ინტერესი. თუ ორივე კითხვაზე პასუხი დადებითია, უნდა შეფასდეს, შემოღებული რეგულაცია პირდაპირ ემსახურება თუ არა არსებითი სახელმწიფო ინტერესის დაკმაყოფილებას, და რეგულაცია იმაზე მეტად ხომ არ ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას, ვიდრე ეს დასახული მიზნის მისაღწევად“

205 *Central Hudson Gas & Electricity v. Public Service Commission*, 447 U.S. 557 (1980).

აუცილებელი“.<sup>206</sup> სტანდარტის ბოლო ორი კომპონენტი საშუალო ტესტის მსგავსად არის ჩამოყალიბებული. ამ სტანდარტით მტკიცების ტვირთი რეგულაციის ავტორს ეკისრება.

ამ ტესტის გამოყენებით სასამართლომ პირველი შესწორების დარღვევა დაადგინა „ცენტრალური ჰადსონის“ საქმეში, რადგან მიიჩნია, რომ სახელმწიფომ ვერ დადასტურდა, რომ არ არსებობდა დასახული არსებითი სახელმწიფო მიზნის – ელექტროენერჯის მოხმარების შემცირების – მიღწევის სხვა, გამომხატვის თავისუფლების უფრო ნაკლებად შემზღუდავი საშუალება.

„ცენტრალური ჰადსონის“ საქმეზე დადგენილი კომერციული გამოხატვის შეფასების სტანდარტი, ძალიან ჰგავს გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის შეფასების საშუალო სტანდარტს, თუმცა გარკვეულწილად განსხვავდება მისგან. პირველ რიგში, აპრიორი დაუცველ კატეგორიას მიაკუთვნებს სასამართლო კომერციული გამოხატვის იმ ნაწილს, რომელიც უკანონო საქმიანობის ან შეცდომაში შემყვან რეკლამირებას გულისხმობს. თუკი საშუალო ტესტის დროს „მნიშვნელოვან სახელმწიფო ინტერესზე“ მიუთითებს სასამართლო, აქ სახელმწიფო ინტერესი „არსებითი“ უნდა იყოს, რაც უფრო მაღალი სტანდარტია. რაც შეეხება შერჩეული საშუალების მიმართებას დასახული არსებითი სახელმწიფო ინტერესთან, საშუალო ტესტის მსგავსად, აქაც „შეზღუდვა პირდაპირ უნდა ემსახურებოდეს დასახული მიზნის მიღწევას“ და მიზნის მისაღწევად ყველაზე ნაკლებად მზღუდავი საშუალება უნდა იყოს გამოყენებული, რაც შინაარსობრივად იგივეა, რაც „ვინროდ მორგებული შეზღუდვა“.

### 3. სექსუალური გამოხატვა

სექსუალური შინაარსის გამოხატვას, რომელიც არ აკმაყოფილებს „უხამსობის“ ტესტს და არც ბავშვთა პორნოგრაფიაა, შედარებით ნაკლები სოციალური ღირებულების გამოხატვად განიხილება. ამ კატეგორიაში შედის მაგალითად, ზრდასრულებისთვის განკუთვნილ კინოთეატრების საქმიანობა, სადაც სექსუალურად ექსპლიციტური ვიდეო მასალის ჩვენება ხდება, ასევე სტრიპტიზ კლუბების საქმიანობა. სასამართლოს შეფასებით, სექსუალური გამოხატვა მთლიანად არ არის გასული პირველი შესწორების მოქმედების სფეროდან გასული, თუმცა მას ნაკლები ღირებულება გააჩნია. ეს კი იმაში გამოიხატება, რომ მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდვა შინაარსობრივია და

206 იქვე, 566.

თემატურად კრძალავს სექსუალური შინაარსის გამონატვას, მის კონსტიტუციასთან შესაბამისობას სასამართლო საშუალო სტანდარტით ამონმებს და არა მკაცრით.

სასამართლოს მიერ დამკვიდრებული მიდგომით, სექსუალური შინაარსის გამონატვისთვის საკანონმდებლო შეზღუდვების დაწესება, თუ რეგულირების მიზანია არა სექსუალური შინაარსის ვიდეო პროდუქციის აკრძალვა მისი შინაარსის გამო (რაც შინაარსობრივი რეგულირება იქნებოდა და შესაბამისად, მკაცრი ტესტით უნდა შეფასებულიყო), არამედ მიზნად ისახავს ასეთი საქმიანობის თანმხლები მეორეული უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებას, საშუალო სტანდარტით უნდა შეფასდეს.<sup>207</sup> მაგალითად, ასეთი უარყოფითი შედეგები შეიძლება იყოს დანაშაულის ზრდა ზრდასრულთათვის განკუთვნილი კინოთეატრების, სტრიპტიზ კლუბების მიმდებარე ტერიტორიაზე, უძრავი ქონების ბაზრის ფასის დაცემა, უბნების საცხოვრებელი და კომერციული ფართის ხარისხის გაუარესება. ისეთი შეზღუდვების კონსტიტუციურობა, რომლებიც ამ ტიპის დაწესებულებების საქმიანობას კრძალავს ან არეგულირებს იმ მოტივით, რომ მსგავსი გამონატვა საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის არაპოპულარული ან მიუღებელია მისი ეროტიკული შინაარსის გამო, მკაცრი შეფასების ტესტით შემონმდება.

სასამართლო სექსუალური გამონატვისთვის დაწესებული შეზღუდვების კონსტიტუციურობის შეფასებისას, საშუალო სტანდარტის ფარგლებში ამონმებს, შტატის მიერ დაწესებული რეგულაცია „არსებით სახელმწიფო ინტერესს ემსახურება თუ არა და ტოვებს თუ არა გონივრული ალტერნატიული კომუნიკაციის გზების გამოყენების შესაძლებლობას“.<sup>208</sup> სხვა სიტყვებით, ქალაქის რეგულაციით დაწესებული შეზღუდვა, რომელიც გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში ზრდასრულთა კინოთეატრის განთავსებას კრძალავს იმ მოტივით, რომ მოცემულ უბანში დანაშაულის რაოდენობა არ გაიზარდოს, არ შემცირდეს უძრავი ქონების ფასი ან არ გაუარესდეს მოცემული უბნის ცხოვრების ხარისხი, კონსტიტუციის შესაბამისად იქნება მიჩნეული, თუ რჩება ალტერნატიული ადგილები, სადაც შესაძლებელია ზრდასრულთა კინოთეატრის საქმიანობა.<sup>209</sup>

საქმეზე „რენტონი „ფლეითაიმ სიეთარს ინქორფორეიშენის“ (Playtime Theatres Inc.) წინააღმდეგ“ (1986), უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ კანონი, რომლის ტექსტი, მართალია, შინაარსობრივ შეზღუდვას აწესებს,

207 City of Renton v. Playtime Theatres, Inc., 475 U.S. 41 (1986).

208 იქვე, 46-47.

209 იქვე, 53-54.



თუმცა დასტურდება, რომ რეგულაციის შემოღების მოტივაცია შინაარსობრივად ნეიტრალური იყო, როგორც შინაარსობრივად ნეიტრალური კანონი, ისე უნდა იქნეს განხილული და შესაბამისად, საშუალო შეფასების სტანდარტით შემონმდება მისი კონსტიტუციის პირველ მუხლთან შესაბამისობა.<sup>210</sup> ეს ის კონკრეტული შემთხვევაა, როდესაც შეზღუდვის დანესება მიზნად ისახავს ბამოხატვის თანმდევი, მეორეული შედეგების თავიდან აცილებას და კავშირი არ აქვს ბამოხატვის თემატიკურ შინაარსთან.<sup>211</sup>

მოცემულ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა ქალაქ რენტონის დადგენილება, რომელიც ზრდასრულთათვის განკუთვნილი სექსუალური შინაარსის ფილმების ჩვენებას კრძალავდა გარკვეული ტიპის შენობებიდან – საცხოვრებელი ზონა, ერთეული ან მრავალი ოჯახისგან შემდგარი დასახლება, ეკლესია, პარკი, სკოლა – ერთი 1000 ფუტის რადიუსში, რაც ქალაქის ფართობის დაახლოებით 95%-ს მოიცავდა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ შეზღუდვა ზრდასრულთათვის განკუთვნილი, სექსუალური შინაარსის ფილმების ჩვენებას კრძალავდა არა მათი შინაარსის მიუღებლობის გამო, არამედ ზრდასრულთა კინოთეატრებთან დაკავშირებული დანაშაულის პრევენციის მოტივით. სასამართლომ მიიჩნია, რომ ქალაქის მიზანი ქალაქის საცხოვრებელი ხარისხის შენარჩუნება და დანაშაულის პრევენცია იყო.

ამასთან, დროის, ადგილისა და ფორმის შეზღუდვა მაშინ იქნებოდა კონსტიტუციასთან შესაბამისად მიჩნეული, თუ სახელმწიფო ბამოხატვის ალტერნატიულ შესაძლებლობას დაუტოვებდა კინოთეატრს.<sup>212</sup> ამ საქმეში პირველი შესწორების დარღვევა არ დაადგინა სასამართლომ, რამდენადაც აკრძალვა გონივრულ ალტერნატიულ შესაძლებლობას უტოვებდა Playtime Theatres-ს საქმიანობა ქალაქის კუთვნილ სხვა ტერიტორიაზე გაეგრძელებინა.

მსგავსი მიდგომა აქვს სასამართლოს სტრიპტიზ კლუბების საქმიანობას მიმართაც. მაგალითად, საქმეზე „ქალაქი ნიუპორტი იაკობურის წინააღმდეგ“ (1986), სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია შტატის მიერ შიშველი ცეკვების აკრძალვა ბარებში, რომლებიც ალკოჰოლით ვაჭრობდა.<sup>213</sup> სასამართლოს შეფასებით, რამდენადაც კონსტიტუციის 21-ე შესწორება შტატებს ალკოჰოლით ვაჭრობის რეგულირების უფლებამოსილებას ანიჭებს, ეს იმის უფლებასაც გულისხმობს, რომ შტატებმა ალკოჰოლით ვაჭრობის სალიცენზიო პირობე-

210 იქვე, 46-47.

211 იქვე, 49-50

212 იქვე, 53-54.

213 City of Newport v. Iacobucci, 479 U.S. 92 (1986).



ბით შიშველი ცეკვა აკრძალონ, თუ მიიჩნევენ, რომ ამ ორი მომსახურების ერთად შეთავაზება ქალაქის მცხოვრებლების სიმშვიდეს საფრთხეს უქმნის.

საქმეზე „ქალაქი ერი *Pap's A. M.*-ის წინააღმდეგ“ (2000), სასამართლომ შიშველი ცეკვის აკრძალვა და მოცეკვავეების მინიმალური ჩაცმულობის მოთხოვნის დაწესება დასაშვებად მიიჩნია იმ მოტივით, რომ აკრძალვის მიზანი შიშველი ცეკვის ეროტიკული გზავნილის აკრძალვა კი არ იყო, არამედ მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინტერესი უკავშირდებოდა სტრუბტიზ კლუბის საქმიანობის მეორეული შედეგების აღმოფხვრას, კერძოდ, მის მიმდებარე ტერიტორიაზე დანაშაულის რაოდენობის ზრდის რისკის შემცირებასთან.<sup>214</sup>

მეორეული უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მიზნით შეზღუდვების დაწესების გამართლება, მოსამართლეების ნაწილის აზრით, სერიოზულ რისკს შეიცავს, რომ გამოხატვის თავისუფლება მნიშვნელოვნად შეიზღუდოს. მოსამართლე ბრენანის შეფასებით, „მეორეული შედეგების“ დოქტრინა შესაძლებლობას აძლევს ხელისუფლებას მისთვის მიუღებელი პოლიტიკური შინაარსის გამოხატვაც ბუნდოვან მეორეულ შედეგებზე მითითებით შეზღუდოს, ვითომდა შინაარსობრივად ნეიტრალური ფორმით, რაც მისთვის მომგებიანია, რადგან ამგვარად მკაცრ კონტროლს დააღწევს თავს, რაც შინაარსობრივი შეზღუდვის კონსტიტუციურობის საკითხის შესაფასებლად უნდა იქნეს გამოყენებული.<sup>215</sup>

თუმცა აღსანიშნავია, რომ ზემოთმოყვანილი გადაწყვეტილებებით დადგენილი პრეცედენტების მოქმედება შემოფარგლულია კონკრეტული გამოხატვის სფეროთი. როგორც განსხვავებულ აზრში მიუთითებს მოსამართლეებმა საქმეზე „რენტონი „ფლეითაიმ სიეთარს ინქორპორეიშენის“ წინააღმდეგ (1986), „მეორეული შედეგების დოქტრინა“, რაც შინაარსობრივი შეზღუდვის შინაარსობრივად ნეიტრალურ შეზღუდვად განხილვის და საშუალო შეფასების ტესტის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა, მხოლოდ მაშინ მოქმედებს, როდესაც უშუალოდ სექსუალური შინაარსის გამოხატვას, ანუ უფრო „ნაკლებად დაცული გამოხატვის კატეგორიას“ შეეხება საქმე და ის არ უნდა გავრცელდეს სხვა შინაარსის გამოხატვაზე.<sup>216</sup>

214 *City of Erie v Pap's A. M.* 529 U.S. 277 (2000).

215 *Boos v. Berry*, 485 U.S. 485 U.S. 312, 334-335 (1988), მოსამართლე ბრენანის ნაწილობრივ თანხვედრი აზრი.

216 *City of Renton v. Playtime Theatres, Inc.*, 475 U.S. 41, 55-56 (1986), მოსამართლე ბრენანისა და მოსამართლე მარშალის განსხვავებული აზრი.

#### 4. სახელმწიფო მოხელეების გამოხატვის თავისუფლება

უზენაეს სასამართლოს არაერთ საქმეზე მოუწია სახელმწიფო სამსახურში დასაქმებული პირების გამოხატვის თავისუფლების საკითხის განხილვა.

სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტით, საჯარო მოხელეების გამოხატვის თავისუფლება ჩვეულებრივ მოქალაქეებთან შედარებით ნაკლებად არის დაცული. საჯარო მოხელე მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში არ არის დაცული პირველი შესწორებით, თუმცა საჯარო მოხელეს პირველი შესწორება იცავს სამსახურებრივ უფლებამოსილებებს მიღმა გამოთქმული პოლიტიკური შეხედულებების ან გამოთქმული მოსაზრებების გამო შევიწროებისგან.

საჯარო მოხელისთვის გამოხატვის თავისუფლების შემზღუდავი მოთხოვნების კონსტიტუციურობის შეფასებისას სასამართლო ერთმანეთისგან მიჯნავს შემთხვევებს, როდესაც საჯარო მოხელის გამოხატვა ხდება მის სამუშაო ადგილზე და სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში და, მეორე მხრივ, გამოხატვა ზოგად პოლიტიკურ ან საზოგადოებრივ საკითხებს ეხება. „პიკერინგი განათლების საბჭოს წინააღმდეგ“ (1968) საქმეში უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ პირველი შესწორება საჯარო მოხელის მხოლოდ იმ გამოხატვის თავისუფლებას იცავს, რომელსაც მოხელე გამოხატავს, როგორც მოქალაქე და საზოგადოებრივ საკითხებს შეეხება, ხოლო გამოხატვა, რომელიც მოხელის სამსახურებრივი უფლებამოსილების ნაწილია და მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ხორციელდება, პირველი შესწორებით არ არის დაცული.<sup>217</sup>

საქმე „გარსეტი სებაიოსის წინააღმდეგ“ (2006) შეეხებოდა პროკურორის გამოხატვას მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში. ლოს ანჯელესის საოლქო პროკურორის მოადგილე რიჩარდ სებაიოსი დავობდა, რომ ის ჯერ დააქვეითეს, ხოლო შემდეგ არაერთგზის შეავიწროვეს სამსახურში პირველი შესწორებით დაცული მოსაზრების გამოხატვის გამო. მას სამსახურში უარი უთხრეს დანინაურებაზე, სხვა სამუშაო ადგილას მიავლინეს და მძიმე სამუშაო პირობები შეუქმნეს, რისი მიზეზიც ხელმძღვანელობის უკმაყოფილება იყო, ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე მისი სამართლებრივი მოსაზრების დაფიქსირების გამო.

მას შემდეგ, რაც სებაიოსისთვის ცნობილი გახდა და დარწმუნდა, რომ ერთ-ერთ მიმდინარე საქმეში პოლიციელმა ცრუ ჩვენების საფუძველზე

217 Pickering v. Board of Education, 391 U.S. 563, 568 (1968). იხ. ასევე, Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 1212, 1217 (6th ed. 2019).

მოიპოვა ბრალდებულის ჩხრეკის განჩინება, მან სასამართლოსადმი შუამდგომლობა მოამზადა სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტის მოთხოვნით, რასაც მისი ხელმძღვანელობა არ დაეთანხმა და შუამდგომლობა არ წარადგინა სასამართლოში.<sup>218</sup> საქმის არსებითი განხილვის დროს, როდესაც დაცვის მხარემ საქმის წარმოების შეწყვეტის შუამდგომლობა დააყენა იგივე მოტივით, სებაიოსმა, როგორც მოწმემ, ჩვენება მისცა სასამართლოს, სადაც საკუთარი მოკვლევის შედეგები წარადგინა და ამით გაამყარა დაცვის შუამდგომლობის არგუმენტაცია საკუთარი ხელმძღვანელობის ნების საწინააღმდეგოდ.<sup>219</sup>

სებაიოსი მიიჩნევდა, რომ მისი სამსახურებრივი დევნა სასამართლოსთვის მიცემული ჩვენების გამო მოხდა, და ის არ იყო ვალდებული ხელმძღვანელობის ინსტრუქციის შესაბამისად ემოქმედა, რადგან მის მიერ სასამართლოში გაჟღერებული მოსაზრებები კონსტიტუციის პირველი შესწორებით იყო დაცული.

სასამართლო არ დაეთანხმა სებაიოსს და მიიჩნია, რომ გამოხატვა, რომელიც საჯარო მოხელის მიერ ხორციელდება საკუთარი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების პროცესში და მის სამსახურებრივ უფლებამოსილებებს შეეხება, არ არის კონსტიტუციის პირველი შესწორებით დაცული, ხოლო საჯარო მოხელის ისეთი გამოხატვა, სადაც საჯარო მოხელე საკუთარ აზრს გამოხატავს, როგორც მოქალაქე, დაცულია პირველი შესწორებით. ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც, სახელმწიფოს, როგორც დამსაქმებელს სამსახურებრივი დისციპლინის ფარგლებში უფლება აქვს გარკვეული შეზღუდვები დაუწესოს თანამშრომლებს, რომლებიც სამსახურის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფისთვისაა საჭირო.<sup>220</sup>

სასამართლომ განმარტა ისიც, რომ მნიშვნელოვანია მამხილებლების დაცვა, რომლებიც საჯარო სამსახურში უკანონობას ამხელენ, თუმცა მათ შესაბამისი კანონმდებლობა იცავს და კონსტიტუციის პირველი შესწორებით ვერ მოხდება მათი სამსახურებრივი დავების განხილვა, ან სამსახურებრივი დევნიდან დაცვა.<sup>221</sup>

უფრო ადრე განხილულ საქმეში „პიკერინგი განათლების საბჭოს წინააღმდეგ“ (1968) სასამართლომ მიიჩნია, რომ საჯარო სკოლის მასწავლებლის სამსახურისგან გათავისუფლება გაზეთში გამოქვეყნებული ღია წერილის გამო, რომელიც განათლების საბჭოს მიერ მიღებულ სასკოლო

218 Garcetti et al. v. Ceballos, 547. U.S. 410, 413 (2006).

219 იქვე, 414-415 (2006).

220 იქვე, 424-25.

221 იქვე, 426.

პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ გადანაცვებებებს აკრიტიკებდა, მასწავლებლის პირველი შესწორებით დაცულ ბამონატვის თავისუფლებას არღვევდა და არ იყო დაკავშირებული მის სამსახურებრივ უფლებამოსილებებთან.

ამ შემთხვევაში, სასამართლომ ჩათვალა, რომ მასწავლებელი საკუთარ მოსაზრებებს გამოხატავდა, როგორც მოქალაქე და მისი მიზანი საზოგადოების ინფორმირება იყო, რაც პირველი შესწორებით დაცული სიკეთეა. მიუხედავად იმისა, მასწავლებლის წერილი შეეხებოდა იმ თემებს, რომელიც მისი, როგორც მასწავლებლის საქმიანობასთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული, კრიტიკული მოსაზრებების გამოხატვით მასწავლებელს სკოლის სასწავლო პროცესის შეფერხება არ გამოუწვევია, შესაბამისად, დისციპლინის დაცვის მოტივით ვერ აიხსნებოდა მისი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა.

უზენაესი სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობას შეუძლია ჩვეულებრივ მოქალაქესთან შედარებით უფრო მეტად შეზღუდოს სახელმწიფო სამსახურში დასაქმებული პირების გამოხატვის თავისუფლება, თუ ამ შეზღუდვის მიზანი სამსახურის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფაა. თუმცა ამ შემთხვევაში, სახელმწიფომ, როგორც დამსაქმებელმა უნდა დააბალანსოს სამსახურის ეფექტური ფუნქციონირების ინტერესი და დასაქმებულის გამოხატვის თავისუფლების დაცვის ინტერესი.

სასამართლოს შეფასებით, სახელმწიფოს, უფლება აქვს დასაქმებულებს შეუზღუდოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საკითხებზე გამოხატვის თავისუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „ხელისუფლება დაამტკიცებს, რომ შეზღუდვის ინტერესი აღემატება საჯარო სამსახურში დასაქმებული პირების გამოხატვის თავისუფლების ინტერესს“.<sup>222</sup>

მტკიცების ეს სტანდარტი – ერთგვარი დაბალანსების ტესტი – უფრო დაბალია, ვიდრე მკაცრი ან საშუალო შეფასების სტანდარტი და, ხშირ შემთხვევაში, მთავრობას შესაძლებლობას ანიჭებს ადვილად დაასაბუთოს, რომ საჯარო სამსახურის ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად ან სპეციალურ რეჟიმს დაქვემდებარებულ დაწესებულებებში დისციპლინის დაცვის მოტივით, თანამშრომელთა საზოგადო საკითხებზე გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელოვანი შეზღუდვების დაწესება აუცილებელია.

222 Pickering v. Board of Education, 391 U.S. 563, 568 (1968).

## VI. სიძულვილის ენა და რასისტული გამოხატვა

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციით დაცულია თანასწორობის უფლება. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს ინტერპრეტაციის შესაბამისად, კონსტიტუციის მე-14 შესწორების თანასწორი დაცვის დებულება (**equal protection clause**) იცავს კანონის წინაშე თანასწორობას მიუხედავად რასისა, კანის ფერისა, ეთნიკური თუ ეროვნული კუთვნილებისა, სქესისა, სექსუალური ორიენტაციისა, ხოლო პირველი შესწორების სახელმწიფო რელიგიის დანესების აკრძალვის დებულება (**establishment clause**) კრძალავს რელიგიური კუთვნილების, რწმენისა და აღმსარებლობის ნიშნით დისკრიმინაციას.

ევროპული სახელმწიფოებისგან განსხვავებით, ამერიკის უზენაესი სასამართლო არ აღიარებს რასისტულ გამოხატვას და სიძულვილის ენას, როგორც კონსტიტუციით დაუცველ სპეციფიკურ გამოხატვის კატეგორიას. ამასთან, უზენაესი სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს სიძულვილის მოტივაციის, როგორც სისხლის სამართლით გათვალისწინებული დანაშაულის დამამძიმებელი გარემოების გათვალისწინებას.<sup>223</sup>

პირველი შესწორების მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, სასამართლომ სხვადასხვა პერსპექტივიდან შეიძლება განიხილოს საქმეები, რომლებიც რასის, კანის ფერის, ეთნიკური, გენდერული და სხვა ნიშნით სიძულვილის ენას ზღუდავს, ან ამ ნიშნებით უკანონო ქმედების ნაქეზებას კრძალავს. მაგალითად, საქმის გარემოებების შესაბამისად, შესაძლოა, განხილული იქნეს, გამოხატვა წარმოადგენს თუ არა მყისიერი უკანონო ქმედების ნაქეზებას, სასამართლო „ბრანდენბურგის ტესტით“ შეაფასებს, ხოლო რასისტული დამამძიმებელი სახელების გამოყენებას „აგრესიული გამონათქვამების“ თაობაზე შემუშავებული „ჩაპლინსკის ტესტით“ შეამოწმებს. სიძულვილის ენის ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც არავერბალურ, ქმედით კომპონენტს შეეხება, სასამართლო „ო'ბრაინის ტესტით“ განიხილავს, რომელიც მეტ თავისუფლებას ანიჭებს კანონმდებელს გამოხატვის თანმდევი ქმედებების დასარეგულირებლად.

საქმეზე „რ. ა. ვ. ქალაქ სენ პოლის წინააღმდეგ“ (1992)<sup>224</sup> უზენაესმა სასამართლომ სიძულვილის ენის ამკრძალავი მუნიციპალური დადგენილება „აგრესიული გამონათქვამების“ დოქტრინით განიხილა და დაადგინა, რომ თუ მხოლოდ გარკვეული ნიშნის მიხედვით სიძულვილის ენის შემცველ „აგრე-

223 *Wisconsin v. Mitchell*, 508 U.S. 476 (1993).

224 *R.A.V. v. City of St. Paul*. 505 U.S. 377 (1992).

სიულ გამონათქვამებს“ კრძალავს კანონმდებელი და არა ყველა შესაძლო ნიშნის მიხედვით სიძულვილის შემცველ გამონათქვამებს, ასეთი რეგულაციის კონსტიტუციურობა მკაცრი შეფასების ტესტით უნდა შემოწმდეს, როგორც შინაარსობრივი შეზღუდვა, მიუხედავად იმისა, რომ „აგრესიული გამონათქვამები“ გამოხატვის დაუცველი კატეგორიაა. ეს ნიშნავს იმას, რომ უკიდურესად რთულია სახელმწიფოსთვის (ფედერალურ და შტატის დონეზე) საკანონმდებლო დონეზე აკრძალოს რასისტული გამოხატვა და სიძულვილის ენა ისე, რომ კანონი კონსტიტუციასთან შესაბამისად ჩაითვალოს.

ამ საქმეში სასამართლოს თინეიჯერების, რ. ა. ვ.-ისა და სხვებისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების კონსტიტუციურობა უნდა შეეფასებინა. ახალგაზრდებმა დამტკრეული სკამის ხის ნაჭრებისგან თვითნაკეთი ჯვარი სენ პოლის შავკანიანებით დასახლებულ უბანში, ერთ-ერთი ოჯახის კერძო სახლის წინ დანვეს. ქალაქ სენ პოლის დადგენილებით დანაშაულად იყო შერაცხილი „საჯარო ადგილას ან კერძო საკუთრებაში ცეცხლმოკიდებული ჯვრის ან სვასტიკის სიმბოლოს, საგნის, დასახელების, აღწერილობის ან წარწერის განთავსება, თუ პირი აცნობიერებს ან აქვს გონივრული საფუძველი გააცნობიეროს, რომ ეს ქმედება სხვა პირებში მრისხანებას, შევიწროების განცდას ან შიშს იწვევს მათი რასის, კანის ფერის, წარმოშობის, რელიგიის, მსოფლმხედველობის ან სქესის გამო“. მინესოტის შტატის სასამართლომ ქალაქის დადგენილების სადავო ნორმის შინაარსი ვიწროდ განმარტა „აგრესიული გამონათქვამების“ დოქტრინის შესაბამისად და დაადგინა, რომ მათი შეზღუდვა არ არღვევდა პირველი შესწორებით დაცულ გამოხატვის თავისუფლებას.

უზენაესმა სასამართლომ უარყო მინესოტის სასამართლოს შეფასება და მიიჩნია, მიუხედავად იმისა, რომ „აგრესიული გამონათქვამები“ პირველი შესწორებით დაუცველ კატეგორიას წარმოადგენს, რეგულაციის კონსტიტუციურობა, რომელიც შინაარსობრივი ნიშნით განასხვავებს დაუცველი კატეგორიის შიგნით ქვე-კატეგორიებს, მკაცრი შეფასების ტესტით უნდა შემოწმდეს. მაგალითად, უხამსობის შემცველი მასალის შეზღუდვა პირველ შესწორებასთან წინააღმდეგობას არ იწვევს, თუმცა თუ მას კანონმდებელი შინაარსობრივ ქვეკატეგორიებად დაყოფს და მხოლოდ პოლიტიკური შინაარსის მქონე უხამსობას აკრძალავს და არა სხვა შინაარსის უხამსობას, ასეთი შინაარსობრივი რეგულირება მკაცრი შეფასების ტესტით უნდა შემოწმდეს.

სასამართლოს შეფასებით, სენ პოლმა ვერ დაასაბუთა, თუ რატომ იყო აუცილებელი მხოლოდ რასობრივი, რელიგიური და გენდერული ნიშნით სიძულვილის ენის შემცველი „აგრესიული გამონათქვამების“ აკრძალვა, ხოლო პოლიტიკური ან სექსუალური ორიენტაციის ნიშნით სიძულვილის ენის შემცველი გამონათქვამების აკრძალვა არ იყო აუცილებელი.



სასამართლომ მიუთითა ისიც, რომ არსებობს ორი გამონაკლისი, როდესაც გამონათვის დაუცველი კატეგორიის შიგნით შინაარსობრივი რეგულირება გამართლებული იქნება. პირველი, თუკი შინაარსის მიხედვით განსხვავებული რეგულაციის მიზანია იმ სიკეთის დაცვა, რის გამოც გამონათვა დაუცველ კატეგორიას მიეკუთვნება. მაგალითად, უხამსობის აკრძალვის მიზანია მესამე პირები, საზოგადოების ის წევრები დაიცვას არასასურველი სექსუალური შინაარსის აშკარად გამომწვევი მასალის ნახვისგან, ვისაც არ სურს ასეთი მასალის საჯარო სივრცეში ხილვა. შესაბამისად, თუკი კანონმდებელი უხამსობის კატეგორიაში განსაკუთრებით გამომწვევი სექსუალური შინაარსის გამოსახულებებს აკრძალავს და ნაკლებად ექსპლიციტურ კატეგორიებს დაუშვებს, ასეთი დიფერენციაცია მისაღები იქნება. მეორე გამონაკლისია, როდესაც გამოიყენა ხდება არა არასასურველი შინაარსის გამონათვის შესაზღუდად, არამედ გამონათვასთან დაკავშირებული, მეორეული უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად. მაგალითად, სტრიპტიზ ბარების საქმიანობის შეზღუდვა ქალაქის გარკვეულ ნაწილებში დასაშვებია, თუ შეზღუდვის მიზანია არა შიშველი ცეკვის, როგორც ეროტიკული გამონათვის აკრძალვა, არამედ კონკრეტულ ადგილას ასეთ საქმიანობასთან დაკავშირებული კრიმინალური საქმიანობის აღკვეთა ან უძრავი ქონების ღირებულების შემცირების თავიდან აცილება.

მოცემულ საქმეში ვერცერთი ასეთი საგამონაკლისო შემთხვევა ვერ დაინახა სასამართლომ. გადანყვეტილებას რამდენიმე თანმხვედრი აზრი დაურთეს მოსამართლეებმა. მოსამართლე უიითი უმრავლესობას დაეთანხმა მოცემულ შემთხვევაში მკაცრი ტესტის გამოყენების მიზანშეწონილობაში, თუმცა შიში გამოთქვა, რომ სასამართლოს გადანყვეტილებას გამონათვის თავისუფლების მეტი შეზღუდვა შეიძლება მოჰყოლოდა შედეგად, რადგან, თუ შტატები ზოგიერთი „აგრესიული გამონათქვამის“ აკრძალვას გადანყვეტდნენ მომავალში, მათ კონსტიტუციური დავისგან თავის დასაცავად „აგრესიული გამონათქვამების“ უფრო ფართო სპექტრის აკრძალვა მოუწევდათ.<sup>225</sup> მოსამართლე სტივენსის აზრით, „ქმედება, რომელიც განსაკუთრებულ რისკებს შეიცავს ან განსაკუთრებულ ზიანს იწვევს, განსაკუთრებული რეგულაციებით უნდა აიკრძალოს“ და, შესაბამისად, პრაქტიკაში, გამონათვის დაუცველი კატეგორიების შიგნით, შინაარსის მიხედვით განსხვავებული რეგულირება, ხშირ შემთხვევაში, გამართლებული იქნებოდა.<sup>226</sup>

225 R.A.V. v. City of St. Paul, 505 U.S. 377, 401 (1992), მოსამართლე უიითის თანმხვედრი აზრი, ციტირებულია: Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 1099 (6th ed. 2019).

226 R.A.V. v. City of St. Paul, 505 U.S. 377, 416 (1992), მოსამართლე სტივენსის თანმხვედრი აზრი, ციტირებულია: Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 1099 (6th ed. 2019).



„აგრესიული გამონათქვამების დოქტრინის“ ფარგლებში არაერთი კონკრეტული რასისტული გამონათქვამის განხილვა მოუწია უზენაეს სასამართლოს. გასათვალისწინებელია, რომ ისეთი რასისტული შინაარსის შეურაცხმყოფელი გამოთქმების შეზღუდვა, როგორცაა „თეთრო ნაბიჭვარო, მოგკლავ!“<sup>227</sup> და „შავო დედამ...ო ღორო!“<sup>228</sup> რომელიც პოლიციის წარმომადგენლის მისამართით იყო გამოყენებული, სასამართლომ, კონკრეტული საქმეების გარემოებების გათვალისწინებით, არ მიიჩნია პირველი შესწორების და-რღვევად, რადგან სადავო ნორმები „უკიდურესად ფართო შეზღუდვებად“ მიიჩნია. ამ საქმეებში სასამართლოს უნდა ემსჯელა, წარმოთქმული ფრაზები წარმოადგენდა თუ არა „აგრესიულ გამონათქვამებს“, რისთვისაც უნდა შეფასებულიყო კანონმდებლობით დანესებული შეზღუდვები ვინ როდ იყო თუ არა კონსტრუირებული და იმაზე მეტ გამოხატვას ხომ არ ზღუდავდა, რაც სასამართლოს მიერ დადგენილი „აგრესიული გამონათქვამების“ დოქტრინით იყო გათვალისწინებული.

სასამართლოს შეფასებით, „აგრესიული გამონათქვამების“ დოქტრინის შესაბამისად, რასისტული ნიშნით შეურაცხმყოფელი მხოლოდ ისეთი ფრაზები არ არის დაცული კონსტიტუციით, „რომელთა მხოლოდ გაყდურებამ შეიძლება ფიზიკური ზიანი გამოიწვიოს“ ან „მყისიერად დაარღვიოს მშვიდობა“.<sup>229</sup> შესაბამისად, ისეთი შინაარსობრივი შეზღუდვები, რომელსაც კანონმდებელი დაანებს რასისტული ან სიძულვილის ენის შემცველი გამოხატვის მიმართ და სცდება „აგრესიული გამონათქვამების“ ამ ვინრო კატეგორიას, მკაცრი შეფასების სტანდარტით შემოწმდება. ამასთან, დიდია რისკი, რომ დანესებული შეზღუდვები ფართოდ ფორმულირებულად ან ბუნდოვნად მიიჩნიოს სასამართლომ.

კიდევ ერთი მიდგომა ამ საკითხისადმი სიძულვილის ენის ცილისწამების კონტექსტში განხილვაა. საქმე „ბოარნე ილინოისის წინააღმდეგ“ (1952) პირველი იყო, სადაც უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ პირთა ჯგუფისკენ მიმართული რასისტული და დისკრიმინაციული გამოხატვა, პირველი შესწორებით არ არის დაცული ისევე, როგორც პატივისა და ღირსების შელახვა ცილისწამებლური განცხადებებით.<sup>230</sup> ეს პრეცედენტი დღემდე მოქმედა და სასამართლოს არცერთი შემდგომი გადაწყვეტილებით არ გაუუქმებია „ბოარნეს“ პრეცედენტი, თუმცა მაინც ბუნდოვანია, რა გავლენა

227 Gooding v. Wilson, 405 U.S. 518 (1972).

228 Brown v. Oklahoma, 408 U.S. 914 (1972).

229 Chaplinsky v. New Hampshire 315. U.S 568 (1942).

230 Beauharnais v. Illinois, 343 U.S. 250 (1952).

ექნება „სალივანის“<sup>231</sup> საქმეზე მიღებულ ცილისწამების ახალ სტანდარტს „ბოარნეს“ გადაწყვეტილებაზე.<sup>232</sup>

„ბოარნე ილინოისის წინააღმდეგ“ (1953) ილინოისის შტატის კანონის არაკონსტიტუციურობას შეეხებოდა, რომლითაც აკრძალული იყო ისეთი პუბლიკაციის დაბეჭდვა, რომელიც „მოქალაქეთა რომელიმე კლასს, მათი რასის, კანის ფერის, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის გამო წარმოაჩინდა, როგორც ამორალურ, დანაშაულებრივ, აღვირახსნილ, ან უღირს კატეგორიას და რაც ამ მოქალაქეებს სიძულვილისა და შევიწროების საფრთხის წინაშე აყენებდა, ან რასაც მშვიდობის დარღვევა ან ამბოხებები შეეძლო გამოენვია“. ილინოისმა ამ ნორმის საფუძველზე ქალაქის რამდენიმე მოქალაქე მისცა პასუხისგებაში, რომელთაც ჩიკაგოს ქალაქის მერსა და ქალაქის საბჭოს მიმართეს საჯარო წერილით, სადაც ითხოვდნენ, რომ მერიას „თეთრი უბნები დაეცვა შავკანიანების მხრიდან დაპყრობის, შემოსევისა და შევიწროებისგან“ და „ერთი მილიონ თავმოყვარე თეთრკანიანს გაერთიანებისკენ მოუწოდებდნენ“.

უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ შტატის კანონი არ არღვევდა პირველ შესწორებას, რადგან შტატებს უფლება ჰქონდათ პირთა კატეგორიების მიმართ ცილისმწამებლური გამოხატვა, საკუთარი შეხედულებებისამებრ, ისევე შეეზღუდათ, როგორც ინდივიდუალური ცილისწამება, როგორც კონსტიტუციით დაუცველი გამოხატვის კატეგორია. სასამართლომ თავის მსჯელობაში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა რასისტული და რელიგიური ნიშნით ცილისმწამებლური გამოხატვის ნეგატიურ შედეგებზე,<sup>233</sup> რაც კიდევ უფრო მეტად ამართლებდა რასისტული და რელიგიური ნიშნით ცილისმწამებლური და რეპუტაციის შემლახავი გამოხატვის შეზღუდვას.

მოგვიანებით, საქმეზე „ნიუ იორკ თაიმსი სალივანის წინააღმდეგ“ (1980)<sup>234</sup> უზენაესმა სასამართლომ ცილისწამების რეგულირების სფეროში შტატების მანამდე არსებული ფართო უფლებამოსილება მნიშვნელოვნად შეზღუდა და მეტად დაიცვა პრესისა და საზოგადოების უფლება, შეუზღუდავად მიიღონ ინფორმაცია თანამდებობის პირების შესახებ უკანონო ქმედებების შესახებ, შესაბამისად, ცილისმწამებლური განცხადებების თაობაზე დავებში მტკიცების ტვირთი იმ პირს დააკისრა, ვინც პატივისა და ღირსების შელახვას ასაჩივრებს.

231 New York Times Co. v. Sullivan, 376 U.S. 254 (1964).

232 Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 1104 (6th ed. 2019).

233 Erwin Chemerinsky, *Constitutional Law: Principles and Policies*, 1104 (6th ed. 2019).

234 New York Times Co. v. Sullivan, 376 U.S. 254 (1964).

თუკი „სალივანის“ საქმის პრეცედენტი ცილისმწამებლურ განცხადებებზე გავრცელდება, რომლებიც გარკვეული ჯგუფისადმი კუთვნილების ან სპეციფიკური მახასიათებლის ნიშნით ადამიანების ჯგუფის პატივსა და ღირსებას ლახავს, გამოდის, რომ ისედაც შევიწროებულმა ჯგუფმა უნდა დაამტკიცოს, რომ ცილისმწამებლური განცხადებები მცდარია და რომ ამ განცხადებების ავტორი ბოროტი განზრახვით მოქმედებდა. შედეგად, „სალივანის საქმის“ სტანდარტი, გამოყენებული იქნება არა პრესის თავისუფლების დასაცავად და თანამდებობის პირების უკანონო ქმედებების თაობაზე საზოგადოების ინფორმირების მიზნით, არამედ დაუცველი უმცირესობების დისკრიმინაციის, დემონიზაციისა და ჩაგვრისგან დაცვის ინტერესის საწინააღმდეგოდ ისე, რომ მეორე მხარეს არ იქნება არცერთი უფრო ღირებული ინტერესი, რაც „სალივანის“ საქმით დადგენილი მძიმე მტკიცების ტვირთის უმცირესობებზე დაკისრებას გაამართლებდა.

სასამართლოს ორი არჩევანი ექნება მომავალში განსახილველ საქმეში, რომელიც „ბოარნეს“ მსგავს გარემოებებს შეეხება, გამოიყენოს „სალივანის საქმის“ სტანდარტი, რითაც უმცირესობების ჩაგვრისა და შევიწროებისგან დაცვის ინტერესი დაზარალებული ისე, რომ მეორე მხარეს არ იარსებებს უფრო აღმატებული საჯარო ინტერესი, ან გამიჯნოს „ბოარნეს“ და „სალივანის“ შემთხვევები და „სალივანისგან“ განსხვავებული ცილისმწამების შეფასების სტანდარტი დაანსოს რასისტული და სიძულვილის ენის შემცველი ცილისმწამებლური განცხადებების მიმართ.

## VII. გამოხატვის თავისუფლება ინტერნეტში

უზენაესი სასამართლოს მიერ განხილული საქმეები, რომლებიც ინტერნეტში გამოხატვის თავისუფლებას შეეხება, სამ კატეგორიად შეიძლება დაყვით: 1) საქმეები, სადაც სასამართლომ ინტერნეტ კომუნიკაციებს მიუსადაგა პირველი შესწორების შეფასების სტანდარტები ელექტრონული კომუნიკაციის თავისებურებების გათვალისწინებით; 2) საქმეები, სადაც სასამართლომ სოციალური ქსელების როლის მნიშვნელობა აღიარა პირველი შესწორებით დაცული გამოხატვის თავისუფლების რეალიზებისთვის; 3) საქმეები, სადაც ტექნოლოგიური კომპანიებისა და მათი მომხმარებლების სამართლებრივი პასუხისმგებლობები გამიჯნა ზიანის ანაზღაურების კონტექსტში.

საქმეებზე „რენო ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა კავშირის წინააღმდეგ“ (1997)<sup>235</sup> და „ეშკროფტი ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა

235 Reno v. American Civil Liberties Union, 521 U.S. 844 (1997).

კავშირის წინააღმდეგ“ (2004)<sup>236</sup> უზენაესმა სასამართლომ ინტერნეტ სივრცეს მიუსადაგა „უხამსობის“, როგორც დაუცველი გამოხატვის ფორმისა და ბუნდოვანი და უკიდურესად ფართოდ ფორმულირებული კანონის დოქტრინები.

„რენო ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა კავშირის წინააღმდეგ“ (1997) ერთ-ერთ პირველი საქმეა, სადაც უზენაესმა სასამართლომ ინტერნეტში გამოხატვის თავისუფლება დაიცვა პირველი შესწორებით.<sup>237</sup> საქმე შეეხებოდა კონგრესის მიერ 1996 წელს მიღებულ კანონს „კომუნიკაციების ეთიკურობის აქტს“ (Communications decency Act), რომელიც დანაშაულად აცხადებდა ინტერნეტის მეშვეობით „უხამსი ან ვულგარული მასალის“ (obscene and indecent) გავრცელებას არასრულწლოვანთათვის ხელმისაწვდომი გზით, რისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებული იყო ორ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა ან 250 000 აშშ დოლარამდე უდენობით ჯარიმა. კერძოდ, კანონით აკრძალული იყო წინასწარი შეცნობით 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირისთვის „უხამსი ან ვულგარული“ გზავნილის გაგზავნა, წინასწარი შეცნობით „აშკარად შეურაცხმყოფელი“ გზავნილის გაგზავნა ან ჩვენება 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირისთვის. ამ დანაშაულებისთვის პასუხისმგებლობა არ დაეკისრებოდა პირს, თუ ის „კეთილსინდისიერად, გონივრულ, ეფექტურ და სათანადო ზომებს მიიღებდა არასრულწლოვანთათვის აკრძალულ კომუნიკაციაზე წვდომის შესაზღუდად“, ან თუკი ასაკის ვერიფიკაციის მექანიზმებს ამოქმედებდა, მაგალითად, მომხმარებელს მოსთხოვდა საბანკო ბარათის, ან ზრდასრულის საიდენტიფიკაციო ნომერს ან კოდს.

„რენოს“ საქმეში „ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა კავშირი“ ოცამდე სხვადასხვა ორგანიზაციასა და ფიზიკურ პირს წარმოადგენდა, მათ შორის ცნობილ უფლებადამცველ ორგანიზაციებს, როგორცაა Human Rights Watch, Planned Parenthood, რომლებიც ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლები, მომხმარებლები და ინტერნეტში განთავსებული მასალის ავტორები იყვნენ და მიიჩნევდნენ, რომ საკანონმდებლო აკრძალვა ბუნდოვანი და უკიდურესად ფართო იყო, რადგან ტერმინები „უხამსი და ვულგარული“ და „აშკარად შეურაცხმყოფელი“ არ იყო ზუსტად განმარტებული და ცდებოდა უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი გამოხატვის დაუცველი ფორმის, „უხამსობის“ და „ბავშვთა პორნოგრაფიის“ ცნებებს. ასევე, მოსარჩელები მიიჩნევდნენ, რომ დაწესებული აკრძალვა არ იყო დასახულ მიზანზე ვინროდ მორგებული და არ იყო მიზნის მისაღწევად ყველაზე ნაკლებად მზლუდავი საშუალება. მოპასუხე, ამერიკის შეერთებული შტატების გენერალური

236 Ashcroft v. ACLU, 542 U.S. 656 (2004).

237 Reno v. American Civil Liberties Union, 521 U.S. 844 (1997).

პროკურორი, ჯანეტ რენო და იუსტიციის დეპარტამენტი მიიჩნევენ, რომ კანონის მიზანი იყო არასრულწლოვანთა დაცვა ინტერნეტ სივრცეში მრავლად არსებული უხამსი მასალისგან, ხოლო კანონი არ იყო ბუნდოვანი, რადგან ის ამომწურავად განმარტავდა, თუ რა იყო აკრძალული.

უზენაესმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ კონგრესს მწვავე სახელმწიფო ინტერესი ჰქონდა, ინტერნეტში განთავსებულ სექსუალურად ექსპლიციტურ მასალაზე არასრულწლოვანთა წვდომა შეეზღუდა. ეს შეზღუდვა შინაარსობრივი ხასიათის იყო, რადგან მხოლოდ სექსუალურად ექსპლიციტურ მასალაზე ვრცელდებოდა და მკაცრ სისხლის-სამართლებრივ სანქციას ითვალისწინებდა. შესაბამისად, კანონი მკაცრი შეფასების ტესტით უნდა შემოწმებულიყო, რაც იმას ნიშნავს, რომ შეზღუდვა ვინროდ უნდა ყოფილიყო მორგებული დასახულ მიზანს.

უზენაესი სასამართლოს შეფასებით, კანონი ნაცვლად „ვინროდ მორგებულისა“, პირიქით, „უკიდურესად ფართო და ბუნდოვან“ შეზღუდვებს ანესებდა. კერძოდ, ბუნდოვანი იყო, რა შინაარსს ატარებდა ტერმინები „ვულგარული“ და „აშკარად შეურაცხმყოფელი“ ან რით განსხვავდებოდა „უხამსი“ და „ვულგარული“ ერთმანეთისგან. ტერმინები „ვულგარული“ და „აშკარად შეურაცხმყოფელი“ დიდი მოცულობის პორნოგრაფიული შინაარსის არმქონე მასალასაც მოიცავდა, რომელსაც მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ან სხვა ღირებულება აქვს. სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონი უკიდურესად ფართო შეზღუდვას ანესებდა, რადგან აკრძალვა მხოლოდ კომერციული გამოხატვის ან კომერციული ორგანიზაციების შეზღუდვით კი არ შემოიფარგლებოდა, არამედ ყველა არაკომერციულ ორგანიზაციას შეეხებოდა და იმ პირზეც შეიძლებოდა გავრცელებულიყო, რომელიც საკუთარ სახლში, პირადი კომპიუტერის გამოყენებით ინტერნეტში ვულგარულ ტექსტს განათავსებდა ოთახში არასრულწლოვანის ყოფნისას. სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონით დადგენილი შეზღუდვა არ იყო ვინროდ მორგებული კონგრესის ლეგიტიმურ მიზანს, არასრულწლოვნები პოტენციურად მავნე მასალებისგან დაცვა და შესაბამისად, კონსტიტუციის პირველი შესწორების დარღვევა დაადგინა.

რამდენიმე წლის შემდეგ, საქმეზე „ემპროფტი ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა კავშირის წინააღმდეგ“ (2004) სასამართლოს კვლავ მოუწია ინტერნეტში არასრულწლოვანის მავნე ზეგავლენისგან დაცვის მიზნით შემოღებული გამოხატვის შეზღუდვის საკითხის განხილვა.<sup>238</sup> ამჯერად 1998 წლის კანონი წარმოადგენდა დავის საგანს – „ონლაინ სივრცეში ბავშვის დაცვის აქტი“, (Child Online Protection Act), რომელიც 1996 წლის კანონის

238 Ashcroft v. ACLU, 542 U.S. 656 (2004).

გადამუშავების შედეგად იქნა მიღებული და რომლითაც კონგრესმა „რენოს“ საქმეზე უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გათვალისწინებით, კანონის მოქმედების ფარგლები დაავიწროვა. კერძოდ, ახალი კანონი მხოლოდ კომერციულ ვებოპერატორებს აკისრებდა სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას არასრულწლოვანებისთვის (18 წლის ასაკს მიუღწეველი პირების) ხელმისაწვდომად ინტერნეტში ისეთი მასალის განთავსების გამო, რომელიც „მთლიანობაში, საშუალო სტატისტიკური ადამიანის შეფასებით, თანამედროვე საზოგადოებრივი სტანდარტების გამოყენებით“, მიმართულია სექსუალური ინტერესის დასაკმაყოფილებლად. აქაც, ვებგვერდის ოპერატორებს პასუხისმგებლობა არ დაეკისრებოდათ იმ შემთხვევაში, თუ ასაკის ვერიფიკაციის მექანიზმების გამოყენებით არასრულწლოვანთათვის წვდომას შეზღუდავენ.

უზენაესმა სასამართლომ საქმე პროცედურული მიზეზით ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს დაუბრუნა განსახილველად, მითითებით, რომ დიდი ალბათობით, კანონი ვერ გაივლიდა კონსტიტუციურ კონტროლს, რადგან შინაარსობრივ შეზღუდვას აწესებდა და, ამიტომ, მკაცრი შეფასების ტესტი უნდა გაეკეთებინათ. აქაც, მთავრობის მიზანი საკმარისად მწვავედ მიიჩნია სასამართლომ, მაგრამ ჩათვალა, რომ კანონი სავარაუდოდ არაკონსტიტუციურად გამოცხადდებოდა, რადგან დაწესებული აკრძალვა დასახული მიზნის მისაღწევად ყველაზე ნაკლებად შემზღუდავი ალტერნატივა არ იყო.

უზენაესი სასამართლოს შეფასებით, საკანონმდებლო შეზღუდვაზე უფრო ეფექტური და ნაკლებად შემზღუდავი ალტერნატივა იქნებოდა, მშობლებს ბავშვის მონყობილობებზე ინტერნეტ ფილტრები დაეყენებინათ. სადავო აქტის მოქმედება მხოლოდ ამერიკულ ინტერნეტ ოპერატორებზე ვრცელდებოდა, ხოლო სექსუალური შინაარსის მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი ამერიკის ფარგლებს გარეთ არსებულ ვებ-გვერდებზე იყო განთავსებული, შესაბამისად, შემზღუდავი საკანონმდებლო რეჟიმი დასახულ ლეგიტიმურ მიზანს რეალურად ვერ მიაღწევდა. ფილტრების გამოყენებით არა მხოლოდ ინტერნეტში განთავსებული ნებისმიერი წარმომავლობის სექსუალურად ექსპლიციტურ მასალაზე წვდომის შეზღუდვას შეძლებდნენ მშობლები საკუთარი არასრულწლოვანი შვილებისთვის, არამედ მათი ელექტრონული ფოსტის შინაარსსაც გააკონტროლებდნენ, რაც უფრო მეტად დაიცავდა ბავშვებს ასაკისთვის შეუფერებელი ონლაინ კონტენტისგან და ნაკლებად შეზღუდავდა ინტერნეტში გამოხატვის თავისუფლებას.

სააპელაციო სასამართლომ კონსტიტუციის დარღვევა დაადგინა უზენაესი სასამართლოს მსჯელობის გათვალისწინებით და ეს გადაწყვეტილება მხარეებს აღარ გაუსაჩივრებიათ.



ბოლო წლებში უზენაესმა სასამართლომ ორი მნიშვნელოვანი საქმე განიხილა, სადაც სოციალური ქსელების, ფეისბუქისა და ტვიტერის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი გამონახტვის თავისუფლების რეალიზაციისთვის.

საქმეში „პაკინგემი ჩრდილოეთ კაროლინის წინააღმდეგ“ (2017), უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სოციალურ ქსელზე ხელმისაწვდომობა თანამედროვე სამყაროში გამოხატვის თავისუფლების განუყოფელი ნაწილია, რამდენადაც სოციალური ქსელი თანამედროვე საჯარო სივრცეს წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც ადამიანები მნიშვნელოვან ინფორმაციას იღებენ და საკუთარ მოსაზრებებს გამოხატავენ.<sup>239</sup> შესაბამისად, მწვავე სახელმწიფო ინტერესის არსებობისასაც კი, სახელმწიფოს უფლება არ აქვს სოციალური ქსელებით სარგებლობის უფლება სრულად ჩამოართვას სექსუალური ხასიათის დანაშაულისთვის ნასამართლე პირს.

ლესტერ ჯერარდ პაკინგემი ნასამართლები იყო სტუდენტობის დროს 13 წლის გოგონასთან სექსუალური ხასიათის დანაშაულისთვის. მან თავი დამნაშავედ ცნო ბავშვის მიმართ კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში. სასჯელის მოხდის შემდეგ, სამხრეთ კაროლინის შტატის კანონმდებლობის თანახმად, პაკინგემი ბავშვის წინააღმდეგ ჩადენილი სექსუალური ხასიათის დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირების რეესტრში მოხვდა. 2010 წელს, მას შემდეგ, რაც სასჯელი უკვე მოხდილი ქონდა, პაკინგემმა სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ გამოაქვეყნა პოსტი, სადაც თავის კმაყოფილებას აღწერდა, თუ როგორ გაუუქმა სასამართლომ საგზაო მოძრაობის დარღვევის გამო გამოწერილი ჯარიმა.

ჩრდილოეთ კაროლინის შტატის მიერ 2008 წელს მიღებული კანონის თანახმად, სექსუალურ დანაშაულში მსჯავრდებულ პირებს „ეკრძალებათ ისეთი კომერციული სოციალური ქსელების ვებგვერდების გამოყენება, სადაც სექსუალურ დანაშაულში მსჯავრდებულმა იცის, რომ საიტი მცირეწლოვან ბავშვებს აძლევს დარეგისტრირების ან პერსონალური ვებგვერდის შექმნისა და მართვის უფლებას“. კანონი „კომერციული სოციალური ქსელის ვებგვერდის“ ცნება მოიცავდა ისეთ სოციალურ ქსელებს, როგორცაა, „ფეისბუქი“, „ლინქდინი“, „ტვიტერი“ და სხვა.

ჩრდილოეთ კაროლინის შტატი ამ აკრძალვას იმით ხსნიდა, რომ სექსუალურ დანაშაულში ბრალდებულ პირებს შეეძლოთ, სოციალურ ქსელის მეშვეობით, არასრულწლოვან ბავშვებს დაჰკავშირებოდნენ ახალი დანაშაულის ჩადენის მიზნით.

239 Packingham v. North Carolina, 137 U.S. 1730 (2017).



პაკინგემის პოსტის ფეისბუქზე გამოქვეყნებიდან ცოტა ხანში, პროკურორის მიმართვის საფუძველზე, პირველი ინსტანციის სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო კანონით გათვალისწინებული აკრძალვის დარღვევაში, რაც სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენდა. პაკინგემმა მის წინააღმდეგ მიღებული განაჩენი გაასაჩივრა იმ მოტივით, რომ მისი პირველი შესწორებით დაცული გამოხატვის თავისუფლება შეიზღუდა.

აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ჩრდილოეთ კაროლინის კანონის მოთხოვნა არაკონსტიტუციური იყო, რადგან ის უკანონოდ ზღუდავდა კონსტიტუციის პირველი შესწორებით დაცულ სიტყვის თავისუფლებას, რაც კონსტიტუციის მე-14 შესწორების თანახმად, ჩრდილოეთ კაროლინაზეც ვრცელდებოდა.

სასამართლოს განმარტებით, დანაშაულის მსხვერპლი მცირეწლოვნების დაცვა განმეორებითი სექსუალური ძალადობისგან მწვავე სახელმწიფო ინტერესია და, აუცილებელია, შტატმა ბავშვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური კეთილდღეობა დაიცვას. სასამართლოს შეფასებით, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა შინაარსობრივად ნეიტრალური ფორმით ხდებოდა, რადგან ის გამოხატვის „დროის, ადგილის ან ფორმის“ მიხედვით შეზღუდვას აწესებდა. ჩრდილოეთ კაროლინის კანონის კონსტიტუციურობის დასადგენად კანონს საშუალო შემომგების ტესტი უნდა დაეკმაყოფილებინა, რომლის მიხედვით, შეზღუდვის შემოღება „მნიშვნელოვან სახელმწიფო ინტერესს“ უნდა ემსახურებოდეს, შეზღუდვის დაწესება აუცილებელი უნდა იყოს ამ მიზნის მისაღწევად და ტოვებდეს ალტერნატიულ გზებს გამოხატვის უფლების რეალიზაციისთვის.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სოციალურ ქსელებზე წვდომის სრულად აკრძალვა პირველი შესწორებით დაცული გამოხატვისთვის უპრეცედენტოდ ფართო შეზღუდვას აწესებდა. სასამართლოს შეფასებით, „დღეს სოციალური მედია ადამიანებისთვის იდეების გაცვლის ყველაზე მნიშვნელოვან ადგილად იქცა. [...] ჩრდილოეთ კაროლინამ ხელის ერთი მოსმის აკრძალვა წვდომა სივრცეზე, რომელიც ბევრისთვის მიმდინარე ახალი ამბების, შრომის ბაზარზე არსებული ვაკანსიების თაობაზე ინფორმაციის მიღების მთავარი წყაროა, სადაც ადამიანები, როგორც თანამედროვე საჯარო მოედანზე, საკუთარ აზრს გამოთქვამენ, სხვების მოსაზრებებს იგებენ, სხვადასხვა სფეროში დაგროვილი ცოდნის ფართო სპექტრს ეცნობიან“.<sup>240</sup> სასამართლოს სიტყვებით, „სოციალურ მედიაზე წვდომის სრულად აკრძალვა პირველი შესწორებით დაცული უფლებების ლეგიტიმური გამოყენების შესაძლებლო-

240 იქვე, 1736-1737.

ბას სპობს. მსჯავრდებულ დამნაშავეებსაც კი – და, ზოგიერთ შემთხვევაში, განსაკუთრებით მათ – შეუძლიათ ლეგიტიმური სარგებელი მიიღონ იდეების ამ სამყაროზე წვდომის მეშვეობით, მით უფრო, თუ ისინი ცდილობენ შეიცვალონ და კანონიერი, სრულყოფილი ცხოვრება წარმართონ“.<sup>241</sup>

რამდენადაც საქმე კომუნიკაციის ფორმის მიხედვით შეზღუდვას აწესებს, სასამართლომ საშუალო ტესტით იხელმძღვანელა და შეამოწმა, შეზღუდვა „ვიწროდ არის თუ არა მორგებული მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინტერესის დაცვაზე“ ანუ, სხვა სიტყვებით, „იმაზე მეტად ხომ არ ზღუდავს კონსტიტუციით დაცულ უფლებას, რაც ამ მნიშვნელოვანი მიზნის მისაღწევად აუცილებელი“.<sup>242</sup>

სასამართლომ დაადგინა, რომ ამ შემთხვევაში კანონი საშუალო სტანდარტს ვერ აკმაყოფილებდა, რადგან ის უკიდურესად ფართო აკრძალვას აწესებდა. მოცემულ შემთხვევაში კანონი პაკინგემს მხოლოდ იმას კი არ უკრძალავდა, რომ სოციალური ქსელის გამოყენებით მისი დანაშაულით დაზარალებულ არასრულწლოვანთან ან, ზოგადად, არასრულწლოვანებთან შესულიყო კონტაქტში, არამედ, საერთოდ ართმევდა მას სოციალურ მედიაში საკუთარი აზრის გამოხატვის და სოციალური ქსელის მეშვეობით მისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღების უფლებას. ჩრდილოეთ კაროლინის შტატმა კი ვერ დააკმაყოფილა მტკიცების ტვირთი, რომლის მიხედვითაც მას უნდა დაესაბუთებინა, რომ კანონით დაწესებული შეზღუდვა სექსუალური დანაშაულისთვის ნასამართლევი პირებისგან არასრულწლოვანი მსხვერპლის დაცვის მიზანზე ვიწროდ იყო მორგებული.

შესაბამისად, უზენაესმა სასამართლომ პირველი შესწორების დარღვევა დაადგინა და ჩრდილოეთ კაროლინის კანონის შესაბამისი ნორმა ძალადაკარგულად გამოაცხადა.

ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია ორი გარემოების გამო. პირველი, ამ საქმეში სასამართლომ პირველად განმარტა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია გამოხატვის თავისუფლებისთვის სოციალური ქსელები და მასზე შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა. მეორე, სასამართლომ ტრადიციული პირველი შესწორების მეთოდოლოგიას მიმართა და საშუალო შეფასების სტანდარტის მიხედვით განიხილა შტატის მიერ დაწესებული შეზღუდვა და ვერ დაინახა ინტერნეტში და კონკრეტულად სოციალურ ქსელებში გამოხატვის თავისუფლების შემზღუდავი კანონმდებლობის კონსტიტუციურობის შეფასებისთვის ახალი, განსაკუთრებული ტესტის შემუშავების საჭიროება.

241 იქვე, 1737.

242 იქვე, 1736.

მოსამართლე სამუელ ალიტომ გადანყვეტილები თანმხვედრ აზრში, რომელსაც სასამართლოს თავმჯდომარე ჯონ რობერტი და მოსამართლე კლარენს თომასიც შეუერთდენ, უკმაყოფილება გამოხატა, რომ სასამართლომ ვერ შეძლო პირველი შესწორების ცნებები დოქტრინულ დონეზე მიესადაგებინა ინტერნეტსივრცისთვის სოციალურ ქსელებთან დაკავშირებული ახალი მომეტებული საფრთხეების გათვალისწინებით.<sup>243</sup> მოსამართლე ალიტოს შეფასებით, სასამართლოს პრეცედენტული ძალის არმქონე მინიშნება – „დიქტა“<sup>244</sup> – იმაზე, რომ „კიბერსივრცე თანამედროვე საჯარო მოედანია“ უადგილო იყო, რადგან შესაძლოა ამას იმგვარი ინტერპრეტაცია მოჰყოლოდა, თითქოს შტატებს ნებისმიერი შეზღუდვის დაწესება ეკრძალებათ, მათ შორის, ისეთ ლეგიტიმურ შემთხვევაში, როდესაც შეზღუდვა მხოლოდ თინეიჯერების გაცნობის მიზნით შექმნილ სოციალურ ქსელებზე ან ვებგვერდებზე წვდომის აკრძალვით შემოიფარგლება.<sup>245</sup> ამასთან, მოსამართლე ალიტოს აზრით, შეცდომა იქნებოდა ინტერნეტის საჯარო ქუჩებთან და საზოგადოებრივ პარკებთან ავტომატური გათანაბრება, ინტერნეტ სივრცის მთელი რიგი თავისებურებების სიღრმისეული ანალიზის გარეშე. თან მაშინ, როდესაც ინტერნეტ სივრცის ანონიმურობის და ფარული კომუნიკაციის შესაძლებლობის გათვალისწინებით, მშობლებისა და საზოგადოებისთვის ჩვეულებრივ საჯარო ადგილებთან (საზოგადოებრივ პარკებთან, ქუჩებთან) შედარებით ბევრად უფრო რთულია სექსუალურ დანაშაულში მსჯავრებული პირების მხრიდან არასრულწლოვანთან ვირტუალური კონტაქტის შემთხვევების გამოვლენა და აღკვეთა.

„პაკინგემის“ საქმე მეორე ოლქის ფედერალურმა სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა 2019 წელს საქმეზე „ტრამპი კოლუმბიის უნივერსიტეტის ნათის სახელობის პირველი შესწორების ინსტიტუტის წინააღმდეგ“, <sup>246</sup> სადაც პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ტვიტერის გვერდი საჯარო ფორუმად მიიჩნია.

ფედერალური სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება ამ საქმეზე მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მან „პაკინგემის“ გადანყვეტილებაზე მითითებით, აშშ-ის პრეზიდენტის პირადი ტვიტერის გვერდი საჯარო ფორუმად მიიჩნია, სადაც გამონათვისის თავისუფლების შეზღუდვა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია დასაშვები. საქმე შეეხებოდა პრეზიდენტ დო-

243 *Packingham v. North Carolina*, 137 U.S. 1730, 1738 (2017), მოსამართლე ალიტოს, რობერტისა და თომასის თანმხვედრი აზრი.

244 პრეცედენტული ძალის არმქონე სასამართლოს მოსაზრება, რომელიც არ არის სამართლის ნაწილი და არ არის შესასრულებლად სავალდებულო ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებისთვის.

245 *Packingham v. North Carolina*, 137 U.S. 1730, 1738 (2017), მოსამართლე ალიტოს, რობერტისა და თომასის თანმხვედრი აზრი.

246 იქვე.

ნაღდ ტრამპის მიერ საკუთარ ტვიტერ ანგარიშზე – @realDonaldTrump – კომენტარის ფუნქციის დაბლოკვას ტვიტერის ხუთი მომხმარებლისთვის, რომელთაც პრეზიდენტის პოსტების კომენტარებში თავიანთი კრიტიკული შეფასებები დააფიქსირეს. კოლუმბიის უნივერსიტეტის ნაითის სახელობის პირველი შესწორების ინსტიტუტის თანამშრომლებმა ტვიტერის ხუთ დაბლოკილ მომხმარებელთან ერთად სარჩელით მიმართეს ფედერალურ სასამართლოს, სადაც დაობდნენ, რომ ტრამპმა ტვიტერზე კრიტიკული კომენტარების წაშლით და მათი ავტორებისთვის კომენტარების ფუნქციის დაბლოკვით კონსტიტუციის პირველი შესწორება დაარღვია არა მხოლოდ ამ პირების, არამედ ტვიტერის სხვა მომხმარებლების მიმართაც, რომელთაც პრეზიდენტის პოსტებთან დაკავშირებით განსხვავებული, კრიტიკული მოსაზრებების თაობაზე ინფორმაციის მიღების უფლება შეეზღუდათ.

სარჩელის ავტორები პაკინგემის საქმეზე დაყრდნობით აცხადებდნენ, რომ დონალდ ტრამპის ტვიტერის გვერდი მთავრობის მიერ განსაზღვრულ საჯარო ფორუმს წარმოადგენდა (**designated public forum**), სადაც ტვიტერის მომხმარებლებს კომენტარის დატოვების უფლება შეეზღუდათ არა უხამსობის გამო (რაც არ არის კონსტიტუციით დაცული), არამედ კომენტარებში გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებების შინაარსის გამო.

პრეზიდენტის ადვოკატების განცხადებით, ტვიტერის გვერდი კერძო პირის, დონალდ ტრამპის პირადი გვერდი იყო, რომლითაც ის პრეზიდენტად არჩევამდეც სარგებლობდა, პრეზიდენტი საკუთარ ანგარიშს გამოიყენებდა, როგორც კერძო პირი და არ მოქმედებდა, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელი და მას უფლება ჰქონდა, განესაზღვრა, ვის ექნებოდა კომენტარის გაკეთების უფლება თავის კერძო გვერდზე. ამასთან, პრეზიდენტმა მხოლოდ საკუთარ გვერდზე კომენტარის დატოვების ფუნქცია შეუზღუდა კონკრეტულ მომხმარებლებს, თუმცა მათ უფლება ჰქონდათ თავიანთი კრიტიკული მოსაზრებები კვლავ გამოეხატათ საჯაროდ ტვიტერის მეშვეობით საკუთარ გვერდებზე.

მეორე ოლქის (ნიუ იორკის) ფედერალურმა სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ როდესაც პრეზიდენტი ტვიტერს გამოიყენებს იმ თემების განსახილველად, რომელიც მის სამსახურს უკავშირდება და ეს გვერდი საჯაროა, ის ამით ტვიტერის გვერდს საჯარო ფორუმის ფუნქციას ანიჭებს და მთავრობის მიერ განსაზღვრულ საჯარო ფორუმად (**designated public forum**) აქცევს. შესაბამისად, ასეთ გვერდზე გამოქვეყნებული პოსტების ქვეშ არსებული კომენტარების სივრცეც საჯარო ფორუმია და პრეზიდენტი, როგორც მთავრობის წარმომადგენელი, არ არის უფლებამოსილი ტვიტერის მომხმარებლების გამოხატვის თავისუფლება, ანუ კომენტარების დატო-

ვების უფლება შეზღუდოს მხოლოდ იმიტომ, რომ კომენტარის ავტორის კრიტიკულ თვალსაზრისს არ ეთანხმება. მსგავსი შინაარსობრივი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ მკაცრი ტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ანუ თუ არსებობს მწვავე სახელმწიფო ინტერესი და თუ შეზღუდვის დაწესება აუცილებელია და ვინაოდაა მორგებული ამ მიზანზე, ანუ იმაზე მეტად არ ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას, ვიდრე მიზნის მისაღწევადაა საჭირო. მოცემულ შემთხვევაში პირველი შესწორების დარღვევა დაადგინა სააპელაციო სასამართლომ, რადგან ასეთი მწვავე სახელმწიფო ინტერესის არსებობა ვერ დაასაბუთა მოპასუხემ.

მას შემდეგ, რაც ამ საქმისგან დამოუკიდებელი მიზეზით, ტვიტერმა დონალდ ტრამპის ანგარიში საერთოდ გააუქმა საკუთარ პლატფორმაზე, ხოლო დონალდ ტრამპის ნაცვლად ჯოზეფ ბაიდენი იქნა არჩეული ახალ პრეზიდენტად, უზენაესმა სასამართლომ იგივე საქმე შეცვლილი სახელით, „ბაიდენი კოლუმბიის უნივერსიტეტის ნაითის პირველი შესწორების ინსტიტუტის წინააღმდეგ“ (2021) უკან დაუბრუნა მეორე ოლქის სააპელაციო სასამართლოს ინსტრუქციით, შეენყვიტა სამართალწარმოება პროცედურული მოტივით, დავის საგნის არარსებობის გამო.<sup>247</sup> მიუხედავად იმისა, რომ უზენაესი სასამართლოს ეს გადაწყვეტილება წმინდად პროცედურული ხასიათისა იყო და სულ ერთი წინადადებით შემოიფარგლა, მოსამართლე კლარენს თომასმა თანმხვედრ აზრში განავითარა საგულისხმო მოსაზრება, რომელმაც შესაძლოა ინტერნეტში გამოხატვის თავისუფლების რეგულირებასთან დაკავშირებულ მომავალ გადაწყვეტილებებზეც იქონიოს გავლენა.

მოსამართლე თომასი თანმხვედრ აზრში აღნიშნავს, რომ, მართალია, ტრამპის ტვიტერის ანგარიში გარკვეული აზრით ჰგავდა საჯარო ფორუმს, უზენაეს სასამართლოს მეტი სიფრთხილე მართებდა ამ საკითხზე მსჯელობისას ციფრული პლატფორმების კომპლექსურობის გათვალისწინებით.<sup>248</sup> მოსამართლე თომასი არ დაეთანხმა მეორე ოლქის სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ ტვიტერის ანგარიშის კომენტარების ველი საჯარო ფორუმია, რადგან სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკით, საჯარო ფორუმის დამახასიათებელი კომპონენტია ის, რომ კონკრეტული სივრცე „მთავრობის კონტროლქვეშაა“. მოცემულ შემთხვევაში კი ტრამპს არ ჰქონდა საკუთარ ანგარიშზე სრული კონტროლი. მართალია ტრამპს ჰქონდა შესაძლებლობა კომენტარების გაკეთების უფლება შეეზღუდა მომხმარებლებისთვის, მაგრამ მისი ეს უფლებამოსილება ფრიად უმნიშვნელო იყო

247 ახალი პრეზიდენტის არჩევის შედეგად საქმის დასახელებაც შეიცვალა.

248 *Biden v. Knight First Amendment Institute at Columbia Univ.* 141 S.Ct. 1220 (2021).

ტვიტერის ძალაუფლებასთან შედარებით, რომელმაც ტრამპის ანგარიში გააუქმა და სრულიად დაუბლოკა მას ამ ვირტუალურ სივრცეზე წვდომა. მოსამართლის სიტყვებით, „დღეს ციფრული პლატფორმები ისტორიულად უპრეცედენტოდ დიდი მოცულობის გამოხატვის საშუალებადაა ქცეული, მათ შორის მთავრობის წარმომადგენლებისთვისაც. თუმცა ასევე უპრეცედენტოა ის, რომ სულ რამდენიმე კერძო პირის ხელშია თავმოყრილი ასეთი დიდი მოცულობის გამოხატვის კონტროლის ფუნქცია“. მოსამართლემ გამოთქვა წუხილი, რომ მოცემული საქმე პროცედურულად არ იძლეოდა შესაძლებლობას სათანადო სამართლებრივი შეფასება მიეცა უზენაეს სასამართლოს იმ უპრეცედენტო მდგომარეობისთვის, როდესაც ტექნოლოგიურ კომპანიებს თვითნებურად შეუძლიათ მომხმარებლებს მათი ქსელებით სარგებლობის უფლება შეუზღუდონ.

მოსამართლის თომასის აზრით, გამოსავალი შესაძლოა ისეთი კანონმდებლობის მიღება იყოს, რომელიც კომუნალური მომსახურებების და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მარეგულირებელი ნორმების ანალოგიურად, კერძო ტექნოლოგიურ კომპანიებს აუკრძალავს, მომსახურების განევაზე თვითნებური უარი უთხრას მომხმარებლებს და, შესაბამისად, მათ დაავალდებულებს, რომ ყველას მოემსახუროს, დისკრიმინაციის გარეშე.

მოსალოდნელია, რომ თუკი კვლავაც ექნება უზენაეს სასამართლოს შესაძლებლობა განიხილოს სოციალური ქსელების მიერ მომხმარებლის ანგარიშების დაბლოკვასთან დაკავშირებული საქმე პირველი შესწორების კონტექსტში, ის შეეცდება, მეტი სიცხადე შეიტანოს „პაკინგემის“ გადწყვეტილებაში მითითებულ დიქტაში, რომელიც სოციალურ ქსელებს საჯარო სივრცეს ადარებს.

უზენაესმა სასამართლომ 2023 წელს განხილულ ორ საქმეში, „ტვიტერი თაამნეს წინააღმდეგ“ (2023)<sup>249</sup> და „გონსალესი გუგლის წინააღმდეგ“ (2023)<sup>250</sup>, კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე იმსჯელა კომპლექსურად. კერძოდ, სასამართლომ განიხილა, სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული მასალით მიყენებული ზიანისთვის, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენისას, სად გადის ზღვარი გამოქვეყნებული მასალის ავტორისა და სოციალური ქსელის მფლობელი ტექნოლოგიური კომპანიის პასუხისმგებლობას შორის. ორივე საქმე „გუგლის“, „ტვიტერისა“ და „ფეისბუქის“ სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხს შეეხებოდა, სადაც თაამნე და გონსალესი „სამართალი ტერორიზმის დამხმარეების წინააღმდეგ

249 Twitter, Inc. v. Taamneh, 598 U.S. 471 (2023).

250 Gonzalez v. Google LLC, 598 U.S. 617 (2023).



აქტის“ (Justice Against Sponsors of Terrorism Act, შემოკლებით, JASTA) შესაბამისად, „ტვიტერის“, „ფეისბუქისა“ და „გუგლისგან“ მოითხოვდნენ ზიანის ანაზღაურებას ტერორისტული ორგანიზაცია ISIS-ის მიერ 2015 წელს პარიზში და 2017 წელს სტამბოლში ორგანიზებული ტერორისტული აქტებით მიყენებული ზიანის გამო, იმ მოტივით, რომ მათი პლატფორმების, იუთიუბის, ფეისბუქისა და ტვიტერის მიერ ტერორისტული ორგანიზაცია ISIS-ის წევრების მიერ ატვირთული ვიდეომასალის აქტიური გავრცელება, წინასწარი შეცნობით ტერორისტული საქმიანობის „დახმარებას და ხელშეწყობას“ წარმოადგენდა (aids and abetts). შესაბამისად, სასამართლოს უნდა ემსჯელა, სოციალური ქსელების საქმიანობის რა ნაწილი შეიძლება ჩაითვალოს ტერორისტული საქმიანობის დახმარებად და ხელშეწყობად „სამართალი ტერორიზმის დამხმარების წინააღმდეგ აქტის“ მიზნებისთვის. კერძოდ, არის თუ არა „ტვიტერის“, „ფეისბუქისა“ და „იუთიუბის“ მხრიდან, შინაარსობრივად ნეიტრალური ალგორითმების მეშვეობით, მომხმარებლისთვის კანონსაწინააღმდეგო შინაარსის ვიდეომასალის აქტიური შეთავაზება, ტერორისტული საქმიანობის „დახმარება და ხელშეწყობა“.

ამ საქმეებში დავა უშუალოდ გამოხატვის თავისუფლების დარღვევას არ შეეხებოდა, თუმცა, არაერთმა უფლებადამცველმა ორგანიზაციამ წარადგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებები. ისინი შიშს გამოთქვამდნენ, რომ სადავო საკანონმდებლო ნორმების იმგვარი ინტერპრეტაცია, რომელიც ტექნოლოგიურ კომპანიებს სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას დააკისრებდა, მათი მონაწილეობის გარეშე, დამოუკიდებელი ავტორების მიერ შექმნილი მასალის შინაარსის გამო, მსუსხავი ეფექტი ექნებოდა გამოხატვის თავისუფლებისთვის, რადგან მოსალოდნელი იყო, რომ ტექნოლოგიური კომპანიები სამოქალაქო სამართლებრივი ძვირადღირებული დავებისგან თავის დასაცავად, ამჯობინებდნენ, მაქსიმალურად დაეზღვიათ თავი და, შესაძლოა, მნიშვნელოვანი პოლიტიკური შინაარსის მასალაც ადვილად დაებლოკათ საკუთარი ქსელებიდან, რასაც საბოლოო ჯამში, გამოხატვის თავისუფლებისა და დემოკრატიული პროცესისთვის დამაზიანებელი შედეგი ექნებოდა.<sup>251</sup> უზენაესმა სასამართლომ სადავო საკანონმდებლო ნორმის ვიწრო ინტერპრეტაციას დაუჭირა მხარი და გაიზიარა ტექნოლოგიური კომპანიების არგუმენტები. სასამართლომ პირველ რიგში საერთო სამართალში დამკვიდრებული სისხლის სამართლებრივი და ვალდებულებით სამართლებრივი ბრალის დადგენის სტანდარტებით იხელმძღვანელა, რომლის კონტექსტშიც

251 Gonzalez v. Google. Brief of American Civil Liberties Union, American Civil Liberties Union of Northern California, and Daphne Keller as Amici Curiae in Support of Respondent. 2023.



განმარტა „სამართალი ტერორიზმის დამხმარეების წინააღმდეგ აქტივით“ დადგენილი „დახმარებისა და ხელშეწყობის“ ცნება სოციალურ ქსელებთან მიმართებით. უზენაესი სასამართლოს შეფასებით, მხოლოდ მაშინ შეიძლება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროთ „გუგლის“, „ფეისბუქისა“ და „ტვიტერის“ მსგავს ინტერაქციული სერვისების მიმწოდებელ ტექნოლოგიურ კომპანიებს სხვა ავტორების მიერ გავრცელებული მასალით გამოწვეული ზიანის გამო, თუკი ისინი აქტიური ქმედებით უწყობენ ხელს უკანონო საქმიანობას, მაგალითად, „ტვიტერის“, „ფეისბუქისა“ და „იუთიუბის“ შემთხვევაში, მათი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, დახმარებად და ხელშეწყობად შეიძლება ჩაითვალოს ამ კომპანიების მიერ ტერორისტული აქტის ამსახველი ან ტერორისტული აქტისკენ მოწოდების შემცველი ვიდეო მასალის შერჩევა რეკლამის განსათავსებლად და, შემდგომ, ამ მასალის ავტორისთვის რეკლამიდან მიღებული შემოსავლის განაწილება. სამაგიეროდ, „ტვიტერის“, „ფეისბუქისა“ და „იუთიუბის“ ისეთი ქმედებები, რომლებიც ნეიტრალური ალგორითმების გამოყენებით ზიანის გამომწვევი ვიდეო მასალის რეკომენდაციას აძლევს მომხმარებელს ან, მომხმარებლის აქტიური მოთხოვნის გარეშე, ავტომატურად აჩვენებს მას ზიანის გამომწვევ მასალას, არ გამოიწვევს ამ კომპანიების სამოქალაქო პასუხისმგებლობას.

ზემოთ განხილული საქმეები მოწმობს, რომ ინტერნეტის, სოციალური ქსელებისა და ხელოვნური ინტელექტის მზარდი შესაძლებლობების გამოყენების პირობებში, უზენაეს სასამართლოს კვლავაც მოუწევს სამართლებრივი დოქტრინების მისადაგება ახალი ტექნოლოგიური რეალობისთვის, თუმცა ნაკლებად მოსალოდნელია პირველი შესწორების მყარად ჩამოყალიბებული დოქტრინული მეთოდოლოგიის არსებითი ცვლილება.

# გამოხატვის თავისუფლება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში

## I. ზოგადი მიმოხილვა

გერმანიის კონსტიტუციის მე-5 მუხლი აცალიბებს „კომუნიკაციის“ უფლებების სრულ, მაგრამ ამავედროულად კომპლექსურ და განსხვავებულ სამართლებრივ კონცეფციას. კონსტიტუციის რეგულირების ძირითადი მიზანი არის „კომუნიკაციის“ იმ უფლებების უზრუნველყოფა, რომლებიც წარმოადგენს დემოკრატიული პროცესის საფუძველს.<sup>252</sup>

გერმანიის კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება თავისუფლად გამოხატოს და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით თუ გამოსახულების მეშვეობით. ყველას აქვს უფლება დაუბრკოლებლად ისარგებლოს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებით. პრესის თავისუფლება და მაუნყებლობის თავისუფლება დაცულია. ხოლო, ცენზურა დაუშვებელია.<sup>253</sup> გერმანიის კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მითითება ცენზურის დაუშვებლობაზე არ არის კონსტიტუციური უფლება, არამედ, მიჩნეულია როგორც „შეზღუდვის შეზღუდვა“.<sup>254</sup>

კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი მიუთითებს კონსტიტუციური უფლების ფარგლებზე, რომლის მიხედვითაც, პირველ პუნქტში მითითებული კონსტიტუციური უფლებების ფარგლები მოცემულია ზოგადი კანონებით დადგენილ ნორმებში, ასევე იმ საკანონმდებლო რეგულაციებში, რაც მიზნად ისახავს ახალგაზრდობის და, აგრეთვე, პიროვნული ღირსების დაცვას.<sup>255</sup>

---

252 Jouanjan, Oliver, Freedom of Expression in the Federal Republic of Germany, გვ. 867.

253 Grundgesetz, Art. 5, Abs. 1 in [www.beck-online.beck.de](http://www.beck-online.beck.de)

254 Jouanjan, Oliver, Freedom of Expression in the Federal Republic of Germany, გვ. 867.

255 Grundgesetz, Art. 5, Abs. 2 in [www.beck-online.beck.de](http://www.beck-online.beck.de)

გერმანიის კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე კი, გარანტირებულია ხელოვნებისა და მეცნიერების, კვლევისა და სწავლების თავისუფლება.<sup>256</sup> ეს უფლებები განსხვავდება მე-5 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული კონსტიტუციური უფლებებისაგან როგორც თავისი შინაარსით, ისე პრაქტიკიდან გამომდინარე. თუმცა, გერმანიის კონსტიტუციის მე-5 მუხლში მითითებული კონსტიტუციური უფლებები ერთობლიობაში ქმნიან პირობებს კომუნიკაციის დემოკრატიული პრაქტიკისთვის.<sup>257</sup>

კვლევის ამ ნაწილში, ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, განხილულია აზრის გამოხატვის, ინფორმაციის, პრესის, მაუწყებლობისა და ფილმის თავისუფლებები. განხილული არ არის ხელოვნების, მეცნიერების, კვლევის და სწავლების თავისუფლებანი.

## II. აზრის გამოხატვის თავისუფლება

### 1. აზრის გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობა

აზრის გამოხატვის თავისუფლება მიჩნეულია ფუნდამენტურ კონსტიტუციურ უფლებად. ეს კონსტიტუციური უფლება არის თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოების საფუძველი. აზრის თავისუფლება ემსახურება დემოკრატიულ პროცესს, თუმცა, არ შემოიფარგლება აღნიშნულით. აზრის თავისუფლებით გარანტირებულია ნებისმიერი პირის უფლება, თავისუფლად თქვას ის, რასაც ფიქრობს, თავისუფლად გამოთქვას აზრი მაშინაც კი, როცა ის არ უთითებს ან არ შეუძლია მიუთითოს გადამონმებადი წყარო.<sup>258</sup> აზრის გამოხატვის თავისუფლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს უმცირესობათა მიერ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის დაცვაში.<sup>259</sup> აზრის გამოხატვის თავისუფლების ხელშეუხებლობა ლიბერალიზმის მთავარი მახასიათებელია.<sup>260</sup>

256 Grundgesetz, Art. 5, Abs. 3 in [www.beck-online.beck.de](http://www.beck-online.beck.de)

257 Jouanjan, Oliver, Freedom of Expression in the Federal Republic of Germany, გვ. 868.

258 Jarass in Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, გვ. 178.

259 Eilbol, Eralp, Analyse eines Klassischen Urteils des Bverfg zum Thema Meinungsfreiheit und Ehrenschtutz: "Soldatenurteil", 2022 YBHD 125, გვ. 125.

260 Dummert, Michael, Rechtsstaat und Meinungsfreiheit, Rechtstheorie 15 (1984), Ducker & Humboldt, Berlin, გვ. 1.

## 2. დაცული სფერო

აზრი, როგორც სამართლებრივი ტერმინი, ფართოდ უნდა განიმარტოს. ის მოიცავს როგორც ღირებულებით შეფასებებს, ისე ფაქტობრივ მტკიცებებს. მნიშვნელობა არ აქვს, რა საკითხს ეხება აზრი. გამონათვის თავისუფლებით დაცულია კომუნიკაცია ყველა სფეროში. ნაკლებადმნიშვნელოვანია საკითხი, აზრის გამონათვა განპირობებულია საჯარო, პოლიტიკური თუ კერძო მიზნებით. ასევე, მნიშვნელობა არ ენიჭება იმ გარემოებას, ღირებული და საყურადღებოა თუ არა გამოთქმული აზრი, ემოციურად არის დასაბუთებული თუ რაციონალურად. კონსტიტუციით დაცულია საკამათო აზრიც. გერმანიის კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების მიზნებისთვის, „აზრად“ მიიჩნევა ფაქტობრივი მტკიცებაც, როცა ეს არის აზრის ფორმირების წინაპირობა. თუმცა, ამ შემთხვევაში არ იგულისხმება ისეთი მონაცემები, რომლებსაც სტატისტიკურ მონაცემების მსგავსი ხასიათი აქვთ. აზრის გამონათვის თავისუფლებით არ არის დაცული განზრახ, წინასწარი შეცნობით არასწორი ფაქტობრივი მონაცემების დასაბუთება და ისეთი აზრი, რომელიც გამონათვის მომენტშივე ეჭვგარეშეა, რომ არ შეესაბამება სინამდვილეს.<sup>261</sup> მაგალითად, ასეთი მიდგომა გაავრცელა გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ფაქტობრივ მტკიცებაზე, რომლის მიხედვითაც მესამე რაიხის დროს ებრაელები არ იდევნებოდნენ. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გერმანიის კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება იცავს ყველა ადამიანის უფლებას, თავისუფლად გამოხატოს და გაავრცელოს აზრი. კონსტიტუციის ზემოაღნიშნული ნორმის დაცვის საგანი არის მოსაზრება. სწორედ მოსაზრებას მიემართება აზრის გამონათვის თავისუფლება. მისთვის დამახასიათებელია გარკვეული პოზიციის გამონათვა. მოსაზრებები არ აღიქმება როგორც სინამდვილის შესაბამისი ან სინამდვილესთან შეუსაბამო. მოსაზრება ყოველთვის არის დაცული კონსტიტუციით, მიუხედავად იმისა, ის დასაბუთებულია თუ უსაფუძვლო, ღირებული თუ არაფრის მომცემი, საშიში თუ უსაფრთხო. აზრის გამონათვის თავისუფლება არ კარგავს კონსტიტუციური დაცვის ფუნქციას, როცა მოსაზრება ფორმულირებულია მკაცრად ან შეურაცხმყოფლად. ფაქტობრივი მტკიცებები კი არ მიიჩნევა აზრის გამონათვად. ფაქტობრივი მტკიცებების დროს წინა პლანზეა რეალობა. ამასთანავე, მისი სინამდვილის გადამონმება შესაძლებელი უნდა იყოს. თუმცა, ამის გამო, ფაქტობრივი მტკიცებები არ რჩება აზრის გამონათვის თავისუფლების კონსტიტუციური

261 Jarass in Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, გვ. 179.

უფლებით დაცული სფეროს მიღმა. რადგან აზრი, როგორც წესი, ეყრდნობა ფაქტობრივ მტკიცებებს. ეს კი აუცილებელია მოსაზრების ჩამოყალიბებისთვის. ამიტომ, ფაქტობრივი მტკიცებებიც დაცულია კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით. ფაქტობრივი მტკიცებები გადის კონსტიტუციით დაცული სფეროდან როგორც კი ისინი აღარ ემსახურებიან აზრის ჩამოყალიბების იდეას. ამიტომ, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ განზრახ ან აშკარად ცრუ ფაქტობრივი მტკიცებები არ არის დაცული აზრის გამოხატვის თავისუფლებით. და, რადგანაც, ფაქტობრივი მტკიცება, რომ მესამე რაიხის დროს, ებრაელები არ იდევნებოდნენ, არის ტყუილი, ვერ იქნება დაცული აზრის გამოხატვის თავისუფლებით. სასამართლოს განმარტებით, ებრაელების დევნა დადასტურებულია არაერთი მოწმის ჩვენებით, მტკიცებულებებით და შესაბამისი სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოების გადაწყვეტილებებით.<sup>262</sup>

ამასთანავე, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ცხადია, სინამდვილესთან შესაბამისობის მოთხოვნა არ უნდა გავიგოთ ისე, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლების ფუნქციას შეექმნას საფრთხე ან შეიზღუდოს. ისეთი ფაქტობრივი მტკიცებები, რომლებიც არ არის მოქცეული აზრის გამოხატვის თავისუფლებაში, იშვიათია. იმისთვის, რომ ერთმანეთისგან გავმიჯნოთ ფაქტობრივი მტკიცებები შეფასებითი მოსაზრებებისაგან, მნიშვნელოვანია, აზრის გამოხატვასა და სინამდვილეს შორის არსებობდეს ობიექტური კავშირი და მტკიცებულებებით მისი გადამოწმება შესაძლებელი იყოს. ფაქტობრივი მტკიცებებისაგან განსხვავებით, შეფასებითი მოსაზრებებისთვის დამახასიათებელია პირის სუბიექტური დამოკიდებულება მისი მოსაზრების შინაარსთან. ხოლო, როცა რთულია ერთმანეთისგან ფაქტობრივი მტკიცებებისა და შეფასებითი მოსაზრებების გამიჯვნა, მაშინ ივარაუდება, რომ პირი გამოთქვამს შეფასებით მოსაზრებებს.<sup>263</sup>

ზოგადად, მოსაზრებასა და ფაქტობრივ გარემოებებს შორის განსხვავება მარტივი არ არის. გამიჯვნას კი არსებითი მნიშვნელობა აქვს სწორი სამართლებრივი შეფასებისთვის, რადგან მათ მიმართ მოქმედებს სამართლებრივი დაცვის განსხვავებული სტანდარტი. ფაქტი გულისხმობს რეალობაში უკვე განხორციელებულ ქმედებას. ფაქტი არის სინამდვილე. აზრი კი, ფაქტისგან განსხვავებით, შეიცავს შეხედულების, მოსაზრების ნიშნებს. ფაქტი ობიექტური რეალობაა, აზრი – სუბიექტური შეხედულება.<sup>264</sup>

262 BVerfGE 90, 241.

263 Jarass in Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, გვ. 179-180.

264 Andguladze, Mamuka, Kollision zwischen Medienfreiheiten und Allgemeinem Persönlichkeitsrecht (Funktion und Rolle des Informationsinteresses der Öffentlichkeit), გვ. 23-24.

კონსტიტუციით გარანტირებული უფლება იცავს აზრის გამოხატვასა და გავრცელებას, მათ შორის, ინფორმაციის გადაცემის მოკლე ან გრძელვადიან პროცესს. დაცულია როგორც აზრის შინაარსი, ისე მისი გამოხატვის ფორმა. უფლება ასევე იცავს ყველა სახის საქმიანობას, რომელიც უკავშირდება ინფორმაციის გადაცემასა და გავრცელებას. დაცულია, მაგალითად, ადგილის შერჩევა და აზრის გამოხატვის დრო. გარდა ამისა, ისეთი ქმედებებიც ექცევა დაცვის სფეროში, რომელთა მიზანია ადრესატებზე აზრის გავლენის გაძლიერება. მნიშვნელობა არ აქვს, აზრის გამოხატვა საჯაროა თუ კერძო, ანაზღაურების გარეშეა თუ ანაზღაურების სანაცვლოდ – ის მინც დაცულია აზრის გამოხატვის თავისუფლებით. დაცულია ასევე ის წინაპირობები, რაც საჭიროა კომუნიკაციის პროცესის წარმართვისათვის. დაცულ სფეროში არ მოიაზრება ზენოლა, მაგალითად, ეკონომიკური სახის ან ძალაუფლების გამოყენება. და ბოლოს, კონსტიტუცია აზრის გამოხატვის ნეგატიურ თავისუფლებასაც იცავს, კერძოდ, უფლებას, არ გამოთქვა საკუთარი შეხედულებები. აზრის გამოხატვის თავისუფლებით დაცული არ არის სახელმწიფო, საჯარო ინფორმაციის გავრცელება. აზრის გამოხატვა დასაშვებია ნებისმიერი ფორმით: ზეპირსიტყვიერად, წერილობით, გამოსახულებით. აღსანიშნავია, რომ გერმანიის კონსტიტუციაში მითითებული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. აზრის გამოხატვა დასაშვებია ნებისმიერი მედიით და საშუალებით, მათ შორის, ჟესტებით, სიმბოლოებით, პლაკატებით, უნიფორმებით.<sup>265</sup>

აზრის გამოხატვის თავისუფლების სუბიექტია ნებისმიერი ადამიანი მიუხედავად მისი მოქალაქეობისა ან ასაკისა. მისაღები არ არის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც კონსტიტუციით გარანტირებული უფლებით სარგებლობის წინაპირობა არის ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა. თუ პირს არ აქვს კომუნიკაციის სათანადო უნარ-ჩვევები საკმარისად განვითარებული, ამ შემთხვევაში უფლების დაცვას აქვს „ვირტუალური“ და არა „აქტუალური“ ხასიათი. თუმცა, ეს არ ცვლის იმ ფაქტს, რომ ბავშვებიც არიან აზრის გამოხატვის თავისუფლების სუბიექტები.<sup>266</sup>

კონსტიტუციური უფლების სუბიექტია ნებისმიერი პირი, რომელიც ახორციელებს აზრის გამოხატვის თავისუფლებით დაცულ ქმედებას. იურიდიული პირი და პირთა გაერთიანებაც მიჩნეულია კონსტიტუციური უფლების სუბიექტად. რაც შეეხება სახელმწიფო ორგანოებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, ცხადია, სახელმწიფო ორგანოები და საჯარო სამართლის

265 Jarass in Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, გვ. 180-181.

266 Ipsen, Jörn, Staatsrecht II, Grundrechte, გვ. 113.



იურიდიული პირები არ არიან აზრის გამოხატვის კონსტიტუციური უფლების სუბიექტები. თუმცა, მათ შეუძლიათ შინაარსობრივი თვალსაზრისით გამოთქვან მოსაზრება, თუ ეს დაშვებულია მათთვის უფლებამოსილების მიმნიჭებელი და განმსაზღვრელი ნორმებით.<sup>267</sup>

აღსანიშნავია, რომ საჯარო ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენლებისთვის დადგენილია ე.წ. „ნეიტრალობის პრინციპი“. კონსტიტუციით გარანტირებულ დემოკრატიკაში ნების ფორმირების პროცესი წარმართება „ქვემოდან ზემოთ“, ხალხიდან მიემართება სახელმწიფო ორგანოებს და არა პირიქით. თუ სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელს ექნება უფლებამოსილება, რომ გამოიყენოს სახელმწიფო ორგანოს ძალაუფლება და სახელმწიფო რესურსები, შეიქმნება საფრთხე, რომ ნების ფორმირების პროცესი მომდინარეობდეს ხელისუფლებიდან და არა ხალხიდან. ასევე, აღსანიშნავია, რომ პრობლემურია მხოლოდ ის შეხედულებები, რასაც ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენელი გამოთქვამს თავისი საჯარო უფლებამოსილებებიდან გამომდინარე. მაგრამ, თუ ის მოსაზრებას გამოთქვამს როგორც მოქალაქე და, განსაკუთრებით, როგორც პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი, ასეთ შემთხვევებში კანონმდებლობა განსაკუთრებულ შეზღუდვებს არ აწესებს. ასეთ დროს, უნდა მივიჩნიოთ, რომ მას საფუძვლად უნდა ჰქონდეს არა სპეციალური უფლებამოსილების მიმნიჭებელი კანონმდებლობა, არამედ ის სარგებლობს კონსტიტუციით გარანტირებული აზრის გამოხატვის თავისუფლებით. სირთულე წარმოიქმნება მაშინ, როცა გაურკვეველია, პირმა მოსაზრება გამოთქვა როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელმა თუ როგორც მოქალაქემ. შეფასება განსაკუთრებით პრობლემურია, როცა მოსაზრება გამოთქმულია სატელევიზიო ინტერვიუებში ან სოციალურ ქსელში. ამიტომ, ამ როლების მკაცრი და მკაფიო გამიჯვნა ხშირად არ არის შესაძლებელი. საეჭვო შემთხვევაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ მოსაზრება დაცულია აზრის გამოხატვის თავისუფლებით.<sup>268</sup>

გერმანიაში აღიარებულია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენლის უფლება, გამოხატოს თავისი აზრი კანონმდებლობით ამ ორგანოსთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ამავდროულად, კანონმდებლობა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენელს უწესებს ფარგლებს, კერძოდ, მას ბოჭავს გერმანიის კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტითა და პირველი მუხლის მე-3 პუნქტით. ეს ნიშნავს,

267 Jarass in Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, გვ. 181.

268 Deutscher Bundestag, Ausarbeitung, Politische Äußerungen von Hoheitsträgern, 2018 გვ. 3-4.

ვებგვერდი: <https://www.bundestag.de/resource/blob/556768/776c7bb3e6cd1fd9ed85e539cca79b59/wd-3-074-18-pdf-data.pdf>

რომ სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენელი, ამ ორგანოს კომპეტენციის ფარგლებში აზრის გამოხატვის დროს, შებოჭილია კანონიერების პრინციპით და კონსტიტუციური უფლებებითა და თავისუფლებებით.<sup>269</sup>

ნეიტრალობის პრინციპიდან გამომდინარე, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებს ევალებათ, მოსაზრება გამოთქვან საქმესთან კავშირში და კორექტულად. დეფამაციური მოსაზრებები და შეფასებითი განსჯა, რომელსაც საფუძვლად უდევს საქმისთვის არარელევანტური შეხედულებები, არის დაუშვებელი. რაც უფრო ახლოვდება არჩევნების თარიღი, მით უფრო მძაფრდება ამ მოთხოვნის შესრულების აუცილებლობა. როცა გერმანიის ფედერალური პრეზიდენტი არჩევნების თარიღს დაადგენს, ამის შემდეგ აღარ უნდა გავრცელდეს მოსაზრებები და ცნობები ფედერალური მთავრობის მიერ განეული საქმიანობის თუ მიღწევების შესახებ. სასამართლო კი უფლებამოსილია, შეამოწმოს, დაცულ იქნა თუ არა ნეიტრალობის პრინციპი.<sup>270</sup>

### 3. დაცულ სფეროში ჩარევა

აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა ხდება ნებისმიერი ისეთი გადანყვეტილებით თუ მოწესრიგებით, რომელიც უფლების სუბიექტს უკრძალავს ან უზღუდავს აზრის გამოხატვას ან გავრცელებას. აქ ასევე იგულისხმება კონკრეტული გამონათქვამებისთვის დანესებული ნეგატიური სამართლებრივი შედეგები. არაკონსტიტუციურად მიიჩნევა ისეთი მოწესრიგება, რომელიც ზღუდავს გამოხატვის ფორმას. იგივე მიდგომა ვრცელდება წერილების გადაცემის დაბრკოლების შემთხვევაში, მაგალითად, პატიმრებისთვის. დაცულ სფეროში ჩარევად მიიჩნევა ისეთი ფაქტობრივი ქმედებები, რომლებიც შეზღუდვის თვალსაზრისით რეგულაციის დანესებას უთანაბრდება. ასეთი შეიძლება იყოს, მაგალითად, [უკანონო] ფარული მოსმენა.<sup>271</sup>

269 Deutscher Bundestag, Ausarbeitung, Politische Äußerungen von Hoheitsträgern, 2018 გვ. 5. ვებგვერდი: <https://www.bundestag.de/resource/blob/556768/776c7bb3e6cd1fd9ed85e539cca79b59/wd-3-074-18-pdf-data.pdf>

270 Deutscher Bundestag, Ausarbeitung, Politische Äußerungen von Hoheitsträgern, 2018 გვ. 5-6. ვებგვერდი: <https://www.bundestag.de/resource/blob/556768/776c7bb3e6cd1fd9ed85e539cca79b59/wd-3-074-18-pdf-data.pdf>

271 Jarass in Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, გვ. 181-182.

#### 4. სასამართლო პრაქტიკა

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკიდან განსაკუთრებით საინტერესოა 1958 წელს მიღებული ე.წ. „ლიუთის გადაწყვეტილება“ (Lüth Urteil).<sup>272</sup>

ლიუთის საქმე ეხება აზრის გამოხატვის თავისუფლებას და ის არის გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება. მასში მითითებული განმარტებები საფუძვლად დაედო გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შემდგომ გადაწყვეტილებებსა და პრაქტიკას.<sup>273</sup>

1950 წელს ჰამბურგის სახელმწიფო პრესის უფროსმა, ერის ლიუთმა საზოგადოებას მოუწოდა, ბოიკოტი გამოეცხადებინათ ვეიტ ჰარლანის ფილმისთვის, წარსულში მისი ანტისემიტური საქმიანობიდან გამომდინარე. ჰარლანი ნაციონალ-სოციალისტური რეჟიმის დროს იყო ცნობილი ანტისემიტური ფილმის („Jud Süß“) რეჟისორი. ლიუთმა ჰარლანს „ნაცისტური ფილმების N1 რეჟისორი“ უწოდა. მისი აზრით, რეჟისორი იყო გერმანული კინოს უღირსი წარმომადგენელი და მისთვის ბოიკოტი უნდა გამოეცხადებინათ. ლიუთის განცხადებების საპასუხოდ, კომპანიამ „Herzog-Film-GmbH“, რომელიც გერმანიის ტერიტორიაზე ჰარლანის ფილმებს აქირავებდა და, ასევე, კომპანიამ „Domnick-Film-Production“-მა მიმართეს ჰამბურგის სასამართლოს. ჰამბურგის სასამართლომ გამოსცა დროებითი განკარგულება, რომლის მიხედვითაც, ერის ლიუთს აეკრძალა გერმანული კინოთეატრის მფლობელთა და ფილმის გამქირავებელთათვის მოწოდებინა, თავიანთ პროგრამაში არ გაეთვალისწინებინათ ჰარლანის ფილმი. ლიუთს ასევე აეკრძალა მოსახლეობისთვის მოწოდებინა, რომ არ ენახათ ეს ფილმი. სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, ლიუთის მოწოდება ბოიკოტისკენ იყო ზნეობის ნორმებთან წინააღმდეგობაში, ამორალური. მისი მიზანი იყო, ჰარლანის, როგორც რეპრეზენტაციული ფილმების შემოქმედის ხელახალი წარმოჩენისთვის ხელის შეშლა. ამასთანავე, სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან ჰარლანი, წარსულში ანტისემიტურ ფილმში თავისი წვლილის შეტანის გამო, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან კანონიერად განთავისუფლდა და თავის საქმიანობაში რაიმე სხვა დამაბრკოლებელი გარემოება არ ჰქონდა, ლიუთის განცხადებები და მოწოდებები ეწინააღმ-

272 BVerfGE 7,198.

273 Bröhmer, Jürgen/Hill, Clauspeter/Spitzkatz, Marc, 60 Years German Basic Law: The German Constitution and its Court, Landmark Decisions of the Federal Constitutional Court of Germany in the Area of Fundamental Rights, გვ. 350.

დეგებოდა გერმანელი ხალხის დემოკრატიულ და ზნეობრივ შეხედულებებს. ლიუთის წინააღმდეგ გადაწყვეტილების მიღების მოტივაცია ის ფაქტი კი არ იყო, რომ მან ჰარლანის ხელახლა წარმოჩენის წინააღმდეგ განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა, არამედ ფაქტი, რომ ლიუთმა საჯაროდ მოუწოდა საზოგადოებას, კონკრეტული ქმედებით ხელი შეეშალათ ჰარლანის ფილმების ჩვენებისთვის და, შედეგად, რეჟისორის ხელახალი დამკვიდრება შეუძლებელი გახდა. ამასთანავე, სასამართლოს განმარტებით, ბოიკოტის მონოდება მიმართული იყო ფილმის კომპანიების წინააღმდეგ, რადგან მათ ემუქრებოდათ მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი. შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ ლიუთის ბოიკოტი იყო დაუშვებელი ქმედება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 826-ე მუხლიდან გამომდინარე.<sup>274</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 826-ე მუხლის თანახმად, ვინც დამკვიდრებული ზნეობის ნორმების წინააღმდეგ სხვას განზრახ მიაყენებს ზიანს, ის ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი.<sup>275</sup>

ლიუთმა წარადგინა სარჩელი გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში, გერმანიის კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი აზრის გამოხატვის თავისუფლების დარღვევის მტკიცებით. ლიუთი აღნიშნავდა, რომ მის მიერ ჰარლანის ქმედებებისა და კომპანიების წინააღმდეგ გამოთქმული მოსაზრებები იყო პოლიტიკური და მორალური კრიტიკა. აღნიშნულის უფლებამოსილება კი მას ჰქონდა აზრის გამოხატვის თავისუფლებიდან გამომდინარე. ლიუთის მტკიცებით, გერმანიის კონსტიტუციის მე-5 მუხლი აზრის მხოლოდ ისეთ თავისუფლებას კი არ განამტკიცებს, რომლის მიზანიც არ არის მოსაზრების გამოთქმით ადრესატებზე გავლენის მოხდენა, არამედ დაცულია აგრეთვე სიტყვის თავისუფლება, რომელიც ზეგავლენას ახდენს ადრესატებზე. ლიუთის მიერ გამოთქმული მოსაზრებები იყო შეფასებითი შეხედულებები. მისი მტკიცებით, სასამართლომ არასწორად განსაჯა მისი მოსაზრებების დასაშვებობის საკითხი, რადგან აზრის გამოხატვის თავისუფლებას სოციალური ხასიათი აქვს და განამტკიცებს სუბიექტურ საჯარო-სამართლებრივ უფლებას, სულიერი, გონებრივი საქმიანობით წვლილი შეიტანო საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და „ხალხის სახელმწიფოდ ჩამოყალიბების“ პროცესში. ამ უფლების ფარგლები კი დადგენილია „ზოგადი კანონებით“, როგორც ეს გერმანიის კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით არის გათვალისწინებული. ლიუთის მოსაზრებით, „ზოგადი კანონები“ ანუ კონსტიტუციური უფლების ფარგლები არ შეიძლე-

274 BVerfGE 7,198 ვებგვერდი: [https://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Entscheidungen/DE/1958/01/rs19580115\\_1bvr040051.html](https://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Entscheidungen/DE/1958/01/rs19580115_1bvr040051.html)

275 Bürgerliches Gesetzbuch, ვებგვერდი: [https://www.gesetze-im-internet.de/bgb/\\_826.html](https://www.gesetze-im-internet.de/bgb/_826.html)

ბა იყოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები, არამედ შეზღუდვის ფარგლები უნდა დადგინდეს საჯარო სამართლებრივი კანონებით. ის რაც სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში სამოქალაქო კოდექსით არ არის დაშვებული, სრულიად შესაძლებელია დაშვებული იყოს საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებში, კონსტიტუციური სამართლის საფუძველზე.<sup>276</sup>

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა ლიუთის კონსტიტუციური სარჩელი და განმარტა, რომ მოტივაცია, რის გამოც ლიუთმა გამოთქვა თავისი შეხედულებები, არ არის ზნეობრივი ნორმების საწინააღმდეგო. მოსარჩელე არ ხელმძღვანელობდა საკუთარი ეკონომიკური ინტერესებით. ის არ იყო არც ჰარლანის და არც კინოკომპანიების კონკურენტი. ამასთან, ლიუთის მიზანი იყო, ხელი შეეშალა ჰარლანის, როგორც გერმანული ფილმების წარმომადგენლის დამკვიდრებისთვის. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სასამართლოებს არ ჰქონდათ უფლება, შინაარსობრივად შეეფასებინათ ლიუთის მიზნის დასაშვებობა. მათ უნდა გადაეწყვიტათ, სამართლებრივი თვალსაზრისით, დასაშვები იყო თუ არა მოსაზრების ასეთი ფორმით გამოთქმა. მოსარჩელის მოსაზრებები უნდა იქნეს განხილული მისი ზოგადი პოლიტიკური და კულტურულ-პოლიტიკური მისწრაფებების ფარგლებში. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ აზრის გამოხატვა, რომელიც შეიცავს ბოიკოტისკენ მოწოდებას, არ არღვევს ზნეობრივ ნორმებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 826-ე მუხლის გაგებით. ამასთანავე, კონსტიტუციური უფლებები, პირველ რიგში, მოქალაქის თავდაცვითი უფლებებია სახელმწიფოს წინააღმდეგ. მაგრამ, კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები ობიექტურ ღირებულებათა სისტემასაც მოიცავს, რაც სამართლის ყველა დარგზე ვრცელდება. სამოქალაქო სასამართლომ თავისი გადანყვეტილებით შესაძლოა დაარღვიოს კონსტიტუციური უფლებები, როცა ის შეცდომას დაუშვებს და არასწორად განმარტავს კონსტიტუციური უფლებების ზემოქმედებას სამოქალაქო სამართალზე. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო სამოქალაქო სასამართლოს გადანყვეტილებებს სწორედ ასეთ კონტექსტში აფასებს – ხომ არ დაირღვა კონსტიტუციური უფლებები? ფედერალური სასამართლო არ ადგენს სამოქალაქო სასამართლოს გადანყვეტილებებში სამართლებრივი შეცდომების არსებობას. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო სამართლებრივი რეგულაციები შესაძლოა იყოს კონსტიტუციური უფლების ფარგლები

276 BVerfGE 7,198, ვებგვერდი: [https://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Entscheidungen/DE/1958/01/rs19580115\\_1bvr040051.html](https://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Entscheidungen/DE/1958/01/rs19580115_1bvr040051.html)

გერმანიის კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე და შესაძლებელია შეზღუდოს აზრის გამოხატვის თავისუფლება. თუმცა, ეს ზოგადი კანონები უნდა განიმარტოს თავისუფალ, დემოკრატიულ სახელმწიფოში აზრის გამოხატვის კონსტიტუციური უფლების განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე. გასათვალისწინებელია, რომ გერმანიის კონსტიტუცია მხოლოდ უბრალოდ აზრის გამოხატვას კი არ იცავს, არამედ აგრეთვე აზრის გამოხატვით ადრესატებზე ზეგავლენას.<sup>277</sup>

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ 1985 წელს მიიღო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება.<sup>278</sup> გერმანიაში, ბროკდორფის ატომური ენერგოსადგურის მშენებლობაზე განაცხადი წარდგენილ იქნა 1974 წელს, მშენებლობა კი დაიწყო 1976 წელს.<sup>279</sup> ატომური ენერგოსადგურის მშენებლობის წინააღმდეგ დაიგეგმა მასშტაბური დემონსტრაცია. პოლიციას ჰქონდა მოლოდინი, რომ დაახლოებით 50,000 დემონსტრანტს შორის ზოგიერთ მონაწილეს ექნებოდა ძალის გამოყენების განზრახვა, ასევე, დემონსტრანტებს შესაძლოა დაეზიანებინათ აქციის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული ქონება. ამიტომ, დემონსტრაციამდე 5 დღით ადრე, სახელმწიფო ორგანომ მიიღო დემონსტრაციის აკრძალვის გადაწყვეტილება. აიკრძალა დემონსტრაციის ჩატარება ამ ტერიტორიის 210 კვ.მ.-ის რადიუსში. ეს გადაწყვეტილება მიქცეულ იქნა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.<sup>280</sup>

ბროკდორფში ატომური ენერგოსადგურის დაგეგმვა და მშენებლობა არაერთხელ გახდა ადმინისტრაციული სასამართლოს მსჯელობის საგანი. 1976 წლის შემდეგ მშენებლობა მიმდინარეობდა დემონსტრაციების ფონზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი დემონსტრაცია არ იყო მშვიდობიანი. მშენებლობის 4 წლიანი შეჩერების შემდეგ, ცნობილი გახდა, რომ სამშენებლო სამუშაოები უნდა განახლებულიყო. ამიტომ, 1981 წელს გადაწყდა მასობრივი დემონსტრაციის ჩატარება. დემონსტრაციის თარიღად ორგანიზატორებმა განსაზღვრეს 1981 წლის 28 თებერვალი. გერმანიის მთელს ტერიტორიაზე გამოიფინა პლაკატები მოწოდებით, რომ ადამიანები შეერთებოდნენ პროტესტს. პრესა თავიდანვე დაინტერესდა დემონსტრაციით და ვარაუდობდა ძალადობრივი სცენარის განვითარებასაც. დემონსტრანტების გეგმით, ისინი უნდა შეკრებილიყვნენ ატომური ენერგოსადგურის სამშენებლო ადგილიდან

277 BVerfGE 7, 198, ვებგვერდი: [https://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Entscheidungen/DE/1958/01/rs19580115\\_1bvr040051.html](https://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Entscheidungen/DE/1958/01/rs19580115_1bvr040051.html)

278 BVerfGE 69, 315.

279 <https://www.nuklearesicherheit.de/kerntechnische-anlagen/deutschlandkarte/-kkw-in-deutschland/brokdorf/>

280 BVerfGE 69, 315.



9 კილომეტრის მოშორებით, ქალაქ ვილსტერში და ვილსტერის მოედნიდან უნდა დაძრულიყო დემონსტრაცია ბროკდორფის მიმართულებით. დემონსტრაციის ორგანიზატორებს დემონსტრაციის შესახებ ადმინისტრაციული ორგანოსთვის ინფორმაცია უნდა მიენიჭებინათ 1981 წლის 23 თებერვლისთვის. თუმცა, 23 თებერვალს ადმინისტრაციულმა ორგანომ გამოსცა ადმინისტრაციული განკარგულება (*Allgemeinverfügung*), რომლის საფუძველზეც უკვე დაგეგმილი დემონსტრაცია და ასევე სხვა ნებისმიერი დემონსტრაცია ატომური ელექტროსადგურის წინააღმდეგ აიკრძალა 27 თებერვლიდან პირველ მარტამდე პერიოდში სამშენებლო ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე და ამ ტერიტორიის დაახლოებით 210 კვ.მ.-ის რადიუსში. შესაბამისად, აიკრძალა ვილსტერის მარშიც. ადმინისტრაციული აქტი ადმინისტრაციულმა ორგანომ ასეთი არგუმენტებით დაასაბუთა: „საკანონმდებლო რეგულაციის საწინააღმდეგოდ, დემონსტრაციის შესახებ შეტყობინება არ არის შემოსული დროულად. თუმცა, დემონსტრაციის შესახებ შეტყობინება დროულად რომ წარმოედგინათ, მაინც არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, რადგან მოსალოდნელია, რომ დემონსტრაციაში მონაწილეობას მიიღებს 50,000 ადამიანი. მათ შორის, სავარაუდოდ, იქნება მრავალი პირი, რომლებიც ძალადობრივად დაიკავებენ ატომური ენერგოსადგურის ტერიტორიას, დააზიანებენ სამშენებლო ადგილს და ძალადობრივ ქმედებას ჩაიდენენ სხვა პირების მიმართ. გარდა ამისა, დიდად სავარაუდოა, რომ სისხლის სამართლებრივი მძიმე დანაშაულები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიც მოყვება შედეგად ამ აქციას“. ადმინისტრაციული ორგანოს ეს ვარაუდი ეყრდნობოდა პრესაში, ასევე ზოგიერთი დაჯგუფების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. გარდა ამისა, 1980 წლის 21 დეკემბერს და 1981 წლის 2 თებერვალს ჰამბურგში ჩატარებულმა აქციებმა აჩვენა, რომ პოტენციური მოძალადები მშვიდობიან დემონსტრანტებს იყენებდნენ „დაცვის ფარად“. ამიტომ, ადმინისტრაციულმა ორგანომ ივარაუდა, რომ ბროკდორფშიც ასეთი ძალადობრივი ფორმით წარმართებოდა აქცია. ადმინისტრაციული ორგანოს ეს გადაწყვეტილება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. დაუყოვნებლივი აღსრულების გადაწყვეტილება, თავის მხრივ, დასაბუთდა შემდეგი არგუმენტებით: საყოველთაო კეთილდღეობა; ჯანმრთელობის დაზიანება; ქონების დაზიანება; კანონმდებლობის დარღვევა.<sup>281</sup>

ადმინისტრაციულ სასამართლოში წარუმატებელი დავის შემდეგ, მოსარჩელებმა მიმართეს საკონსტიტუციო სასამართლოს. საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა გადაემოწმებინა, დემონსტრაციის აკრძალვის დაუყოვნებლივი

281 BVerfGE 69, 315.

აღსრულება და მისი დასაბუთება, ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ, შეესაბამებოდა თუ არა კონსტიტუციას.<sup>282</sup> გადამონმების შედეგად, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა ადმინისტრაციული სასამართლოების გადაწყვეტილებები. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილებები არღვევდა მოსარჩელის კონსტიტუციურ უფლებას, კერძოდ, კონსტიტუციის მე-8 მუხლს (შეკრების თავისუფლება) კანონის უზენაესობის პრინციპთან კავშირში. მიუხედავად იმისა, რომ შემონმების მასშტაბი საკონსტიტუციო სასამართლოსთვის იყო შეკრების თავისუფლება, განმარტა, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული თანაცხოვრების ფუნდამენტური, განუყოფელი ნაწილია. დემოკრატიულ საზოგადოებაში ნების ფორმირების პროცესი უნდა მომდინარეობდეს ხალხიდან და მიემართებოდეს სახელმწიფო ორგანოებს და არა პირიქით. მოქალაქის უფლება მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკური ნების ჩამოყალიბების პროცესში, ვლინდება არა მხოლოდ არჩევნებში ხმის მიცემის დროს, არამედ მის უფლებაზე, გავლენა მოახდინოს პოლიტიკური შეხედულებების ჩამოყალიბების პროცესზე, რაც დემოკრატიულ სახელმწიფოში უნდა მიმდინარეობდეს თავისუფლად, ღიად, არარეგლამენტირებულად და არსებითად სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. აზრის გამოხატვის თავისუფლება არის ადამიანის უმთავრესი უფლება, რომელზეც დაშენებულია თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფო მონყობა.<sup>283</sup>

### III. ინფორმაციის თავისუფლება

#### 1. ინფორმაციის თავისუფლების მნიშვნელობა

ინფორმაციის თავისუფლება გერმანიის ადრეულ კონსტიტუციებში არ იყო აღნიშნული. არსებული კონსტიტუციით ინფორმაციის თავისუფლების დაცვა განაპირობა 1933-45 წლების გამოცდილებამ, როცა ნაცონალურ-სოციალისტური რეჟიმი აკონტროლებდა ინფორმაციას და რეჟიმის მიმართ არაკონფორმისტული ინფორმაციის მოპოვებას მკაცრად სჯიდა.<sup>284</sup> ნაცონალ-სოციალისტური რეჟიმის პერიოდში იკრძალებოდა ინფორმაციის თავისუფლად მიღება, უცხოური გადაცემების მოსმენა. ინფორმაციის თავისუფლება აზრის გამოხატვის თავისუფლებასთან ერთად არის მოცემული

282 BVerfGE 69, 315.

283 BVerfGE 69, 315.

284 Ipsen, Jörn, Staatsrecht II, Grundrechte, გვ. 117.

და ემსახურება პიროვნულ განვითარებასა და დემოკრატიის დანერგვას.<sup>285</sup> ინფორმაციის თავისუფლებით გარანტირებულია აზრის გამოხატვის თავისუფლებით დაცული სამართლებრივი სიკეთისაგან განსხვავებული სამართლებრივი სიკეთე და, ამრიგად, არის დამოუკიდებელი კონსტიტუციური უფლება.<sup>286</sup>

## 2. დაცული სფერო

გერმანიის კონსტიტუციის მიხედვით, ყველას აქვს უფლება ისარგებლოს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებით ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე. თუმცა, კონსტიტუციაში არ არის მოცემული დეფინიცია, თუ რა ითვლება საყოველთაოდ ხელმისაწვდომ წყაროდ.<sup>287</sup> გავრცელებული მოსაზრებით, წყაროდ მიიჩნევა ყველა სახის ინფორმაციის მატარებელი, მიუხედავად იმისა, ეს ინფორმაცია შეიცავს აზრს და ფაქტებს, თუ ეხება საჯარო ან კერძო საკითხებს. მნიშვნელობა არ ენიჭება, თუ რა სახის წყარო იქნება გამოყენებული. შესაძლებელია, ადამიანიც იყოს ინფორმაციის მატარებელი წყარო, თუ მას სურვილი აქვს კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით გამოთქვას შეხედულება. საყოველთაოდ ხელმისაწვდომად ითვლება ინფორმაციის წყარო, რომლის შედეგადაც ინფორმაცია ხელმისაწვდომია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის. შესაბამისად, ინტერნეტი ინფორმაციის თავისუფლების დაცვის სფეროში ექცევა, თუ ინფორმაციის შინაარსი საყოველთაოდ არის ხელმისაწვდომი. ამასთანავე, ინფორმაცია, რომელიც დაცულია სახელმწიფო ორგანოებში, როგორც წესი, საყოველთაოდ ხელმისაწვდომია.<sup>288</sup> გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საყოველთაოდ ხელმისაწვდომად ითვლება ინფორმაცია, რომელიც ტექნიკურად განკუთვნილია და განსაზღვრულია იმისთვის, რომ საზოგადოებას მიეწოდოს ინფორმაცია. „საყოველთაოდ ხელმისაწვდომობის“ სტატუსს ინფორმაცია არ კარგავს მაშინაც, როცა მისი გავრცელების წინააღმდეგ გარკვეული ღონისძიებები ტარდება. საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროა პრესის პუბლიკაციები, წიგნები, რადიომაუწყებლობის გადაცემები, ფილმები, საჯარო გამოსვლები, პლაკატები, ბროშურები, ინტერნეტი.<sup>289</sup>

285 Jarass in Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, გვ. 182-183.

286 Ipsen, Jörn, Staatsrecht II, Grundrechte, გვ. 118.

287 Robbers, Gerhard, Informationelle Selbstbestimmung und Allgemeine Informationsfreiheit in Deutschland, გვ. 99.

288 Jarass in Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, გვ. 183-184.

289 Ipsen, Jörn, Staatsrecht II, Grundrechte, გვ. 118.

ინფორმაციის თავისუფლებით დაცულია ინფორმაციის მიღება, აგრეთვე ინფორმაციის აქტიური შექმნა მიუხედავად იმისა, თუ რა მეთოდები გამოიყენება ამისთვის. მაგალითად, დაცულია საჯარო სივრცეში ადამიანებისთვის ფოტოების გადაღება. თუმცა, ინფორმაციის მაღულად, ფარულად მოპოვება არ არის დაცული, რადგან ნყარო არ იყო ხელმისაწვდომი საყოველთაოდ. დაცულია აგრეთვე ე.წ. ნეგატიური ინფორმაციის თავისუფლება, რაც გულისხმობს ინფორმაციის მიღებაზე უარის თქმას. ხოლო, რაც შეეხება ინფორმაციის გავრცელებას, ეს დაცულია აზრის გამოხატვის თავისუფლებით.<sup>290</sup> 2005 წელს გერმანიაში მიღებულ იქნა კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონესრიგების შესახებ (ინფორმაციის თავისუფლების შესახებ), რომელიც ამოქმედდა 2006 წლიდან. თუმცა, ეს კანონი არ შეიცავს კონსტიტუციით გარანტირებული ინფორმაციის თავისუფლების დამაკონკრეტებელ ნორმებს.<sup>291</sup>

უფლების სუბიექტი არის ყველა პირი, რომელსაც აქვს ინფორმაციის მიღების სურვილი. ამასთანავე, უფლების სუბიექტი არის აგრეთვე იურიდიული პირიც.<sup>292</sup> ამასთანავე, კანონი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონესრიგების შესახებ (ინფორმაციის თავისუფლების შესახებ) ადგენს ყველა პირის უფლებას, მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს და მოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია.<sup>293</sup>

### 3. დაცულ სფეროში ჩარევა

ინფორმაციის თავისუფლებაში ჩარევა ხდება ნებისმიერი ისეთი ღონისძიებით, რომელიც კრძალავს ინფორმაციის მიღებას ან აწესებს რაიმე სახის ნებართვის მიღების აუცილებლობას. ინფორმაციის მიღებაში ფაქტობრივი დაბრკოლებების შექმნაც უფლებაში ჩარევად არის მიჩნეული. რადიომაუწყებლობის ჩამხმობი სიგნალის გაშვებაც უფლებაში ჩარევად ითვლება.<sup>294</sup> ინფორმაციის თავისუფლება არის ე.წ. *status negativus* უფლება. ეს ნიშნავს, რომ პირს არ შეუძლია სახელმწიფოს მოსთხოვოს კონკრეტული ინფორმაციის შექმნა.<sup>295</sup>

290 Jarass in Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, გვ. 184.

291 Ipsen, Jörn, Staatsrecht II, Grundrechte, გვ. 118-119.

292 Jarass in Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, გვ. 184.

293 <https://www.bmi.bund.de/DE/themen/moderne-verwaltung/open-government/informationsfreiheitsgesetz/informationsfreiheitsgesetz-node.html>, Informationsfreiheitsgesetz (IFG), მუხლი 1.

294 Jarass in Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, გვ. 184-185.

295 Ipsen, Jörn, Staatsrecht II, Grundrechte, გვ. 118.

## 4. სასამართლო პრაქტიკა

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ 2013 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში.<sup>296</sup> გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი წარადგინეს თურქმენული წარმოშობის თურქეთის მოქალაქეებმა. ისინი თავს მიიჩნევდნენ თურქეთში მცხოვრები თურქმენული უმცირესობის წარმომადგენლებად. მოსარჩელებმა, ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევით, გამქირავებლის თანხმობის გარეშე, დაამონტაჟეს პარაბოლური ანტენა. ანტენის მეშვეობით, შესაძლებელი იყო მთელი დღის განმავლობაში თურქულ და თურქმენულ ენაზე აქტუალური ინფორმაციის მიღება რეგიონისა და იქ მცხოვრები ადამიანების შესახებ. სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის გამო, გამქირავებელმა მიმართა სასამართლოს. სასამართლომ დამქირავებლებს სოლიდარულად დააკისრა პასუხისმგებლობა და აუკრძალა სატელიტური ანტენის განთავსება. სასამართლოს განმარტებით, დამქირავებელს აქვს თუ არა უფლება, განათავსოს დამქირავებულ ფართზე სატელიტური ანტენა, დამოკიდებულია გამქირავებლის საკუთრების უფლების, დამქირავებლის ინფორმაციის მიღების უფლების და მხარეთა სხვა კანონიერი ინტერესების ურთიერთშეჯერებასა და შეფასებაზე. სასამართლოს განმარტებით, გამქირავებლის ქონებას მიადგა ოპტიკური ზიანი. თვალსაჩინო იყო მისი საკუთრების დაზიანება. სასამართლომ ასევე იმსჯელა დამქირავებლის ინტერესებზე და აღნიშნა, რომ მას აქვს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან ინფორმაციის დაუბრკოლებლად მიღების უფლება. დამქირავებლის ეს უფლება საკმარისად არის შესრულებული იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ დამქირავებელმა დამქირავებელს შეუქმნა პირობა, მიეღო ინფორმაცია და პროგრამები მშობლიურ ენაზე და საკუთარი სამშობლოდან. მათ პროგრამების მოსმენა შეეძლოთ ამ პროგრამებისთვის გათვალისწინებული გარკვეული საფასურის გადახდის შემთხვევაში. უცხოელი დამქირავებლის შემთხვევაში, ივარაუდება, რომ ის პარაბოლურ ანტენას კი არ დააყენებს, არამედ უკვე არსებული ცენტრალური სატელიტური Set-Top-Box-ით ისარგებლებს, თუ ამ გზით შესაძლებელია, რომ მან მიიღოს ინფორმაცია მშობლიურ ენაზე. შესაბამისად, სასამართლომ უპირატესობა მიანიჭა გამქირავებლის ინტერესს და დამქირავებელს აუკრძალა პარაბოლური ანტენის დაყენება. წარუმატებელი დავის შემდეგ, დამქირავებელმა მიმართა გერმანიის ფედე-

296 BverfG (31.03.2013 - 1 BvR 1314/11 -, Rn. 1-26) ვებგვერდი: [www.bundesverfassungsgericht.de](http://www.bundesverfassungsgericht.de)

რაციულ საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელმაც წარმოებაში მიიღო საქმე გერმანიის კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის თავისუფლებიდან გამომდინარე.<sup>297</sup>

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა დამქირავებლის მიერ წარდგენილი სარჩელი და განმარტა, რომ მას შეეზღუდა ინფორმაციის თავისუფლება. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით:

- გერმანიის კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან მიიღოს ინფორმაცია. საყოველთაოდ ხელმისაწვდომ წყაროებს კი, პირველ რიგში, მიეკუთვნება რადიო და ტელემაუწყებლობის პროგრამები. და, რადგანაც გერმანიის კონსტიტუცია ერთმანეთისგან არ განასხვავებს შიდა და უცხოური ინფორმაციის წყაროებს, საყოველთაოდ ხელმისაწვდომ წყაროებს უცხოური მაუწყებლობის პროგრამებიც უნდა მივაკუთვნოთ, რომელთა მიღება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არის შესაძლებელი. ამასთანავე, თუ რომელიმე პროგრამის მიღება დამოკიდებულია სპეციალური ტექნიკური მოწყობილობის გამოყენებაზე, მაშინ ინფორმაციის თავისუფლებით ასევე დაცულია ამ ტექნიკური მოწყობილობის გამოყენებაც. ამდენად, პარაბოლური ანტენის ინსტალაცია, რომლითაც შესაძლებელია სასურველი პროგრამის მიღება, დაცულია გერმანიის კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით. გარდა ამისა, ინფორმაციის თავისუფლებით დაცულია პარაბოლური ანტენის დაყენება იმ მიზნით, რომ დამქირავებელმა მშობლიურ ენაზე მიიღოს კულტურული, პოლიტიკური და ისტორიული ინფორმაცია;

- ინფორმაციის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს ზოგადი კანონებით. სამოქალაქო კოდექსით ქირავნობასთან და საკუთრებასთან დაკავშირებული რეგულირებები აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას და მიჩნეულია ზოგად კანონმდებლობად. თუმცა, კონსტიტუცია მოითხოვს, რომ სამოქალაქო კოდექსის ნორმების განმარტების დროს, გათვალისწინებულ იქნას ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. ამიტომ, სასამართლოს გადანყვეტილების მიღების დროს, კონსტიტუციის შესაბამისად უნდა განემარტა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 541-ე, 1004-ე და 242-ე მუხლები, რომელთა საფუძველზეც დამქირავებელს აეკრძალა პარაბოლური ანტენის დაყენება. ერთი მხრივ, გასათვალისწინებელია ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კონსტიტუციური უფლება, ხოლო, მეორე მხრივ, საკუთრების კონსტიტუციური უფლება. ამისთვის კი სასამართლოს სათანადოდ უნდა შეეფასებინა

297 BverfG (31.03.2013 - 1 BvR 1314/11 -, Rn. 1-26), ვებგვერდი: [www.bundesverfassungsgericht.de](http://www.bundesverfassungsgericht.de)



ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, გამქირავებლის საკუთრების ინტერესი, რომელშიც ასევე იგულისხმება, საცხოვრებელი სახლის შენარჩუნება ოპტიკურად დაუზიანებლად და დამქირავებლის უფლება, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან მიეღო ინფორმაცია. რადგანაც ორივე უფლება დაცულია კონსტიტუციით, გადანყვეტილება დამოკიდებულია ინტერესთა ურთიერთშეჯერების პროცესზე, კერძოდ, რომელი ინტერესია ამ კონკრეტულ შემთხვევაში უპირატესი. თუ სამოქალაქო სასამართლო უპირატესობას მიანიჭებს გამქირავებლის უფლებას და არ დაავალდებულებს მას, ითმინოს პარაბოლური ანტენის ინსტალაცია, მაშინ, როცა ის დამქირავებელს უზრუნველყოფს საკაბელო კავშირით, ეს ზოგად მოთხოვნებთან შესაბამისობაშია. მაგრამ, ასეთი მიდგომა, რომელიც გამოსადეგია საშუალო სირთულის შემთხვევების დროს, საკმარისად არ ითვალისწინებს გერმანიაში დიდი ხნით მცხოვრები, უცხო ქვეყნის მოქალაქის ინფორმაციის მიღების ინტერესს. მათ აქვთ ინტერესი, მოუსმინონ პროგრამებს საკუთარი სამშობლოდან, მიიღონ ინფორმაცია იქ არსებული მდგომარეობის შესახებ და შეინარჩუნონ სამშობლოსთან კულტურული და ენობრივი კავშირი. ამიტომ, თუ გამქირავებლის მიერ შეთავაზებული კაბელური კავშირი ვერ უზრუნველყოფს ყველა პროგრამის მიღებას, რომელიც სურს დამქირავებელს, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ეს ფაქტორიც ინტერესთა ურთიერთშეჯერების დროს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გერმანიის სასამართლომ ჩათვალა, რომ სამოქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვეტილებით დაირღვა დამქირავებლის ინფორმაციის თავისუფლების კონსტიტუციური უფლება.<sup>298</sup>

## IV. პრესის თავისუფლება

### 1. პრესის თავისუფლების მნიშვნელობა

პრესის თავისუფლება არის თავისუფალი დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძველი. თავისუფალი, საჯარო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი და არამართული, ცენზურისაგან თავისუფალი პრესა თავისუფალი სახელმწიფოს და თანამედროვე დემოკრატიის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია. პრესის თავისუფლების ამოცანაა, ხელმისაწვდომი გახადოს მოცულობითი ინფორმაცია, გადმოსცეს მრავალფეროვანი და განსხვავებული მოსაზრებები და თავადაც შეუწყოს ხელი მოსაზრებების ჩამოყალიბების პროცესს.<sup>299</sup>

298 BverfG (31.03.2013 - 1 BvR 1314/11 -, Rn. 1-26), ვებგვერდი: [www.bundesverfassungsgericht.de](http://www.bundesverfassungsgericht.de)

299 Jarass in Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, გვ. 186.

გერმანიის კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული პრესის თავისუფლება უკვე ფართოდ განიმარტება და ლიტერატურაში „მედიის თავისუფლება“ ეწოდება.<sup>300</sup>

გერმანიის კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული პრესის თავისუფლება არ არის ამავე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით გათვალისწინებული აზრის გამოხატვის თავისუფლების ნაწილი. ამიტომ, მაგალითად, როცა საქმე ეხება კონკრეტული მოსაზრების დასამტკიცებლად, ეს ექცევა არა პრესის თავისუფლების, არამედ აზრის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში. ხოლო, თუ პრესის თანამშრომელს ეშლება ხელი თავისი ფუნქციის შესრულებაში, რელევანტური ხდება პრესის თავისუფლება. პრესის მკითხველი, თავის მხრივ, სარგებლობს ინფორმაციის და არა პრესის თავისუფლებით.<sup>301</sup>

## 2. დაცული სფერო

ტერმინი „პრესა“ გულისხმობს როგორც პერიოდულ გამოცემებს, ისე წიგნებს, პოსტერებს, პამფლეტებს.<sup>302</sup> პრესის დეფინიცია ღიაა განმარტებისა და განვითარებისთვის. პრესად მიიჩნევა ყველა სახის ბეჭდური მასალა, რომელიც განკუთვნილია განუსაზღვრელ პირთა შორის გასავრცელებლად. ამასთანავე, მნიშვნელობა არ ენიჭება, იგი პერიოდულად გამოიცემა თუ არა. პრესად მიიჩნევა კონკრეტული ჯგუფისთვის განკუთვნილი პუბლიკაციები, როგორცაა ორგანიზაციების მიერ გამოცემული სამუშაო გაზეთები, სასკოლო გაზეთები თუ სასკოლო წიგნები. ზოგადად, პრესად მიიჩნევა არა მხოლოდ ჟურნალ-გაზეთები, არამედ აგრეთვე კომპაქტ-დისკები, ფირფიტები და ა.შ. პრესის თავისუფლებით დაცულია როგორც ინფორმაციის მიწოდება, ისე საკუთარი მოსაზრებების გავრცელება. პრესის თავისუფლებით დაცულია ისეთი პროდუქტებიც, როგორცაა სკანდალური და სენსაციური ბეჭდური გამოცემები. ამასთანავე, პრესაში განთავსებული განცხადებები და რეკლამები დაცულია პრესის თავისუფლებით.<sup>303</sup> პრესის თავისუფლებით დაცულია ყველა სახის ინფორმაციის ისეთი მატარებელი, რომელიც არ ექცევა მაუნყებლობის სამართლებრივ ტერმინში.<sup>304</sup>

300 Bull, Hans Peter, Die Rechte des Individuums, Freiheit und Rechtsschutz im Internet, გვ. 32.

301 Jarass in Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, გვ. 186.

302 Karpen, Ulrich, Freedom of Expression as a Basic Right: A German View, გვ. 400.

303 Jarass in Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, გვ. 187.

304 Ipsen, Jörn, Staatsrecht II, Grundrechte, გვ. 120.

პრესის თავისუფლებით დაცულია ჟურნალ-გაზეთებისა თუ სხვა სახის პრესის დაფუძნება, რაც ასევე გულისხმობს შესაბამისი ორგანიზაციის შექმნასაც. დაცულია როგორც მონყოფის ფორმა, ისე მისი შინაარსი. დაცულია პრესასთან დაკავშირებული ყველა სახის საქმიანობა ინფორმაციის შექმნიდან მისი გავრცელების ჩათვლით. დაცულია ე.წ. ნეგატიური პრესის თავისუფლებაც, რაც გულისხმობს ინფორმაციის მიღებაზე უარის თქმას.<sup>305</sup>

უფლების სუბიექტია ყველა პირი და ორგანიზაცია. ორგანიზაციებზე პრესის თავისუფლების გავრცელების სამართლებრივი საფუძველია გერმანიის კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი, რადგან კონსტიტუციური უფლება თავისი შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება გავრცელდეს იურიდიულ პირებზეც.<sup>306</sup> უფლების სუბიექტად მიჩნეულნი არიან უცხოელებიც. პრესის თავისუფლების სუბიექტებია გამომცემლობები, რედაქტორები, სააგენტოები. პრესის თავისუფლების სუბიექტები შესაძლოა ასევე იყვნენ არასრულწლოვანი პირები, მაგალითად, სასკოლო გამოცემების შემთხვევაში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ თუ სახელმწიფო სკოლა თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში გამოსცემს „ჟურნალს“, ეს ვერ იქნება დაცული პრესის თავისუფლებით.<sup>307</sup>

### 3. დაცულ სფეროში ჩარევა

პრესის თავისუფლება ე.წ. *status negativus* უფლებაა და გულისხმობს სახელმწიფო ჩარევისაგან დაცვის უფლებას.<sup>308</sup> პრესის თავისუფლებაში ჩარევა ხდება მაშინ, როცა უფლების სუბიექტის მიმართ გამოიყენება ისეთი სახის ღონისძიება, რომელიც კრძალავს ან აბრკოლებს პრესის თავისუფლებით დაცულ საქმიანობას. აქ განსაკუთრებით მოიაზრება ნეგატიური ან პოზიტიური სანქციები, რომლებიც უკავშირდება პროდუქტის შინაარსს და ფორმას. ჩარევად მიიჩნევა ისეთი ქმედებები, როგორცაა რედაქტორისთვის პროფესიული საქმიანობის აკრძალვა, გაზეთებისა და სარედაქციო დოკუმენტების დაყადაღება, რედაქციის ოთახების ჩხრეკა ან სარედაქციო საიდუმლოების სხვაგვარი ხელყოფა, აგრეთვე, სახელმწიფო ნებართვის გაცემის პროცედურის შემოღება. სახელმწიფოს მიერ დიფერენცირებული მიდგომაც შესაძლოა მიჩნეულ იქნეს უფლებაში ჩარევად. მაგალითად, თუ

305 Jarass in Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, გვ. 188.

306 Ipsen, Jörn, Staatsrecht II, Grundrechte, გვ. 119.

307 Jarass in Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, გვ. 188-189.

308 Ipsen, Jörn, Staatsrecht II, Grundrechte, გვ. 122.

სახელმწიფო სუბსიდიას გამოუყოფს რომელიმე გაზეთს და ხელს შეუწყობს კონკრეტული შეხედულებების გავრცელებას, ეს შესაძლოა იყოს უფლებაში ჩარევა, განპირობებული არათანაბარი მოპყრობით. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერა არ უნდა გამოიხატოს კონკრეტული მოსაზრებებისა თუ ტენდენციების წახალისებაში ან ხელშეშლაში. თუ ასეთი რისკი არსებობს, მაშინ საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო აქტის მიღება. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ვალდებულია პრესკონფერენციების დროს გაითვალისწინოს პრესის თავისუფლების ობიექტური შინაარსი: ჟურნალისტების მიმართ განსხვავებული მიდგომა არ არის დასაშვები არც პრესის თავისუფლების და არც თანასწორობის უფლებიდან გამომდინარე. ეს დასაშვებია მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში, როცა ამის აუცილებელი საფუძვლები არსებობს.<sup>309</sup>

აღსანიშნავია, რომ პრესის თავისუფლებით დაცულია პრესის კერძო ავტონომია, რაც გულისხმობს ეკონომიკური და პუბლიცისტური გადაწყვეტილებების მიღების ავტონომიას. პრესის ავტონომია დაცულია, მათ შორის, შრომით-სამართლებრივი შეზღუდვებისაგან. გადაწყვეტილებების მიღების ავტონომია არ ითვალისწინებს ე.წ. „პრესის შიდა თავისუფლებას“.<sup>310</sup> „პრესის შიდა თავისუფლება“ არის არა კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრობლემა, არამედ კერძო ავტონომიას მიკუთვნებული საკითხი. თუმცა, ისეთი საკანონმდებლო მოწესრიგება, რომელიც ითვალისწინებს რედაქციების შიდა სტრუქტურის მოწესრიგებას, ნიშნავს პრესის თავისუფლებაში ჩარევას და უნდა შემომხდეს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ფარგლების მიხედვით.<sup>311</sup>

ამასთანავე, კერძოსამართლებრივი ნორმების განმარტებისა და გამოყენების დროს, აუცილებელია პრესის თავისუფლების შინაარსის გათვალისწინება. მაგალითად, პრესის წარმომადგენლებს აქვთ უფლება მოითხოვონ დასწრება, მათ შორის, კერძო პირების საჯარო ღონისძიებებზე.<sup>312</sup>

309 Jarass in Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, გვ. 189.

310 Andguladze, Mamuka, Kollision zwischen Medienfreiheiten und Allgemeinem Persönlichkeitsrecht (Funktion und Rolle des Informationsinteresses der Öffentlichkeit), გვ. 32.

311 Ipsen, Jörn, Staatsrecht II, Grundrechte, გვ. 122.

312 Jarass in Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, გვ. 190.

#### 4. სასამართლო პრაქტიკა

1966 წელს გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელშიც მოცემულია სასამართლოს მსჯელობა პრესის თავისუფლების შესახებ.<sup>313</sup> საკონსტიტუციო სარჩელის წარმდგენ პირს გერმანიაში დაფუძნებული ჰქონდა კომანდიტური საზოგადოება – გამომცემლობა, რომლის საქმიანობის ძირითადი მიზანი იყო გაზეთის “Der Spiegel” გამოცემა. გაზეთი გამოიცემოდა ჰამბურგში ყოველკვირეულად. 1962 წელს ერთ-ერთ ნომერში გამოჩნდა სტატია, რომელშიც განხილული იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო მდგომარეობა, აგრეთვე NATO-ს სამხედრო და სტრატეგიული პრობლემები და სამომავლო გეგმები. სტატიაში გაკრიტიკებული იყო ბუნდესვერის ატომური იარაღით აღჭურვის საკითხი. ამასთანავე, სტატიაში მითითებული იყო არა მხოლოდ ცალკეული დეტალები NATO-ს წვრთნების “FALLEX 62” შესახებ, არამედ მოცემული იყო ინფორმაცია მიმდინარე შეიარაღების მდგომარეობაზე. ამ სტატიაში ახალი იარაღის ფოტოებიც გამოქვეყნდა. აღსანიშნავია, რომ სტატიის ავტორი არ იყო მითითებული.<sup>314</sup>

იმავე ან მეორე დღესვე, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა გამომცემლისა და ზოგიერთი რედაქტორის წინააღმდეგ დაიწყო გამოძიება სამშობლოს ღალატის მოტივით. გაზეთის ოფისებში ჩატარდა ჩხრეკა და ამოღებულ იქნა დიდი მოცულობის მასალა. დააკავეს რამდენიმე მთავარი რედაქტორი, თუმცა, მალევე გაათავისუფლეს. ზოგიერთი პირის წინააღმდეგ კი აღძრეს სისხლის სამართლის საქმე.<sup>315</sup>

საკონსტიტუციო სასამართლომ კომანდიტური საზოგადოების მიერ წარდგენილი საკონსტიტუციო სარჩელი დასაშვებად ცნო მხოლოდ ჩხრეკის კონსტიტუციურობის ნაწილში. მიუხედავად იმისა, რომ ჩხრეკა დასრულებული იყო, სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელეს ჰქონდა სამართლებრივი დაცვის აუცილებლობა და მოსამართლის მიერ გაცემული ჩხრეკის ბრძანება უნდა შეფასებულიყო კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით. გარდა ამისა, ჩხრეკის შედეგად ამოღებული მასალა გაზეთს ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაბრუნებული.<sup>316</sup>

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თავისუფალი, სახელმწიფო ხელისუფლებისაგან არამართული, დამოუკიდებელი,

313 BVerfGE 20,162.

314 BVerfGE 20,162.

315 BVerfGE 20,162.

316 BVerfGE 20,162.

ცენზურისაგან თავისუფალი პრესა არის თავისუფალი სახელმწიფოს არსებითი შემადგენელი ნაწილი. თანამედროვე დემოკრატიისაგან განსაკუთრებით განუყოფელია თავისუფალი, პერიოდულად გამოცემული პოლიტიკური შინაარსის პრესა. მოქალაქე იღებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს და ამიტომ ის სრულად უნდა იყოს ინფორმირებული. მას უნდა შეეძლოს გაიგოს, შეაფასოს და შეაჯეროს მოსაზრებები. სწორედ პრესა უზრუნველყოფს მუდმივ დისკუსიას. ის აწვდის ინფორმაციას, თავად გამოთქვამს პოზიციას და ზემოქმედებს აზრთა საჯარო ურთიერთგაცვლაზე. წარმომადგენლობით დემოკრატიაში პრესას უკავია ერთდროულად როგორც დამაკავშირებელი, ისე მაკონტროლებელი ორგანოს ფუნქცია ხალხსა და ხალხის მიერ არჩეულ წარმომადგენლებს შორის. პრესა კრიტიკულად აჯამებს საზოგადოებასა და სხვადასხვა ჯგუფებში ფორმირებულ მოსაზრებებს და მიაქვს ის პოლიტიკურ სახელმწიფო ორგანოებთან, რომლებიც იღებენ ცალკეულ გადაწყვეტილებებს და რომლებსაც შეუძლიათ შეისწავლონ მოსახლეობის შეხედულებები და მათზე დაყრდნობით შეაფასონ თავიანთი გადაწყვეტილებები. პრესის დანესებულებები საზოგადოებაში თავისუფლად უნდა იქმნებოდეს. ისინი ფუნქციონირებენ კერძოსამართლებრივი ორგანიზაციული ფორმებითა და პრინციპებით და ერთმანეთთან მიმართებით არიან ინტელექტუალურ და ეკონომიკურ კონკურენციაში.<sup>317</sup>

დემოკრატიულ სახელმწიფოში თავისუფალი პრესის ფუნქცია შეესაბამება კონსტიტუციაში მის სამართლებრივ მონესრიგებას. კონსტიტუცია იცავს პრესის თავისუფლებას. ეს არის სუბიექტური კონსტიტუციური უფლება პრესაში დასაქმებული ადამიანებისა და ასევე ორგანიზაციებისთვის. კონსტიტუცია უზრუნველყოფს თავისუფალ პრესას. სახელმწიფო კი ვალდებულია თავისუფალი პრესის პოსტულატს გაუწიოს ანგარიში. საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გერმანიის კონსტიტუციით გარანტირებული პრესის დამოუკიდებლობა გულისხმობს თავისუფლებას ინფორმაციის მიღებიდან დაწყებული, ცნობებისა და მოსაზრებების გავრცელებით დამთავრებული. ამიტომაც, პრესის თავისუფლებით გარანტირებულია პრესის და კერძო ინფორმაციის მიმწოდებლებს შორის სანდო ურთიერთობა. პრესა ვერ გამოორიცხავს და ვერ იტყვის უარს კერძო შეტყობინებებსა და ინფორმაციაზე. თუმცა, ასეთი წყარო მხოლოდ მაშინ შეიძლება არსებობდეს, თუ დაცულია „რედაქციული საიდუმლოება“. ამასთანავე, სამხედრო სფეროს მნიშვნელობიდან გამომდინარე, პრესის ლეგიტიმური ამოცანაა, მოსახლეობას მიაწოდოს ინფორმაცია მთავრობის თავდაცვის კონცეფციის შესახებ.<sup>318</sup>

317 BVerfGE 20,162.

318 BVerfGE 20,162.



საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ პრესის თავისუფლება, თავისუფალი და დემოკრატიული წესრიგისთვის მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, გავლენას ახდენს კანონების აღსრულებაზე, მათ შორის, სისხლის სამართლის პროცესზე, განსაკუთრებით კი, იძულებით ღონისძიებებზე, როგორცაა ჩხრეკა და ამოღება. პრესის დაწესებულებაში ჩხრეკის ჩატარება კი პრესის თავისუფლებაში სავარაუდო ჩარევას. სასამართლოს განმარტებით, კანონმდებლის ვალდებულებაა სამართლებრივ სიკეთეთა ურთიერთშეჯერება და შეფასება. სისხლის სამართლის პროცესის კოდექსი კი ამ მოთხოვნას ნაკლებად ითვალისწინებს. ამიტომ, ინტერესების ურთიერთშეჯერებისა და შეფასების ვალდებულება ეკისრება ჩხრეკის ორდერის გამცემ სასამართლოს.<sup>319</sup> მიუხედავად ზემოაღნიშნული მსჯელობისა, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა საკონსტიტუციო სარჩელი, რადგან, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესს მიანიჭა უპირატესობა.<sup>320</sup>

## V. მაუნყებლობის თავისუფლება

### 1. მაუნყებლობის თავისუფლების მნიშვნელობა

მაუნყებლობის თავისუფლების კონსტიტუციური უფლების შინაარსი განპირობებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში მისი ფუნქციონირების მნიშვნელობიდან გამომდინარე. მისი განსაკუთრებული დანიშნულების გამო, ნაკლებად შეიძლება მივიჩნიოთ ეს უფლება კლასიკური თავდაცვის უფლებად, როცა კერძო პირს აქვს უფლება თავი დაიცვას სახელმწიფოს ჩარევისაგან. მაუნყებლობის თავისუფლება, პირველ რიგში, არის კონსტიტუციური უფლება, რომელიც კანონმდებელს ავალდებულებს, შექმნას ისეთი სამართლებრივი მონესრიგება, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია მაუნყებლობის თავისუფლებით ოპტიმალური სარგებლობა.<sup>321</sup>

მაუნყებლობის ძირითადი დანიშნულებაა საზოგადოების სრულად ინფორმირება. ის ცალკეულ პირსა და საზოგადოებრივ ჯგუფებს აძლევს აზრის ჩამოყალიბების პროცესში ქმედების შესაძლებლობას და თავადაც არის ამ პროცესის მონაწილე.<sup>322</sup>

319 BVerfGE 20,162.

320 BVerfGE 20,162.

321 Kischel, Uwe, Rundfunkfreiheit und Rundfunkmonopol, გვ. 79.

322 Jarass in Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, გვ. 190.

აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებებისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მაუწყებლობის თავისუფლება არ შემოიფარგლება მხოლოდ ახალი ამბების გადაცემით. მაუწყებლობის თავისუფლება, პრესის თავისუფლების მსგავსად, უნდა განიმარტოს ფართოდ და მოიცავს, აგრეთვე, პროგრამის შედგენის თავისუფლებასაც.<sup>323</sup>

## 2. დაცული სფერო

მაუწყებლობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ცნება, ტრადიციულ რადიოსა და ტელევიზიასთან ერთად, გულისხმობს განვითარების თანამედროვე ეტაპზე არსებულ საშუალებებსაც. მაუწყებლობის სამართლებრივი ცნება ღიაა განმარტებისთვის და ის უნდა მოერგოს ტექნიკურ განვითარებას. მაუწყებლობა მიემართება პირთა განუსაზღვრელ წრეს. ამასთან, მაუწყებლობის თავისუფლება იცავს როგორც ინფორმაციის გადაცემას, ისე მოსაზრების მიწოდებას. მნიშვნელობა არ ენიჭება პროგრამის შინაარსს, კერძოდ, ის ემსახურება უშუალოდ ინფორმაციის გავრცელების, განათლების, გართობის თუ რაიმე სხვა მიზანს. რაც შეეხება სინამდვილის გადაცემის ვალდებულებას, აქაც იგივე წესები მოქმედებს, რაც აზრის გამოხატვისა და პრესის თავისუფლების შემთხვევაში. დაცულია სარეკლამო გადაცემებიც/შეტყობინებებიც, რადგან ის მიზნად ისახავს პროგრამების დაფინანსებას. თუმცა, ასეთ შემთხვევებში, დაცვა ნაკლებად ინტენსიურია. მაუწყებლობის თავისუფლება ვრცელდება ასევე საარჩევნო გადაცემებზეც. მაუწყებლობის თავისუფლება მოიცავს ყველა იმ სახის საქმიანობას, რაც უკავშირდება ინფორმაციის მოპოვებას, გადაცემების შექმნასა და გავრცელებას. დაცულია მედიისთვის სპეციფიკური ინფორმაციის მოპოვება. აღსანიშნავია, რომ დაცვის სფეროში ექცევა ასევე მაუწყებლის ორგანიზაციული მოწყობა და მისი დაფინანსებაც, თუ ეს დაკავშირებულია შინაარსობრივ საქმიანობასთან და გავლენას ახდენს მასზე. დაცულია რედაქციის საიდუმლოება.<sup>324</sup> ამასთანავე, დაშვებული უნდა იყოს კერძო პირების მიერ რადიო და ტელემაუწყებლობა, რადგან თანაბარი მიდგომა საჭიროა მათ შორის მაუწყებლის იურიდიული ფორმიდან გამომდინარეც.<sup>325</sup>

323 Ipsen, Jörn, Staatsrecht II, Grundrechte, გვ. 124.

324 Jarass in Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, გვ. 190-193.

325 Weber, Werner, zur Diskussion über die Zulassung eines privaten Fernsehens, გვ. 83.

კონსტიტუციური უფლების სუბიექტია მაუნყებელი.<sup>326</sup> ეს შეიძლება იყოს ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი, აგრეთვე პირთა ყველა გაერთიანება, რომლებიც მაუნყებლობენ საკუთარი პასუხისმგებლობით. მათ მიეკუთვნება, აგრეთვე, სახელმწიფოს მიერ დამოუკიდებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუნდებული ორგანიზაციებიც. ბუნებრივია, დაცულია კერძო სამართლის იურიდიული პირებიც. უფლების სუბიექტები არიან უცხოელებიც, თუმცა, არა უცხოური იურიდიული პირები. აქ გამონაკლისია ევროპული კავშირის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებული უცხოური იურიდიული პირები. რედაქტორებს შეუძლიათ მიუთითონ მაუნყებლობის თავისუფლებაზე.<sup>327</sup> მნიშვნელოვანია, რომ, ზოგადად, უფლებები მიმართულია სახელმწიფოს წინააღმდეგ, რაც გამოორიცხავს სახელმწიფოს როგორც კონსტიტუციური უფლების სუბიექტს.<sup>328</sup>

### 3. დაცულ სფეროში ჩარევა

მაუნყებლობის თავისუფლებაში ჩარევა ხდება მაშინ, როცა სახელმწიფოს ქმედება იწვევს, უფლებით დაცულ საქმიანობაში, მაუნყებლისთვის ხელის შეშლას. სამართლებრივი ჩარჩოს დადგენა და სამართლებრივი მონესრიგება არ ნიშნავს უფლებაში ჩარევას. თუმცა, ხშირად, გამიჯვნა რთულია. სამართლებრივი კონტროლის განხორციელებას აქვს ორმაგი ხასიათი. ჩარევად უნდა იქნეს მიჩნეული, როცა სახელმწიფოს ეძლევა სამართლებრივი შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს პროგრამის შერჩევასა და მაუნყებლობის შინაარსზე. ამასთან, ჩარევად ითვლება მაუნყებლის მმართველობაზე სახელმწიფოს ნებისმიერი სახის გავლენა. პროგრამის შინაარსზე არაპირდაპირი გავლენის შესაძლებლობაც კი უფლებით დაცულ სფეროში ჩარევად იქნება მიჩნეული.<sup>329</sup>

### 4. სასამართლო პრაქტიკა

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ 1961 წელს მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელშიც განმარტავს, რომ მაუნყებლობა, ისევე როგორც პრესა, მიეკუთვნება მასობრივი კომუნიკაციის

326 Ipsen, Jörn, Staatsrecht II, Grundrechte, გვ. 123.

327 Jarass in Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, გვ. 193.

328 Ipsen, Jörn, Staatsrecht II, Grundrechte, გვ. 123.

329 Jarass in Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, გვ. 193-194.

თანამედროვე საშუალებებს, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე და ხელს უწყობს მის ფორმირებას. მაუნყებლობა უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ საზოგადოებრივი აზრის ფორმირების „მედიუმი“. მაუნყებლობა არის საზოგადოებრივი აზრის ფორმირების განუყოფელი ფაქტორი. საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების პროცესზე ზეგავლენა არ შემოიფარგლება მხოლოდ ახალი ამბების გადაცემით, პოლიტიკური კომენტარებით, ანმყოს, წარსულის თუ მომავალი პოლიტიკური პრობლემების განხილვით. აზრის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს აგრეთვე მუსიკალური გადაცემები და მსგავსი გასართობი პროგრამები.<sup>330</sup>

## VI. ფილმის თავისუფლება

### 1. ფილმის თავისუფლების მნიშვნელობა

ფილმის თავისუფლება (Filmfreiheit) დაცულია გერმანიის კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით. ეს კონსტიტუციური უფლება გულისხმობს მოსაზრებებისა და შეხედულებების გადაცემას მოძრავი გამოსახულებებით (ფილმი).<sup>331</sup> თუმცა, გერმანიაში ფილმის თავისუფლების პრაქტიკული მნიშვნელობა არცთუ ისე დიდია. ეს გარკვეულწილად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ფილმების უმრავლესობის შემთხვევაში, შესაძლოა გავრცელდეს ხელოვნების თავისუფლების კონსტიტუციური უფლება, რაც უფრო ფართო სამართლებრივ დაცვას გულისხმობს. ამასთანავე, ფილმის თავისუფლება არ არის აზრის თავისუფლების უბრალო შემადგენელი ნაწილი. ის უფრო მეტად უნდა განვიხილოთ მედიის თავისუფლების უფლებებთან ერთად. გამიჯვნა და ცალკე გამოყოფა კი იმისთვის არის აუცილებელი, რომ საქმე ეხება არა ბეჭდურ პროდუქტს, არამედ მოძრავ გამოსახულებებს.<sup>332</sup> აღსანიშნავია, რომ გერმანიის კონსტიტუცია განასხვავებს შეზღუდვის ფარგლებს ფილმის თავისუფლებასა და ხელოვნების თავისუფლებასთან მიმართებით. კერძოდ, თუ ფილმის თავისუფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლები შეიძლება დადგინდეს კანონით, ხელოვნების თავისუფლება არ არის მოქცეული ფორმალური შეზღუდვის სამართლებრივ ჩარჩოში.<sup>333</sup>

330 BVerfGE 12, 205.

331 <https://www.uni-potsdam.de/de/rechtskunde-online/rechtsgebiete/oeffentliches-recht/grundrechte/meinungs-informations-presse-rundfunk-und-filmfreiheit-art-5-abs-1-gg>

332 Jarass in Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, გვ. 196.

333 Ipsen, Jörn, Staatsrecht II, Grundrechte, გვ. 126-127.

## 2. დაცული სფერო

ფილმი, თავდაპირველი გაგებით, არის მასობრივი მედია, რომელიც გამოსახულებით გადაიცემა, ვრცელდება საჯაროდ. ფილმის ცნება, ისევე როგორც პრესისა და მაუნუებლობის ცნებები, ღიაა განმარტებისთვის და შესაძლოა განივრცოს დროთა განმავლობაში. ამ ცნებაში მოიაზრება გამოსახულებისა და ხმის ელექტრონული მატარებლებიც. კონსტიტუციური უფლება იცავს ფილმის დამზადებასა და გავრცელებას, მათ შორის, გადაღებას, ასლების დამზადებას, გაქირავებას, ჩვენებას. დაცულია ფილმის რეკლამირებაც. ამასთანავე, დაცულია არა მხოლოდ გავრცელება, არამედ მისი შინაარსიც.<sup>334</sup>

კონსტიტუციური უფლების სუბიექტი არის ყველა პირი, რომელიც ფილმს (გამოსახულებას) ქმნის. უფლების სუბიექტების წრე ფართოდ უნდა განიმარტოს.<sup>335</sup> შესაბამისად, უფლების სუბიექტად უნდა მივიჩნიოთ ყველა პირი, რომელიც უფლებით დაცულ საქმიანობას ახორციელებს. უფლების სუბიექტია ასევე იურიდიული პირები და პირთა გაერთიანებები. აღსანიშნავია, რომ [ფილმის] მაყურებელი არ იქნება მიჩნეული ამ უფლების სუბიექტად, რადგან მაყურებლის შემთხვევაში რელევანტურია ინფორმაციის თავისუფლება და არა ფილმის თავისუფლება.<sup>336</sup>

## 4. დაცულ სფეროში ჩარევა

ეს უფლებაც არის ე.წ. “status negativus” და მიმართულია დაცულ სფეროში სახელმწიფოს ჩარევის წინააღმდეგ.<sup>337</sup> სახელმწიფოს მიერ, უფლების სუბიექტისთვის, კონსტიტუციური უფლებით დაცული საქმიანობის ნებისმიერი სახით შეზღუდვა მიჩნეულ იქნება დაცულ სფეროში ჩარევად.<sup>338</sup>

## 5. სასამართლო პრაქტიკა

1954 წელს გერმანიის ფედერალურმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ იმსჯელა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ფილმის ჩვენების აკრძალვის

334 Jarass in Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, გვ. 196-197.

335 Ipsen, Jörn, Staatsrecht II, Grundrechte, გვ. 126.

336 Jarass in Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, გვ. 197.

337 Ipsen, Jörn, Staatsrecht II, Grundrechte, გვ. 127.

338 Jarass in Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, გვ. 197.

კანონიერებაზე. კერძოდ, 1951 წელს ერთ-ერთი კინოდარბაზის მფლობელს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით აკრძალა 1931 წელს გამო-სული ფილმის “Die Sünderin” ჩვენება. ადმინისტრაციული ორგანოს განმარ-ტებით, ფილმის აკრძალვა განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ფილმი შეურაცხყოფდა ქალაქის ქრისტიანი მოსახლეობის გრძნობებს და იქმნებოდა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის საფრთხე. ქალაქის საბჭოს აზრით, ფილმის შინაარსი ეწინააღმდეგებოდა მოსახლეობის რელიგიურ და ზნეობრივ შეხედულებებს. გარდა ამისა, ფილმის აკრძალვის მოტივი ის გარემოებაც იყო, რომ, დემონსტრაციების შემთხვევაში, პოლიციის ძალის გამოყენება დემონსტრანტების წინააღმდეგ, არ ჩაითვლებოდა პროპორციულად.<sup>339</sup>

საქმე განიხილა გერმანიის ფედერალურმა ადმინისტრაციულმა სასამართ-ლომ. სასამართლოს განმარტებით, გერმანიის კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით დაცულია აზრის თავისუფლად გამოხატვა ზეპირად, წერილობით, გამოსახულებით. ასევე, გარანტირებულია ინფორმაციის გა-ვრცელება მოძრავი გამოსახულებით. ამ უფლებების შეზღუდვის ფარგლები მოცემულია კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში. სასამართლოს განმარტებით, ფილმი “Die Sünderin” არის არა ინფორმაციის გავრცელების დატვირთვის მქონე მოძრავი გამოსახულება, არამედ ეს არის მხატვრული ნამუშევარი. შესაბამისად, ეს ფილმი გერმანიის კონსტიტუციის მე-5 მუ-ხლის პირველი პუნქტით კი არ არის დაცული, არამედ, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით, რის გამოც, მასზე არ ვრცელდება კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი შეზღუდვის ფარგლები. კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, ხელოვნება, მეცნიერება, სწავლება და კვლევა არის თავისუფალი.<sup>340</sup>

## **VII. დაცულ სფეროში ჩარევის გამართლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები**

### **1. კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის გამართლების ზოგადი პრინციპები**

გერმანიის კონსტიტუციით დაცული სამართლებრივი სიკეთის შეზღუდ-ვა შესაძლებელია მხოლოდ საკანონმდებლო ნორმის საფუძველზე. კონს-ტიტუციური უფლებების შემზღუდველი აქტის მიღების უფლებამოსილება

339 BVerwGE 1, 303.

340 BVerwGE 1, 303.



აქვს ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტს. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვასთან მიმართებით, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკამ დაამკვიდრა თანაზომიერების პრინციპი.<sup>341</sup> ეს პრინციპი გულისხმობს, რომ (1) სახელმწიფომ კანონი უნდა აღასრულოს კანონის მიზნის შესაბამისად, (2) სახელმწიფოს მიერ გამოყენებული ღონისძიება უნდა იყოს ზუსტად ისეთი, როგორც არის დადგენილი კანონით, (3) გამოყენებული ღონისძიება უნდა გულისხმობდეს კანონის მიზნის მიღწევას, (4) გამოყენებული ღონისძიება უნდა იყოს აუცილებელი კანონით დადგენილი მიზნის მისაღწევად. ეს მოთხოვნა ვრცელდება როგორც ადმინისტრაციულ ორგანოებზე, ისე საკანონმდებლო ორგანოზე. თუმცა, ბუნებრივია, საკანონმდებლო ორგანო, ადმინისტრაციულ ორგანოსთან შედარებით, გაცილებით უფრო თავისუფალია მიზნისა და ღონისძიების შერჩევაში.<sup>342</sup>

საგულისხმოა, რომ თანაზომიერების პრინციპის საკანონმდებლო ორგანოზე გავრცელება არსებითი მნიშვნელობის მქონეა, რადგან მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შესაძლებელი კონსტიტუციურმა უფლებებმა შეასრულონ თავისუფლების დაცვის ფუნქცია. საკანონმდებლო ორგანომ დაიცვა თუ არა თანაზომიერების პრინციპი, მონმდება ოთხ ეტაპად: კანონმდებლის მიერ შერჩეული მიზანი უნდა იყოს (1) ლეგიტიმური; მიზნის მისაღწევად შერჩეული ღონისძიება უნდა იყოს (2) შესაფერისი; (3) აუცილებელი და (4) პროპორციული. ლეგიტიმური მიზანი, როგორც წესი, გამომდინარეობს შესაბამისი კონსტიტუციური უფლებიდან და საკანონმდებლო ორგანოს უდგენს საკანონმდებლო აქტით კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის ფარგლებს. ლეგიტიმური მიზნით შებოჭვა გამორიცხავს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას. ის ღონისძიებები, რომლებსაც კანონმდებელი ირჩევს და მიუთითებს საკანონმდებლო აქტში, უნდა იყოს (ლეგიტიმური) მიზნის შესაბამისი. შეუსაბამო ღონისძიება თუ საშუალება, ყოველთვის მიიჩნევა როგორც ჩარევის გადამეტების აკრძალვის პრინციპის დარღვევად. ამასთანავე, უფლების შემზღუდველი ღონისძიებები უნდა იყოს არა მხოლოდ კანონის მიზნის შესაბამისი, არამედ აუცილებელიც. და ბოლოს, კონსტიტუციური უფლების შემზღუდველი ღონისძიებები უნდა იყოს პროპორციული.<sup>343</sup>

341 Ipsen, Jörn, Staatsrecht II, Grundrechte, გვ. 45-47.

342 Pieroth, Bodo/Schlink, Bernard, Grundrechte, Staatsrecht II, გვ. 66.

343 Ipsen, Jörn, Staatsrecht II, Grundrechte, გვ. 47-49.

## 2. გერმანიის კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი უფლების შეზღუდვის გამართლების სამართლებრივი საფუძვლები

აზრის გამოხატვის თავისუფლებაში, ინფორმაციის თავისუფლებაში, პრესის თავისუფლებაში, მაუნყებლობის თავისუფლებაში და ფილმის თავისუფლებაში ჩარევის გამართლების კონსტიტუციური სამართლებრივი საფუძვლები მოცემულია გერმანიის კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში.<sup>344</sup>

ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად, ხსენებული კონსტიტუციური უფლებები შეიძლება შეიზღუდოს „ზოგადი კანონებით“, ახალგაზრდობის დაცვის საკანონმდებლო მოწესრიგებებით და პიროვნული ღირსების დაცვის უფლებიდან გამომდინარე.<sup>345</sup>

### 2.1 „ზოგადი კანონით“ დადგენილი ფარგლები

გერმანიის კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ უფლებებში ჩარევის გამართლების საფუძველი არის კანონი. იგულისხმება კანონი როგორც ფორმალური გაგებით, ისე შესაბამისი კანონის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი რეგულაციები. აღსანიშნავია, რომ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, უფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველი ასევე არის ნორმათა განმარტების სასამართლოს პრაქტიკიდან შექმნილი რეგულაციები. მაგრამ, კონსტიტუციური უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები მაინც პარლამენტის მიერ უნდა იყოს მოწესრიგებული. ასეთი კანონების მიმართ შინაარსობრივი მოთხოვნებიც არის დადგენილი. კერძოდ, კანონი კონკრეტული მოსაზრებების ან აზრის თავისუფლად ფორმირების პროცესის წინააღმდეგ კი არ უნდა იყოს მიმართული, არამედ მიზნად უნდა ისახავდეს საყოველთაო სამართლებრივი სიკეთის დაცვას, რომელსაც საფრთხე შესაძლოა შეექმნას და დაზიანდეს არამარტო აზრის გამოხატვის თავისუფლების რეალიზებით, არამედ სხვა გზებითაც. მაგალითად, მედიის თავისუფლებასთან მიმართებით, უნდა გავარკვიოთ, ფარგლების დამდგენი კანონი ხომ არ არის მიმართული მედიასაშუალების ან

344 Pieroth, Bodo/Schlink, Bernard, Grundrechte, Staatsrecht II, გვ. 146.

345 <https://www.bundestag.de/gg, Art. 5.2.>

კონკრეტული მოსაზრებების წინააღმდეგ.<sup>346</sup> ამდენად, ზოგადი კანონის დეფინიცია მოითხოვს ორსაფეხურიანი შემონმების პროცესის გავლას: პირველ რიგში, უნდა შემონმდეს, რა მიზანი აქვს კანონს. კანონის მიზანი არ უნდა იყოს კონკრეტულ მედიის ან შეხედულების მონესრიგება. მეორე მხრივ კი, შემზლუდავი კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთე და ამ სამართლებრივი სიკეთის დაცვა განპირობებული უნდა იყოს ზოგადი მიზნით, შეხედულებისა თუ მედიისაგან დაცვის ინტერესისგან დამოუკიდებლად.<sup>347</sup>

დაუშვებელია, კანონი თვითნებურად ზლუდავდეს გერმანიის კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უფლებებს. შემზლუდავი კანონიც უნდა განიმარტოს თავისუფალ დემოკრატიულ სახელმწიფოში შესაბამისი კონსტიტუციური უფლებების შინაარსიდან გამომდინარე. ასეთ დროს, ფარგლების დამდგენი კანონის ფარგლებად სწორედ ის კონსტიტუციური უფლება იქცევა, რომელთა შეზლუდავაც გათვალისწინებულია კანონით. სამართლებრივი ურთიერთქმედების ბუნებიდან გამომდინარე, საჭიროა შეზლუდვის დამდგენი კანონების კონსტიტუციის ნორმების შესაბამისი განმარტება და პროპორციულობის პრინციპის დაცვა.<sup>348</sup>

## 2.2 ახალგაზრდობის დაცვა

ზოგადი კანონებისაგან განსხვავებით, ახალგაზრდობის დაცვის კონსტიტუციით დამდგენილი ფარგლები უშვებს, სპეციალური კანონის საფუძველზე, აზრის გამოხატვის, პრესის, მაუნყებლობის და ფილმების შეზლუდავას.<sup>349</sup> ეს ფარგლები გულისხმობს ახალგაზრდობის დაცვას სხვადასხვა მედიასაშუალებებიდან მომდინარე ისეთი საფრთხისაგან, რაც ახალისებს ძალადობრივ ქმედებებს და დანაშაულს, პროვოცირებს რასობრივ სიძულვილს ან განადიდებს ომს. ასეთი საფრთხის წინააღმდეგ საშუალებების შერჩევა კანონმდებლის უფლებამოსილებაში შედის. მაგრამ, ახალგაზრდობის დაცვის მიზნით კანონით დანესებულმა რეგულაციამ აზრი არ უნდა დაუკარგოს გერმანიის კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ უფლებებს. ამასთანავე, დაცული უნდა იყოს თანაზომიერების პრინ-

346 Jarass in Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, გვ. 198.

347 Andguladze, Mamuka, Kollision zwischen Medienfreiheiten und Allgemeinem Persönlichkeitsrecht (Funktion und Rolle des Informationsinteresses der Öffentlichkeit), გვ. 44.

348 Jarass in Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, გვ. 199.

349 Ipsen, Jörn, Staatsrecht II, Grundrechte, გვ. 131.

ციბი. საჭიროა სამართლებრივი სიკეთეების, კერძოდ, კონსტიტუციური უფლებების სრულად რეალიზებისა და ახალგაზრდობის ინტერესების ეფექტიანად დაცვის ინტერესების შეფასება და ურთიერთშეჯერება. მაგალითად, შესაძლოა აიკრძალოს ახალგაზრდობისთვის საფრთხის შემცველი რეკლამა, მაგრამ, დაუშვებელია ახალგაზრდობისთვის საფრთხის შემცველი გადაცემების ზოგადად და სრულად აკრძალვა.<sup>350</sup> კანონმდებელმაც და ადმინისტრაციულმა ორგანოებმაც უნდა გაითვალისწინონ, რომ ახალგაზრდობის დაცვის მიზნით აზრის გამოხატვის თავისუფლება გადაჭარბებით არ შეზღუდონ.<sup>351</sup>

### 2.3 ღირსების დაცვა

გერმანიის კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებები შესაძლოა შეიზღუდოს ადამიანის ღირსების დაცვის ინტერესით. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ამ შემთხვევაშიც საჭიროა სპეციალური საკანონმდებლო სამართლებრივი საფუძველი. შემზღუდველი კანონის გამოყენების დროს, აუცილებელია სამართლებრივი ინტერესების შეფასება და ურთიერთშეჯერება.<sup>352</sup>

აზრის გამოხატვით შესაძლოა შეილახოს პიროვნული ღირსება. კანონმდებელი არათუ უფლებამოსილია პიროვნული ღირსების დაცვის მიზნით გამოსცეს შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციები, არამედ, გერმანიის კონსტიტუციის პირველი მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადებადანი გამომდინარე, ამის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ვალდებულებაც კი აქვს. ასეთი რეგულაციებია, მაგალითად, სისხლის სამართლებრივი ნორმები, აგრეთვე, სამოქალაქო სამართლებრივი ნორმები, რომლებიც სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე პიროვნების დაცვის უფლებებად ჩამოყალიბდა.<sup>353</sup> მაგალითად, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, დასჯადია შეურაცხყოფა. ამავე კოდექსის 186-ე მუხლის მიხედვით, დასჯადია დიფამაცია.<sup>354</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823-ე მუხლის თანახმად, დადგენილია ზიანის ანაზღაურების

350 Jarass in Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, გვ. 200-201.

351 Pieroth, Bodo/Schlink, Bernard, Grundrechte, Staatsrecht II, გვ. 149.

352 Jarass in Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, გვ. 201.

353 Ipsen, Jörn, Staatsrecht II, Grundrechte, გვ. 132.

354 Strafgesetzbuch, მუხლები 185, 186, ვებგვერდი: <https://www.gesetze-im-internet.de/stgb/>

ვალდებულება სხვა პირისთვის განზრახ ან გაუფრთხილებლად ზიანის მიყენების შემთხვევაში. ამასთანავე, აღნიშნული კოდექსის 826-ე მუხლი ადგენს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, როცა პირს, დამკვიდრებული ჩვეულებების სანინაალმდეგოდ, სხვა პირი განზრახ მიაყენებს ზიანს.<sup>355</sup> თუმცა, პიროვნული ღირსების დაცვის შემთხვევაშიც, აუცილებელია, კანონმდებელმა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა გადაჭარბებით არ შეზღუდონ აზრის გამოხატვის თავისუფლება.<sup>356</sup>

### 3. ცენზურის აკრძალვა

გერმანიის კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცენზურის აკრძალვის დათქმა დამოუკიდებელი კონსტიტუციური უფლება კი არ არის, არამედ ადგენს ფარგლებს მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვის საფუძვლებისთვის. ცენზურის აკრძალვის დათქმა ვერ გამოირიცხება უფლების შემზღუდველი კანონის საფუძველზეც კი, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, როცა საქმე ეხება ახალგაზრდობის და პირადი ღირსების დაცვის ინტერესებს. ცენზურაში იგულისხმება წინასწარი ცენზურა ანუ ისეთი წარმოება, რომლის დასრულებამდეც არ არის შესაძლებელი ნაშრომის გამოქვეყნება. ცენზურისთვის დამახასიათებელია ვალდებულება, რომლის მიხედვითაც მედიის პროდუქტი ან შეხედულებები უნდა გადაეცეს ორგანოს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას პროდუქტის გამოქვეყნებისა და გავრცელების შესახებ.<sup>357</sup> რაც შეეხება შემდგომ ცენზურას, ეს არათუ დასაშვებია, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში, აუცილებელიც კი. ახალგაზრდობის დაცვის და პიროვნული ღირსების დაცვის ვალდებულების შესრულება შესაძლოა შემდგომი ცენზურის გარეშე არც იყოს შესაძლებელი.<sup>358</sup> მაგალითად, ახალგაზრდობის დაცვის შესახებ კანონის მე-18 მუხლი ადგენს იმ მედიის ჩამონათვალს, რომელიც საზიანოა ახალგაზრდებისა და ბავშვების განვითარებისთვის. ამ კანონის თანახმად, ახალგაზრდობისთვის საზიანო მედიის კონკრეტული ჩამონათვალი შეიტანება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მონაცემთა ბაზაში.<sup>359</sup> თუმცა, ამ კანონით გათვალისწინებული

355 Bürgerliches Gesetzbuch, მუხლები 823 და 826, ვებგვერდი: <https://www.gesetze-im-internet.de/bgb/>

356 Pieroth, Bodo/Schlink, Bernard, Grundrechte, Staatsrecht II, გვ. 149.

357 Jarass in Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, გვ. 201.

358 Ipsen, Jörn, Staatsrecht II, Grundrechte, გვ. 134.

359 Jugendschutzgesetz, მუხლი 18, ვებგვერდი: <https://www.gesetze-im-internet.de/juschg/BJNR27300002.html>

პროცედურა არ მიიჩნევა გერმანიის კონსტიტუციით დადგენილი ცენზურის აკრძალვის საწინააღმდეგო რეგულირებად, რადგანაც ახალგაზრდობის დაცვის შესახებ კანონის მე-18 მუხლი არ ადგენს წინასწარ ცენზურას.<sup>360</sup> თუმცა, შემდგომი კონტროლი და რეპრესიული ღონისძიებებიც დასაშვებია მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც ადგენს გერმანიის კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი.<sup>361</sup>

აღსანიშნავია, რომ სკოლებში კონკრეტული სახელმძღვანელოს დაშვების აკრძალვა არ არის მიჩნეული ცენზურად, რადგან, ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფო ხელს კი არ უშლის პრესის გავრცელებას, არამედ თავად მოიაზრება ადრესატად სასკოლო სფეროს მონესრიგების კომპეტენციიდან გამომდინარე. მაგრამ, ფილმებისა და პრესის ნაწარმოებების კონტროლი ჩაითვლება ცენზურად. ასევე გასათვალისწინებელია, რომ წინასწარი კონტროლი, რომელიც ხორციელდება, მაგალითად, ფილმის გამოსვლის დაფინანსების გადაწყვეტილების მიღების მიზნებისთვის, მაგრამ ამავდროულად ითვალისწინებს პოტენციურად ამკრძალავი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, არ მიიჩნევა ცენზურად, რადგან შემდგომში ფილმის გამოსვლა ფინანსური დახმარების გარეშე არ იკრძალება.<sup>362</sup>

#### **4. კონკურირებადი კონსტიტუციური უფლებით დადგენილი ფარგლები**

გერმანიის კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვის ფარგლები შესაძლოა ასევე გამომდინარეობდეს კონკურირებადი კონსტიტუციური უფლებებიდან. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილმა შეზღუდვის ფარგლებმა აზრი არ დაკარგოს. შესაბამისად, პრაქტიკაში სამართლებრივი შეფასების დროს, მეთოდური თვალსაზრისით, პირველ რიგში, უნდა გადამოწმდეს მე-2 პუნქტით დადგენილი შეზღუდვის ფარგლები და მხოლოდ ამის შემდეგ – კონკურირებადი კონსტიტუციური უფლებები. გარდა ამისა, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, აუცილებელია შეზღუდვის მონესრიგება საკანონმდებლო დონეზე და სამართლებრივი სიკეთეების შეფასება და ურთიერთშეჯერება. ცენზურის

360 Ipsen, Jörn, Staatsrecht II, Grundrechte, გვ. 134.

361 Pieroth, Bodo/Schlink, Bernard, Grundrechte, Staatsrecht II, გვ. 151.

362 Jarass in Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, გვ. 202.



აკრძალვის დათქმა ასეთ შემთხვევებზეც ვრცელდება. მაგალითად, საჯარო მოსამსახურეების შემთხვევაში, შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველი, შესაძლოა, გამომდინარეობდეს გერმანიის კონსტიტუციის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტიდან. ასევე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, გერმანიის კონსტიტუციის მე-9 მუხლიდან გამომდინარე, შესაძლებელია შეიზღუდოს აზრის გამოხატვა აკრძალული გაერთიანებების ან პარტიების სასარგებლოდ.<sup>363</sup>

---

363 Jarass in Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, გვ. 202-203.

## გამოხატვის თავისუფლება საქართველოში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა

### I. ზოგადი მიმოხილვა

გამოხატვის თავისუფლების უფლების ზოგადი შინაარსი მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლში (აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები).<sup>364</sup>

გამოხატვის თავისუფლება ადამიანის არსებობის თანმდევი, განუყოფელი ელემენტია.<sup>365</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ მიუთითა, რომ დემოკრატიის სათანადო ფუნქციონირებისთვის გამოხატვის თავისუფლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. „გამოხატვის თავისუფლების უფლება დემოკრატიული საზოგადოების არსებობის, მისი სრულფასოვანი განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. აზრისა და ინფორმაციის შეუფერხებელი გავრცელება უზრუნველყოფს შეხედულებათა მრავალფეროვნებას, ხელს უწყობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო და ინფორმირებულ მსჯელობას, შესაძლებელს ხდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობას“.<sup>366</sup> გამოხატვის

---

364 „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2017 წლის 13 ოქტომბრის №1324-რს საქართველოს კონსტიტუციური კანონის პირველი მუხლის საფუძველზე, საქართველოს კონსტიტუცია ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, გამოხატვის თავისუფლება გარანტირებული იყო საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით. ხოლო კონსტიტუციის მოქმედი რედაქციით გამოხატვის თავისუფლება განმტკიცებულია კონსტიტუციის მე-17 მუხლით (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს №1/7/1275 გადაწყვეტილება „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, II-1-3).

365 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის №2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3.

366 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-26.

თავისუფლებასა და დემოკრატიას შორის არსებობს არა მხოლოდ მჭიდრო კავშირი, არამედ, იმავდროულად, გამობატვა ამუშავებს დემოკრატიას.<sup>367</sup> გამობატვის თავისუფლების უფლებას უდიდესი როლი ენიჭება სხვა უფლებათა ეფექტურად რეალიზაციისთვის. მისი სათანადო უზრუნველყოფის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია სხვა უფლებების სრულყოფილი რეალიზაცია, სწორედ გამობატვის თავისუფლების ხარისხი განსაზღვრავს ქვეყნის (საზოგადოების) თავისუფლებისა და დემოკრატიულობის ხარისხს.<sup>368</sup>

საკონსტიტუციო სასამართლომ „მოახერხა მყარი ფუნდამენტის შექმნა გამობატვის თავისუფლების დასაცავად. პირველ რიგში, გაკეთდა მნიშვნელოვანი განმარტებები უფლების არსისა და ფარგლების თაობაზე... მიღებული გადაწყვეტილებებით უზრუნველყო სამაუწყებლო კომპანიების ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობა და სარედაქციო დამოუკიდებლობის შენარჩუნება, რაც, სასიცოცხლოდ აუცილებელია გამობატვის თავისუფლებისთვის“.<sup>369</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მსჯელობა<sup>370</sup> და აღნიშნა, რომ „...დაცვის სფერო მოიცავს არა მხოლოდ იმ „ინფორმაციას“ ან „იდებებს“, რომელთაც იზიარებს საზოგადოება ან არ არის შეურაცხმყოფელი, ან მისდამი ინდიფერენტული დამოკიდებულებაა, არამედ, ასევე, ისეთს, რომელიც შეურაცხყოფს, შოკის მომგვრელია და აწუხებს სახელმწიფოს ან საზოგადოების ნებისმიერ ჯგუფს. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება“.<sup>371</sup> სასამართლოს განმარტებით, „დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ კონსტიტუციით დაცულია კრიტიკული აზრი, მათ შორის ისეთიც, რომელსაც საზოგადოების ნაწილი შეიძლება ზედმეტად მკაცრად ან არაადეკვატურად აღიქვამდეს. ხელისუფლების მიმართ გამოთქმული კრიტიკა, მათ შორის, ზოგადად ხელისუფლების, მისი კონკრეტული წევრის ან მმართველობის ფორმის შეცვლის მოთხოვნა ვერ გახდება გამობატვის თავისუფლების, შეკრებისა

367 თ. ტულუში, გ. ბურჯანაძე, გ. მშვენიერაძე, გ. გოცირიძე, ვ. მენაბდე, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013, გვ. 292.

368 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6.

369 ქეთევან ერემაძე, თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში. 2018 წ. გვ. 113.

370 იხ. Handyside v. UK. პ. 48.

371 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

და მანიფესტაციის უფლების შეზღუდვის საფუძველი“.<sup>372</sup> „კონსტიტუციის მე-17 მუხლით გარანტირებული უფლებებით დაცული სუბიექტია ყველა ფიზიკური პირი, მიუხედავად მისი მოქალაქეობისა“.<sup>373</sup> „კონსტიტუციის მე-17 მუხლით გარანტირებული უფლებები ვრცელდება იურიდიულ პირებზეც, პირველ რიგში, აქ იგულისხმება კერძო სამართლის იურიდიული პირები... აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პრესის თავისუფლებასთან დაახლოებული დაცვის დონე გაავრცელა არასამთავრობო ორგანიზაციებზე. როდესაც ისინი ყურადღებას ამახვილებენ საზოგადოებრივი ინტერესის საგანზე, მოქმედებენ „მოდარაჯე ძაღლის“ (social watchdog) როლში... საჯარო სამართლის იურიდიული პირები არ არიან დაცული სუბიექტები. ამ ზოგადი პრინციპიდან გამონაკლისია საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით შექმნილი მაუწყებლები. ისიც მხოლოდ შესაბამისი ძირითადი უფლების – მაუწყებლობის თავისუფლების ფარგლებში... ამ სტატუსის მქონე მაუწყებლების მაუწყებლობის თავისუფლება მოიცავს სამაუწყებლო პროგრამის თანმხლები ბეჭდვითი მასალების გამოცემას. პრესის თავისუფლება ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე რელიგიურ ორგანიზაციებზე, როდესაც ისინი გამოსცემენ რელიგიურ პრესას“.<sup>374</sup>

## II. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის გამიჯვნა კონსტიტუციის 21-ე მუხლისგან

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გარანტირებული შეკრების თავისუფლება წარმოადგენს გამონათვის თავისუფლების *lex specialis*<sup>375</sup>, შესაბამისად, ის მჭიდრო კავშირშია საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლთან. საკონსტიტუციო სასამართლო შეკრებისა და მანიფესტაციების

372 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიჰკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-106.

373 ბესიკ ლოლაძე, ანა ფირცხალაშვილი, ძირითადი უფლებები. კომენტარი. 2023 წ. გვ. 387.

374 იქვე, გვ. 390.

375 *lex specialis* – სამართლის ზოგადი პრინციპი, როდესაც ზოგად და სპეციალურ ნორმებს შორის კონკურენციის შემთხვევაში, განმარტებისას და გამოყენებისას უპირატესობა ენიჭება სპეციალურ ნორმებს.

უფლებას განიხილავს, როგორც გამონათვისის თავისუფლების სპეციალურ<sup>376</sup> უფლებრივ კომპონენტს, აზრის გამონათვისის ერთ-ერთ საშუალებას,<sup>377</sup> მე-17 მუხლის გაგრძელებას.<sup>378</sup> ამასთან, ბუნებრივია, ეს ორი ნორმა არ არის იდენტური შინაარსის. დასახელებული მუხლები ერთმანეთს არ მოიცავენ. „ამიტომ მუხლებს შორის არსებული მჭიდრო კავშირის მიუხედავად, მათ შორის ტოლობის ნიშნის დასმა ყოველთვის მართებული არ იქნება“.<sup>379</sup> კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულ „შეკრების (მანიფესტაციის) უფლებას ავტონომიური შინაარსიც გააჩნია. შეკრების (მანიფესტაციის) უფლების შეზღუდვა ყველა შემთხვევაში შეიძლება არ ინვედეს გამონათვისის ან ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვას“.<sup>380</sup>

წინამდებარე კვლევაში განხილული იქნება გამონათვისის თავისუფლების ის უფლებრივი შინაარსი, რომელიც კონსტიტუციის მე-17 მუხლითაა გათვალისწინებული.

### III. კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცული სფერო

გამონათვისის თავისუფლება იცავს „ადამიანის უფლებას, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს საკუთარი აზრი, საგანგებოდ იცავს აზრისა და ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებით გავრცელების შესაძლებლობას“.<sup>381</sup>

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულია გამონათვისის თავისუფლების ისეთი უფლებრივი კომპონენტები, როგორცაა:

ა) აზრისა და მისი გამონათვისის თავისუფლება, დაუშვებელია ადამიანის

376 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაწი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4.

377 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-7.

378 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-3.

379 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-6.

380 იქვე.

381 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-27.

დეენა აზრისა და მისი გამოხატვის გამო (პირველი პუნქტი);

ბ) ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლება (მე-2 პუნქტი);

გ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება, ცენზურის დაუშვებლობა, მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის აკრძალვა (მე-3 პუნქტი);

დ) ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება (მე-4 პუნქტი).

კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ გასატარებელი აუცილებელი ღონისძიებათა სისტემა, როგორცაა:

საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობა სახელმწიფო უწყებებისაგან და მისი პოლიტიკური და არსებითი კომერციული გავლენისაგან თავისუფლება (მე-6 პუნქტი), მედიაპლურალიზმის დაცვა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში აზრის გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციის ხელშეწყობა, მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის თავიდან აცილების უზრუნველყოფა, მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში მომხმარებელთა და მენარმეთა უფლებების დაცვა. კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-7 პუნქტით გარანტირებულ ღონისძიებათა უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ქმნის ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოს, რომელზეც კონსტიტუცია მიუთითებს, რომ მისი ინსტიტუციური და ფინანსური დამოუკიდებლობა კანონითაა გარანტირებული.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი განსაზღვრავს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველს და მიზნებს, რომლებიც ცალკე პარაგრაფშია განხილული.

საკონსტიტუციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებები, მათ შორის, როგორც საკუთრივ მასობრივი ინფორმაციის საშუალების თავისუფლება (მე-3 პუნქტი), ისე ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლება (მე-2 პუნქტი) არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებებს და ამავე მუხლის მე-5 პუნქტის ძალით ისინი ექვემდებარება შეზღუდვებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ამავე ნორმაში მითითებული საჯარო თუ კერძო (ინდივიდუალური) ინტერესების დასაცავად.<sup>382</sup>

382 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის №3/7/1483 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „შპს საინფორმაციო ცენტრების ქსელი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-19.



## IV. აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება

„საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება და ამავე მუხლის მე-2 პუნქტი აღიარებს აზრის, ინფორმაციის თავისუფლად გავრცელებისა და მიღების უფლებას, რაც მოიცავს სასურველი ფორმით და საშუალებებით ინფორმაციის მიმოცვლას განსაზღვრულ თუ განუსაზღვრელ პირთა ჯგუფთან“.<sup>383</sup> „აზრის თავისუფლებით დაცულია აზრის არა მხოლოდ ზეპირად ან წერილობით, არამედ ნებისმიერი სხვაგვარი საშუალებით გამოთქმა და გავრცელება...გავრცელების საშუალებები მოიცავს აუდიოკასეტებს, ლაზერულ დისკებს, ჩამწერ მოწყობილობებს, ასევე გამოსახულებით აზრის გამოთქმას, გამონათქვამებს ყესტების, სიმბოლოების, პლაკატებისა და უნიფორმის ტარების საშუალებით“.<sup>384</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, აზრის გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების არსებობის, დემოკრატიული კონსტიტუციურ-სამართლებრივი წესრიგის სიცოცხლისუნარიანობის საფუძველია: „... ინფორმაციული ვაკუუმისა და აზრის შეზღუდვის პირობებში, წარმოუდგენელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა და დემოკრატიული კონსტიტუციურ-სამართლებრივი წესრიგის სიცოცხლისუნარიანობა...“.<sup>385</sup>

აღსანიშნავია, რომ თავისუფალი საზოგადოების თვისებაა აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება: „... თავისუფალი საზოგადოება შედგება თავისუფალი ინდივიდებისაგან, რომლებიც ცხოვრობენ თავისუფალ ინფორმაციულ სივრცეში, თავისუფლად აზროვნებენ, აქვთ დამოუკიდებელი შეხედულებები და მონაწილეობენ დემოკრატიულ პროცესებში, რაც აზრთა გაცვლა-გამოცვლასა და პაექრობას გულისხმობს. ნებისმიერ ადამიანს უფლება აქვს გამოხატოს თავისი აზრი, ან თავი შეიკავოს მისი გამოხატვისაგან. ... დემოკრატიული პროცესის მამოძრავებელია ის ძალა, სულიერი გავლენა, რომელიც აზრისათვის არის დამახასიათებელი. კონსტიტუცია იცავს აზრის გამოხატვისა და გავრცელების პროცესს, მის შინაარსსა და ფორმებს...“.<sup>386</sup>

383 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს N17/1275 გადაწყვეტილება საქმეზე „ალექსანდრე მინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, II-9.

384 კონსტანტინე კუბლაშვილი, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. მეშვიდე გამოცემა. 2023 წ. გვ. 182.

385 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერი №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II-4.

386 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II-13.

საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, რომ მიუხედავად უფლების შეზღუდვის კონსტიტუციური საფუძვლებისა, კონსტიტუცია კატეგორიულად იცავს აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლებას: „ნებისმიერ ადამიანს უფლება აქვს გამოხატოს თავისი აზრი, ან თავი შეიკავოს მისი გამოხატვისაგან. კონსტიტუცია ამ მიმართებით კატეგორიულია – ის კრძალავს ადამიანის დევნას აზრის გამო, ასევე მის იძულებას, რომ გამოთქვას აზრი. ეს არის მკაცრი დანაწესი სახელმწიფოს, მისი ორგანოების მიმართ, რომელიც გამონაკლისს არ უშვებს... თუმცა, იმავდროულად, ამ უფლებათა შეზღუდვის ფორმალურ და მატერიალურ პირობებს ადგენს“.<sup>387</sup>

აზრის თავისუფლების კონსტიტუციური უფლება სასამართლომ ადამიანის შინაგანი სამყაროს, მისი პირადი სფეროს ხელშეუხებლობის გარანტიად მიიჩნია და მასში ჩარევის საფუძვლად მხოლოდ კონსტიტუციით გათვალისწინებულ ლეგიტიმურ მიზანს უთითებს. სასამართლომ განაცხადა, რომ კონსტიტუცია „იცავს ადამიანის პირადულ სფეროს, მის თავისუფლებას, იქონიოს, გაიზიაროს ან/და უარყოს შეხედულება ... კონსტიტუციის მიზანია ჩამოაყალიბოს აზრის, სიტყვის ... თავისუფლების, როგორც *forum internum*, ადამიანის შინაგანი სამყაროს, მისი პირადი სფეროს ხელშეუხებლობის გარანტია. ეს არის უფლება (უფლების ასპექტი), რომელიც არ შეიძლება შეიზღუდოს ან აიკრძალოს ..“.<sup>388</sup> კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნების გარეშე. „არავის ძალუძს და არ აქვს უფლება, აიძულოს ადამიანი, მიიღოს ან შეცვალოს საკუთარი აზრი და რწმენა. ადამიანი ასევე დაცულია იძულებისაგან თქვას ის, რაც მას არ სურს ან გამოთქვას საკუთარი აზრი. ეს უფლება არ ექვემდებარება რეგულირებას, ვინაიდან ის ინდივიდის თავისუფლების, მისი იდენტობის, ავტონომიის საფუძველს ქმნის ... ადამიანის შინაგანი სამყარო (*forum internum*), მისი პირადული სფერო დაცულია სახელმწიფოს ჩარევისაგან, მაგრამ შეზღუდვას ექვემდებარება ქმედება, რომელიც ამ სფეროს შიგნით მყოფ სხვა პირთა უფლებების დარღვევას იწვევს“.<sup>389</sup>

387 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება, II-13.

388 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-10, 11.

389 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-10, 11.

## 1. აზრი და ფაქტი

სიტყვისა და აზრის თავისუფლების შეზღუდვის კონტექსტში, პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების შინაარსზე მსჯელობის შედეგად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთმანეთისაგან გამიჯნა აზრი (შეხედულება, მოსაზრება) და ფაქტი. სასამართლო მიიჩნევს, რომ ფაქტების გავრცელება ექვემდებარება მათი სისწორის, ნამდვილობის მტკიცების ვალდებულებას, ხოლო მოსაზრების ნამდვილობის მტკიცება შეუძლებელია და, შესაბამისად, ამის ვალდებულებაც აზრის გამომთქმელს არ უნდა ეკისრებოდეს. სასამართლომ მიიჩნია, რადგან სადავო ნორმა ცნობების გამავრცელებლისათვის ადგენდა ამ ცნობების ნამდვილობის მტკიცების ვალდებულებას, ეს გარემოება იძლეოდა იმის თქმის უფლებას, რომ ტერმინში „ცნობები“ მოიაზრება ფაქტები. სასამართლოს მოსაზრებით, სადავო ნორმა ვრცელდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევებზე, როდესაც პირი ავრცელებს პატივისა და ღირსების შემლახველ ფაქტებს და არა უბრალოდ გამომთქვამს მოსაზრებებს, თუნდაც შეურაცხმყოფელს, რომელთა სისწორის შემოწმება ან მტკიცება შეუძლებელია. სასამართლო ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ მხოლოდ ფაქტები შეიძლება გადამოწმდნენ ნამდვილობის თვალსაზრისით. ნამდვილობის მტკიცება შესაძლებელია მხოლოდ ფაქტებთან და არა შეფასებით გამონათქვამებთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „... აზრის ცნება პრინციპულად ფართოდ უნდა იქნეს გაგებული და ის მოიცავს შეფასებებს და ფაქტების მტკიცებებს... აზრი – ეს არის ადამიანის პირადი, სუბიექტური შეფასება ამა თუ იმ მოვლენის, იდეის, ფაქტისა თუ პიროვნების მიმართ ... ფაქტები არის რეალურად, ნამდვილად მომხდარი საგნები, მოვლენები ან გარემოებები, რომლებიც შეიძლება იყოს მცდარი ან მართალი, სწორი. აქედან გამომდინარე, ფაქტები ყოველთვის უნდა ემყარებოდნენ მტკიცებულებებს. შესაბამისად, ფაქტების გავრცელება ექვემდებარება მათი სისწორის, ნამდვილობის მტკიცების ვალდებულებას. მაშინ, როდესაც მოსაზრების ნამდვილობის მტკიცება შეუძლებელია და, შესაბამისად, ამის ვალდებულებაც აზრის გამომთქმელს არ უნდა ეკისრებოდეს... ფაქტებისა და მოსაზრებების ხისტი გამიჯვნა, ხშირად, ძალზე რთულია. აზრები, უმეტესწილად, გამოიხატება რაღაც კონკრეტულ ფაქტებთან კავშირში, ეხება და ეფუძნება მათ. ფაქტებისა და მოსაზრებების გონივრული გამიჯვნა ... ერთი მხრივ, სიტყვისა და აზრის თავისუფლების, მეორე მხრივ კი – პატივისა და ღირსების უფლების დაცვის გარანტიას წარმოადგენს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აღნიშნული საკითხის სწორად გადაწყვეტა საერთო სასამართ-

ლოების კომპეტენციას მიეკუთვნება“,<sup>390</sup> რომელმაც უნდა „...დაადგინოს და შეაფასოს არა მარტო ნამდვილობა, არამედ გავრცელებული ცნობების ხასიათიც და გადაწყვიტოს, ლახავს თუ არა ეს ცნობები კონსტიტუციით დაცულ უფლებებს“.<sup>391</sup>

## 2. აზრის თავისუფლების გამოვლინება ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებად

საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასება იმის შესახებ, თუ როდის გარდაიქმნება აზრის თავისუფლება ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებად. სასამართლო მიიჩნევს, რომ აზრის თავისუფლება დაცულია მანამ, სანამ ის პირადულ სივრცეში რჩება, ხოლო მას შემდეგ, რაც დატოვებს ამ სივრცეს, კონსტიტუციით გათვალისწინებულ შეზღუდვას დაექვემდებარება. „აზრი ან სიტყვა პირადულ სფეროს გასცდება და შეიძლება შეზღუდვას დაექვემდებაროს, როდესაც ის გარე სამყაროსთან მოდის შემხებლობაში და პირადული სივრცის მიღმა მყოფი პირების უფლებებს ან საზოგადოების ინტერესებს უპირისპირდება. ასეთი „გამოვლინება“ შინაგანი სამყაროს ფარგლებს სცდება...“.<sup>392</sup> და აღარ ექცევა აზრის თავისუფლებით დაცულ სფეროში. ამგვარი გამოხატვის შეზღუდვა კონსტიტუციით გათვალისწინებული საფუძვლებით იქნება შესაძლებელი.

## 3. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების თანახმად, სიტყვისა და აზრის თავისუფლების დაცვის გარანტიები „სახელმწიფოს ზღუდავს ორი ძირითადი პირობის დაცვის ვალდებულებით: 1. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვისა და აზრის გამო; 2. დაუშვებელია ადამიანის იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ (სიტყვისა და აზრის) შესახებ. მაშასა-

390 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის №2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი.

391 იქვე.

392 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II-12.

დამე, გათვალისწინებულია აღნიშნული თავისუფლების პოზიტიური და ნეგატიური გარანტიები – ... მუხლი მოიცავს როგორც აზრის გამოხატვის თავისუფლებას, ისე ადამიანისათვის არასასურველი, მისი მოსაზრების საწინააღმდეგო აზრის გამოხატვისგან თავის შეკავების უფლებას. თუმცა, იმავდროულად, სიტყვისა და აზრის თავისუფლება არ განეკუთვნება აბსოლუტურ, შეუზღუდავ თავისუფლებათა კატეგორიას, ... დაუშვებელია სიტყვისა და აზრის თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს. ერთი მხრივ, ასეთი ჩანაწერი იძლევა დამატებით გარანტიას სიტყვისა და აზრის თავისუფლების დაცვისთვის – კრძალავს ამ თავისუფლების ნებისმიერი ფორმით შეზღუდვას, თუ მისი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს; მეორე მხრივ, ადგენს სხვათა უფლებების დაცვის გარანტიას – სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია, თუ მისი გამოვლინება ლახავს სხვათა უფლებებს ... უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს კონსტიტუციურ უფლებათა შეზღუდვის სხვა დამატებითი პირობებიც“.<sup>393</sup>

#### 4. მოწოდება, როგორც აზრის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა, რეალური (ცხადი და მყისიერი) საფრთხის ტესტი

მოწოდება წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლებით დაცულ, აზრის გამოხატვის ერთ-ერთ ფორმას. მოწოდება დასჯადია, თუ მოწოდების შედეგად ძალადობის განხორციელების საფრთხე რეალურია, სხვა შემთხვევაში კონსტიტუცია უფლების შეზღუდვას არ ითვალისწინებს. 2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილებაში<sup>394</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ პირის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხზე მსჯელობისას განმარტა, რომ თავისთავად მოწოდების ფაქტი არ შეიძლება იყოს საკმარისი იმისთვის, რომ დადგეს პირის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხი. ამისათვის საჭიროა ძალადობის და/ან დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ფაქტი, ან ასეთი ქმედების განხორციელების რეალური საფრთხე. მოწოდება

393 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის №2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი, პ. 1.

394 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487, 502 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დანი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ინვეს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას მხოლოდ მაშინ, როდესაც პირის ქმედება (მონოდება) „... ქმნის კანონსანინალმდეგო შედეგის დადგომის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს“.<sup>395</sup> სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანთა ქმედება ინვეს უსაფრთხოების და სხვათა უფლებების დარღვევის რეალურ საფრთხეს, სახელმწიფოს მხრიდან რეაგირების ვალდებულება ჩნდება. მაგრამ, სასამართლოს განმარტების თანახმად, მონოდება, რომელიც დანაშაულებრივი ქმედების სისრულეში მოყვანის განზრახვის გარეშეა გაკეთებული, არ ინვეს პასუხისმგებლობას.<sup>396</sup> როგორც ვხედავთ, სასამართლომ გამოიყენა რეალური საფრთხის ტესტი. რეალური საფრთხის, იგივე „ცხადი და მყისიერი საფრთხის“ ტესტი პირველად ამერიკის უზენაესმა სასამართლომ 1919 წელს გამოიყენა საქმეში *Schenck v. United States* და საბოლოოდ დამკვიდრდა 1969 წლიდან, როდესაც სასამართლომ განიხილა საქმე *Brandenburg v. Ohio*.<sup>397</sup> დასახელებული ტესტი წარმოადგენს გამონათვისის თავისუფლების უფლების დაცვის ეფექტურ საშუალებას.

## V. ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლება

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი აღიარებს ინფორმაციის თავისუფლად გავრცელებისა და მიღების უფლებას, რაც მოიცავს სასურველი ფორმით და საშუალებებით ინფორმაციის მიმოცვლას განსაზღვრულ თუ განუსაზღვრელ პირთა ჯგუფთან.<sup>398</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, გამონათვისის თავისუფლების უფლება „წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად ფუნდამენტს და მისი პროგრესისა და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციის ძირითად პირობას. აღნიშნული უფლება შეესაბამება საჯარო ხელისუფლების ვალდებულებას, ხელმისაწვდომი გახადოს საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ინფორმაცია გონივრული შეზღუდვების ფარგლებში“.<sup>399</sup> კონსტიტუციით დაცულია „ინფორმაციის

395 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II, პ. 104.

396 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, პ. II.105.;

397 იხ. მია კოპალიშვილი, რეალური საფრთხის ტესტი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკაში. უურნალი „ჩემი ადვოკატი“, ნომერი V, 2021 წ.

398 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს №17/1275 გადაწყვეტილება საქმეზე „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“. II-9.

399 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის №2/2/359 გადაწყვეტილება საქმეზე „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პ.1.



თავისუფლება, მისი თავისუფალი გავრცელება და მიღება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, ინფორმაციის მატარებლებიდან, რომლებიც გამოსადეგია ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელებისათვის. თავისუფალი ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია თავისუფალი აზრის ჩამოყალიბება. ეს არის ნორმა, რომელიც კრძალავს საზოგადოებისათვის, ადამიანის გონებისათვის „ინფორმაციული ფილტრის“ დაყენებას, რაც დამახასიათებელია არადემოკრატიული რეჟიმებისათვის“.<sup>400</sup> კონსტიტუცია „იცავს ადამიანის უფლებას, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს საკუთარი აზრი, საგანგებოდ იცავს აზრისა და ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებით გავრცელების შესაძლებლობას, ...მათ შორის არის პრესა, ტელევიზია, ინფორმაციის და აზრის გავრცელების სხვა საშუალებები“.<sup>401</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ინფორმაციის თავისუფლებას საქართველოს კონსტიტუცია გამორჩეულ ადგილს ანიჭებს და დიდ ყურადღებას უთმობს. საზოგადოებაში, სადაც აზრის თავისუფლება აღიარებულია და დაცულია კონსტიტუციით, ასევე, დაცულია ინფორმაციის თავისუფლებაც. ინფორმაციის თავისუფლების გარეშე წარმოუდგენელია აზრის თავისუფლებისა და თავისუფალი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სასიცოცხლო დისკუსიისა და აზრთა ჭიდილის პროცესის უზრუნველყოფა. აზრის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია, რომ მოპოვებულ იქნეს ინფორმაცია, ინფორმაციის გავრცელების თავისუფლება კი უზრუნველყოფს, რომ აზრი მივიდეს ავტორიდან ადრესატამდე. გარდა საზოგადოებრივი დატვირთვისა, ინფორმაციის თავისუფლებას დიდი მნიშვნელობა აქვს ცალკეული ინდივიდის პიროვნული და ინტელექტუალური განვითარებისათვის“.<sup>402</sup>

## VI. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით გარანტირებულია არა მხოლოდ პირის უფლება, თავისუფლად გაავრცელოს აზრი, ინფორმაცია, შეხედულებები, არამედ აგრეთვე ის საშუალებები, რომლებიც აზრის, შეხე-

400 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II-14.

401 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

402 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერი, №2/3/406,408, გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა ოურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10.



დულებების გამოთქმის, ინფორმაციის გავრცელებისა და მიღებისათვის არის აუცილებელი. აღნიშნულ საშუალებებს განეკუთვნება, მაგალითად, ბექდვითი მედია, სამაუწყებლო საშუალებები, მათ შორის – რადიომაუწყებლობა და ტელემაუწყებლობა, აგრეთვე ინფორმაციისა და აზრის გავრცელების სხვა საშუალებები.<sup>403</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულია „ინფორმაციის თავისუფალი გავრცელება და მიღება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წარმოებიდან, ინფორმაციის მატარებლებიდან, რომლებიც გამოსადეგია ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელებისათვის“.<sup>404</sup> ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით გარანტირებული უფლების ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა, უზრუნველყოს ინფორმაციის თავისუფალი გავრცელება საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროების მეშვეობით, რაც უმთავრესად, სწორედ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ხორციელდება. ამდენად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები საზოგადოებისა და ინდივიდების მიერ ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების, აზრის ფორმირების ერთ-ერთი ცენტრალური, ფართომასშტაბიანი და ეფექტური პლატფორმაა. სწორედ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შეუფერხებელი, ავტონომიური, ჯეროვანი და დამოუკიდებელი საქმიანობა განაპირობებს საზოგადოებისა და თითოეული ინდივიდის მიერ აზრისა და მისი გამომხატვის თავისუფლების პრაქტიკულ და ეფექტურ რეალიზაციას.<sup>405</sup> ამასთან, გამოსახულებისა და ხმოვანი გამომხატვის შესაძლებლობების გამო, აზრისა და გამომხატვის თავისუფლების უფლების განხორციელების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი აკისრია აუდიოვიზუალურ მედიას. შესაბამისად, აუცილებელია, აღნიშნული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის განხორციელებისათვის საკმარისი გარანტიების შექმნა.<sup>406</sup>

403 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 თებერვლის №1/1/1537 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს მთავარი არხი“, „შპს ტელეკომპანია პირველი“, „შპს ტელეკომპანია კავკასია“, „შპს ფორმულა“, ირაკლი სალინაძე, გიორგი ლიფონავა და ქეთევან დევიდარიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

404 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის №2/2/389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II-14.

405 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-71,72.

406 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის № 2/6/1311 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სტერეო+“, ლუკა სევერინი, ლაშა ზილფიმიანი და რობერტ ხახალავი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“, II-58.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სათანადო ფუნქციონირებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საზოგადოების ინფორმირებულობის დონე, თითოეული ადამიანის მიერ საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცული უფლებით ეფექტური სარგებლობა და, საბოლოო ჯამში, საზოგადოების დემოკრატიული განვითარება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებაში ჩაურევლობა არა მხოლოდ მათი მესაკუთრეების საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცული უფლების ნაწილია, არამედ განეკუთვნება საზოგადოების თითოეული წევრის ინტერესს.<sup>407</sup> აღნიშნულზე მიუთითებს თავად საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც ადგენს, რომ „მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება“.

საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებაში მოიაზრება მათი ინსტიტუციური და ორგანიზაციული დამოუკიდებლობა, სახელმწიფოსაგან მათი თავისუფლება იმ მნიშვნელოვანი როლის განხორციელებისას, რომელიც მედიას ეკისრება ყოველ დემოკრატიულ სახელმწიფოში. კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადება იცავს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ძირითად უფლებასა და შესაძლებლობას, იფუნქციონირონ მთავრობის კონტროლის, შეზღუდვებისა და ცენზურის გარეშე, დროულად მოიძიონ და მიაწოდონ საზოგადოებას ინფორმაცია და იდეები საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე სახელმწიფო ორგანოებისა თუ თანამდებობის პირების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. კონსტიტუციის დასახელებული ნორმა ადგენს წინაპირობებს, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რათა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, კონსტიტუციური საჯარო წესრიგით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, შეასრულონ თავიანთი ფუნქცია საჯარო კომუნიკაციის პროცესში – განახორციელონ „საზოგადოებრივი დარაჯის როლი“, ხელი შეუწყონ განსხვავებული იდეების ცირკულაციას, საზოგადოებრივი პრობლემების საამჟამინათვე გამოტანას და მათზე საჯარო დისკუსიებს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება, უწინარესად, გულისხმობს სწორედ მათ ინსტიტუციურ-ორგანიზაციულ თავისუფლებას, მათ შესაძლებლობას, გარე ჩარევისაგან და-

407 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675.681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუნწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-73.

მოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები ყველა შესაბამის საკითხზე, რაც კი მათ საქმიანობას შეეხება, დანყებული მასმედიის საშუალების დაფუძნებიდან და მისი შიდა ორგანიზაციული საკითხებიდან, თვითრეგულაციის ჩათვლით, დამთავრებული ინფორმაციის მოპოვებითა და გავრცელებით.<sup>408</sup>

## 1. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება და გავრცელებული ინფორმაციის შინაარსობრივი მხარე

საკონსტიტუციო სასამართლომ იმჯგელა საკითხზე – კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადებით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებასთან ერთად, დაცულია თუ არა ამ საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის შინაარსობრივი მხარე. ამ საკითხზე სასამართლოში არ იყო ერთგვაროვანი შეხედულება და განსხვავებული აზრი იქნა გამოთქმული, რომელზეც ქვემოთ ვიმჯგელებთ. სასამართლოს განმარტებით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება, კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადების მიზნებისათვის, არ გულისხმობს და არ მოიცავს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ისეთ თავისუფლებას, რომელიც არ დაექვემდებარება სახელმწიფოს მხრიდან კონსტიტუციით დადგენილ შეზღუდვებს. აღნიშნული შეეხება, მათ შორის, ინფორმაციისა და იდეების მიღებისა და გავრცელების შინაარსობრივ მხარეს.<sup>409</sup>

სასამართლო აღნიშნავს, რომ როცა სადავო ნორმები გულისხმობს კონკრეტული ხასიათის ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების შეზღუდვას მისი შინაარსის გამო, ამგვარი შეზღუდვა სცდება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადებით დაცული უფლებრივი სფეროს ფარგლებს („მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია“) და ამავე კონსტიტუციური დებულების მიზანმიმართულებას.<sup>410</sup> სასამართლო აზუსტებს, რომ როდესაც საქმე შეეხება კონკრეტული შინაარსის ინფორმაციის და არა ინფორმაციის გავრცელების საშუალების

408 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის №3/7/1483 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „„შპს საინფორმაციო ცენტრების ქსელი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-18.

409 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის №3/7/1483 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „„შპს საინფორმაციო ცენტრების ქსელი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-19.

410 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის №3/7/1483 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „„შპს საინფორმაციო ცენტრების ქსელი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-20.

შეზღუდვას, იგი შეფასებადია არა კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის, არამედ ამავე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების საფუძველზე.<sup>411</sup> სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის სტრუქტურულიდან არ გამომდინარეობს, რომ გამოხატვის/ინფორმაციის თავისუფლების ნებისმიერ, და, მით უმეტეს, შინაარსობრივ შეზღუდვას თითქოს მოქმედებაში მოჰყავს მე-3 პუნქტი მხოლოდ იმის გამო, რომ შეზღუდვა მასმედიასაც შეეხება. კონსტიტუციის მე-17 მუხლის სისტემაში, გამოხატვის/ინფორმაციის თავისუფლება შესაბამისი აზრებისა და ინფორმაციის შინაარსის, ისევე როგორც მათი გავრცელების საშუალებისა თუ სხვა ფაქტორების მიუხედავად, დაცულია ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით. შესაბამისი შეზღუდვები კი შეფასებადია ამავე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, რომელიც, ერთი მხრივ, ადგენს ამ თავისუფლებათა შეზღუდვის შესაძლებლობას და, მეორე მხრივ კი, ამომწურავად ჩამოთვლის იმ საჯარო და კერძო ინტერესებს, რომელთა დასაცავად მათი შეზღუდვა შესაბამის გარემოებებში გამართლებულად შეიძლება იქნეს მიჩნეული.<sup>412</sup>

საინტერესოა ამ მხრივ მოსამართლეთა განსხვავებული აზრი,<sup>413</sup> რომლის თანახმადაც, მოსამართლეებმა არ გაიზიარეს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადების დაცულ სფეროსთან მიმართებით. მათ მიიჩნიეს, რომ საკითხის ასეთი გადაწყვეტა წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს მყარად დადგენილი პრაქტიკის იმგვარ ცვლილებას, რასაც უარყოფითი გავლენა ექნება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, როგორც ინფორმაციის გავრცელების უმნიშვნელოვანესი წყაროს, უფლებათა დაცვის მასშტაბსა და ხარისხზე.<sup>414</sup>

განსხვავებული აზრის ავტორებმა ასევე განმარტეს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მესამე პუნქტის ფარგლები. მათი მოსაზრებით, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის უმრავლესობის პოზიცია – საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადება ამოიწურება მხოლოდ მედიასაშუალებების ინსტიტუციურ-ორგანიზაციული თავისუფლების დაცვით, ხოლო მათ მიერ ინფორმაციის გავრცელებაზე დაწესებული შინაარსობრივი შეზღუდვა დასახელებული უფლების ფარგლებს მიღმაა – წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის

411 იქვე, II-20.

412 იქვე, II-20.

413 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების – ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩილაძის და თეიმურაზ ტულუშის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2022 წლის 4 ნოემბრის N3/7/1483 საოქმო ჩანაწერთან დაკავშირებით.

414 იქვე, პუნქტი 3.

მე-3 პუნქტის სულისკვეთებასთან და ამგვარი კონსტიტუციური ჩანაწერის, როგორც *lex specialis* არსებობის მიზანთან.<sup>415</sup>

განსხვავებული მოსაზრების ავტორები მიუთითებენ, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზიდან გამომდინარე, ამკარაა, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ გაავრცელონ ან არ გაავრცელონ ესა თუ ის ინფორმაცია, დაცულია, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადებით. მართალია, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი იცავს არა მხოლოდ პირის უფლებას, თავისუფლად გაავრცელოს აზრი, ინფორმაცია, შეხედულებები, არამედ, აგრეთვე იმ საშუალებებს, რომლებიც აზრის, შეხედულებების გამოთქმის, ინფორმაციის გავრცელებისა და მიღებისათვის არის აუცილებელი, თუმცა მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადება არის სპეციალური კონსტიტუციური დებულება, რომელიც კონკრეტულად უზრუნველყოფს მასმედიის საშუალებების თავისუფლებას, მოიძიონ, დაამუშაონ და გაავრცელონ ინფორმაცია. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლისა და ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადება საგანგებოდ იცავს სწორედ მათ თავისუფლებას. ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადება წარმოადგენს *lex specialis*-ს ინფორმაციის გავრცელების ზოგად უფლებასთან მიმართებით (საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი) და *expressis verbis* მიუთითებს კონკრეტული სუბიექტის – მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლების დაცვის აუცილებლობაზე.<sup>416</sup>

განსხვავებულ აზრში მითითებულია, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების შესაძლებლობაზე გავლენას ახდენს როგორც მათ ინსტიტუციურ-ორგანიზაციულ საკითხებში სახელმწიფოს ჩარევა, ასევე ნებისმიერი სახის რეგულაცია, რომელიც, შინაარსობრივი მახასიათებლიდან გამომდინარე, მედიასაშუალებებს უკრძალავს/ავალდებულებს კონკრეტული ინფორმაციის გავრცელებას. ამდენად, მიიჩნევენ, რომ ლოგიკურ დასაბუთებას მოკლებულია მსჯელობა, თითქოს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადება იცავს მხოლოდ მედია საშუალებათა ინსტიტუციურ-ორგანიზაციულ თავისუფლებას. მათი მოსაზრებით, ამგვარი ვიწრო განმარტება აზრს უკარგავს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, როგორც სპეციალური სუბიექტის უფლებათა საგანგებოდ დაცვის მიზანს, რამდენადაც, ვერანაირი

415 იქვე, პუნქტი 3.

416 იქვე, პუნქტი 11.

ინსტიტუციური თუ ორგანიზაციული დამოუკიდებლობის პირობებში, ვერ შეძლებს მედია საკუთარი ფუნქციის სრულყოფილად შესრულებას, თუკი მათ არ ექნებათ კონკრეტული შინაარსის მქონე ინფორმაციის გავრცელების უფლება. მედიასაშუალებების ინსტიტუციურ-ორგანიზაციული დამოუკიდებლობა წარმოადგენს სწორედ იმ ინსტრუმენტს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მედია საშუალებათა მიერ მათი უმთავრესი ფუნქციის – საზოგადოების ინფორმირების, საჯარო დისკუსიის დანყებისა და განსხვავებული იდეების ცირკულირების შესრულება. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის უმრავლესობის მსჯელობა ერთმანეთისაგან ხელოვნურად მიჯნავს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლების საგანგებოდ დაცვის ძირითად იდეასა და მოტივაციას და იმ ძირითად ინსტრუმენტებს, რომლებიც გამოიყენება მათ უზრუნველსაყოფად. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის სტრუქტურული და შინაარსობრივი ანალიზი ცალსახად მიუთითებს კონსტიტუციის ნებაზე – მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება, მათ შორის, მათ მიერ სხვადასხვა შინაარსის მქონე ინფორმაციის გავრცელების უფლება, დაცული იყოს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადებით.<sup>417</sup>

განსხვავებულ აზრში ასევე განმარტებულია კონსტიტუციის ტექსტში სპეციალური ნორმების არსი. ზოგადად, კონსტიტუციის ტექსტში ამა თუ იმ სუბიექტის ან უფლებრივი კომპონენტის მიმართ არსებული *lex specialis* მიზანია, რომ კონკრეტულ სუბიექტთან/უფლებრივ კომპონენტთან დაკავშირებული ყველა ძირითადი გარანტია, მათი დაცვისა და რეალიზების ბერკეტები ამოკითხულ იქნას სწორედ ამ დებულებაში. სხვაგვარად აზრი დაეკარგებოდა საქართველოს კონსტიტუციის ტექსტში ზოგადი და *lex specialis* ნორმების არსებობას. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლების მნიშვნელობაზე ხაზგასმა არ არის დეკლარაციული ხასიათის ჩანაწერი, მისი ძირითადი იდეაა, დაიცვას მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ავტონომია, როგორც ორგანიზაციულ-სამართლებრივი კუთხით, ისე ფუნქციური – ნებისმიერი შინაარსის ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების – თვალსაზრისით. სწორედ ამ ორი კომპონენტის ერთიანობა ქნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლების ქვაკუთხედს, ხოლო მათი სეპარაცია წარმოადგენს უკან გადადგმულ ნაბიჯს კონსტიტუციით აღიარებული უფლებრივი ფარგლების განმარტებისას.<sup>418</sup>

417 იქვე, პუნქტები 13-14.

418 იქვე, პუნქტი 14.



## 2. ინტერნეტმედია და მედიის სხვადასხვა საშუალებები

საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა ინტერნეტმედიისადმი და ზოგადად მედიის სხვადასხვა საშუალებებისადმი სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა მოპყრობის შესაძლებლობაზე. მოსარჩელე წარმოადგენს ინტერნეტმედიას და პერიოდულად, საკუთარი ვებგვერდის მეშვეობით, ინტერნეტ პლატფორმაზე განათავსებს გარკვეული სახის ინფორმაციას, მათ შორის, საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს. მოსარჩელე ასევე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმა არღვევდა ბექდური მედიის უფლებას. ამ ნაწილში სასამართლომ მოსარჩელე არაუფლებამოსილ სუბიექტად მიიჩნია და განმარტა, რომ „მედიის სხვადასხვა საშუალებები (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ მედია) მრავალი ფაქტორით (მათ შორის, პოტენციური აუდიტორიის სიდიდით, მომხმარებელზე ზემოქმედების განსხვავებული გავლენით და სხვ.) განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და, მართალია, არაერთ სფეროში ერთგვაროვანი უფლებები გააჩნიათ და ერთგვაროვან შეზღუდვებს ექვემდებარებიან, მაგრამ ზოგიერთ სფეროში, სწორედ მათი განსხვავებულობის გამო, შესაძლოა მათადმი განსხვავებული მიდგომების გამოყენებას საჭიროებდნენ. ის, რაც გამართლებულ შეზღუდვად შეიძლება შეფასდეს მედიის ერთი რომელიმე საშუალების მიმართ, შესაძლოა გაუმართლებელი აღმოჩნდეს სხვის მიმართ და პირიქით. შესაბამისად, ბექდვითი მედიის მიმართ, სარჩელის მისაღებობის საკითხის შეფასებისას (კიდევაც რომ არ გვეჩინდეს საქმე არასათანადო მოსარჩელის პრობლემასთან), საკონსტიტუციო სასამართლო ვერ დაეყრდნობა პრეზუმფციას, თითქოს დასკვნები, რომლებსაც თავად გამოიტანს ინტერნეტმედიის მიმართ არსებული შეზღუდვების კონსტიტუციურობისა თუ არაკონსტიტუციურობის თაობაზე, თანაბრად და უპირობოდ შეიძლება გავრცელდეს მედიის სხვა საშუალებაზე, მათ შორის, ბექდვით მედიაზე, რამდენადაც ასეთი პრეზუმფციის დაშვება გაუმართლებელი იქნებოდა. ამგვარად, ბექდვითი მედიის მიმართ არსებული იგივე შეზღუდვები, რაც ინტერნეტმედიის მიერ არის გასაჩივრებული, ცალკე შეფასების საგანია და წინამდებარე სარჩელის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლო მასზე ვერ იმსჯელებს“.<sup>419</sup>

419 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის №3/7/1483 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „მშს საინფორმაციო ცენტრების ქსელი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11.

### 3. გადაცემათა/პროგრამათა გავრცელების შეზღუდვის შესახებ

საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა ითვლება თუ არა ცენზურად გადაცემათა/პროგრამათა გავრცელების შეზღუდვა. სასამართლოს განმარტებით, „ცენზურა“ კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადების გაგებით, მართალია, ასევე შეიძლება უკავშირდებოდეს გარკვეული შინაარსის ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვას, მაგრამ იგი, უწინარესად და უმთავრესად, გულისხმობს ინფორმაციის წინასწარი, რეგულარული შემონმების სისტემას, რომლის ფარგლებშიც, სახელმწიფო, შემზღუდავი ღონისძიების გამოყენების საფუძველზე, ინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობის მინიჭებას უქვემდებარებს პრევენციული კონტროლის მექანიზმებს, გარკვეულ საფრთხეთა აცილების მიზნით. კერძოდ, ასეთ დროს, კონკრეტული სახის ინფორმაცია მის გამოქვეყნებამდე გადის შესაბამის შინაარსობრივ ფილტრს სახელმწიფოს, რომელიმე ინსტიტუციის ან მაკონტროლებელი ორგანოს მხრიდან და ამგვარი წინასწარი შემონმების შედეგად ხდება ინფორმაციის გავრცელებაზე თანხმობის გაცემა, უარის თქმა ან/და ინფორმაციის შესაბამისად მოდიფიცირების დავალება. შესაბამისად, კონსტიტუციით მოაზრებული „ცენზურის“ აკრძალვა გულისხმობს გენერალურ აკრძალვას, რომლის პირობებშიც, დაუშვებელია შინაარსობრივად შეუმონმებელი ინფორმაციის თავისუფლად და საჯაროდ გავრცელება უფლებამოსილი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინასწარი თანხმობის გარეშე და რომელიც მიზნად ისახავს თავისუფალი სიტყვის, ინფორმაციის თავისუფალი ცირკულაციის შეზღუდვას გარკვეული იდეოლოგიური, პოლიტიკური, რელიგიური თუ სხვა მოსაზრებებით. იგი შეიძლება გულისხმობდეს იმგვარი სისტემის არსებობასაც, სადაც დანერგილია დასახელებული სუბიექტების წინაშე მასმედიის საშუალების ერთგვარი არაფორმალური ანგარიშვალდებულება საკითხზე – ესა თუ ის ინფორმაცია გადაიცეს თუ არა ან რა ფორმით. ინფორმაციის გავრცელების თავისუფლების ამგვარი შეზღუდვა კონსტიტუციით აკრძალულია და მისგან უკან დახევა ნებადართული არ არის.<sup>420</sup> იმავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ „კონკრეტული სახის ინფორმაციის გავრცელებისა და მისი თავისუფალი ცირკულაციის წინასწარი აკრძალვა ყოველთვის როდია „ცენზურა“. მაგალითად, აკრძალულია სახელმწიფო, კომერციული, პირადი საიდუმლოს ან სხვა კონფიდენციალური ინფორ-

420 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის №3/7/1483 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „შპს საინფორმაციო ცენტრების ქსელი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-25.

მაციის გავრცელება, მაგრამ ეს, ცხადია, არ წარმოადგენს „ცენზურას“ მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის გაგებით“.<sup>421</sup>

იმისთვის, რომ სადავო ნორმა საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასოს ცენზურის დაუშვებლობის შესახებ კონსტიტუციურ დებულებასთან მიმართებით, მოსარჩელემ, უნინარესად, უნდა მიუთითოს საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი სუბიექტის იმგვარი შემაკავებელი მექანიზმის არსებობაზე, რომელიც ზღუდავს ინფორმაციის პირველად გასაჯაროებას იმგვარად, რომ საჯაროდ გავრცელებას დამოკიდებულს ხდის ზედამხედველი პირის შესაბამის ნებართვაზე და ინფორმაციის მიმართ მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე.<sup>422</sup>

სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო ნორმით დადგენილი წესი საერთოდ არ ითვალისწინებს საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი სუბიექტის მიერ, ინფორმაციის გავრცელებამდე, მასზე წინასწარი შინაარსობრივი ზედამხედველობის შესაძლებლობას. შედეგად, სადავო ნორმებში მითითებული ინფორმაციის გავრცელება დაქვემდებარებული არ არის საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირის მიერ ნებართვის გაცემაზე. შესაბამისად, სარედაქციო თავისუფლების გამოხატვის ამგვარი ხასიათის წინარე შეზღუდვა, მით უფრო იმ საჯარო ინტერესის უზრუნველყოფის მიზნით, რომელსაც არასრულწლოვანთა დაცვა წარმოადგენს, ვერ იქნება კლასიკური გაგებით ცენზურის მაკორექტირებელი ეფექტის მომხდენი.<sup>423</sup>

#### **4. იცავს თუ არა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება მათ შესაკუთრეთა ქონებრივ ინტერესებს**

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი განცალკევებით მიუთითებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებასა და მათი მონოპოლიზაციის აკრძალვაზე, რაც ცხადყოფს, რომ გამოხატვის

421 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის №3/7/1483 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „შპს საინფორმაციო ცენტრების ქსელი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-26.

422 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 თებერვლის №1/1/1537 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს მთავარი არხი“, „შპს ტელეკომპანია პირველი“, „შპს ტელეკომპანია კავკასია“, „შპს ფორმულა“, ირაკლი სალინაძე, გიორგი ლიფონავა და ქეთევან დედარიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-72.

423 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 თებერვლის №1/1/1537 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს მთავარი არხი“, „შპს ტელეკომპანია პირველი“, „შპს ტელეკომპანია კავკასია“, „შპს ფორმულა“, ირაკლი სალინაძე, გიორგი ლიფონავა და ქეთევან დედარიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-73.

თავისუფლება გამორჩეულად იცავს არა მედიასაშუალებების მესაკუთრეთა ქონებრივი ან ბიზნესინტერესების უზრუნველყოფას, არამედ თავად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და მათი მესაკუთრეების მიერ ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების უფლებას და საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობას, თავისუფალ მედიაგარემოში მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.<sup>424</sup>

სასამართლო აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას სამართლებრივი წესრიგი, რომელშიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დაცული იქნებიან იმგვარი ვალდებულებების დანესებისაგან, რომლებიც დაუსაბუთებლად შეზღუდავენ მათ მიერ ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების შესაძლებლობას და უარყოფით გავლენას მოახდენენ მათ მიერ საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით გარანტირებული უფლებებით სრულყოფილ სარგებლობაზე. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, რეგულაცია, რომელიც აფერხებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ სამაუწყებლო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას, ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებას, მე-2 პუნქტს და მე-3 პუნქტის პირველ და მე-2 წინადადებას“.<sup>425</sup>

## VII. ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტით გარანტირებულია ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება. მითითებული უფლება, რომელიც კონსტიტუციის დღეს მოქმედ რედაქციაშია, 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი კონსტიტუციის ტექსტში არ იყო. გამოხატვის თავისუფლების დასახელებულ უფლებებზე შინაარსთან მიმართებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ჯერ არ აქვს.

ამასთან, უნდა გამოვყოთ საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი დასახელებულ უფლებასთან მიმართებით. კონსტიტუციური სარ-

424 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675.681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-74.

425 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის №2/6/1311 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სტერეო+“, ლუკა სევერინი, ლაშა ზილფიმიანი და რობერტ ხახალავი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“, II-61.

ჩელის თანახმად, მოსარჩელეს წარმოადგენს ინტერნეტმედია, რომელიც პერიოდულად, საკუთარი ვებგვერდის მეშვეობით, ინტერნეტ პლატფორმაზე განათავსებს გარკვეული სახის ინფორმაციას, მათ შორის, საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს. სასამართლო აღნიშნავს, რომ, საზოგადოდ, მედიის სხვადასხვა საშუალებები (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ მედია) მრავალი ფაქტორით (მათ შორის, პოტენციური აუდიტორიის სიდიდით, მომხმარებელზე ზემოქმედების განსხვავებული გავლენით და სხვ.) განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და, მიუხედავად იმისა, რომ არაერთ სფეროში ერთგვაროვანი უფლებები გააჩნიათ და ერთგვაროვან შეზღუდვებს ექვემდებარებიან, ზოგიერთ სფეროში, სწორედ მათი განსხვავებულობის გამო, შესაძლოა, მათდამი განსხვავებული მიდგომების გამოყენებას მოითხოვდნენ. ის, რაც გამართლებულ შეზღუდვად შეიძლება შეფასდეს მედიის ერთი რომელიმე საშუალების მიმართ, შესაძლოა გაუმართლებელი აღმოჩნდეს სხვის მიმართ და პირიქით. საკონსტიტუციო სასამართლო ვერ დაეყრდნობა პრეზუმფციას, რომ თითქოს დასკვნები, რომლებსაც გამოიტანს ინტერნეტმედიის მიმართ არსებული შეზღუდვების კონსტიტუციურობისა თუ არაკონსტიტუციურობის თაობაზე, თანაბრად და უპირობოდ შეიძლება გავრცელდეს მედიის სხვა საშუალებაზე, მათ შორის, ბეჭდვით მედიაზე, რამდენადაც ასეთი პრეზუმფციის დაშვება გაუმართლებელი იქნებოდა.<sup>426</sup>

ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების კონტექსტში ინტერნეტით სარგებლობასთან დაკავშირებით, მოსამართლეებმა მოსაზრებები გამოთქვეს ერთ-ერთ საქმეზე ჩამოყალიბებულ განსხვავებულ აზრში. მათი მოსაზრებით, ინტერნეტი თანამედროვე საზოგადოებაში ნებისმიერი ფორმით გამოხატული ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა, რომლის მეშვეობითაც ელექტრონულ სივრცეში, დროის მცირე მონაკვეთში, განუზომელი მოცულობის ინფორმაცია აკუმულირდება. ინტერნეტის გამოყენებით შესაძლებელი ხდება ინდივიდთა განსხვავებული ჯგუფების ფიზიკურ საზღვრებს მიღმა, ვირტუალურ სივრცეში თავმოყრა, კომუნიკაცია და ინფორმაციის გაზიარება. მოსამართლეთა მოსაზრებით, ხელმისაწვდომობის, გაცვლილი ინფორმაციის მოცულობისა და მრავალფეროვნების, ისევე, როგორც ამგვარ ინფორმაციაზე წვდომის სიმარტივის გათვალისწინებით, გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფის პროცესში ინტერნეტის როლი უპრეცედენტო და შეუცვლელია. გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციის პროცესში ინტერნეტის როლისა და სარგებლიანობის

426 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის №3/7/1483 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „შპს საინფორმაციო ცენტრების ქსელი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-11.

ალიარების პარალელურად, რამდენადაც მარტივია ინტერნეტის მეშვეობით ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა, იმდენად რთულია, გლობალურ კონტექსტში, ინფორმაციის დინების კონტროლი. ინტერნეტით გავრცელებული ინფორმაცია არ შემოიფარგლება სახელმწიფოთა ფიზიკური საზღვრებით და თანაბრად ხელმისაწვდომია მსოფლიო მასშტაბით, ამა თუ იმ შინაარსის ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვა, შესაძლებელია, ნამდვილად წარმოადგენდეს რთულად მისაღწევ ამოცანას.<sup>427</sup>

### VIII. გამონათვისის თავისუფლება და პატივისა და ღირსების დაცვა

გამონათვისის თავისუფლების ფარგლების განმარტებისას, საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ გამონათვისის თავისუფლების უფლებით სარგებლობა უნდა მოხდეს სხვა კონსტიტუციური ინტერესების გათვალისწინებისა და პატივისცემის პირობებში<sup>428</sup>. საკონსტიტუციო სასამართლოს მოუხდა გამონათვისის თავისუფლების განმარტება სხვა ფუნდამენტურ უფლებებთან და ლეგიტიმურ ინტერესებთან პოტენციური დაპირისპირებისას კონსტიტუციური ბალანსის დაცვის ფონზე.<sup>429</sup> „ზოგადად, კონფლიქტი ისეთ კონსტიტუციურ ღირებულებებს შორის, როგორებიცაა ადამიანის სახელის, რეპუტაციის, პატივის უფლება და გამონათვისის თავისუფლება, ობიექტურად გარდაუვალია. ასეთ დროს კონსტიტუციის მიზანი არის მათი გონივრული დაბალანსება, ორივე სიკეთის უზრუნველყოფა, ხოლო ხელისუფლების ვალდებულებაა ასეთი ბალანსის დაცვა“.<sup>430</sup>

სასამართლო აღნიშნავს, რომ გამონათვისის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს ადამიანის სახელის, პატივის, რეპუტაციის დაცვის მიზნით, მათ შორის, სასამართლოში დავის გზით. „კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას ადამიანის პატივის უფლების დაცვის ლეგიტიმური ინტერესი, როდესაც ის ცილისწამების მსხვერპლი ხდება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამონათვისის თავისუ-

427 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების – გიორგი თევდორაშვილისა და გიორგი კვერენჩილაძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2022 წლის 4 ნოემბრის №1/8/926 გადაწყვეტილებასთან („გიორგი ლოგუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) მიმართებით. პუნქტები 16-17.

428 ქეთევან ერემაძე, თავისუფლების დამცველი თავისუფლების ძიებაში, თბილისი, 2018 წ., გვ. 117.

429 იქვე, გვ. 117.

430 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-38.



ფლებების უსაფუძვლოდ და მომეტებულად შეზღუდვის თავიდან აცილების მიზნით, ხელისუფლება ვალდებულია, ჩაერიოს ამ თავისუფლებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანის სახელის და რეპუტაციის უფლებას საფრთხე რეალურად ემუქრება, ამასთან, მხოლოდ იმ ინტენსივობით და ფორმით, რაც ობიექტურად საკმარისია ამ სიკეთის დასაცავად. მაშასადამე, ისევე როგორც ზოგადად, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა გამართლებულია მხოლოდ მაშინ და იმ ფორმით, როდესაც და რა ინტენსივობითაც ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში<sup>431</sup>. სასამართლო მიუთითებს, რომ უფლების პერსონალური ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია გარდაცვლილი პირის ნაცვლად, მისმა, თუნდაც ყველაზე ახლობელმა, მისსავე საუკეთესო ინტერესების დაცვის კეთილსინდისიერად აღსრულების ფარგლებში, ზუსტად იცოდეს, რას ჩათვლიდა გარდაცვლილი პირი პატივის/რეპუტაციის შემლახველად, რას განიცდიდა ცოცხალი რომ ყოფილიყო და მიიღებდა თუ არა ის მორალურ ზიანს კონკრეტული განცხადების შედეგად. შეუძლებელია გარდაცვლილი პირის ნამდვილი ნების დადგენა, რადგან ყოველი ადამიანი თავად განსაზღვრავს რა არის მისთვის კონკრეტულ მომენტში მნიშვნელოვანი, რა სახით გადანყვეტს მისი სიკეთის დაცვას. გარდა ამისა, ... შესაძლოა, მხოლოდ გარდაცვლილი პირი ფლობდეს სწორ ინფორმაციას. შედეგად, ის განცხადება, რომელიც მის ახლობელს ცილისმწამებლურად, ანუ არსებითად მცდარ ინფორმაციად მიაჩნია, სინამდვილეში, შესაძლოა სწორ, ნამდვილ ფაქტებს ეფუძნებოდეს და, შესაბამისად, სულაც არ იყოს ცილისმწამებლური, რის გამოც, გარდაცვლილი სიცოცხლეში არ იდავებდა. განცხადება ეფუძნება თუ არა არსებითად მცდარ ფაქტს, უმეტეს შემთხვევაში, ყველაზე უკეთ მხოლოდ განცხადების უშუალო ადრესატმა შეიძლება იცოდეს, მხოლოდ მან იცის საკუთარ თავზე პირუთვნელი სიმართლე, რის გამოც, მას აქვს ყველაზე ობიექტური საფუძველი, კონკრეტული ზიანის გამო, იდავოს ან არა სასამართლოში. ბუნებრივია, არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ სიმართლე გარდაცვლილის იდენტიურად იცოდნენ მისმა უახლოესმა ადამიანებმაც, მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ახლობლებს შეუძლიათ სიმართლის მტკიცება (აქვთ საკმარისი მტკიცებულებები), იმის მტკიცება მაინც შეუძლებელია, პირი ცოცხალი რომ ყოფილიყო, აუცილებლად იდავებდა თუ არა სასამართლოში<sup>432</sup>. სასამართლომ დაადგინა, რომ უფლების ბუნება და კონსტიტუციით დადგენილი ბალანსი არ იძლევა გარდაცვლილი პირის

431 იქვე, II-49.

432 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-35, 36.

პატივის უფლების სუბიექტად მიჩნევის შესაძლებლობას. შესაბამისად, არ არსებობს ამ უფლების სასამართლოში დაცვის საფუძველი.<sup>433</sup>

ერთ-ერთ საქმეში მოსარჩელები მიიჩნევდნენ, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასთან ერთად მოხდა მათი პატივისა და ღირსების ხელყოფაც. სასამართლომ გამოხატვის თავისუფლებისა და პატივისა და ღირსების ხელყოფა არ დაადგინა, თუმცა გააკეთა მნიშვნელოვანი განმარტება, რომ სასამართლოსათვის ამოსავალი ნერტილი ვერ იქნება პატივისა და ღირსების სამოქალაქო-სამართლებრივი გაგება. ღირსების კონსტიტუციურ-სამართლებრივი განმარტება განსხვავებულია. პატივისა და ღირსების კონსტიტუციური დაცვის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მთავარი ღირებულება არის ადამიანი, როგორც თვითმყოფადი, თავისუფალი და სხვა ადამიანების თანასწორი სუბიექტი. ადამიანის ღირსების დაცვა არის ის, რაც უპირობოდ ეკუთვნის ყველა ადამიანს სახელმწიფოსაგან. ღირსება ადამიანს აქვს იქედან გამომდინარე, რომ ის ადამიანია და ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ გააჩნია საზოგადოების შეხედულებას მასზე, ან მის სუბიექტურ თვითშეფასებას. ადამიანის ღირსების პატივისცემა გულისხმობს ყოველი ადამიანის პიროვნულ აღიარებას, რომლის ჩამორთმევა და შეზღუდვა დაუშვებელია. ღირსება არის ის უფლება და ამავე დროს, ის ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპი, რომელსაც ეყრდნობა და უკავშირდება ძირითადი უფლებები. ღირსების ხელყოფა, ფაქტობრივად, ყოველთვის უკავშირდება სხვა ძირითადი უფლების ან უფლებების დარღვევას.<sup>434</sup>

## IX. გამოხატვის თავისუფლების უფლების შეზღუდვის „მსუსხავი ეფექტი“ უფლებით სარგებლობისას

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა გამოხატვის თავისუფლების უფლებით სარგებლობისას „მსუსხავი ეფექტის“ რისკზე, როცა მოსალოდნელი სანქციის/პასუხისმგებლობის შიშით პირი იძულებულია თავი შეიკავოს გამოხატვის თავისუფლების უფლების სრულყოფილად განხორციელებისაგან. სასამართლოს განმარტებით, „გამოხატვის თავისუფლების რეგულირებისას კანონმდებელი ვალდებულია, გაითვალისწინოს პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ნორმის გავლენა პირის უფლებაზე. ...

433 იქვე, II-56.

434 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II-30,31.

დაცული უფლება „მსუსხავ ეფექტს“ განიცდის, თუ პირი, მოსალოდნელი სანქციის შიშით, იძულებულია თავი შეიკავოს უფლების სრულყოფილად განხორციელებისაგან და თვითშეზღუდვა აისახება გამონახტვის თავისუფლების ნორმატიულად შეუზღუდავ ნაწილზე. „მსუსხავი ეფექტის“ გავლენით ნორმის ზემოქმედება გამონახტვის თავისუფლების რეალიზებაზე შესაძლებელია გასცდეს მისი რეგულირების სფეროს და ფაქტობრივად შეზღუდოს ის ურთიერთობები, რომელთა მოწესრიგებაც კანონმდებლის მიზანს არც კი წარმოადგენდა. გამონახტვის თავისუფლების სფეროს ამგვარად რეგულირებამ შესაძლებელია გამოიწვიოს საზოგადოების გაუმართლებელი ჩაკეტვა, მისი მოქმედების თავისუფლების თვითშეზღუდვა, აიძულოს ადამიანები, მოახდინონ თვითცენზურა გამონახტვის თავისუფლებით დაცული სფეროს იმ ნაწილში, რომლის შეზღუდვის აუცილებლობაც არ არსებობს, რაც, თავისთავად, ამ უფლების არათანაზომიერად შეზღუდვის ტოლფასია“.<sup>435</sup>

ასევე, საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების განსხვავებულ აზრში გამოთქმული მოსაზრება გამონახტვის თავისუფლების უფლების შეზღუდვისას „მსუსხავი ეფექტის“ რისკის არსებობაზე. მოსარჩელე ერთ-ერთ არგუმენტად ასახელებდა, რომ განუჭვრეტელი კანონმდებლობით დაკისრებული პასუხისმგებლობა „მსუსხავ ეფექტს“ ახდენდა გამონახტვის თავისუფლებით სარგებლობაზე. მოსამართლეების მოსაზრებით, გამონახტვის თავისუფლების ხასიათიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადამწყვეტილებაში უნდა შემონიშნულიყო სადავო ნორმით განსაზღვრული ფორმით აკრძალვას რამდენად აქვს „მსუსხავი ეფექტი“ გამონახტვის თავისუფლების იმ ნაწილის მიმართ, რომელიც შესაძლებელია არ ექცეოდეს სადავო ნორმის მოწესრიგების სფეროში. მსგავსი ეფექტი, შესაძლოა განპირობებული იყოს, მათ შორის, სადავო ნორმის ბუნდოვანებით. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი დამოუკიდებლად ადგენს გამონახტვის თავისუფლების შემზღუდველი რეგულირების განსაზღვრულობის სტანდარტებს. კერძოდ, საკითხი იმის თაობაზე, აქვს თუ არა ადგილი გამონახტვის თავისუფლებაში ჩარევას, მჭიდროდ არის დაკავშირებული, მათ შორის, თავად ამ უფლების განხორციელებაზე „მსუსხავი ეფექტის“ არსებობის რისკებთან.<sup>436</sup> განსხვავებული აზრის ავტორები მიიჩნევენ, რომ სადავო ნორმა პორნოგრაფიული

435 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის №2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8.

436 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების – გიორგი თევდორაშვილისა და გიორგი კვერენჩილაძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2022 წლის 4 ნოემბრის №1/8/926 გადაწყვეტილებასთან („გიორგი ლოგუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) მიმართებით, პუნქტები 7-8.

ნაწარმოების უკანონოდ გავრცელებისათვის პასუხისმგებლობის დადგენის ნაწილში არ არის ჩამოყალიბებული საკმარისი სიცხადით და გააჩნია „მსუსხავი ეფექტი“ გამონხატვის თავისუფლებაზე. სადავო ღონისძიება იძულებულს ხდის ადამიანებს, გამონხატვის თავისუფლების უფლების რეალიზაციისას, პასუხისმგებლობის/სანქციის დაკისრების შიშით, განახორციელონ თვითცენზურა და იმაზე მეტად შეიზღუდონ თავი ამა თუ იმ ნაწარმოების გავრცელებისას, ვიდრე ამას სადავო რეგულაცია მოითხოვს.<sup>437</sup>

## X. უფლების შეზღუდვის ლეგიტიმაციის ტესტი

საკონსტიტუციო სასამართლომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის გათვალისწინებით მიუთითა ის ტესტი, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაში გამონხატვის თავისუფლებაში ჩარევა კონსტიტუციის შესაბამისი იქნება. კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“.

სასამართლო განმარტავს, რომ გამონხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და კონსტიტუცია ითვალისწინებს მე-17 მუხლით გარანტირებული თავისუფლების შესაძლო შეზღუდვების ჩამონათვალს. ხელისუფლება უფლებამოსილია, ჩაერიოს გამონხატვის თავისუფლების განხორციელებაში, თუ დაცულია შემდეგი სამი პირობა ერთად:

- ა. ჩარევა გათვალისწინებულია კანონით;
- ბ. ჩარევა მიზნად ისახავს მე-17 მუხლის მე-5 პუნქტში ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე ინტერესს;
- გ. ჩარევა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.<sup>438</sup>

საკონსტიტუციო სასამართლო უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის შემოწმებისთვის იყენებს თანაზომიერების ტესტს, რომელიც ცალკე პარაგრაფშია მოცემული.

437 იქვე, პუნქტი 10.

438 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის №2/2/359 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პ.1.

## XI. უფლების შეზღუდვის ფორმალური გარანტია – „დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად“

გამონახტვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი ითვალისწინებს მისი შეზღუდვის შესაძლებლობას შემდეგ კრიტერიუმზე მითითებით: „დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად“. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა დასახელებული ფორმალური საფუძვლის მნიშვნელობა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დამდგენი კონსტიტუციური ნორმები, რიგ შემთხვევებში, მოითხოვენ, რომ ძირითად უფლებაში ჩარევა განხორციელდეს კონკრეტული სამართლებრივი ფორმის დაცვით“.<sup>439</sup> აღნიშნული ფორმალური მოთხოვნების დაუცველობა კი, რეგულირების შინაარსის მიუხედავად, იწვევს ძირითადი უფლების შემზღუდავი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას.<sup>440</sup>

სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციით დადგენილი ფორმალური მოთხოვნა, რომ ესა თუ ის საკითხი მონესრიგდეს კანონით, კონკრეტულ საკითხზე გადაწყვეტილების მიმღებ ლეგიტიმურ ორგანოდ საქართველოს პარლამენტის განსაზღვრას ემსახურება. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუცია სახელდებით მიუთითებს იმ საკითხებს, რომელთა მონესრიგების უფლებამოსილება მხოლოდ საქართველოს პარლამენტს გააჩნია.<sup>441</sup> უფლების კანონის საფუძველზე შეზღუდვის შესახებ კონსტიტუციური დათქმა ემსახურება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ეფექტურად დაცვას.

„კონსტიტუციური უფლებამოსილების შესაბამისი კონსტიტუციური ლეგიტიმაციის არმქონე სუბიექტის მიერ განხორციელება ქმნის როგორც ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის რისკებს, ისე საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს ეფექტიან ფუნქციონირებას“.<sup>442</sup> ამგვარად, კონსტიტუციური კომპეტენციები

439 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის №2/5/700 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“, „შპს კასტელ ჯორჯია“ და „სს წყალი მარგებელი“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგ“, II-13.

440 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს N 1/7/1275 გადაწყვეტილება საქმეზე ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, II-23.

441 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის №1/4/757 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-20.

442 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის №3/4/641 გადაწყვეტილება საქმეზე „ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-6.

და ამოცანები კონსტიტუციის საფუძველზე უფლებამოსილმა ორგანომ უნდა განახორციელოს. კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს პარლამენტი წარმოადგენს საკანონმდებლო ხელისუფლების განმახორციელებელ ორგანოს და მას აქვს მინიჭებული ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხების კანონით მოწესრიგების ვალდებულება.

საქართველოს პარლამენტი არის ის კონსტიტუციური ორგანო, რომელიც საკითხს წყვეტს გამჭვირვალე საკანონმდებლო პროცესის საფუძველზე, პოლიტიკური დებატების შედეგად, რაც საფუძველშივე ქმნის დამატებით ფილტრს უფლებაში გაუმართლებლად ჩარევის რისკების შესამცირებლად. ცხადია, ამგვარი პროცედურა არ უზრუნველყოფს კონსტიტუციური უფლებების დარღვევის სრულფასოვან პრევენციას, თუმცა, უდავოდ, მნიშვნელოვნად ამცირებს ძალაუფლების თვითნებურად გამოყენების რისკს, უზრუნველყოფს მიღებული აქტის მიმართ მეტ ლეგიტიმაციას და სანდოობას.<sup>443</sup>

## 1. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის უფლებამოსილების დელეგირება

ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა, პარლამენტის უფლებამოსილებაზე, მოახდინოს უფლების შეზღუდვის საკითხის დელეგირება სხვა ორგანოზე. კონსტიტუციით გათვალისწინებული დათქმა „უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად“, ბუნებრივია, არ გულისხმობს, რომ უფლება მხოლოდ საქართველოს პარლამენტმა შეიძლება შეზღუდოს. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, ამა თუ იმ უფლების კანონით შეზღუდვის კონსტიტუციური მოთხოვნის მიზანი არ არის უფლების რეგულირებასთან დაკავშირებული ყველა, მათ შორის, ფორმალური საკითხების კანონით მოწესრიგება (იხ. *mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის №2/2/867 გადაწყვეტილება საქმეზე „რემზი შარაძე საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“, II-13). სასამართლოს განმარტებით, უფლებამოსილების დელეგირების მექანიზმი მნიშვნელოვნად ამარტივებს კანონშემოქმედებით საქმიანობას და საკანონმდებლო ხელისუფლებას აძლევს შესაძლებლობას, მიიღოს გადაწყვეტილებები პრინციპულ პოლიტიკურ-სამართლებრივ საკი-

443 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს N 1/7/1275 გადაწყვეტილება საქმეზე „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, II-28.



თხებზე, ხოლო მათი იმპლემენტაციისათვის საჭირო დეტალების მონესრიგება კი სხვა სახელმწიფო ორგანოებს გადაანდოს. გარკვეული საკითხების მონესრიგების უფლებამოსილების დელეგირება, ასევე, შესაძლოა, გამართლებული იყოს საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისითაც. სასამართლოს მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ საკითხის კანონით მონესრიგება ქმნის სტაბილურობის უფრო მაღალ გარანტიებს, ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტა საჭიროებს მოქნილ საკანონმდებლო მექანიზმს. ამ თვალსაზრისით უფლებამოსილების დელეგირება ხელს უწყობს მარტივ ნორმატიულ ცვლილებებს იმ სფეროებში, რომლებიც საჭიროებს ხშირ მოდიფიკაციას, გამარტივებული პროცედურების საფუძველზე, რეგულირების შეცვლილ გარემოებებზე მორგებას. ამასთან, მონესრიგების უფლებამოსილების დელეგირება, შესაძლოა, ასევე გამართლებული იყოს ამა თუ იმ საკითხზე სწრაფი გადაწყვეტილების მიღების მოტივითაც. ამგვარად, გარკვეულ შემთხვევებში, პარლამენტის მიერ კანონით მოსაწესრიგებელი საკითხის დელეგირება არის ლეგიტიმური და აუცილებელი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „საკითხის ბუნებიდან გამომდინარე, პარლამენტი უფლებამოსილია, გარკვეულ შემთხვევაში მისი მონესრიგების უფლებამოსილების სხვა ორგანოზე დელეგირება მოახდინოს“.<sup>444</sup>

## 2. როდის არის დელეგირება დაუშვებელი

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით უკვე დადგენილია გარკვეული პირობები, რომელთა არსებობისას დაუშვებელია უფლებამოსილების დელეგირება. „პარლამენტის მიერ უფლებამოსილების დელეგირებამ შეიძლება კონსტიტუციის დარღვევა გამოიწვიოს იმ შემთხვევებში, როდესაც მას საქართველოს კონსტიტუცია პირდაპირ კრძალავს ... ან/და, როდესაც დადგინდება, რომ გარკვეული უფლებამოსილების დელეგირებით საქართველოს პარლამენტი თავისი კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელებაზე ამბობს უარს. აღნიშნული სახეზე იქნება, მაგალითად, ისეთ შემთხვევაში, როდესაც კონსტიტუცია აკეთებს კონკრეტულ მითითებას საკითხის მონესრიგებასთან დაკავშირებით (მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 50-ე მუხლის პირველი პუნქტი ცალსახად უთითებს, რომ არჩევნებში მონაწი-

<sup>444</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის №2/2/867 გადაწყვეტილება საქმეზე „რემზი შარაძე საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“, II-16.

ლეობისათვის წარსადგენ მხარდამჭერთა ხელმოწერების რაოდენობა უნდა განისაზღვროს ორგანული კანონით) ან/და საქართველოს პარლამენტი ახდენს მისი უფლებამოსილების ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი ნაწილის დელეგირებას (მაგალითად, საერთოდ არ იღებს საარჩევნო კოდექსს და ა.შ.)“.<sup>445</sup> ამასთან, გარკვეული კატეგორიის/შინაარსის საკითხების მოწესრიგების დელეგირების მიმართ საკონსტიტუციო სასამართლოს მოთხოვნები განსაკუთრებით მკაცრია, რასაც თავად მოსაწესრიგებელი საკითხის არსი განაპირობებს. გამონახტვის თავისუფლების უფლების შეზღუდვის დელეგირების შეფასებისას აუცილებელია, გაანალიზდეს გამონახტვის თავისუფლების დანიშნულება და როლი ძირითადი კონსტიტუციური პრინციპებისა და ღირებულებების კონტექსტში.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, პარლამენტის მიერ თუნდაც საკანონმდებლო აქტის საფუძველზე გამონახტვის თავისუფლების შეზღუდვის სხვა ორგანოზე დელეგირება, არაკონსტიტუციური იქნებოდა.<sup>446</sup> სასამართლოს განმარტებით, „გამონახტვის თავისუფლების შინაარსობრივი მხარე, ანუ იმის განსაზღვრა, რა ტიპის აზრის გამოთქმა და ინფორმაციის გავრცელება დასაშვებია, ისეთი საკითხია, რომელიც სტაბილურ საკანონმდებლო გარანტიებს საჭიროებს. ამგვარად, გამონახტვის თავისუფლების შინაარსობრივი რეგულირების უფლებამოსილების სხვა ორგანოსათვის გადაცემა შეიძლება ჩაითვალოს პარლამენტის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი უფლებამოსილების დელეგირებად. გამონახტვის თავისუფლების შინაარსთან დაკავშირებული შეზღუდვების განსაზღვრა და მათი ცვლილება არ უნდა იყოს დამოკიდებული აღმასრულებელი ხელისუფლების ნებაზე. მხოლოდ საქართველოს პარლამენტი ალჭურვილი კონსტიტუციური მანდატით, მიიღოს გადაწყვეტილებები ისეთ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც ფუნდამენტურ გავლენას ახდენს კონსტიტუციურ უფლებებზე. ... ბუნებრივია, სამართლებრივი მოწესრიგების კანონმდებლის მიერ დელეგირება არ გულისხმობს დელეგირებული უფლებამოსილების მქონე ორგანოსთვის უპირობო თავისუფლების მინიჭებას. კონსტიტუციის ძირითადი იდეა ადამიანის უფლებების დაცვაა და, შესაბამისად, შეუძლებელია, იგი ორგანოს ანიჭებდეს უპირობო ან/და აბსოლუტურ თავისუფლებას იმ ურთიერთ-

445 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისის №3/3/763 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, გიორგი ზარამიძე და სხვები, სულ 42 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-78.

446 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს N 1/7/1275 გადაწყვეტილება საქმეზე „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, II-53.

ბების დარეგულირების პროცესში, რომლებიც ეხება კონსტიტუციით განმტკიცებულ უმთავრეს ღირებულებებს – ადამიანის ძირითად უფლებებს (*mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის №3/1/659 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-25). შესაბამისად, დელეგირებული უფლებამოსილების მქონე ორგანოს აქვს კონსტიტუციური ვალდებულება, არაგონივრულად, არაპროპორციულად არ შეზღუდოს ესა თუ ის უფლება“.447 ამასთან, სასამართლომ პრინციპულად არასწორად მიიჩნია, რომ უფლებებზე ფუნდამენტური გავლენის მომხდენ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებდეს სათანადო საკანონმდებლო კომპეტენციის არმქონე ორგანო.

### 3. რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს კანონი

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კანონი უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს მის ვარგისიანობასთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა ერთ-ერთ საქმეში.<sup>448</sup> სასამართლო მიუთითებს ორ კრიტერიუმზე: პირველი, კანონი ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს, მოქალაქეს საკმარისი ინფორმაცია უნდა ჰქონდეს გამოსაყენებელ კანონზე. მეორე, ნორმა უნდა იყოს განჭვრეტადი, საკმარისი სიზუსტით ფორმულირებული, არ უნდა იყოს ბუნდოვანი. პირს უნდა შეეძლოს საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რჩევის დახმარებით, განჭვრეტოს ის შედეგები, რაც მოცემულ ქმედებას შესაძლოა მოჰყვეს.<sup>449</sup> ამასთან, თუ ნორმა/კანონი არ არის განჭვრეტადი, მისი ხელმისაწვდომობა შედეგს ვერ მოიტანს.

ერთ-ერთ საქმეში, სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმებას მოსარჩელე ითხოვდა ასევე კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტთან მიმართებით.<sup>450</sup> კერძოდ, მოსარჩელის მტკიცებით, გასაჩივრებული ნორმა განჭვრეტადობის თვალსაზრისით, აგრეთვე უნდა შემოწმებულიყო საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტთან მიმართებით, რამ-

447 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს N 1/7/1275 გადაწყვეტილება საქმეზე: ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ, II-39

448 იხ. Case of The Sunday Times v. United Kingdom.

449 იხ. Case of The Sunday Times v. United Kingdom, Application no. 6538/74. §49.

450 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის N 1/8/926 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ლოგუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, I-12.

დენადაც იგი აღნიშნული უფლებით სარგებლობისათვის მსუსხავ ეფექტს წარმოშობდა. მისი აზრით, ბუნდოვანი რეგულაციით დანესებული სანქციის შიშმა შესაძლოა, აიძულოს პირი, თავი შეიკავოს იმგვარი მასალის გავრცელებისგანაც კი, რომელიც გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროშია მოქცეული. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დასახელებულ საქმეზე სადავო ნორმა, ბუნდოვანებისა და განუჭვრეტელობის საფუძვლით, არაკონსტიტუციურად მიიჩნია საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ის მოკლებული იყო შესაძლებლობას, ბუნდოვანი ნორმა შეეფასებინა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ სხვა უფლებებთან, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულ გამოხატვისა თუ ინფორმაციის თავისუფლებასთან მიმართებით.<sup>451</sup>

სასამართლომ სადავო ნორმების განჭვრეტადობის საკითხზე აღნიშნა, რომ კანონმდებელი აკრძალულ ქმედებათა განსაზღვრისას არეგულირებს ურთიერთობათა ფართო სპექტრს და საკანონმდებლო აქტში გამოყენებული ტერმინები მოითხოვს განმარტებასა და ფაქტობრივი გარემოებებისადმი მისადაგებას. შესაბამისად, შეუძლებელია, თავიდან იქნეს არიდებული შედარებით ზოგადი, ინტერპრეტირებადი თუ კონკრეტული სფეროსათვის დამახასიათებელი ცნებებისა თუ ტერმინების გამოყენება. შედეგად, კანონმდებლობის, მათ შორის, პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმების შინაარსის აღქმა რთულდება და საჭირო ხდება იურისტებისა და სხვა სფეროს სპეციალისტების დახმარება. პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმების მიმართ წაყენებული მკაფიოობის მოთხოვნა არ გულისხმობს, რომ კანონმდებლობა არ უნდა შეიცავდეს კომპლექსურ ფორმულირებებს, შეფასებით ცნებებს, რომ ის დაცლილი უნდა იყოს ნებისმიერი ტექნიკური ან ზოგადი ტერმინისგან და იმგვარად იყოს ჩამოყალიბებული, რომ დამოუკიდებლად, სხვისი დახმარების გარეშე იყოს გასაგები ნებისმიერი ადამიანისათვის. პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის განჭვრეტადობის კონსტიტუციური მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მის ადრესატს შეუძლია სამართლებრივი შედეგების განჭვრეტა, მათ შორის, იურისტებისა და სხვა სფეროს სპეციალისტების დახმარებით.<sup>452</sup>

სასამართლო მიიჩნევს, რომ „უხარისხო“ კანონი არღვევს სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპს, რომელიც, თავის მხრივ, გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან და გულისხმობს, რომ ნორმა

451 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის N 1/8/926 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ლოგუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-50-51.

452 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის №2/1/1289 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ბერუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13.

უნდა იყოს ნათელი და განსაზღვრულობის მოთხოვნებთან შესაბამისი. ადამიანს უნდა შეეძლოს ზუსტად გაარკვიოს, თუ რას მოითხოვს მისგან კანონმდებელი და მიუსადაგოს ამ მოთხოვნას თავისი ქცევა. კონსტიტუციის სხვადასხვა ნორმებთან სადავო ნორმების შესაბამისობის ანალიზისას, უნდა დადგინდეს, ხომ არ გამოუწვევია უფლების დარღვევა ნორმის განუსაზღვრელობას. ამასთან, სადავო ნორმა არ უნდა იქნეს განხილული სხვა, მასთან კავშირში მყოფი ნორმებისაგან იზოლირებულად, რადგანაც ამგვარმა მიდგომამ საკონსტიტუციო სასამართლო შეიძლება მიიყვანოს მცდარ დასკვნებამდე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება №2/3/412, 05.04.2007 წ.). გასათვალისწინებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მითითება, რომ „ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ სადავო ნორმაში მოცემული სამართლებრივი (ნორმატიული) სინამდვილე და მისი გამოყენების შედეგად დამდგარი ფაქტობრივი სინამდვილე. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია კონსტიტუციასთან მიმართებით შეაფასოს მხოლოდ სადავო ნორმაში გათვალისწინებული დანაწესის კონსტიტუციურობა... მაგრამ თუკი ნორმის რეალურ-პრაქტიკული განხორციელება არ შეესაბამება მის შინაარსს, მაშინ მოსარჩელეთა უფლებების შელახვის წყარო აქ (ნორმის შინაარსში) კი არ არის საძებნელი, არამედ მის პრაქტიკულ განხორციელებაში. საკონსტიტუციო სასამართლო კი ვერ იმსჯელებს სადავო ნორმის გამოყენების კონსტიტუციურობაზე“. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/1/357; 31.05.2006 წ.). თუ კეთილსინდისიერი განმარტების პირობებში შეუძლებელი იქნება ნორმის თვითნებური და ადამიანის უფლებებისათვის საზიანო გამოყენება, მაშინ ნორმა სავსებით დააკმაყოფილებს სამართლებრივი უსაფრთხოების მოთხოვნებს.<sup>453</sup>

## XII. უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნები

ხელისუფლება უფლებამოსილია, დაანესოს ფორმალური, შინაარსობრივად ნეიტრალური შეზღუდვები გამოხატვის თავისუფლების უფლების განხორციელებაზე, თუმცა ასეთი შეზღუდვა (რეგულირება) ლეგიტიმური მიზნის მიღწევისაკენ უნდა იყოს მიმართული და ამ მიზნის მიღწევის აუცილებელ წინა პირობას უნდა წარმოადგენდეს.<sup>454</sup>

453 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქე მათა ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, II-6.

454 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-53.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ითვალისწინებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი შემდეგი ლეგიტიმური მიზნების უზრუნველსაყოფად:

ა) სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად; ბ) სხვათა უფლებების დასაცავად; გ) კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად; დ) სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ ლეგიტიმურ მიზნებს ხშირად კომბინირებულად განიხილავს, თუმცა არის საგამონაკლისო შემთხვევები. გამოხატვის თავისუფლების უფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნებზე სასამართლოს შეფასების გასაცნობად, რამდენიმე საქმეზე გავამახვილებ ყურადღებას.

სასამართლომ პატივისა და ღირსების შესახებ მსჯელობისას მიიჩნია, რომ გავრცელებული ცნობების უარყოფის ვალდებულება შეესაბამება სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის კანონიერ მიზანს – სხვათა უფლებების დაცვას და წარმოადგენს შელახული პატივისა და ღირსების აღდგენის ადეკვატურ ზომას.<sup>455</sup>

ინფორმაციის მიღების უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და შეიძლება შეიზღუდოს საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე. რამდენად გამართლებულია აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ხელისუფლების მხრიდან ჩარევა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადასაწყვეტი საკითხია. სასამართლო მიიჩნევს, რომ პოლიციის საიდუმლო რეესტრის ჩანაწერებში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობისგან დაცვა სახელმწიფოს ლეგიტიმური ინტერესია.<sup>456</sup>

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ინტერესების საზიანოდ, უცხო ქვეყნის დაზვერვის ან უცხოეთის ორგანიზაციის დავალებით, ინფორმაციის შეგროვებისა და გადაცემის დასჯადობა შეესაბამება კონსტიტუციით გათვალისწინებულ ლეგიტიმურ მიზანს. სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო უშიშროების დაცვა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარეობს, რომ საქართველო დაცული იყოს სხვა ქვეყნის საიდუმლო

455 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის №2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. II.

456 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის №2/2/359 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. 1.



სამსახურის მიერ ქვეყნის შესახებ ინფორმაციის, ნებისმიერი ფაქტის, საგნის ან მონაცემის შესწავლისაგან. როდესაც კანონმდებელი უცხოეთის დაზვერვის დავალებით საქართველოს შესახებ ინფორმაციის შეგროვებას ან/და მიწოდებას კრძალავს, მოქმედებს სახელმწიფო უშიშროების დაცვის ლეგიტიმური მიზნის ფარგლებში.<sup>457</sup>

გამონახტვის თავისუფლების მნიშვნელობაზე მსჯელობისას, სასამართლო მიუთითებს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ეფექტური ფუნქციონირება უზრუნველყოფს ისეთ ლეგიტიმურ მიზანს, როგორცაა საზოგადოების დემოკრატიული განვითარება. სასამართლოს განმარტებით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები წარმოადგენს გამონახტვის თავისუფლების უფლებით დაცულ ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უმთავრეს წყაროს. მათ სათანადო მუშაობასა და დამოუკიდებლობაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საზოგადოების ინფორმირების დონე, თითოეული ადამიანის მიერ გამონახტვის თავისუფლების უფლების ეფექტური რეალიზება და, საბოლოო ჯამში, საზოგადოების დემოკრატიული განვითარება.<sup>458</sup>

სასამართლომ მიუთითა, რომ საჯარო სივრცეს მიკუთვნებული შენობა-ნაგებობათა იერსახის დამახინჯების თავიდან აცილება ემსახურება სხვათა უფლებების დაცვის ლეგიტიმურ მიზანს. სასამართლოს განმარტებით, „შენობა-ნაგებობათა იერსახეზე ზემოქმედებით გამონწეული ზიანი აისახება საზოგადოების სხვა წევრთა უფლებებზე, ისარგებლონ საჯარო სივრცით და ნორმა ემსახურება ბუნებრივი და კულტურული გარემოს, როგორც საჯარო სივრცის შემადგენელი ერთ-ერთი ელემენტის დაცვას. სხვა პირთა უფლებების დაცვა, როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის, ისე საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, უდავოდ, ისეთი მიზანია, რომლის დასაცავადაც დაიშვება გამონახტვის თავისუფლების შეზღუდვა. „გამონახტვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს, როდესაც გამონახტვა კვეთს ზღვარს, გავლებულს გამონახტვის თავისუფლებასა და სხვის უფლებას შორის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარ-

457 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის №2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-17.

458 2016 წლის 30 სექტემბრის N1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუნეებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-73.

ლამენტის წინააღმდეგ“, II-6). შესაბამისად, მოპასუხის მიერ დასახელებული ლეგიტიმური მიზანი ღირებული კონსტიტუციური სიკეთეა და მის დასაცავად დასაშვებია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა<sup>459</sup>.

ლეგიტიმურ მიზნებში საკონსტიტუციო სასამართლომ დაასახელა არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვა<sup>460</sup> და გამართლებულად მიიჩნია უფლების შეზღუდვა. სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმების მიზანს წარმოადგენს ბავშვის/არასრულწლოვანის დაცვა ისეთი ინფორმაციისაგან, რომელმაც შესაძლოა, ზიანი მიაყენოს მის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ინტელექტუალურ და სულიერ განვითარებას, აგრეთვე, მის ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობას და სოციალიზაციას. სასამართლომ აღნიშნა, რომ დასახელებული ინტერესები უაღრესად მნიშვნელოვანია და მათი დაცვა სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანს წარმოადგენს.<sup>461</sup> შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მედიასაშუალებების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, კერძოდ, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დასაცავად, კონსტიტუციურად გამართლებულია.

### **XIII. გამოხატვის თავისუფლების უფლების შეზღუდვის შემონიშნა – თანაზომიერების ტესტი**

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, თანაზომიერების პრინციპის მიხედვით, „უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსაძეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია, ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს

459 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 4 ივლისის N1/5/1271 გადაწყვეტილება საქმეზე „ბესიკ ქათამაძე, დავით მჭავანაძე და ილია მაღაზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-21.

460 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 თებერვლის №1/1/1537 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს მთავარი არხი“, „შპს ტელეკომპანია პირველი“, „შპს ტელეკომპანია კავკასია“, „შპს ფორმულა“, ირაკლი სალინაძე, გიორგი ლიფონავა და ქეთევან დევდარიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-49.

461 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 თებერვლის №1/1/1537 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს მთავარი არხი“, „შპს ტელეკომპანია პირველი“, „შპს ტელეკომპანია კავკასია“, „შპს ფორმულა“, ირაკლი სალინაძე, გიორგი ლიფონავა და ქეთევან დევდარიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-49.

ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60).

საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, იმისთვის, რათა დადგინდეს, გათვალისწინებული შეზღუდვა შესაბამისობაშია თუ არა საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებთან, თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, უფლების შეზღუდვის გასამართლებლად, უპირველეს ყოვლისა, უნდა არსებობდეს ლეგიტიმური მიზანი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელი, არაკონსტიტუციურია“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15).

## 1. შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. საკონსტიტუციო სასამართლო ყოველ კონკრეტულ, ინდივიდუალურ შემთხვევაში აფასებს არის თუ არა სახეზე ისეთი ლეგიტიმური მიზანი, რომლის მისაღწევად, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, დასაშვებია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა. მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2021 წლის 11 ივნისის №1/2/1537 საოქმო ჩანაწერში საქმეზე „„შპს მთავარი არხი“, „შპს ტელეკომპანია პირველი“, „შპს ტელეკომპანია კავკასია“, „შპს ფორმულა“, ირაკლი სალინაძე, გიორგი ლიფონავა და ქეთევან დევდარიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო ნორმების მიზანს წარმოადგენს ბავშვის/არასრულწლოვანის დაცვა ისეთი ინფორმაციისაგან, რომელმაც

შესაძლოა, ზიანი მიაყენოს მის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ინტელექტუალურ და სულიერ განვითარებას, აგრეთვე, მის ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობას და სოციალიზაციას. აღსანიშნავია, რომ დასახელებული ინტერესები უაღრესად მნიშვნელოვანია და მათი დაცვა სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანს წარმოადგენს. შესაბამისად, უდავოა, რომ მედიასაშუალებების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, კერძოდ, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დასაცავად, კონსტიტუციურად გამართლებულია.<sup>462</sup>

## 2. გამოსადეგობა და აუცილებლობა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკით, მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნის არსებობა თავისთავად არ ნიშნავს, რომ უფლებაში ჩარევა გამართლებულია, შეზღუდვის თანაზომიერებისათვის ასევე აუცილებელია, დაკმაყოფილებული იყოს გამოსადეგობის მოთხოვნაც. თავის მხრივ, ღონისძიების გამოსადეგობაზე მსჯელობისას „საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, რამდენად არსებობს ლოგიკური კავშირი საქართველოს პარლამენტის მიერ დასახელებულ ლეგიტიმურ მიზანსა და სადავო ნორმებით დადგენილი უფლების შეზღუდვის ფორმას შორის – რამდენად იძლევა სადავო ნორმები დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის №3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-48). საკონსტიტუციო სასამართლომ ამავე საქმეზე მიღებულ საოქმო ჩანაწერში იმსჯელა რა სადავო ნორმების მოქმედების შეჩერების რელევანტურობაზე, იქვე აღნიშნა, რომ ბავშვის/არასრულწლოვანის ინტერესების სრულყოფილი დაცვა შეუძლებელი იქნება მაუნწყებლის თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში. დასახელებული ინტერესების გარანტირებისათვის თვითრეგულირების ორგანო კი ვერ ჩაითვლება კომისიის მაკონტროლებელი ფუნქციების შემსრულებელ და მის ჩამნაცვლებელ ალტერნატიულ მექანიზმად.<sup>463</sup>

462 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 თებერვლის №1/1/1537 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს მთავარი არხი“, „შპს ტელეკომპანია პირველი“, „შპს ტელეკომპანია კავკასია“, „შპს ფორმულა“, ირაკლი სალინაძე, გიორგი ლიფონავა და ქეთევან დევდარიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-49.

463 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 თებერვლის №1/1/1537 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს მთავარი არხი“, „შპს ტელეკომპანია პირველი“, „შპს ტელეკომპანია კავკასია“, „შპს ფორმულა“, ირაკლი სალინაძე, გიორგი ლიფონავა და ქეთევან დევდარიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-50.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „გამოსადეგობასთან ერთად შემზღუდველი ღონისძიება უნდა წარმოადგენდეს შეზღუდვის აუცილებელ (ყველაზე ნაკლებადმზღუდველ) საშუალებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-26). თანაზომიერების პრინციპის სანინააღმდეგო ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც იმაზე მეტად ზღუდავს უფლებას, ვიდრე ეს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად არის აუცილებელი. ამასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ, მიუხედავად მაუწყებლის გამოხატვის თავისუფლების დაცვის უაღრესად დიდი მნიშვნელობისა, სადავო ნორმების მოქმედების პირობებში, მაუწყებლის გამოხატვის თავისუფლებაზე შესაძლო ნეგატიური ეფექტის მოხდენის საფრთხე, ისევე, როგორც კომისიის მიერ სადავო ნორმების შესაძლო სუბიექტური განმარტების გზით მაუწყებლისთვის სანქციის სახით ჯარიმის დაკისრებით გამოწვეული ზიანი, ვერ გადაწონის იმ უმნიშვნელოვანესი სიკეთეების დაცვის მიზანს, რომელსაც სადავო ნორმები ემსახურება (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 ივნისის №1/2/1537 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „„შპს მთავარი არხი“, „შპს ტელეკომპანია პირველი“, „შპს ტელეკომპანია კავკასია“, „შპს ფორმულა“, ირაკლი სალინაძე, გიორგი ლიფონავა და ქეთევან დედარიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-32).<sup>464</sup>

### 3. პროპორციულობა ვიწრო გაგებით

თანაზომიერების პრინციპის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლო ასევე აფასებს დაცულია თუ არა პროპორციულობა ვიწრო გაგებით (*stricto sensu*). თანაზომიერების პრინციპის აღნიშნული ელემენტის მოთხოვნაა, რომ „უფლების შეზღუდვისას კანონმდებელმა დაადგინოს სამართლიანი ბალანსი შეზღუდულ და დაცულ ინტერესებს შორის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-43). მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე საკონსტიტუციო

464 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 თებერვლის №1/1/1537 გადაწყვეტილება საქმეზე „„შპს მთავარი არხი“, „შპს ტელეკომპანია პირველი“, „შპს ტელეკომპანია კავკასია“, „შპს ფორმულა“, ირაკლი სალინაძე, გიორგი ლიფონავა და ქეთევან დედარიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-51.

სასამართლომ შეპირისპირებულ ინტერესებზე საუბრისას განმარტა, რომ ამ საქმეში „ერთმანეთს უპირისპირდება, ერთი მხრივ, მაუწყებლების (კერძო კომპანიების) გამოხატვისა და მათი სარედაქციო თავისუფლება, ხოლო, მეორე მხრივ, ბავშვის/არასრულწლოვანის დაცვა ისეთი ინფორმაციისაგან, რომელმაც შესაძლოა, ზიანი მიაყენოს, მათ შორის, მის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ინტელექტუალურ და სულიერ განვითარებას, აგრეთვე, მის ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობას და სოციალიზაციას“.<sup>465</sup>

#### XIV. მოსამართლის გამოხატვის თავისუფლება

საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებები მოსამართლის გამოხატვის თავისუფლებაზე. აღსანიშნავია, რომ სასამართლოს ამ საკითხზე მსჯელობა მოუწია მოსამართლის აცილების საკითხის გადაწყვეტისას.<sup>466</sup> აცილების შუამდგომლობა შეეხებოდა იმ გარემოებას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლემ სოციალურ მედიაში გამოხატა ემოცია (გულის სახით) სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის მიერ გაზიარებულ პოსტზე, რომელიც წარმოადგენდა მოსამართლეთა ნაწილის მოსაზრებას „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ინიცირებული ცვლილებების თაობაზე. აღნიშნული მოსაზრება აკრიტიკებდა იმ კანონპროექტს, რომელიც მოგვიანებით, მიღებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ და, შემდგომ, მოსარჩელებმა (საერთო სასამართლოს მოსამართლეებმა) სადავო გახადეს საკონსტიტუციო სასამართლოში. მოსამართლის განმარტებით, მისი პოზიტიური გზავნილი ასახავდა დადებით დამოკიდებულებას იმ ფაქტისადმი, რომ მოსამართლეები გამოხატავდნენ სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მოსამართლეთა ხელშეუხებლობის იდეისადმი აქტიურ მხარდაჭერას და მათ შემართებას, დაეცვათ სასამართლოს დამოუკიდებლობა, მათ შორის, პრობლემატურ საკითხებზე ღია დისკუსიის მეშვეობით.

სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა მოსამართლის გამოხატვის თავისუფლების უფლებაზე. კერძოდ, განმარტა, რომ „სასამართლო

465 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 თებერვლის №1/1/1537 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს მთავარი არხი“, „შპს ტელეკომპანია პირველი“, „შპს ტელეკომპანია კავკასია“, „შპს ფორმულა“, ირაკლი სალინაძე, გიორგი ლიფონავა და ქეთევან დევდარიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-52.

466 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 24 ნოემბრის №3/1/1693, 1700 განჩინება – №1693 და №1700 კონსტიტუციურ სარჩელებზე მოპასუხე მხარის – საქართველოს პარლამენტის შუამდგომლობა მოსამართლე გიორგი კვერენჩხილაძის აცილების შესახებ.



ხელისუფლების წარმომადგენლები სამართლებრივი რეფორმის საკითხებზე, საზოგადოდ და, მით უმეტეს, მართლმსაჯულების სფეროში არსებული გამოწვევებისა თუ ჩასატარებელი რეფორმის თაობაზე გამოხატვის თავისუფლების შედარებით ფართო ფარგლებით სარგებლობენ. მოსამართლეს აქვს და უნდა ჰქონდეს უფლება, თავისუფლად და ღიად, პროფესიულ წრეებში თუ ფართო საჯარო დისკუსიების ფორმატში ისაუბროს მართლმსაჯულების სფეროში არსებულ პრობლემებზე, განსაკუთრებით, თუ ისინი პირდაპირ გავლენას ახდენს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობაზე, მის ეფექტიან ფუნქციონირებასა და მართლმსაჯულების განხორციელების ფუნდამენტურ ასპექტებზე. იმ კანონპროექტთან დაკავშირებით კრიტიკის გამოთქმით, რომელიც უკავშირდება სასამართლო ხელისუფლებას, მოსამართლე შესაძლოა, მიზნად ისახავდეს სასამართლო ინსტიტუტის დამოუკიდებლობის დაცვას და მის უმთავრეს მიზანს, მსგავსი საჯარო მნიშვნელობის საკითხზე დებატებში წვლილის შეტანის გზით, სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნდამენტის – სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვა წარმოადგენდეს. ამდენად, იმ დაშვებითაც კი, თუ მოსამართლის ... ქმედება, გარკვეულწილად, გარე დამკვირვებლის მხრიდან აღქმული იქნება როგორც წინასწარი ნეგატიური დამოკიდებულება სადავო ნორმებთან მიმართებით, საქმის ინდივიდუალური გარემოებების – კერძოდ, გამოხატვის ფორმის, დროის, ვითარების – მხედველობაში მიღებით, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამგვარი ქმედება ექცევა მოსამართლის გამოხატვის დასაშვებ ფარგლებში და, მოცემულ შემთხვევაში, არ ქმნის მისი აცილების საფუძველს<sup>467</sup>.

## **XV. მოსამართლის მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები და სასამართლოს ავტორიტეტისა და დამოუკიდებლობის დაცვის ინტერესი**

საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე იმსჯელა, თუ რა არის მოსამართლის მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები სისხლისსამართლებრივი დასჯადობის მიზნებისთვის, სად გადის ზღვარი, რომლის მიღმაც მოსამართლის მიმართ გამოხატული ნეგატიური შეხედულებების სამართლებრივი დაცვა ვეღარ იქნება კონსტიტუციურად გამართლებული და შეიზღუდება სასამართლოს ავტორიტეტისა და დამოუკიდებლობის დაცვის

467 იქვე, პუნქტი 14.

ინტერესით.<sup>468</sup> მოსარჩელის მიერ გასაჩივრებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლის მეორე ნაწილის კონსტიტუციურობა, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ და მე-5 პუნქტებთან მიმართებით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლოს უპატივცემულობა, რაც გამოიხატა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის ან მსაჯულის შეურაცხყოფით, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე. სარჩელის თანახმად, მოსარჩელის მიმართ საერთო სასამართლოში განიხილებოდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, მას შემდეგ, რაც სასამართლო პროცესზე გამოცხადდა შესვენება, მოსარჩელემ დატოვა სასამართლო სხდომის დარბაზი და ჩავიდა იმავე სასამართლოს შენობაში მდებარე სასადილოში. გარკვეული პერიოდის შემდეგ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მას მოსთხოვეს სხდომათა დარბაზში დაბრუნება, რაზეც მოსარჩელემ უარი განაცხადა იმ საფუძველით, რომ ის სარგებლობდა შესვენებისთვის განკუთვნილი დროით და მან უცენზუროდ მოიხსენია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი მოსამართლე. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები გახდა მის მიმართ სადავო ნორმით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი. სასამართლოს განაჩენით მოსარჩელე ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. მოსარჩელემ გაასაჩივრა განაჩენი. განაჩენი სააპელაციო და უზენაესი სასამართლოების მიერ დარჩა ძალაში. მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ მისთვის პრობლემურია ის გარემოება, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლის მე-2 ნაწილით დასჯადია მოსამართლის შეურაცხყოფა იმ პირობებშიც, როდესაც ეს ქმედება არ განხორციელებულა უშუალოდ სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, მას ხელი არ შეუშლია და საფრთხე არ შეუქმნია მართლმსაჯულების ეფექტიანი განხორციელებისა და პროცესის ჩვეული მიმდინარეობისთვის. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 366-ე მუხლის მე-2 ნაწილი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ გამოხატვის თავისუფლებას. ასევე, გაურკვეველია, რა ქმედებები მოიაზრება „შეურაცხყოფის“ ქვეშ.

468 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 27 ივლისის №1/4/1394 გადაწყვეტილება „ზვიად კუპრავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ადრეც შეაფასა მოსამართლესთან მიმართებით გამოხატვის თავისუფლების საკითხი. სასამართლომ აღნიშნა, რომ „მოსამართლის საქმიანობასთან დაკავშირებით აზრის გამოხატვა კონსტიტუციურ უფლებას წარმოადგენს. როგორც საჯარო პირს, მოსამართლეს თმენის ვალდებულება მართლაც გააჩნია, რამდენადაც მისი საქმიანობის კრიტიკა, მის პროფესიულ, თუ პირად თვისებებზე მსჯელობა საზოგადოებრივი ინტერესით შეიძლება იყოს განპირობებული. ამავე დროს, საკონსტიტუციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის პოზიციას, რომ მოსამართლის მხრიდან თმენის ვალდებულების ისეთივე სტანდარტი მოქმედებს, როგორც სხვა საჯარო პირის მხრიდან არის დადგენილი. საჯარო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისაგან განსხვავებით, მოსამართლის პროფესიული და, მით უფრო, პირადი საქმიანობა მეტად არის დაცული, ვინაიდან ის შეზღუდულია შესაძლებლობაში, საკუთარი პოზიციის დასაცავად საჯარო-პოლიტიკური ხასიათის დებატებში ჩაერთოს. მოსამართლის ამგვარი შეზღუდვა მიუკერძოებლობის პრინციპიდან გამომდინარეობს და საზოგადოების მხრიდან სასამართლოსადმი ნდობის უზრუნველყოფას ემსახურება. სწორედ ამიტომ, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია, როდესაც მოსამართლის პროფესიული საქმიანობის კრიტიკა, მასზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, მის პირად ცხოვრებაში გაუმართლებლად იჭრება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგური და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-67).

2023 წლის 27 ივლისის N1/4/1394 გადაწყვეტილებაში („ზვიად კუპრავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას ყურადღება მიაქცია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისას ღირებულებათა კონფლიქტის საკითხს, სასამართლოსა და მოსამართლის ავტორიტეტის დაცვას და მათ მიმართ საზოგადოების ნდობის შენარჩუნებას. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „როდესაც უხამსი და უცენზურო გამონათქვამები მიზნად ისახავს მოსამართლის რეპუტაციის მიმართ ზიანის მიყენებას და, ამ გზით, ლახავს სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს და ამცირებს მისდამი

ხალხის ნდობის ხარისხს, რომლის არსებობაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დემოკრატიულ საზოგადოებაში, მათ წინდანინვე ნაკლები შანსი აქვთ, ღირებულებათა კონფლიქტში პრიორიტეტი მოიპოვონ“<sup>469</sup> „სასამართლოს, როგორც ინსტიტუტის, ისე ინდივიდუალური მოსამართლის, რომელიც ამ ინსტიტუტის განსახიერებს, ავტორიტეტის დაცვა და მათდამი საზოგადოების ნდობის შენარჩუნება, აგრეთვე, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, მისი დაუბრკოლებლად და ჯეროვნად განხორციელება, რასაც ზიანს აყენებს მოსამართლის მიმართ გაკეთებული შეურაცხმყოფელი განცხადებები, ღირებული კონსტიტუციური სიკეთეებია და მათ დასაცავად დასაშვებია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა“.<sup>470</sup>

სასამართლოს მოსაზრებით, მოსამართლის შეურაცხყოფის დასჯად ქმედებად გამოცხადებით, სახელმწიფო იცავს სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის, მისდამი საზოგადოების ნდობის დაცვისა და მართლმსაჯულების დაუბრკოლებლად და ჯეროვნად განხორციელების საჯარო ინტერესებს. მოსამართლეებზე უსაფუძვლო თავდასხმები, რომლებიც შეურაცხმყოფელი ფორმით არის გადმოცემული, ზიანს აყენებს არა მარტო ამ განცხადებების ადრესატს, კონკრეტულ მოსამართლეს, არამედ მთელ სასამართლო ხელისუფლებას, სასამართლოს, როგორც კონსტიტუციურ ინსტიტუტს.<sup>471</sup>

## 1. ტერმინი „მოსამართლის შეურაცხყოფა“

საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებული დანაშაულის – „მოსამართლის შეურაცხყოფის“ – უმთავრეს ობიექტს წარმოადგენს სასამართლოს ავტორიტეტი და მისდამი ხალხის ნდობა, რომელსაც ზიანი ადგება ყოველი ინდივიდუალური მოსამართლის შეურაცხყოფისას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს ხდება სასამართლოს შენობაში, რაც წარმოადგენს სასამართლოსადმი უპატივცემულო დამოკიდებულების გამოხატვას. მიუღებელია სასამართლოსადმი აგდებული და უპატივცემულო დამოკიდებულების ჩვენება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს ხდება საკუთრივ სასამართლოში, მოსამართლეების, სასამართლო პერსონალის პირისპირ ან საზოგადოების წარმომადგენელთა თანდასწრებით.

469 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 27 ივლისის №1/4/1394 გადაწყვეტილება „ზვიად კუპრავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10.

470 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 27 ივლისის №1/4/1394 გადაწყვეტილება „ზვიად კუპრავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-30.

471 იქვე, II-40.

მოსამართლის შეურაცხყოფა, აბუჩად აგდება, მისი მოსამართით უხამსი და უცენზურო გამონათქვამების გამოყენება თუ შეურაცხმყოფელი დამოკიდებულების სხვაგვარად გამოხატვა იმის მიუხედავად, ეს სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს ხდება თუ პროცესის დაწყებამდე ან მისი დასრულების შემდეგ, სასამართლოს დარბაზში თუ დერეფანში, ზიანს აყენებს არა მარტო ინდივიდუალური მოსამართლის რეპუტაციას, არამედ საკუთრივ სასამართლოს, როგორც ინსტიტუციას. ხოლო საბოლოო ჯამში, საფრთხე ექმნება სასამართლოს საქმიანობის ეფექტიანობასა და მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების კონსტიტუციურ ინტერესს ისევე როგორც, საზოგადოდ, საფრთხე ექმნება სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტიების სიმყარესა და დაცულობას.<sup>472</sup>

სასამართლო აღნიშნავს, რომ „უხამსი და შეურაცხმყოფელი გამონათქვამები ან სხვაგვარი გამოხატვა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც სასამართლოს ჯანსაღი და კონსტრუქციული კრიტიკის ნაწილი ან/და „გამოხატვა“, რომელიც განხილული უნდა იქნეს, როგორც „საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე საჯარო დისკუსიის ნაწილი“, რისთვისაც ასე ფასობს გამოხატვის თავისუფლება საზოგადოდ, მოსამართლის შეურაცხყოფის სისხლისსამართლებრივი დასჯადობა, როდესაც ეს ჩადენილია სასამართლოს შენობაში, აუცილებელია დასახელებული ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად და პრინციპულად არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მოთხოვნებს, იმის მიუხედავად, განხორციელდა თუ არა იგი სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას და, გამოიწვია ან შექმნა თუ არა რომელიმე კონკრეტული სასამართლო პროცესის ჩაშლის ან შეფერხების საფრთხე“.<sup>473</sup>

სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „მოსამართლის შეურაცხყოფაში“ შესაძლოა მოექცეს მხოლოდ ისეთი გამონათქვამები თუ სხვაგვარი გამოხატვა, რომლებიც მიზნად ისახავს მოსამართლის შეურაცხყოფის გზით სასამართლოს ავტორიტეტის შებლაღვას, მისდამი ხალხის/საზოგადოების ნდობის დაკარგვას ან შემცირებას, სასამართლოს შეუფერხებელი საქმიანობისა და მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებისთვის ხელის შეშლას. ამასთან, „მოსამართლის შეურაცხყოფაში“, რომელიც სისხლისსამართლებრივ რეაგირებას საჭიროებს, არ შეიძლება იგულისხმებოდეს რაიმე კრიტიკული მოსაზრების, ანდა თუნდაც ნეგატიური ეპითეტების გამოთქმა მოსამართლის მოსამართით, თუნდაც ეს ხდებოდეს სასამართლოს დარბაზში,

472 იქვე, II-41

473 იქვე, II-46.

თუკი ისინი არ ლახავს წესიერების, კორექტულობისა და ჯანსაღი კრიტიკის ფარგლებს. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ „შეურაცხყოფა“ შეიძლება გამოიხატებოდეს არა მარტო სიტყვიერი გამონათქვამებით, ვერბალურად, არამედ ქცევით, ამა თუ იმ უხამსი უცხვითა თუ მოქმედებით. ყველა შემთხვევაში მოსამართლის მისამართით გაკეთებულმა გამონათქვამებმა თუ სხვაგვარმა გამოხატვამ, მათი სისხლისსამართლებრივი დასჯადობის მიზნებისათვის, უნდა მიაღწიოს სერიოზულობის, სიმძაფრისა და ექსცესიურობის გარკვეულ ხარისხს და თავისი შინაარსით, ბუნებით, ფორმით, სტილით, ტონალობითა თუ ლექსიკით წარმოადგენდეს თავხედურ გამოხატვას და უკიდურესად შეურაცხმყოფელს მოსამართლის პიროვნებისათვის და ზიანს აყენებდეს მთელ სასამართლოს როგორც ინსტიტუციას, ლახავდეს მის ავტორიტეტს, ქმნიდეს გამოუსწორებელი ზიანის საფრთხეს საზოგადოების თვალში. შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს არა მარტო უშუალოდ გამონათქვამებისა თუ სხვაგვარი გამოხატვის შინაარსი, ტერმინოლოგია და ტონალობა, არამედ მთლიანი კონტექსტი, დრო, ვითარება და გარემოებები, რომლებიც ერთობლიობაში იძლევა დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას, შეეხებოდა თუ არა საქმე მოსამართლის შეურაცხყოფას, რომელიც იმავდროულად გულისხმობდა მთლიანად სასამართლოსადმი იმგვარი უპატივცემულო, აგდებული დამოკიდებულების ჩვენებას, როგორც ყოველად მიუღებელი სამართლის უზენაესობაზე დამყარებულ სახელმწიფოში, ურთიერთპატივისცემის პრინციპებზე ფუნქციონირებად საზოგადოებაში და რომელიც ამის გამო სისხლისსამართლებრივ რეაგირებას საჭიროებს“.<sup>474</sup>

სასამართლო, ხაზს უსვამს, რომ უხამს და უცენზურო გამოთქმებსა და სხვაგვარ გამოხატვას, იმის მიუხედავად, ისინი მოსამართლეს შეეხება თუ სხვა პირს, წინდანინვე ნაკლები სამართლებრივი დაცვა გააჩნია, რადგან ისინი ნაკლებად შეიცავენ რაიმე ღირებულ აზრს საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხზე. საკონსტიტუციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ნებისმიერი კრიტიკული, თუნდაც მცდარი მოსაზრება მოსამართლის მიმართ, არ უნდა გადაიქცეს ისეთ უხამს ან/და უცენზურო თავდასხმად, რომელიც ხელყოფს თუნდაც ამ მოსამართლის ინდივიდუალურ რეპუტაციას, პროფესიულ იმიჯს, და, მასთან ერთად, მთელი სასამართლოს ავტორიტეტს, მისდამი ხალხის ნდობას, ისევე როგორც, საკუთრივ, მართლმსაჯულების ეფექტიანი განხორციელების ინტერესს. მოსამართლის წინააღმდეგ გამოთქმულმა კრიტიკამ გამოყენებული ფორმის, ტერმინოლოგიის, კონტექსტის, ტონალობის, ფაქტობრივი საფუძვლების არარსებობის, ექსცესიურობის ხარისხისა და სხვა

474 იქვე, II-48.



მხასიათებლების გათვალისწინებით, შეიძლება დაარღვიოს მოსამართლის/სასამართლოს მიმართ არსებული დასაშვები კრიტიკის ფარგლები. კერძოდ, უხამს, უცენზურო და თავხედურ გამონათქვამებს/თავდასხმებს სასამართლოს/მოსამართლის მისამართით შეუძლია სერიოზულად შეუქმნას საფრთხე სასამართლოს ავტორიტეტს, შელახოს ან მაღალი ხარისხით დააზიანოს ის. სწორედ ამგვარ შემთხვევებს გულისხმობს სადავო ნორმით გათვალისწინებული აკრძალვა. საკონსტიტუციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება უნდა მოიცავდეს სასამართლოს/მოსამართლის დასაშვები კრიტიკის ფარგლების გადამეტებით ჩადენილ მხოლოდ ისეთ ზღვარგადასულ და უკიდურესად შეურაცხყოფელ შემთხვევებს, როდესაც სასამართლოს ავტორიტეტისა და მისდამი ხალხის ნდობისათვის მიყენებული ზიანის სერიოზულობა მოითხოვს ამ ქმედებაზე სისხლისსამართლებრივ რეაგირებას.<sup>475</sup>

ამგვარად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლოს შენობაში მოსამართლის შეურაცხყოფის სისხლისსამართლებრივი აკრძალვა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში და არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

## **2. მოსამართლის მიმართ გამოხატვის თავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებაზე მოსამართლის განსხვავებული აზრი**

2023 წლის 27 ივლისის №1/4/1394 გადაწყვეტილებას („ზვიად კუპრა-ვა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) თან ერთვის მოსამართლის განსხვავებული აზრი.<sup>476</sup> მოსამართლე მიიჩნევს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ და მე-5 პუნქტებთან მიმართებით არაკონსტიტუციურია სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ადგენს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სასამართლოს უპატივცემულობისთვის, რაც გამოიხატა მოსამართლის შეურაცხყოფით, თუ ამ ქმედებას ხელი არ შეუშლია მართლმსაჯულების დაუბრკოლებლად და ჯეროვნად განხორციელების უზრუნველყოფის ლეგიტიმური მიზნისათვის.

განსხვავებულ აზრში მითითებულია, რომ მოსამართლეებს, საკუთარი თანამდებობიდან და ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე, გააჩნიათ

475 იქვე, II-61.

476 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის – გიორგი კვერენჩილას განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2023 წლის 27 ივლისის №1/4/1394 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

თემის ვალდებულება. შესაბამისად, ის გარემოება, რომ შეურაცხმყოფელი გამოხატვა განხორციელებულია სასამართლო ხელისუფლების/მოსამართლის მიმართ, არ უნდა განაპირობებდეს სასამართლო ხელისუფლების/მოსამართლის მიმართ დასაშვები გამოხატვის ფარგლების შემცირებას. სახელმწიფო მხოლოდ უკიდურესად გამონაკლის შემთხვევებში უნდა იყოს უფლებამოსილი დაანესოს გამოხატვის ამ ფორმაზე შეზღუდვები. ამრიგად, გამოხატვის თავისუფლების უფლების საგარანტიო ფუნქცია მოითხოვს, რომ სახელმწიფო ხელისუფლება ინდივიდის გამოხატვის თავისუფლებაში ჩაერიოს მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს საამისოდ აუცილებელი მწვავე, რეალური და მყისიერი საჭიროება და როდესაც ამგვარი ჩარევა განპირობებულია უაღრესად აღმატებული მიზნების მიღწევის ლეგიტიმური ინტერესით.<sup>477</sup>

განსხვავებული აზრის ავტორი მოსამართლე მიიჩნევს, რომ სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის/რეპუტაციის შენარჩუნება, საზოგადოების მხრიდან პატივისცემისა და ნდობის მოპოვება შეუძლებელია კრიტიკისაგან, თუნდაც უკიდურესად შეურაცხმყოფელი გამონათქვამებისაგან სასამართლო ხელისუფლების/მოსამართლის დაცვით. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების გზით საზოგადოებრივი აზრის ჩარჩოში მოქცევის მცდელობა, რაც ნაკარნახევია მართოდენ სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის/რეპუტაციის დაცვის მოტივით, მხოლოდ ხელს უწყობს საზოგადოებაში ნიჰილიზმისა და უნდობლობის გაღვივებას სასამართლო ხელისუფლებისა თუ მოსამართლეების მიმართ.<sup>478</sup> სასამართლო ხელისუფლების/მოსამართლის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესი არ საჭიროებს საზოგადოებრივი განწყობების შექმნას საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებით, არამედ იგი საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელ ნდობას სწორედ ჯეროვანი მართლმსაჯულების განხორციელებით, მატერიალურ-სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობით, სამართლიანობით და ობიექტურობით იძენს. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ხელისუფლებისადმი/მოსამართლისადმი საზოგადოების სანდოობა იმდენად დაბალია, რომ ცალკეული ინდივიდების განცხადებებს, თავად სასამართლო ხელისუფლების/მოსამართლის საქმიანობის შინაარსისაგან დამოუკიდებლად, შეუძლია სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის/რეპუტაციის სერიოზულად დაზიანება, ამგვარი

477 განსხვავებული აზრი, პ. 17.

478 განსხვავებული აზრი, პ. 21.

შერყეული ნდობის აღდგენა მით უმეტეს შეუძლებელი იქნება იმ პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების გზით, რომლებმაც შეურაცხმყოფელი ლექსიკით, ჟესტიკულაციით ან/და ტონით დააფიქსირეს პოზიცია სასამართლო ხელისუფლების ან/და მოსამართლის საქმიანობის მიმართ.<sup>479</sup>

---

479 განსხვავებული აზრი, პ. 22.



## დასკვნა

ამერიკის შეერთებული კონსტიტუციის პირველი შესწორებისა და უზენაესი სასამართლოს პრეცედენტული სამართალი გამოხატვის თავისუფლებას განსაკუთრებულად მაღალი ხარისხით იცავს. პირველი შესწორების ლაკონიური ფორმულირებისა და უფლებათა ბილის მნიერი საკანონმდებლო ისტორიის გათვალისწინებით, უზენაესი სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების ერთიანობა ქმნის პირველი შესწორების ანალიზის კონსტიტუციურ-სამართლებრივ ჩარჩოს და გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის შეფასების ერთობ კომპლექსურ მეთოდოლოგიას. მეთოდოლოგიის ძირითადი მახასიათებელია გამოხატვის კატეგორიებად დაყოფა და, პირველი შესწორების დანიშნულების გათვალისწინებით, ამ კატეგორიების იერარქიზაცია მეტად დაცულიდან დაუცველ კატეგორიამდე (დაცული, ნაკლებად დაცული, დაუცველი გამოხატვა). იმის მიხედვით, თუ გამოხატვის რომელ კატეგორიას შეეხება საქმე (დაცული, ნაკლებად დაცული, დაუცველი) და რა ტიპის სივრცეში ხდება გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა (საჯარო, შეზღუდული საჯარო ფორუმი, არასაჯარო ფორუმი) სასამართლო შესაბამისი სიმკაცრის სტანდარტით შეაფასებს ჩარევის კონსტიტუციურობას (მკაცრი, საშუალო, გონივრულობის სტანდარტებით). უზენაესი სასამართლო უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის კონსტიტუციური კონტროლის ზოგადი სტანდარტებით ხელმძღვანელობს პირველ შესწორებასთან დაკავშირებულ საქმეებში და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვების შესაფასებლადაც მკაცრი, საშუალო და გონივრულობის სტანდარტებით ხელმძღვანელობს. გარდა ამისა, ცალკეული ტიპის გამოხატვისთვის სასამართლომ დამატებითი კრიტერიუმები შეიმუშავა, რომელიც დაუცველი და დაცული გამოხატვის კატეგორიების მკაფიოდ გამიჯვნას ემსახურება (მაგალითად, უხამსობის, აგრესიული გამონათქვამების, ცილისწამების, უკანონო ქმედებისკენ ნაქეზების სტანდარტები), რაც უზრუნველყოფს, რომ დაუცველი გამოხატვის შეზღუდვის მოტივით ისეთი გამოხატვაც არ

შეიზღუდოს, რომლის დაცვაც პირველი შესწორების უშუალო ამოცანაა. ასევე, გამონხატვის ფორმის გათვალისწინებით, სასამართლომ ჩამოაყალიბა სპეციალური შეფასების სტანდარტები (ქმედების, როგორც გამონხატვის შეფასების სტანდარტი, წინასწარი შეზღუდვების შეფასების სტანდარტი), რათა უფრო კონკრეტულად დაედგინა, თუ რა შემთხვევებშია კონსტიტუციურად გამართლებული გამონხატვის შეზღუდვა გამონხატვის სპეციფიკური ფორმის გათვალისწინებით. გამონხატვის მედიუმის თვალსაზრისითაც განასხვავა სასამართლომ სტანდარტები იმ მედიასაშუალებებისთვის, რომლებიც ამონურვადი სახელმწიფო რესურსის – ტელე-რადიო სამაუწყებლო სიხშირეების – გამოყენებით ფუნქციონირებენ და რომლებიც სახელმწიფო რესურსის გამოყენების გარეშე, ექსკლუზიურად კერძო რესურსების გამოყენებით საქმიანობს. და ბოლოს, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლო ყურადღებით ეკიდება მნიშვნელოვან სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს, ტექნოლოგიურ პროგრესს და ცდილობს, მათ მიუსადაგოს პირველი შესწორების ტრადიციული დოგმატური კონცეფციები, ან პირიქით, მათი გათვალისწინებით გადააფასოს საკუთარი პრეცედენტები და ახალი გამონხატვის კვალდაკვალ შეცვალოს საკუთარი მიდგომები. უახლეს მომავალში უზენაეს სასამართლოს მოუწევს პასუხი გასცეს თანამედროვეობის მნიშვნელოვან სამართლებრივ გამონხატვას, თუ სად გადის ზღვარი ტექნოლოგიური კომპანიების ალგორითმული ძალაუფლების სახელმწიფო რეგულირების საჭიროებასა და ამ ტექნოლოგიური კომპანიებისა და მათი მომხმარებლების გამონხატვის თავისუფლებას შორის.

ამერიკის შეერთებული შტატებისაგან განსხვავებით, გერმანიის კონსტიტუცია გამონხატვის თავისუფლებასთან მიმართებით სპეციფიკურ სამართლებრივ კონცეფციას აყალიბებს. გერმანიის კონსტიტუციური მონესრიგება იცავს აზრის გამონხატვის, ინფორმაციის, პრესის, მაუწყებლობის და ფილმის თავისუფლებას. გერმანიაში აზრის გამონხატვის თავისუფლება ფუნდამენტურ კონსტიტუციურ უფლებად არის აღიარებული. ინფორმაციის თავისუფლება, რომელიც აზრის გამონხატვის თავისუფლებასთან ერთად, დამოუკიდებელი კონსტიტუციური უფლებაა, მიზნად ისახავს პიროვნულ განვითარებასა და დემოკრატიის დანერგვას. გერმანიის კონსტიტუციის მე-5 მუხლი ასევე მოიცავს პრესის თავისუფლებას, რომელიც თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძველია. ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი და ცენზურისაგან თავისუფალი პრესა დემოკრატიის განუყოფელი ნაწილია. რაც შეეხება მაუწყებლობის თავისუფლებას, ამ უფლების მიზანია საზოგადოების სრულად ინფორმირების უზრუნველყოფა. ფილმის თავისუფლება კი გულისხმობს მოსაზრებებისა და შეხედულებების გადაცემას მოძრავი



გამოსახულებებით. გერმანიის კონსტიტუციით დაცული ზემოხსენებული უფლებების შეზღუდვა შესაძლებელია, თუმცა, ასეთი შეზღუდვა დასაშვებია პარლამენტის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე, თანაზომიერების პრინციპის დაცვით.

რაც შეეხება საქართველოში არსებულ მონესრიგებას, აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა კონსტიტუციის მე-17 მუხლით გარანტირებულ გამოხატვის თავისუფლების უფლების შინაარსთან დაკავშირებით. სასამართლოს პრაქტიკა კვლავ ვითარდება. საკონსტიტუციო სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს გამოხატვის თავისუფლების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე დემოკრატიულ საზოგადოებაში. ღირებულებათა კონფლიქტის დროს მხედველობაში მიიღება კონკრეტული გარემოებები, ვის მიერ და ვის მიმართ არის გამოთქმული კრიტიკა, როგორია დასაშვები კრიტიკის ფარგლები შესაბამის შემთხვევაში, როგორია გამოთქმები და სხვა. ყოველი კონკრეტული შემთხვევა სამართლიანი ბალანსისა და თანაზომიერების პრინციპის დაცვით გადაწყდება.



## გამოყენებული ლიტერატურა

### I. შესავალი

სასამართლო გადაწყვეტილებები:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის N1/1/468 გადაწყვეტილება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის N2/2/516,542 გადაწყვეტილება.

ვებრესურსი: [www.constcourt.ge](http://www.constcourt.ge)

### II. ამერიკის შეერთებული შტატები

#### ლიტერატურა

Baker Edwin C., *Human Liberty and Freedom of Speech* (1989).

Chemerinsky Erwin, *Constitutional Law: Principles and Policies* (6th ed. 2019).

Chemerinsky Erwin, *Constitutional Law: Principles and Policies* (6th ed. 2019), 2020 Supplement.

Emerson Thomas I., "Colonial intentions and current realities of the First Amendment". 125 U. Pa. L. Rev. 4, (1977).

Emerson, Thomas I., "Toward a General Theory of the First Amendment". 72 Yale L.J. 877 (1963).

Hazeltine Harold Dexter, "The Influence of Magna Carta on American Constitutional Development". 17 Colu L. Rev. 1, 1-33 (Jan., 1917).

ავალიანი თამარ, „გამოხატვის თავისუფლება vs. სასამართლოს ავტორიტეტი აშშ-ის კონსტიტუციის პირველი შესწორების მიხედვით და მისი

გავლენა საქართველოს კანონმდებლობაზე“. სოციალური მეცნიერებათა  
ვექტორები, N2 (2021).

ბერაია გიორგი, „სასამართლოს ავტორიტეტის დაცვის სახელით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის პრობლემა: ეროვნული სასამართლოების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ამერიკის უზენაესი სასამართლოს და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის თეორია და პრაქტიკა“. საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, XI, 55 (2017).

ოქრუაშვილი მათა, ირაკლი კოტეტიშვილი, *გამონათვის თავისუფლება. გამონათვის თავისუფლება აშშ-სა და ევროპაში*. თავისუფლების ინსტიტუტი, თბილისი (2005).

### **სასამართლო გადაწყვეტილებები**

Abrams v. United States, 250 U.S. 616 (1919).

Ashcroft v. ACLU, 542 U.S. 656 (2004).

Ashcroft v. ACLU, 542 U.S. 656 (2004).

Beauharnais v. Illinois, 343 U.S. 250 (1952).

Biden v. Knight First Amendment Institute at Columbia Univ. 141 S.Ct. 1220 (2021).

Bigelow v. Virginia 421 U.S. 809 (1975).

Bolger v. Youngs Drug Products Corp., 463 U.S. 60 (1983).

Bond v. Floyd, 385 U.S. 116 (1966).

Boos v. Berry, 485 U.S. 485 U.S. 312, 334-335 (1988).

Brandenburg v. Ohio, 395 U.S. 444, 447 (1969).

Brown v. Oklahoma, 408 U.S. 914 (1972).

Brown, et al. v. Entertainment Merchants Assn. et al., 564 U.S. 786 (2011).

Central Hudson Gas & Electricity v. Public Service Commission, 447 U.S. 557 (1980).

Chaplinsky v. New Hampshire 315. U.S 568 (1942).

City of Erie v Pap's A. M. 529 U.S. 277 (2000).

City of Houston v. Hill, 482 U.S. 451 (1987).

City of Newport v. Iacobucci, 479 U.S. 92 (1986).

City of Renton v. Playtime Theatres, Inc., 475 U.S. 41 (1986).

Cohen v. California, 403 U.S. 15 (1971).

Columbia Broadcasting System v. Democratic Nat.al Committee, 412 U.S. 94 (1973).

Connally v. General Constr. Co., 269 U.S. 385, 391 (1926),

Cox v. New Hampshire, 312 U.S. 569 (1941).

Debs v. United States, 249 U.S. 211 (1919).

Dennis v. United States, 341 U.S. 494 (1951).

Denver Area Ed. Telecommunications Consortium, Inc. v. FCC, 518 U.S. 727 (1996).

FCC v. Fox Television Stations, Inc., 556 U.S. 502 (2009).

FCC v. Pacifica Foundation, 438 U.S. 726 (1978).

FCC v. Pacifica Foundation, 438 U.S. 726 (1978).

Fiske v. Kansas, 274 U.S. 380 (1927).

Flagg Bros., Inc. v. Brooks, 436 U.S. 149 (1978).

Food Employees v. Logan Valley Plaza, Inc., 391 U.S. 308 (1968).

Frohwerk v. United States, 249 U.S. 204 (1919)

Garcetti et al. v. Ceballos, 547. U.S. 410, 413 (2006).

Gitlow v. New York, 268 U.S. 652 (1925).

Gitlow v. New York, 268 U.S. 652 (1925).

Gonzalez v. Google LLC, 598 U.S. 617 (2023).

Gonzalez v. Google: Brief of American Civil Liberties Union, American Civil Liberties Union of Northern California, and Daphne Keller as Amici Curiae in Support of Respondent. 2023.

Gooding v. Wilson, 405 U.S. 518 (1972).

Grosjean v. American Press Co., 297 U.S. 233 (1936).

Hazelwood School District v. Kuhlmeier, 484 U.S. 260 (1988).

Heffron v. International Society for Krishna Consciousness, Inc., 452 U.S. 640 (1981).

Herbert v. Lando, 441 U.S. 153 (1979).

Hudgens v. National Labor Relations Board, 424 U.S. 507 (1976).

Jackson v. Metropolitan Edison Co., 419 U.S. 345 (1974).

Joseph Burstyn, Inc. v. Wilson, 343 U.S. 495, 503 (1952).

Lebron v. National Railroad Passenger Corporation, 513 U.S. 374 (1995).

- Lewis v. City of New Orleans, 415 U.S. 130 (1974).
- Lloyd Corp v. Tanner, 407 U.S. 551 (1974).
- Madsen v. Women’s Health Center, 512 U.S. 753, 765 (1994).
- Manhattan Community Access Corp. v. Halleck, 139 U.S. 1921 (2019).
- Marsh v. Alabama, 326 U.S. 501 (1946).
- McCullen v. Coakley, 134 U.S. 2518, 2535 (2014),
- McIntyre v. Ohio Elections Comm’n, 514 U.S. 334 (1995).
- Miami Herald Publishing Co. v. Tornillo, 418 U.S. 241 (1974)
- Miller v. California, 413 U.S. 15 (1973).
- Minneapolis Star v. Minnesota Comm’r, 460 U.S. 575 (1983).
- NAACP v. Alabama ex rel. Patterson, 357 U.S. 449(1958).
- Near v. Minnesota, 283 U.S. 697 (1931).
- New York Times Co. v. Sullivan, 376 U.S. 254 (1964).
- New York Times Co. v. United States, 403 U.S. 713 (1971).
- New York v. Ferber S, 458 U.S. 747, 762 (1982).
- Packingham v. North Carolina, 137 U.S. 1730 (2017).
- Perry Education Association v. Perry Local Educators’ Association, 460 U.S. 37 (1983).
- Pickering v. Board of Education, 391 U.S. 563, 568 (1968).
- Procurier v. Martinez, 416 U.S. 396, 427 (1974).
- R.A.V. v. City of St. Paul, 505 U.S. 377, 401 (1992).
- Red Lion Broadcasting Co., Inc. v. FCC, 395 U.S. 367 (1969).
- Reed v. Town of Gilbert, 576 U.S. 155, 164 (2015).
- Rendell-Baker v. Kohn, 457 U.S. 830 (1982).
- Reno v. American Civil Liberties Union, 521 U.S. 844 (1997).
- Rosenbloom v. Metromedia, Inc., 403 U.S. 29 (1971).
- Roth v. United States, 354 U.S. 476 (1954).
- San Francisco Arts & Athletics, Inc, 539 (1987).
- Schad v. Borough of Mount Ephraim, 452 U.S. 61 (1981).
- Schenck v. United States, 249 U.S. 47 (1919).
- Shelley v. Kraemer, 334 U.S. 1 (1948).



- Street v. New York, 394 U.S. 576, 592 (1969).
- Terminiello v. Chicago, 337 U.S. 1, 4 (1949).
- Texas v. Johnson, 491 U.S. 397 (1989).
- Tinker v. Des Moines Independent Community School District, 393 U.S. 503 (1969),
- Turner Broadcasting System, Inc. v. FCC, 512 U.S. 622 (1994).
- Twitter, Inc. v. Taamneh, 598 U.S. 471 (2023).
- United States v. Carolene Products Co., 304 U.S. 144 (1938).
- United States v. O'Brien, 391 U.S. 367 (1968),
- Virginia State Board of Pharmacy v. Virginia Citizens Consumer Council, Inc. 425 U.S. 748 (1976),
- Ward v. Rock Against Racism, 491 U.S. 781, 791 (1989)
- Watchtower Bible & Tract Society of N.Y., Inc. v. Village of Stratton, 536 U.S. 150 (2002).
- West Virginia State Board of Education v. Barnette, 319 U.S. 624 (1943).
- Whitney v. California, 274 U.S. 357 (1927).
- Wisconsin v. Mitchell, 508 U.S. 476 (1993).
- Yates v. United States, 354 U.S. 298 (1957).

***საკანონმდებლო აქტები***

*ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია*. მთარგმნელები: არჩილ კობალაძე, სანდრო ბარამიძე, რედ.: მინდია უგრეხელიძე, თბილისი, 18 (1993).

The Bill of Rights. 1689. Parliamentary Archives, HL/PO/PU/1/1688/1W&Ms2n2.

The Great Charter of the Liberties of England (Magna Carta), 15 June, 1215 (1297).

***ვებრესურსი***

Amendments to the New Constitution proposed by the Hon. Mr. Maddison. Gazette of the United-States. [volume] (New-York [N.Y.]), 13 June 1789. Chronicling America: Historic American Newspapers. Lib. of Congress, გვერდი 71, გამოსახულება 3. <https://chroniclingamerica.loc.gov/lccn/sn83030483/1789-06-13/ed-1/seq-3/>

Congress of the United States, Amdt1.7.1. Historical Background on Free Speech Clause. Constitution Annotated. Analysis and Interpretation of the U.S. Constitution. [https://constitution.congress.gov/browse/essay/amdt1-7-1/ALDE\\_00013537/#ALDF\\_00025506](https://constitution.congress.gov/browse/essay/amdt1-7-1/ALDE_00013537/#ALDF_00025506)

Dow, Douglas C. "Declaration Of Independence". The First Amendment Encyclopedia. <https://www.mtsu.edu/first-amendment/article/863/declaration-of-independence#:~:text=The%20Declaration's%20indictments%20against%20King,of%20petition%2C%20which%20is%20contained>

### **III. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა**

#### ***ლიტერატურა***

Bröhmer, Jürgen/Hill, Clauspeter/Spitzkatz, Marc, 60 Years German Basic Law: The German Constitution and its Court, Landmark Decisions of the Federal Constitutional Court of Germany in the Area of Fundamental Rights, 2<sup>nd</sup> Edition, (published by the Malaysian Current Law Journal) Konrad-Adenauer-Stiftung e.V., Berlin 2012.

Andguladze, Mamuka, Kollision zwischen Medienfreiheiten und Allgemeinem Persönlichkeitsrecht (Funktion und Rolle des Informationsinteresses der Öffentlichkeit), Schriften zum Medienrecht, Band 29, Verlag Dr. Kovac, Hamburg 2011.

Bull, Hans Peter, Die Rechte des Individuums, Freiheit und Rechtsschutz im Internet, Netzpolitik: Freiheit und Rechtsschutz im Internet, Nomos Verlagsgesellschaft, 2013.

Deutscher Bundestag, Ausarbeitung, Politische Äußerungen von Hoheitsträgern, 2018.

Dummert, Michael, Rechtsstaat und Meinungsfreiheit, Rechtstheorie 15 Ducker & Humboldt, Berlin 1984

Elibol, Eralp, Analyse eines Klassischen Urteils des Bverfg zum Thema Meinungsfreiheit und Ehrenschatz: „Soldatenurteil“, 2022 YBHD 125.

Jarass/Piero, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, Kommentar, 10. Auflage, München 2010

Jouanjan, Oliver, Freedom of Expression in the Federal Republic of Germany, Indiana University, Maurer School of Law, Indiana Law Journal, Volume 84, Issue 3, 2009.

Karpen, Ulrich, Freedom of Expression as a Basic Right: A German View, 1989.

Ipsen, Jörn, Staatsrecht II, Grundrechte, 13. Auflage, München 2010.

Robbers, Gerhard, Informationelle Selbstbestimmung und Allgemeine Informationsfreiheit in Deutschland, 2002.

Kischel, Uwe, Rundfunkfreiheit und Rundfunkmonopol, Aspekte des Rechts der audiovisuellen Kommunikation, 1999.

Pieroth, Bodo/Schlink, Bernard, Grundrechte, Staatsrecht II, 20., neubearbeitete Auflage, Heidelberg 2004

Weber, Werner, zur Diskussion über die Zulassung eines privaten Fernsehens, 11 Der Staat 82, 1972.

***სასამართლო გადაწყვეტილებები***

BVerfGE 90, 241 (Bundesverfassungsgericht – გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო)

BVerfGE 7,198 (Bundesverfassungsgericht – გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო)

BVerfGE 69, 315 (Bundesverfassungsgericht – გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო)

BVerfG, Beschluss der 3. Kammer des Ersten Senats vom 31. März 2013 - 1 BvR 1314/11 -, Rn. 1-26 (Bundesverfassungsgericht – გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო)

BVerfGE 20,162 (Bundesverfassungsgericht – გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო)

BVerfGE 12, 205 (Bundesverfassungsgericht – გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო)

BVerwGE 1, 303 (Bundesverwaltungsgericht – გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლო)

***საკანონმდებლო აქტები***

Bürgerliches Gesetzbuch (გერმანიის სამოქალაქო კოდექსი)

Informationsfreiheitsgesetz (გერმანიის ინფორმაციის თავისუფლების კანონი)

Strafgesetzbuch (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი)

Jugendschutzgesetz (გერმანიის ახალგაზრდობის დაცვის კანონი)

## **ვებრესურსი**

[www.beck-online.beck.de](http://www.beck-online.beck.de)

[www.bundestag.de](http://www.bundestag.de)

[www.bundesverfassungsgericht.de](http://www.bundesverfassungsgericht.de)

[www.gesetze-im-internet.de](http://www.gesetze-im-internet.de)

[www.nuklearesicherheit.de](http://www.nuklearesicherheit.de)

[www.bmi.bund.de](http://www.bmi.bund.de)

[www.uni-potsdam.de](http://www.uni-potsdam.de)

## **IV. საქართველო**

### **ლიტერატურა**

კონსტანტინე კუბლაშვილი, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. მეშვიდე გამოცემა. 2023.

ბესიკ ლოლაძე, ანა ფირცხალაშვილი, ძირითადი უფლებები, კომენტარი, 2023.

მაია კოპალეიშვილი, რეალური საფრთხის ტესტი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკაში. ჟურნალი „ჩემი ადვოკატი“, ნომერი V, 2021.

ქეთევან ერემაძე, თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში, თბილისი, 2018.თ. ტულუში, გ. ბურჯანაძე, გ. მშვენიერაძე, გ. გოცირიძე, ვ. მენაბდე, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013.

### **სასამართლო გადაწყვეტილებები**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის N2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 6 ივნისის N2/2/359 გადაწყვეტილება საქმეზე „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბერი, N2/3/406,408, გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის N 1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის N2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მისიაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისის №3/3/763 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, გიორგი ბარამიძე და სხვები, სულ 42 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის №3/4/641 გადაწყვეტილება საქმეზე „ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე „„შპს სამაუნწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის №1/4/757 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის №2/5/700 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“, „შპს კასტელ ჯორჯია“ და „სს წყალი მარგებელი“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის №2/2/867 გადაწყვეტილება საქმეზე „რემზი შარაძე საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 4 ივლისის N1/5/1271 გადაწყვეტილება საქმეზე „ბესიკ ქათამაძე, დავით მჭავანაძე და ილია მალაზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს N1/7/1275 გადაწყვეტილება საქმეზე „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის №2/6/1311 გადაწყვეტილება საქმეზე „„შპს სტერეო+“, ლუკა სევერინი, ლაშა ზილფიმიანი და რობერტ ხახალავი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის №2/1/1289 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ბერუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის N1/8/926 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ლოგუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის №3/7/1483 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „„შპს საინფორმაციო ცენტრების ქსელი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის №3/7/1483 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „„შპს საინფორმაციო ცენტრების ქსელი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 24 ნოემბრის №3/1/1693, 1700 განჩინება – №1693 და №1700 კონსტიტუციურ სარჩელებზე, მოპასუხე მხარის – საქართველოს პარლამენტის შუამდგომლობა მოსამართლე გიორგი კვერენჩილაძის აცილების შესახებ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 22 თებერვლის N1/1/1537 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს მთავარი არხი“, „შპს ტელეკომპანია პირველი“, „შპს ტელეკომპანია კავკასია“, „შპს ფორმულა“, ირაკლი სალინაძე, გიორგი ლიფონავა და ქეთევან დევდარიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო**

Handyside v. United Kingdom.

Sunday Times v. United Kingdom.

**განსხვავებული აზრები**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების – ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩილაძის და თეიმურაზ ტულუშის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2022 წლის 4 ნოემბრის N3/7/1483 საოქმო ჩანაწერთან დაკავშირებით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების – გიორგი თევდორაშვილისა და გიორგი კვერენჩილაძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2022 წლის 4 ნოემბრის N1/8/926 გადაწყვეტილებასთან („გიორგი ლოგუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) მიმართებით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის – გიორგი კვერენჩილაძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2023 წლის 27 ივლისის №1/4/1394 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

**საკანონმდებლო აქტები**

საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო.

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2017 წლის 13 ოქტომბრის №1324-რს საქართველოს კონსტიტუციური კანონი.



**გამოცემის კოორდინატორები:**

რევაზ ხოფერია  
ანა მილაშვილი  
ირაკლი გვარამაძე

**სტილის რედაქტორი:**

ანა მილაშვილი

**დამკაზადონებული:**

ნატალია ლლონტი



თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების გამომცემლობა  
კახა ბენდუქიძის კამპუსი, დავით აღმაშენებლის ხეივანი 240  
0159 თბილისი, საქართველო  
ტელ.: +995 32 220 09 01  
[www.freeuni.edu.ge](http://www.freeuni.edu.ge) [www.agruni.edu.ge](http://www.agruni.edu.ge)  
Free and Agricultural Universities Press  
Kakha Bendukidze Campus, Alley David Aghmashenebeli 240  
Tbilisi 0159, Georgia, Tel.: +995 32 220 09 01